საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№42
16 – 22 დეკემბერი, 2009

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
გამოდის ოთხშაბათობით
info@geworld.net



2

## ექიმ ჯონ ჰეიდონ დაუნის მიერ აღწერილი სინდრომით შეპყრობილებო, თუ ხვდებით საერთოდ, რას შეახეთ ხელი?!

### თუ ხვდებით, რომ ვანდალიზმისთვის, ადრე თუ გვიან, გაგასამართლებენ?!

## 25 თებერვალს სააკაშვილი მორიგ სამხედრო ავანტიურას გეგმავს? 12

## მიშამ ოფისი გაჩუქა, გულს ნუ გაიტეხ, ბაჩუკა!



6

## საკნიდან გამომძვრალი გიურზა 14

## ჩინური ჭაღებით განათებული თბილისი



13

## და ღია ცის ქვეშ დარჩენილი რამდენიმე ათასი დევნილი

ექსპერტის ტრიბუნა //

რამაზ კლიმიაშვილი:
**ამერიკის საგარეო პოლიტიკა და თამაშგარეთ დარჩენილი საქართველო** 4

ვაი ჩვენს პატრონს //

**სან-ტა, სან-ტა, ანუ შეტევა ქართულ სულიერებაზე!** 7

პრეზენტაცია //

**ადამიანის უფლებების იგნორირება ხელისუფლების პოლიტიკის ნაწილია** 9

შეხვედრა მოსკოვში //

**მოსკოვური მედიაფორუმი და მომავლის საკითხები** 12

ასეც ხდება //

**პირველი ლედის მეგობარს 17 000 დოლარი «ააფცქვნეს»!** 14

ფსიქოპორტრეტი //

17 ზურაბ გაგნიძე:
**კინწმარიშვილი ისევ ცრუობს...**

ადამიანის უფლებები //

21 რამინ კიზირია:
**ისინი მანქანიდან გადმოიყვანეს და დახვრიტეს**

დაიჯესტი //

**ევროპაში შარიათის დრო დგება** 28

## პოლიტოლოგი ალექსანდრე რონდელი მომღერლებს რეპერტუარის ხელისუფლებასთან შეთანხმებას თხოვს 16

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# კონექტიკუტის სკოლის დირექტორმა შობის აღნიშვნა აკრძალა

**კონექტიკუტის შტატის ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა აკრძალა შობის დღესასწაულის რაიმე ფორმით აღნიშვნა. ამის ნაცვლად ქალაქ უოტერბერის დაწყებით სკოლაში, მისი დირექტორის — ერიკ ბრაუნის გადაწყვეტილებით, „ზამთრის ზეიმი“ გაიმართება, ოღონდ შობისთვის დამახასიათებელი ატრიბუტიკის გარეშე.**




**როგორც „NBC Connecticut“ განმარტავს, ბრაუნმა დაასკვნა, რომ არ შეიძლება რომელიმე რელიგიური დღესასწაულის აღნიშვნა სკოლაში, სადაც სხვადასხვა აღმსარებლობის ბავშვები სწავლობენ; მაგალითად, იეღოვას მოწმეები, რომლებიც საერთოდ არანაირ დღესასწაულს არ აღიარებენ. დირექტორის პოზიციამ დიდი რეზონანსი გამოიწვია და უოტერბერის საგანმანათლებლო საბჭო ორშაბათიდან სასკოლო დღესასწაულების პოლიტიკის გადახედვას შეუდგა.**

**საბჭოს წევრმა პოლ დანჯელომ კოლეგებს წარუდგინა რეზოლუცია, რომელიც „სადღესასწაულო“ საკითხთა გადაწყვეტის უფლებას მასწავლებლებს ანიჭებს. „ეს სკოლა მასწავლებლებს უფლობამოსილებას უზღუდავს და ვთვლი, რომ ეს არასწორია, მით უფრო, თუ დანარჩენ 29 სკოლაში მასწავლებლები გადაწყვეტილების მიღების უფლებას ინარჩუნებენ“, — განაცხადა დანჯელომ, საკითხი იმავე დღეს უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ დისკუსიებს დამატებითი დრო დასჭირდა.**

# ერმიტაჟმა პარიზის გალერეიდან 100-მდე პორტრეტი შეისყიდა

**ერმიტაჟის კოლექციას XIX საუკუნის რუსი მხატვრების მიერ აკვარელით შესრულებული 92 პორტრეტი შეემატა. 2009 წლის ოქტომბერში კოლექცია ლონდონის „Christie’s“-ის აუქციონზე 2,5 მილიონ ფუნტ სტერლინგად იყო წარმოდგენილი, მაგრამ მყიდველი არ გამოუჩნდა.**

ერმიტაჟი პირდაპირ მოლაპარაკებებზე წავიდა გალერეის მფლობელ მორისონ ბარიუშესთან და შეთანხმებასაც მიაღწიეს, თუმცა რა თანხა გადაიხადა ერმიტაჟმა შენაძენში, მხარეები არ ახმაურებენ. მუზეუმისათვის განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს ვლადიმერ გაუს მიერ შესრულებული ალექსანდრე პუშკინის მეუღლის — ნატალიას პორტრეტი. ერმიტაჟის ახალი შენაძენების სექტორის ხელმძღვანელმა ვიქტორ ფაიბისოვიჩმა განაცხადა, რომ ეს „მოვლენათა ბედნიერი თანხვედრა“ იყო. „ფანტასტიური კოლექცია გაუყიდავი დარჩა. სწორედ ამ დროს შესყიდვებისთვის მივიღეთ იმდენი თანხა, რამდენიც, ალბათ, 1917 წლის შემდეგ აღარასდროს გვქონია“, — განაცხადა მან.

# ექიმ ჯონ ლენგდონ ჰეიდონ დაუნის მიერ აღწერილი სინდრომით შეპყრობილებო, თუ ხვდებით საერთოდ, რას შეახეთ ხელი?!

**გასული კვირის დასაწყისში ხელისუფლება უჩვეულოდ მშვიდად იქცეოდა, რაც, დაგროვილი გამოცდილების თანახმად, მორიგი დიდი სისულელის ჩადენას მოასწავებდა. ასეც მოხდა, ახლა უკვე გვიანია იმის დადგენა, სად დაბოდიალობდა მკურნალი ექიმი და რატომ ეძინა სანიტრებს, პაციენტმა მოასწრო იმის ჩადენა, რისთვისაც რამდენიმე დღე თავს იკატუნებდა. შაბათს საღამოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ამ წუთებში ქუთაისში „დიდების მემორიალის“ ნგრევა და დემონტაჟი მიმდინარეობს“.**
**დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს, რომ საქმე სწორედ აქეთ მიდიოდა. როდესაც გასულ წლებში მემორიალზე რამდენიმე ვანდალური თავდასხმა მოხდა, ხელისუფლებას არც დაზიანებული ფრაგმენტები აღუდგენია და არც ობიექტის დაცვისთვის გამოუდია თავი. ეს ავისმომასწავებელი პოზიცია ადგილობრივი საზოგადოებისთვის ერთგვარი ტესტი იყო. ვინაიდან სერიოზულ პროტესტს, თითო-ოროლა პუბლიკაციისა და გამოსვლის გარდა, ადგილი არ ჰქონია, ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ მის ჩანაფიქრს წინ ვერაფერი აღუდგება და მემორიალს ბულდოზერებით მიადგა.**

საერთოდ, საზოგადოებისა და ხელისუფლების ურთიერთობა დეფექტურ სახელმწიფოებში, შეგვიძლია, მსგავსი ტესტებისგან შემდგარი, ერთგვარი მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის სახით წარმოვიდგინოთ. ყოველივე ეს კაცობრიობას უკვე გავლილი აქვს. თუ დღეს ათეულობით უდანაშაულო ადამიანის დაჭერას არ აპროტესტებ, ხვალ ათეულ ათასებს საკონცენტრაციო ბანაკებში გააგზავნიან. თუ ილია ჭავჭავაძის ძეგლის გადატანას უპასუხოდ ტოვებ, წინ, დიდი ალბათობით, კოცონში გადაყრილი წიგნები დაგვხვდება. როგორ იყო? **„Wenn ich das Wort Kultur hore, entsichere ich meinen Revolver?“ — „როდესაც სიტყვა „კულტურა“ მესმის, რევოლვერისკენ (ჩვენს შემთხვევაში, ბულდოზერისკენ) მიცდება ხელი“**. ყველას გვახსოვს, რით დასრულდა ის ისტორია.

ძეგლები მაშინაც მოვლენათა ჯაჭვში პირველ რგოლს წარმოადგენდა. ასე, 1933-ში ჰამბურგში ნაცისტებმა ჯერ გაანადგურეს ჰაინრიხ ჰაინეს ძეგლი და შემდეგ მის კვარცხლბეკთან წიგნების დაწვაც დაიწყეს. მოგვიანებით კი ყველაფერი ჰაინეს წინასწარმეტყველების თანახმად მოხდა: **„იქ, სადაც წვავენ წიგნებს, ადრე თუ გვიან ადამიანების დაწვას დაიწყებენ“. საოცარი სიმძაფრით იგრძნო ყველაფერი წინასწარ, მაშინ, როცა გერმანიაში მსგავსი მისწრაფებები არავის აწუხებდა.**

**ბოლოს, ევროპის შუაგულში, ამ ბედკრული პლანეტის სხვადასხვა კუთხიდან მოსულ სხვა ჯარისკაცებთან ერთად, მივიდნენ ჩვენი წინაპრებიც და იმ კოშმარს წერტილი დაუსვეს. მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი მემორიალი სწორედ მათ ხსოვნას უკვდავყოფდა.**

ეს ამბავი, ალბათ, საქართველოში თითოეულ ოჯახს ეხება. ასე ბაბუაჩემმა გაირა გზა კურსკიდან პრაღამდე, მონაწილეობა მიიღო ბრძოლებში სანდომირის პლაცდარმზე, რომელიც ომის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე საშინელი გამოდგა. **სხვა ოჯახებისთვისაც ასეა ქერჩი, სტალინგრადი, კენიგსბერგი, ბუდაპეშტი დაბოლოს ბერლინი, უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ წერტილი ევრაზიის უსასრულო და უმოწყალო სივრცის რუკაზე, თუმცა ამჯერად, რატომღაც, სულ სხვა მოხუცი გამახსენდა.**

ასაკის გამო ომში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა, რომ იტყვიან, ომმა მასში პირდაპირი და უშუალო მონაწილეობა მიიღო. მაშინ ერთი ჩვეულებრივი ებრაელი მოზარდი გახლდათ, თუმცა არა, ალბათ, მაინც არაჩვეულებრივი, რადგან სიკვდილს ორგზის, ჯერ ვილნიუსის გეტოში, შემდეგ კი საკონცენტრაციო ბანაკში დაუსხლტდა. როდესაც გავიცანი, ერთი საოცარი პენსიონერი იყო, ხალისიანი, განუმეორებელი სევდანარევი იუმორით, რომელსაც არასოდეს ეზარებოდა ბავშვებთან საუბარი მათთვის მნიშვნელოვან თემებზე, მიუხედავად იმისა, საკუთარი შვილიშვილები იყვნენ, თუ დამსვენებლების (მოვლენები კოპწია ბალტიისპირა კურორტზე ვითარდებოდა).

**ერთხელაც უცნაური რამ მოხდა: მოხუცი სწრაფად შემოვიდა ქუჩიდან, რაღაცნაირად გვერდულად გადაკვეთა ეზო ისე, რომ ყველა იქ მყოფს გვერდი აუქცია, სახლში შევიდა (თითქმის შევარდა) და კარი მიიხურა. აბსოლუტურად წაშლილი სახე ჰქონდა, ხოლო თვალები, რომლებიც ჩვეულებრივ შოლომ-ალეიჰემის მსუბუქი კალმით დაწერილ ცხოვრების ენციკლოპედიას მოგაგონებდათ, ყოვლისმომცველი, უსასრულო შიშის გარდა არაფერს გამოხატავდა. „არ შეუძლია, — აგვიხსნა გაკვირვებულებს მისმა ლიტველმა მეზობელმა, — ძაღლების ყეფას ვერ იტანს“ და მხოლოდ მაშინ შევამჩნიეთ, რომ ქუჩიდან ძაღლის ავი, გაბმული ყეფა ისმოდა.**

იმ ეპიზოდმა მეორე მსოფლიო ომის შესახებ გაცილებით მეტი მომითხრო, ვიდრე სერ ბეზილ ლიდელ გარტისა და კურტ ფონ ტიპელსკირხის თხზულებებმა. ნათქვამია, „მან, ვინც გადაარჩინა ერთი ადამიანი, მთელი სამყარო გადაარჩინა“, ხოლო ჩვენმა წინაპრებმა, რომელთა ხსოვნას ეს მემორიალი ეძღვნებოდა, ხშირად საკუთარი სიცოცხლის ფასად, გარდაუვალი დაღუპვისაგან მილიონობით ადამიანი იხსნეს. ამგვარად, ძეგლის დამანგრევლების მიმართ ერთი სავსებით ლეგიტიმური კითხვა ნამდვილად შეიძლება გაჩნდეს: **„ექიმ ჯონ ლენგდონ ჰეიდონ დაუნის მიერ აღწერილი სინდრომით შეპყრობილებო, თუ ხვდებით საერთოდ, რას შეახეთ ხელი?“**

თუ თვალს გადავავლებთ ხელისუფლების მოქმედებას ძეგლებთან მიმართებაში, დავინახავთ, რომ განსაკუთრებით სწორედ გამარჯვებულთა ძეგლებს ერჩის — დავით აღმაშენებლის, რომელმაც მოიგო ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობისთვის; ილია ჭავჭავაძის, რომელმაც გაიმარჯვა ბრძოლაში ეროვნული იდენტურობისათვის და ახლა უკვე მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულებს მიადგა, რომლებმაც განსახიერებულ სიბნელესთან კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ომი მოიგეს. საკმაოდ საგულისხმო ტენდენციაა.

**რის შემოთავაზება შეუძლიათ სანაცვლოდ? ალბათ, მიწაზე მხოხავი მამაკაცის ქანდაქებისა, რომელიც გაფაციცებით ღეჭავს ჰალსტუხს; სავარაუდოდ, ქალაქ გორში მოიძებნება ადგილი, სადაც ამ „სირცხვილის მემორიალის“ დადგმა შეგვეძლება. ძველად რომ იტყოდნენ: „რათა გვახსოვდეს!“.**

და ამინდის შესახებ, უკაცრავად, და გასული კვირის სხვა საგულისხმო მოვლენების თაობაზე: **საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში შესაძლო ცვლილებების პირველი ნიშნები გამოჩნდა. დიმიტრი მედვედევის განცხადებას საქართველოსთვის (ფაქტობრივად) დაწესებული სანქციების სავარაუდო გაუქმების შესახებ სააკაშვილის პრესსამსახურის საკმაოდ მოზომილი პასუხი მოჰყვა, რომელშიც აღნიშნულია, რომ „საქართველო ამას მხოლოდ მიესალმება“.** ალბათ, ეს პირველი შემთხვევაა ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც ოფიციალური თბილისი კრემლის ინიციატივას საჯაროდ იწონებს. შესაძლოა, ეს იმ ტენდენციის ანარეკლია, რომელიც დღესდღეობით გლობალურ პოლიტიკაში, კერძოდ, რუსეთ-აშშ-ის ურთიერთდამოკიდებულებაში გამოიკვეთა.

**„ადამიანებმა ბოლოს და ბოლოს უნდა დაიწყონ მოლაპარაკებები და გადაწყვიტონ, როგორი იქნება მათი მომავალი. ვფიქრობ, რომ ომს რადიკალურად არაფერი შეუცვლია. მეზობლებმა, მიუხედავად ყველაფრისა, უნდა**

# ქართველებმა და ჩეჩნებმა პოლონეთში მატარებელი გაიტაცეს

15 დეკემბერს, დღისით, საქართველოდან და რუსეთიდან (პოლონური პრესის მონაცემებით, მათ შორის, ძირითადად, ჩეჩნები და ინგუშები არიან) დევნილებმა პოლონეთში სარკინიგზო სადგურიდან მატარებელი გაიტაცეს.



უცხოელებს სტრასბურგამდე ჩასვლა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლომდე მიღწევა სურდათ, რათა იქ პოლონურ დევნილთა ცენტრებში გამეფებული ცუდი პირობების გამო ეჩივლათ. სარკინიგზო სადგურის ადმინისტრაციამ, ცხადია, მომხდარის თაობაზე პოლიციას აცნობა. აქციის სულისჩამდგმელთა და ლიდერთა ვინაობა ჯერჯერობით ცნობილი არაა. პოლონეთ-გერმანიის საზღვარზე მატარებლის მგზავრების საბუთებს მესაზღვრეები ამოწმებდნენ. გაირკვა, რომ უმეტესობას თან არ ჰქონდა დოკუმენტები, რამაც მნიშვნელოვნად გაართულა მათი ვინაობის დადგენის საქმე. აქციის მონაწილეებს სამ წლამდე ვადით პატიმრობა ან დეპორტაცია ელით.

# ბრიტანეთი წელიწადში რუსეთზე 17-ჯერ მეტს ისესხებს

**ქვეყნის ფინანსთა მინისტრის — ალისტერ დარლინგის განცხადებით, 2009-2010 ფინანსური წლის განმავლობაში ბრიტანეთის სახელმწიფო სესხი 178 მილიარდ ფუნტ სტერლინგს (დაახლოებით 290 მილიარდი დოლარი) შეადგენს. შედარებისთვის, 2009 წელს რუსეთმა შიდა ბაზარზე 500 მილიარდი რუბლი (დაახლოებით 17 მილიარდი დოლარი) ისესხა, გარე ბაზარზე ქვეყანა არ გასულა.**

ფინანსური კრიზისის შედეგების შესარბილებლად ბრიტანეთი იძულებულია, ისესხოს სერიოზული თანხები, რომელთა მოცულობა საერთო შიდა პროდუქტის 10%-ს აღემატება. ქვეყანამ ათობით მილიარდი ფუნტი საბანკო სისტემის მხარდაჭერასა და ეკონომიკური პროგრამების სტიმულირებას მოახმარა. სესხის გაზრდის პარალელურად ბრიტანეთის ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფოს გასავალსა და შემოსავალს შორის სხვაობის კომპენსირებას სხვა სახსრებითაც აპირებს. ალისტერ დარლინგის თქმით, მომავალი წლიდან ყველა საბანკო ბონუსი, რომელიც 25 ათას ფუნტ სტერლინგს აღემატება, 50%-ით დაიბეგრება. საერთო ჯამში ამის შედეგად ბიუჯეტში 550 მილიონი ფუნტი უნდა შევიდეს. გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად ბრიტანეთი სხვა განვითარებულ ქვეყნებზე მეტად დაზარალდა. 2009 წელს ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტი 4,75%-იან შემცირებას დაექვემდებარა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net






**მოილაპარაკონ და მშვიდობიანად იცხოვრონ“,** — თუ მსგავს სიტყვებს რომელიმე ქართველი პოლიტიკოსი იტყოდა, სახელმწიფო პროპაგანდა, ძალიან დიდი ალბათობით რუსეთუმეს, ჯაშუშისა და დივერსანტის იარლიყსააკრავდა, თუმცა ეს აზრი უკრაინულ ტელეარხ „ინტერთან“ საუბარში საქართველოში შტატების ყოფილმა ელჩმა **ჯონ ტეფტმა** გამოთქვა, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტმა სულ ახლახან თბილისიდან კიევში გადაისროლა.

**დათბობა მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის გრძელდება და, ალბათ, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რატომ გადადის ორი ზესახელმწიფო მწვავე კონფრონტაციიდან თანამშრომლობაზე. მცირე ისტორიული ექსკურსი ნამდვილად არ გვაწყენს.**

მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ეს ორი ქვეყანა თითქმის მოკავშირე იყო, ყოველ შემთხვევაში, ერთმანეთის მიმართ აშკარა კეთილგანწყობას ავლენდა, რადგან ერთი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგე, ბრიტანეთის იმპერია ჰყავდა. კრიტიკულ მომენტებში (ყირიმის ომი, სამოქალაქო ომი შტატებში) ერთმანეთს შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ. პირველ მსოფლიო ომში ერთ მწყობრში იდგნენ. შემდეგ, მოუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი 20-იან წლებში დიპლომატიურ იზოლაციაში მოექცა, ორ ქვეყანას შორის საკმაოდ ინტენსიური საქმიანი თანამშრომლობა გაჩაღდა. მეორე მსოფლიო ომში ორი ქვეყანა კვლავ მოკავშირე გახდა. მათ ერთობლივი ძალისხმევით დაამარცხეს გერმანია და იაპონია, ამასთანავე, ირიბად ხელი შეუწყვეს დაუძინებელი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგის, ბრიტანეთის იმპერიის დაშლას.

**სიტყვამ მოიტანა და, 50-იანი წლების ბოლოს, როდესაც საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ ბრიტანეთი ემშვიდობებოდა დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას და ფაქტობრივად აშშ-ს სატელიტი ხდებოდა, პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ მაკმილანმა საოცარი ფრაზა თქვა, რომელშიც მკაფიოდ განსაზღვრა ბრიტანული საგარეო პოლიტიკისა და შტატებთან მომავალი ურთიერთობის არსი: „ჩვენ მათი რომის ათენი გავხდებით“.**

რომელი სახელმწიფო განიხილება ანგლო-ამერიკულ გეოპოლიტიკურ მოდელში მთავარ მოწინააღმდეგედ? — ის, რომელსაც შეუძლია შექმნას საკმარისად ძლიერი ფლოტი იმისთვის, რომ საფრთხე შეუქმნას მათ კონტროლს საზღვაო სივრცეზე, სრუტეებსა და სავაჭრო მარშრუტებზე. ასეთი იყო გერმანია, იაპონია, საბჭოთა კავშირი, დღეს წინა პლანზე ჩინეთი გამოვიდა, რომელიც აშენებს ავიამზიდებს და უცხოეთში საზღვაო ბაზების შთამბეჭდავ ქსელს ქმნის. ამასთანავე, პეკინი ფლობს ეკონომიკურ ბერკეტებს, რომელთა მეშვეობით აშშ-ს ეკონომიკაზე კრიტიკული გავლენის მოხდენა შეუძლია.

რით იყო განპირობებული აშშ-რუსეთის კონფრონტაცია „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, რომელიც განსაკუთრებით ბუშის პრეზიდენტობის დროს გამწვავდა? სავარაუდოდ, ვაშინგტონს რაღაც მომენტში შეექმნა შთაბეჭდილება, რომ იგი „აბსოლუტური სტრატეგიული უსაფრთხოების“ მიღწევას შეძლებდა. დასუსტებული რუსეთის ხელთ რჩებოდა საბჭოთა კავშირის ბირთვული არსენალი, რომელსაც გარანტირებულად შეუძლია არა მხოლოდ შეერთებული შტატების, არამედ მთელი პლანეტის განადგურება (თანაც რამდენჯერმე). იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის უკონტროლო დეზინტეგრაციის პროცესი დაიწყებოდა ან ქვეყნის სათავეში მოექცეოდა რეჟიმი, რომელიც ვაშინგტონზე 100%-ით იქნებოდა დამოკიდებული — ამ არსენალის გადასვლა საერთაშორისო (სინამდვილეში აშშ-ს) კონტროლის ქვეშ სავსებით ლოგიკური გახდებოდა. რუსეთის გაზის, ნავთობისა და, რომ იტყვიან, მენდელეევის მთელი ცხრილის დაპატრონება, რომელიც მის ტერიტორიაზე მოიპოვება, ამ გადასახედიდან მხოლოდ სასიამოვნო დამატებითი ბონუსია. თავისი მნიშვნელობით იგი ახლოსაც ვერ მივა დაცულობასთან გარანტირებულ ტოტალურ განადგურებისაგან.

**შესაძლოა, თეთრ სახლს წარმატებამდე სულ რამდენიმე ნაბიჯი რჩებოდა, თუმცა რუსეთმა, სირთულეების მიუხედავად, გაუძლო ზეწოლას და ნელ-ნელა ცხადი გახდა, რომ ამ ეტაპზე დასახული ამოცანის მიღწევა ვერ მოხერხდება. ხოლო ვინაიდან „კონფრონტაციას კონფრონტაციისთვის“ შენაძენზე გაცილებით მეტი დანაკარგი მოჰქონდა, ბუნებრივად გაჩნდა გულუბრყვილო ინტონაციით წარმოთქმული კითხვა What for? (რისთვის?).**

დავუბრუნდეთ, ანგლო-ამერიკული სტრატეგიის საფუძვლებს. იმისთვის, რომ დაამარცხო მოწინააღმდეგე ევრაზიაში, მის უშუალო სიახლოვეს შესაბამისი მასშტაბის გამოსადეგი მოკავშირე უნდა გყავდეს. არსებობს ამოცანები, რომელთა ეფექტური გადაწყვეტა მხოლოდ კონტინენტური ქვეყნების მძლავრ სახმელეთო ჯარებს შეუძლიათ. ამასთანავე, საზღვაო ძლიერებაზე დაფუძნებული სახელმწიფოებისთვის გაცილებით მოსახერხებელია, რაოდენ ცინიკურად უნდა ჟღერდეს, რომ ფრანგების ხელით ებრძოლონ გერმანელებს (და პირიქით), ჩინელების ხელით ებრძოლონ რუსებს (და პირიქით), ვიდრე ომს საკუთარი მოქალაქეები და რესურსები შესწირონ. **ამ პრინციპის გავრცელება ეკონომიკურ და სავაჭრო ომებზე, სხვა ტიპის დაპირისპირებებზეც შეიძლება. მსოფლიო კრიზისისგან საკმაოდ დასუსტებულ შტატებს სულაც არ აწყობს, არც დღეს, არც (განსაკუთრებით) 10-20 წლის შემდეგ ჩინეთთან პირისპირ, ერთიერთზე, მათი ესპანურენოვანი მოქალაქეების თქმის არ იყოს, mano-a-mano დაჯახება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეს არარაციონალურია.**

თუ კიდევ ერთხელ გადავავლებთ თვალს ჯონ ტეფტის ბოლო განცხადებას, შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი შემთხვევითი არ ყოფილა. სავარაუდოდ, იგი შეიცავს სავსებით კონკრეტულ მესიჯს იმის თაობაზე, რომ საქართველოს პოლიტიკა, რომელიც რუსეთთან შემდგომ კონფრონტაციას დაეფუძნება, შეერთებული შტატების ინტერესებში (ამ ეტაპზე) აღარ შედის. მეტიც, ვაშინგტონის ასეთი მიდგომა შეიძლება თვეებსა და წლებზე კი არა, ათწლეულებზე გათვლილი გეგმის ნაწილი აღმოჩნდეს. ნებისმიერ შემთხვევაში ცხადია, რომ ვითარება იცვლება და ეს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ძალზე ფრთხილ და გააზრებულ მოქმედებას, მეტ სერიოზულობას მოითხოვს. ცნობილი მულტიპლიკაციური მგელი რომ იტყოდა, **«Баста, карапузики, кончилися танцы»** _ ზღაპარი დასრულდა, რეალური ცხოვრება დაიწყო.

**დიმიტრი მონიავა**

# P.S. თუ ხვდებით, რომ ვანდალიზმისთვის, ადრე თუ გვიან, გაგასამართლებენ?!

**ვანდალიზმი — კულტურულ და მატერიალურ ღირებულებათა შეგნებული, უაზრო განადგურებაა.**

**შეგნებული უაზრობა — ასეც შეიძლება ვთქვათ.**

**სამართლებრივად დასჯადი ქმედებაა, სხვადასხვა ქვეყანაში — სხვადასხვარად, მაგრამ აუცილებლად სჯიან როგორც უშუალოდ ჩამდენს, ასევე — წამქეზებელს, დავალების მიმცემს, დამკვეთს...**

**სჯიან, რადგან ბოროტებაა, დანაშაული, რომელიც მიმართულია ადამიანების მიერ შექმნილი ფასეულობების წინააღმდეგ, იმ ფასეულობათა წინააღმდეგ, რომელთაც სულიერი და ფიზიკური ენერგია შეალიეს თაობებმა, შემოქმედებით ქურაში გამოაწრთეს და ერის მაღალი კულტურისა და ფართო განათლების ნიმუშად დაგვიტოვეს.**

ამიტომაა ანტისაკაცობრიო ქმედება ვანდალიზმი და დასჯადიც ამიტომაა. ანტიჰუმანურია და ველურობის მაჩვენებელი, როგორც არაერთი ისტორიული მაგალითი, ვანდალების აღმოსავლეთ-გერმანული ტომიდან მოყოლებული, რომელმაც 455 წელს გაძარცვა რომი, და გერმანელი ფაშისტების მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობათა ჩათვლით.

დროსა და ჟამს უნდა წაელო თითქოს ეს სიბილწე სულისა და ბოროტებასთან შეზავებული სიჩლუნგე გონების. მაგრამ პირიქით ხდება: ჩვენი მშობლიური ხელისუფლება, რომელიც საქართველოს სიყვარულს გაბანერებული თვალსაჩინოებით გვეფიცება, თავისი ადგილობრივი სტრუქტურის — ქუთაისის საკრებულოს გადაწყვეტილებითა და ხელდასმით ისეთი უნიკალური ძეგლის იავარსაქმნელად ემზადება, როგორიც „საქართველოს მეორე დედაქალაქში“ აღმართული დიდების მემორიალია.

**სარწმუნო ინფორმაციით,**

**21 დეკემბერს, მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღეს, უქვეშევრდომილესი ერთგულებით აღტკინებული ნაცმოძრაობის აქტივისტები არნახული ფოიერვერკით დააგვირგვინებენ — ააფეთქებენ მერაბ ბერძენიშვილის ქმნილებას.**

„დიდების მემორიალი“ ფაშიზმზე გამარჯვების სიმბოლოდ იყო აღმართული. მისი დანგრევა სხვა არაფერია, თუ არა ფაშიზმის რესტავრაციის მცდელობა.

ვინ დაგიკვეთათ, ქუთაისლებო, ასეთი სიბინძურე? ვის დაუჯერეთ?

აფეთქდება და დაინგრევა ძეგლი, როგორც ბუდას კლდეში ნაკვეთი გრანდიოზული ქანდაკება, რომელიც თალიბებმა ავღანეთში მიწასთან გაასწორეს.

**მაშ, წინ — ვანდალებიდან თალიბებამდე!**

**ვანდალები ისტორიაში დაიკარგნენ, თალიბებს ყელში ხელს უჭერენ, ვანდალიზმს სამართალი სჯის.**

**მოგეკითხებათ!**

მოეკითხება ქუთაისის საკრებულოს ყველა წევრს, ვინც ხმა მისცა ამ ვანდალურ გადაწყვეტილებას. სასამართლო სამხილად დაუდებს მათ საკრებულოს დადგენილებას. თავის მართლება გვიან იქნება მაშინ.

მოეკითხება იმ მუშასაც კი, რომელიც ისეთივე მონდომებით, როგორითაც მიხეილ სააკაშვილმა ბოლომდე დაუნგრეველ „ანდროპოვის ყურებს“ შეუტია, პნევმატური ჩაქუჩით მიადგება დიდების მემორიალის რკინა-ბეტონის საძირკველს. სასამართლოზე სამხილად დაუდებენ სამუშაოთა მწარმოებლის შედგენილ სამუშაოთა განაწილების დოკუმენტს.

დაბოლოს.

**„დიდების მემორიალის“ გახსნისას მომხდარი სასწაულებრივი მინიშნებაც გავიხსენოთ, როცა საიდანღაც მოფრენილი თეთრი მტრედი მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკებას დააფრინდა, შემდეგ რამდენჯერმე შემოხაზა ჰაერში წრე და ავტორს დააჯდა მხარზე.**

სულიწმიდა ქართულ ფრესკებზე მტრედის სახითაა გამოსახული...

**ვითომ არაფერს გვეუბნება ეს სასწაულებრივი მინიშნება?**

**ღმერთო, შეგვინდე და დაგვიფარე!**

## პრეზიდენტმა რუსთავში სპეციალური დანიშნულების სამსახურის ახალი ბაზა გახსნა

**დღეს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსთავში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს სპეცდანიშნულების სამსახურის ახალი ბაზა გახსნა.**

სააკაშვილმა დაათვალიერა ყაზარმები, სპორტული მოედნები, სასადილო და სპეცტექნიკა. მისი თქმით, ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობისას ქართული ჯარის შენახვაზე უფრო ნაკლები იხარჯებოდა, ვიდრე დღეს — პატიმრების კვებაზე.

სააკაშვილმა ისიც აღნიშნა, რომ სპეცრაზმს სპეცტექნიკა შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში შვეიცარიამ აჩუქა, მაგრამ რუსეთმა ეს ტექნიკა საკუთარ ტერიტორიაზე დააკავა და მის მისაღებად შვეიცარიის ზეწოლა გახდა საჭირო.

„მიხარია, რომ ეს სამსახური მე შევქმენი და ეს არის რეალურად საბრძოლო რესურსი, რადგან ეს ხალხი ყველა ჩვენს ბრძოლაში, ყველა სერიოზულ გამოწვევაში მონაწილეობდა. მათ შორის, რა თქმა უნდა, იყო მსხვერპლიც, რადგან ეს არის ხალხი, რომლებიც რეალურად საქართველოს ჯარისკაცები არიან. ყველა ეს ქვედანაყოფი არის ჩვენი საბრძოლო ქვედანაყოფი და ჩვენი წინააღმდეგობის სქემის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

სააკაშვილთან ერთად სპეცრაზმის ბაზის ტერიტორიაზე განათლების უწყების ხელმძღვანელი და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინიც იმყოფებოდა. პრეზიდენტის განცხადებით, დღეს შაშკინს განათლების ფრონტზე უწევს ბრძოლა, რაც პენიტენციარულ სისტემაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია.

შაშკინის ინფორმაციით, ახალი ბაზა სამ თვეში აშენდა და ის 900 ათასი ლარი დაჯდა. ბაზაზე 300 სპეცრაზმელი განლაგდება, რომლებიც წვრთნებსა და თეორიულ სწავლებას გაივლიან. თითოეული სპეცრაზმელის კვებაზე დღეში 9 ლარი გამოიყოფა. ბაზაზე, საერთო ჯამში, 500-მდე ადამიანია დასაქმებული.

ზემოხსენებული სამინისტროს სპეცრაზმი 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეობდა, რომლის დროსაც ქვედანაყოფმა 6 მებრძოლი დაკარგა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# რუსეთის მეზობლებს ახალ კავშირში ეპატიჟებიან

**რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი სანკტ-პეტერბურგში შეხვდა თავის კოლეგებს ევრაზიის ეკონომიკური საზოგადოების ქვეყნებიდან და საბაჟო კავშირისა და ერთიანი ეკონომიკური სივრცის პერსპექტივები მათთან ერთად განიხილა.**



„სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ბოლო შეხვედრიდან გასული დროის მანძილზე ინტეგრაციული ურთიერთქმედების განვითარების მხრივ საგრძნობი წინსვლაა. ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის საწინააღმდეგო ერთობლივი ზომები ეფექტს იძლევა, წარმატებით ვითარდება საბაჟო კავშირის ფორმირების საკითხი. ძალიან ახლოს ვართ საერთო ეკონომიკური სივრცის შექმნასთან“, — აღნიშნა რუსეთის მთავრობის მეთაურმა.

პუტინის თქმით, მოლაპარაკებების მანძილზე ხელი მოეწერა საბაჟო კავშირის ამოქმედებასთან დაკავშირებულ „ორი ათეული დოკუმენტისგან შემდგარ პაკეტს“. კავშირი ფუნქციონირებას 2010 წლის იანვრიდან დაიწყებს. საუბარია რუსეთის, ბელორუსისა და ყაზახეთის საბაჟო კავშირზე, რომელიც, პრემიერის განცხადებით, მნიშვნელოვანი იქნება არა მხოლოდ ამ სამი სახელმწიფოსთვის, არამედ მთელი დსთ-ის ტერიტორიის ინტეგრაციული პროცესებისთვისაც. მისივე თქმით, კავშირი წარმოადგენს ერთგვარ ლოკომოტივს ევრაზიული ეკონომიკური საზოგადოებისათვის, რომელშიც ზემოაღნიშნული ქვეყნების გარდა შედიან ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთიც.

ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ საბაჟო კავშირში „ნაცრისფერი ზონები“ არ უნდა გაჩნდეს, მაგრამ არც ბიზნესს უნდა შეექმნას წინააღმდეგობები. „ჩვენი მთავარი ამოცანაა, შევიმუშავოთ ისეთი ერთობლივი მექანიზმები, რომლებიც შესაძლებელს გახდის არა მხოლოდ ერთობლივ საბაჟო ტერიტორიაზე შიდა ბარიერების ლიკვიდირებას, არამედ საბაჟო კავშირის გარე კონტურებზე ეფექტურ კონტროლირებას“, — ბრძანა პრემიერმა.

მისივე განცხადებით, ამ სამუშაოს შედეგებზე იქნება დამოკიდებული ერთიან ეკონომიკურ სივრცეზე ნელნელა გადასვლა, ეს კი ინტეგრაციის გზაზე მომდევნო ეტაპი იქნება. „170 მილიონი ადამიანი — ეს არის მოხმარების ბაზარი, რომელიც ხსნის დამატებით შესაძლებლობებს ჩვენი ქვეყნების ბიზნესისა და მეწარმეებისათვის, ამასთანავე ზრდის ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას“, — დასძინა პუტინმა.

# რუსეთი სსრ კავშირის ვალებს წლის ბოლომდე გაისტუმრებს

**მიმდინარე წლის ბოლომდე რუსეთი კრედიტორთა ლონდონური კლუბის ვალს გაისტუმრებს. ამის თაობაზე რუსეთის მეშვიდე საობლიგაციო კონგრესზე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ დიმიტრი პანკინმა განაცხადა.**

მისივე თქმით, იმავე ვადებში დაიფარება საბჭოთა კავშირის კომერციული დავალიანება. პანკინის განცხადებით, ამ თვეში რუსეთი 400-500 მილიონი დოლარის რესტუქტურიზაციას გეგმავს დავალიანებების ევროობლიგაციებზე გადაცვლის გზით.

შეგახსენებთ, რომ ფინანსთა სამინისტრო კომერციული დავალიანებების დაფარვის ბოლო ეტაპზე 9 დეკემბერს გადავიდა. ამით დასრულდება სსრკ-ის კომერციული ვალების რესტრუქტურიზაციის პროცესი, რაზეც რუსეთმა ადრევე აიღო პასუხისმგებლობა.

# ამერიკის საგარეო პოლიტიკა და თამაშგარეთ დარჩენილი საქართველო

**გასულ კვირას სააკაშვილმა ამაყად გვამცნო, რომ ამერიკის ადმინისტრაციამ მას მადლობა გამოუცხადა ავღანეთში დამატებითი კონტიგენტის გაგზავნისათვის. მიუხედავად ნატოს ხელმძღვანელობის დაჟინებული თხოვნისა, ევროპის ორი უდიდესი ქვეყანა – გერმანია და საფრანგეთი თავს იკავებენ ასეთი ნაბიჯისაგან, ისევე, როგორც რეგიონის ყველაზე დიდი და მძლავრი სახელმწიფო – თურქეთი. ხოლო საქართველო, რომელიც ნატოს წევრიც არ არის, მაინც აგზავნის ათასამდე ქართველ ბიჭს საზარბაზნე ხორცად! და ეს მაშინ, როდესაც, სააკაშვილისვე სიტყვებით, რაც მან ივლისში „უოლ სტრიტ ჯორნალს“ უთხრა, ნატოში გაწევრების შანსები მინიმალურია. ჩვენგან განსხვავებით კი სომხეთმა „თავი გამოიჩინა“ — ის მხოლოდ 40 კაცს აგზავნის.**

მოდი განვიხილოთ, თუ რას წარმოადგენს ეს ომი ავღანეთში. ამისათვის დავეყრდნოთ წამყვან ამერიკულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ყოველკვირეულ „ნიუსვიკის“ 14 დეკემბრის ნომერს, სადაც გამოქვეყნდა ჩიკაგოს უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის პროფესორის — ჯონ მირსხაიმერის სტატია ამ ომის შესახებ (უნდა აღინიშნოს, რომ მას ვესტ-პოინტის აკადემია აქვს დამთავრებული).

**სტატიაში ხაზგასმულია, რომ ეს ომი თავიდან სამართლიანი იყო. ეს იყო პასუხი 11 სექტემბრის ტერაქტზე და ნატოს სპეცდანიშნულების მცირერიცხოვანი კონტიგენტი იქ გაეროს თანხმობით შევიდა. ძირითადი ოპერაციები ამერიკის ავიაციამ ჩაატარა და სულ მალე თალიბების ხელისუფლება ჩამოაგდეს, ხოლო „ალ-ქაიდა“ ქვეყნიდან გააძევეს, თუმცა ის შორს არ წასულა და მეზობელ პაკისტანში გადაინაცვლა. ამერიკამ მარიონეტული მთავრობა დასვა, რომელიც სულ მალე კორუფციაში ყელამდე ჩაეფლო და ქვეყნის მხოლოდ დედაქალაქს თუ აკონტროლებდა. თითქოს ყველაფერი დაწყნარდა, მაგრამ ოპტიმიზმს მალევე მოეღო ბოლო.**

თავიდან ამერიკელებს დიდ წინააღმდეგობას არ უწევდნენ, ყოველ შემთხვევაში, ისინი იდეოლოგიურად განწყობილ საბჭოთა არმიას არ დაემსგავსნენ და იქაურ ცხოვრების წესს არ შეეხნენ (როგორც ცნობილია, საბჭოელებმა ავღანელ ქალებს აუკრძალეს ჩადრის ტარება და, ასევე, უამრავი მოლა დახვრიტეს, რითაც მთელი მოსახლეობა ააბუნტეს).

**მაგრამ ამერიკელები თანდათან იძულებული გახდნენ, ქვეყნის ყველა ქალაქში თავიანთი ჯარები დაეყენებინათ და მათი რიცხვი ასი ათასამდე გაეზარდათ. ასე რომ, ისინი ფაქტიურად „ოკუპანტები“ გახდნენ (ეს ჩემი სიტყვები არაა, მე „ნიუსვიკის“ შეფასებას გადმოგცემთ). სწორედ ამან მისცა თითქოს განადგურებულ თალიბანს შანსი და, რელიგიურის გარდა, უკვე პატრიოტული ლოზუნგებით დამდგარიყო ფეხზე; სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ისინი ომს იგებენ, ვინაიდან თავიანთ მიწას იცავენ უცხოელი ოკუპანტებისაგან. ხოლო მოსახლეობამ იცის, რომ ამერიკელები და სხვა უცხოელები წავლენ, ხოლო თალიბანი დარჩება – ეს მათი ქვეყანაა!**

1 დეკემბერს ჩვენ ვნახეთ პრეზიდენტ ობამას ლამის სასოწარკვეთილი სახე, როდესაც მან გამოაცხადა დამატებით 30000 ჯარისკაცის გაგზავნა ავღანეთში, მაშინ, როდესაც ერთი წლის წინათ იქიდან ჯარების გამოყვანის პირობას დებდა. ყველაზე კარგად სწორედ მან იცის, რომ ომი უკვე წაგებულია.

მირსხაიმერს მიაჩნია, რომ ობამამ არც თავი უნდა მოიტყუოს და არც მოსახლეობა – მან დრო კი არ უნდა გაწელოს, არამედ აღიაროს დამარცხება და ავღანეთიდან ეს უზარმაზარი კონტიგენტი გაიყვანოს. ცხადია, რომ კარზაის რეჟიმი მაშინვე დაეცემა, ამიტომ ამერიკელები უნდა მოელაპარაკონ თალიბებს, რომ თავიანთ ტერიტორიაზე „ალ-ქაიდას“ არ გააჭაჭანებენ. მაგრამ თუ ამას არ გააკეთებენ, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება დარტყმები განახორციელონ უპილოტო „პრედატორებით“.

**ასეთ დროს, საინტერესოა, ნეტავ სად მიძვრება სააკაშვილი? როდესაც მისი ავანტიურის გამო ჩვენი ტერიტორიის მეხუთედი ოკუპირებულია, ჩვენ რატომღა ვეწერებით ოკუპანტებად სხვის მიწაზე?**

სხვათაშორის, ამ რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთ ქართულ ტელეარხზე აჩვენეს ამერიკული კინოფილმი საბჭოთა კავშირის ომზე ავღანეთში. ფილმში ღიადაა მოთხრობილი, რომ თალიბანი საიდუმლოდ სწორედ ClaA-მ შეაიარაღა სტინგერებითა და კალაშნიკოვებით, რომლებითაც ეს წვერებიანი მუჯახედები დღეს უკვე ამერიკელებს ხოცავენ. ამერიკელები წელიწადში ხუთი მილიარდი დოლარის იარაღს აძლევდნენ მუჯახედებს. თუ ვის ხელშია დღეს ეს იარაღი, ცნობილია. **ცნობილია, ისიც, რომ ალქაიდაც“ ამერიკული ფულით შეიქმნა და ახლა იმკიან იმას, რაც დათესეს. თუმცა ამ ფილმში ამაყად აცხადებენ, თუ როდის რამდენი „რუსი“ დახოცეს. არადა, ეს რუსები კი არა, საბჭოელები იყვნენ! როგორც ჩანს, ქართულად დუბლირებისას დაბალი პოლიტიკური კულტურის გამო ვერ მიხვდნენ, რომ ავღანეთში ტყუილუბრალოდ დაღუპული ასეულობით ქართველი ბიჭის ხსოვნას აყენებენ შეურაცხყოფას. გმირებად გამოყვანილი წვერებიანი ავღანელები ხომ ახლა უკვე ჩვენს ბიჭებს დაუშენენ ყუმბარებსა და ტყვიებს...**

თითქოს ავღანეთი, ირანი, ერაყი თავის ტკივილისათვის არ ყოფნიდა ამერიკას, ახლა ჩვენს სამხრეთ საზღვართანაც ახალი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ – ლაპარაკია თურქეთის მიერ საგარეო-პოლიტიკური კურსის შესაძლო ცვლილებაზე. ამან პიკს მიაღწია წინა კვირაში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — ახმეტ დავითოღლუს გამოსვლით თურქეთის მეჯლისში (პარლამენტში). ადგილობრივი პრესის ცნობით, მას უთქვამს, რომ „ჩვენ ვართ ნეო-ოსმალები“. თითქოს ეს უწყინარი ტერმინია, მაგრამ ამან მაშინვე გამოიწვია არასასიამოვნო მოგონებები ოსმალეთის იმპერიის მადაზე.

**საერთოდ, მთელი ეს ბოლო საუკუნე ქემალ ათათურქის ტრადიციებით თურქეთის საგარეო პოლიტიკას სამხედროები განსაზღვრავდნენ და აკონტროლებდნენ. ეს პოლიტიკა იყო ნატოში ინტეგრაცია, რეგიონის უძლიერესი არმიის შექმნა და პენტაგონთან უმჭიდროესი ურთიერთობა. და რაც მთავარია, თურქეთი ერთადერთი ისლამური ქვეყანა იყო, რომელსაც ისრაელთან მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდა. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ არაბული ქვეყნების დიდი ნაწილი არცთუ ისე ტკბილად იგონებს იმ დროს, როდესაც ოსმალეთის იმპერიის ქვეშემდგომი იყო.**

მაგრამ ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ზეწოლით თურქეთი სულ უფრო დემოკრატიული ხდება. რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, სწორედ დემოკრატიამ მოიტანა პროისლამური ძალების გაძლიერება. და, რაც მთავარია, როგორც ჩანს, თურქი სამხედრო ელიტა აღარ წყვეტს საგარეო პოლიტიკას. ამის მაგალითია სექტემბერში თურქეთ-ისრაელის სამხედრო წვრთნების გაუქმება და მის მაგივრად თურქეთ-სირიის სამხედროების დაახლოება. ამავე დროს თურქეთმა სავიზო რეჟიმი გააუქმა იმავე სირიასთან, რომელიც ისრაელის ნომერი პირველი მტერია. უფრო მეტიც, პრემიერ ერდოგანის ვიზიტმა ირანში ვაშინგტონი ძალიან გაანერვიულა, ვინაიდან იქ ბევრი ახალი ეკონომიკური კონტრაქტი გაფორმდა და თურქეთმა განაცხადა, რომ მხარს არ დაუჭერს ირანის წინააღმდეგ სანქციებს. ამ დღეებში მანვე განაცხადა, რომ თურქეთი თავის ცას არ დაუთმობს ამერიკულ თვითმფრინავებს, თუ ისინი ირანის წინააღმდეგ შეტევას განახორციელებენ. არადა, ამან მაშინვე ყველას გაახსენა, რომ თურქეთი ანალოგიურად 2003 წელსაც მოიქცა და ერაყის დასაბომბად წასული ამერიკული თვითმფრინავები არ გაატარა. **ჩვენ კი სულ ადვილად გავიხსენებთ (მიუხედავად სამთავრობო მასმედიის ტყუილებისა), რომ თურქეთმა შარშან აგვისტოში რამდენიმე კვირა, ვიდრე სიტუაცია ასე თუ ისე არ დაწყნარდებოდა, შავ ზღვაში არ შემოუშვა ამერიკული სამხედრო ხომალდები, რომელთაც „ჰუმანიტარული დახმარების“ სახით (როგორც თვითონ ამტკიცებდნენ), ოკუპირებული საქართველოსთვის სასმელი წყალი და პამპერსები მოჰქონდათ! და ეს მაშინ, როდესაც ხელისუფლება იქადნის, სასმელი წყლის უდიდესი მარაგი გვაქვსო.**

წინა კვირაში შედგა პრემიერ ერდოგანის ვიზიტი ვაშინგტონში და უკვე ღიად გამოიკვეთა, რომ ამერიკას არავითარი ბერკეტი აღარ დარჩა

# მაფიამ კარავაჯოს ნახატი დაწვა

**კარავაჯოს ნახატი „შობა წმიდა ფრანცისკოსა წმიდა ლავრენტთან ერთად“ (Nativita con i Santi Lorenzo e Francesco d'Assisi, 1609), რომელიც პალერმოს სან ლორენცოს სამლოცველოდან მოიპარეს, განადგურებულია. ამის თაობაზე სასამართლოს კოზა ნოსტრას ყოფილმა ქილერმა გასპარე სპატუცამ განუცხადა.**

ნახატი 1969 წელს გაიტაცეს და მას შემდეგ მის ადგილსამყოფელზე არაფერი იყო ცნობილი, თუმცა მის პოვნას, ცხადია, იმედოვნებდნენ. 1997 წელს უამრავი მკვლელობისთვის გასამართლებული სპატუცა 2008 წელს პოლიციის ინფორმატორი გახდა. მისი თქმით, როგორც ყოფილმა ბოსმა ფილიპო გრავიანომ 1999 წელს ციხეში უამბო, კარავაჯოს ნახატი ჯერ კიდევ 1980 წელს განადგურდა.

გრავიანო ამტკიცებდა, რომ დაახლოებით 20 მილიონ ევროდ ღირებული ტილო შესანახად პულარების ოჯახს გადაეცა. ინახებოდა კიდეც მათ ფერმაში, ვიდრე ღორებმა და ვირთხებმა არ გაანადგურეს. ტილოს ნარჩენები დაწვეს.



ადრე კარავაჯოს გატაცებაში მონაწილეობა ჰეროინით მოვაჭრე ფრანჩესკო მარინომ აღიარა. მისი თქმით, ტილო ჩარჩოდან ამოღების დროს დააზიანეს, მაგრამ „შობის“ ადგილსამყოფელის თაობაზე არაფერი უთქვამს. მხოლოდ მოიხსენია ვიღაც უცნობი კერძო კოლექციონერი, რომელმაც დაზიანებული ტილოს დანახვაზე ღრიალი ატეხა.

# ლიტვის სეიმმა ბიუჯეტი რეკორდული დეფიციტით დაამტკიცა

**ლიტვის სეიმმა 2010 წლის ფინანსური ბიუჯეტი რეკორდული დეფიციტით დაამტკიცა.**



დოკუმენტის თანახმად, ლიტვის ბიუჯეტის დეფიციტი მომავალი წლისათვის პროგნოზირებული საერთო შიდა პროდუქტის 10%-ს მიაღწევს. ბიუჯეტის პროექტის განხილვა ოპოზიციონერთა მთელი რიგი წინადადებების უარყოფით დაიწყო. კერძოდ, მმართველმა კოალიციამ უარი განაცხადა იმ ინიციატივის მხარდაჭერაზე, რომლის თანახმადაც ლიტვის პრემიერის რეზიდენციის რეკონსტრუქციასა და მმართველთა სასახლისათვის ხარჯები უნდა შემცირებულიყო. ბიუჯეტს მხარი დაუჭირა 81-მა დეპუტატმა, 56 — წინააღმდეგი იყო, ორმა კი თავი შეიკავა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



თურქეთზე ზეწოლისათვის, წერს „ჯეიმსტაუნ ფაუნდეიშენის“ ექსპერტი ვ. სოკარი ამ წამყვანი ამერიკული სტრატეგიული კვლევის ფონდის გუშინდელ გამოშვებაში. აქ ჩამოთვლილია, რომ: თურქეთმა უარი განაცხადა ავღანეთში თავისი კონტიგენტის გაზრდაზე და გააკრიტიკა ნატოსა და, განსაკუთრებით, ამერიკის სამხედრო მისია და ოპერაციები; **27 ნოემბერს თურქეთმა დემონსტრაციულად არ დაუჭირა მხარი „მაგატეს“ რეზოლუციას ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც ამ ახალ სანქციებს პირველად დაუჭირეს მხარი რუსეთმა და ჩინეთმა; თურქეთი სულ უფრო დისტანციას იჭერს ისრაელის მიმართ, ხოლო მათი სამთავრობო ტელევიზია სულ უფრო პრო-პალესტინური ხდება და ისრაელებს სისხლის მღვრელებად წარმოაჩენს, მაშინ, როდესაც ისრაელის არმიის პოლიტიკაა მხოლოდ ადეკვატური პასუხის გაცემა ტერორისტულ შეტევებზე; აგვისტოს ომის შემდეგ თურქეთი ჩაეხუტა რუსეთს და დასავლეთის ენერგო ინტერესებისათვის აგრერიგად რეკლამირებული „ნაბუკოს“ პროექტი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა; შავი ზღვა კი თურქეთისა და რუსეთის ფლოტებმა გაინაწილეს და იქ ნატოს მანევრები პრაქტიკულად გამორიცხეს. ყველა ეს ტენდენცია ღიად გვიჩვენებს, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკა მკვეთრ წინააღმდეგობაშია ამერიკის ინტერესებთან, მაგრამ თბილისში ჯერ არ გაუღვიძიათ!**

არის თუ არა ეს საქართველოსათვის საშიში? — გააჩნია, რა კუთხიდან შევხედავთ. თუ თავს განვიხილავთ როგორც ამერიკის მიერ კონტროლირებად არშემდგარ სახელმწიფოდ, როგორც ამას მსოფლიო მასმედია გვიხასიათებს და, თუ ამერიკის ინტერესები, ეს ჩვენი ინტერესებია, მაშინ, რასაკვირველია, უნდა „შევშფოთდეთ“. მაგრამ, თუ თავს **დამოუკიდებელ** ქვეყნად მივიჩნევთ, რომელსაც საკუთარი ინტერესები შეიძლება გააჩნდეს, მაშინ სერიოზული დაფიქრება იქნება საჭირო. განსაკუთრებით ამას ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენებიც გვიჩვენებს.

**ვაშინგტონში პრემიერ ერდოღანის ვიზიტისას გაცხადდა, რომ 10 ოქტომბერს ციურიხში ხელმოწერილი ორი მემორანდუმი თურქეთ-სომხეთის შერიგების შესახებ, რომელიც, ვაშინგტონის აზრით, წლის ბოლომდე რატიფიცირებული უნდა ყოფილიყო, მხოლოდ ქაღალდზე რჩება. ამჟამად ბაქოში მყოფი მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები მხოლოდ იმაზე აკეთებენ აქცენტს, რომ იანვარში ალიევ-სარგსიანის ახალი ფუჭი შეხვედრა მოამზადონ. ამავე დროს თურქეთში აკრძალეს ქურთთა კონსტრუქციულად განწყობილი პარტია, რომელიც პარლამენტში იყო წარმოდგენილი. ამის შედეგად ქურთმა პარლამენტარებმა თავიანთი მანდატები დატოვეს, რითაც პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა ციურიხის მემორანდუმების რატიფიცირება.**

ამას ასეთი გაგრძელება მოჰყვა: ჰილარი კლინტონმა სომხეთის პრეზიდენტს დაურეკა და ვაშინგტონში ერდოღანის ვიზიტის დეტალებზე უამბო. მან აუხსნა, რომ თურქეთმა პოზიცია შეცვალა – თუ აქამდე ის თანახმა იყო, რომ თურქეთ-სომხეთის შერიგების საკითხი ერთი თემა იყო, მაშინ, როდესაც ყარაბაღის საკითხი სხვა, დამოუკიდებელი, თემა, ამჟამად აზერბაიჯანის მწვავე რეაქციის გამო ერდოღანმა მოითხოვა, რომ არავითარ რატიფიცირებას ადგილი არ ექნება, ვიდრე სომხეთი აზერბაიჯანს არ დაუბრუნებს თუნდაც ყარაბაღის გარშემო სომხების მიერ ოკუპირებულ ხუთ რაიონს, რაზეც ორიოდე თვის წინათ სომხები თითქოს თანხმდებოდნენ.

მოსკოვში 9 დეკემბერს გამართულ ჟურნალისტთა ფორუმზე გამოსვლისას პრეზიდენტმა მედვედევმა ანალოგიური პოზიცია დაიკავა, რომ ეს ორი დამოუკიდებელი საკითხია, მაშინ, როდესაც 1992 წელს თურქეთმა სომხეთთან საზღვარი სწორედ ყარაბაღის ომის გამო დაკეტა. უნდა გავერკვეთ, რომ, მართალია, თურქეთ-სომხეთის შერიგებას ლობირებს მძლავრი სომხური დიასპორა, რუსეთსაც ძალიან სჭირდება ამ საზღვრის გახსნა, რაც ჩვენთვის, ამ ხელისუფლების არსებობის პირობებში, როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად ძალიან ცუდი შედეგების მომტანი შეიძლება იქნეს. ასევე, რუსეთს სჭირდება, რომ ყარაბაღის კონფლიქტი მისი, როგორც დამოუკიდებელი არბიტრის, ექსკლუზიურ კომპეტენციაში იყოს (თუ რა „დამოუკიდებელი არბიტრი“ აღმოჩნდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში – ყველამ კარგად დაინახა).

ასეთ პირობებში გაჩნდა მოსაზრება – ერთი მხრივ, კარგია, რომ თურქეთი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ასრულებს „ხიდის“ როლს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის; მაგრამ, მეორე მხრივ, ამერიკის იმედი, რომ სწორედ თურქეთი მოუგვარებდა ირანს ბირთვული ამბიციების პრობლემას, ფუჭი აღმოჩნდა — ერდოგანი და ახმადიჯადი სულ უფრო ახლო მეგობრებად წარდგებიან მსოფლიოს წინაშე. ბარაკ ობამა რომ ვერ გაბედავს ირანის დაბომბვას, რაც ბუშმაც კი ვერ გააკეთა, მიუხედავად თავისი დიდი სურვილისა, ეს გასაგებია (თუმცა ეს ისრაელს შეუძლია გააკეთოს ამერიკის დაუკითხავადაც). ასეთ პირობებში კი ზოგი ამერიკელი მიმომხილველის აზრით, ამერიკა შეიძლება შეურიგდეს იდეას, რომ ირანთან პარტნიორულ ურთიერთობებზე იფიქროს. ბოლო-ბოლო ირანი ესაზღვრება ავღანეთს, ერაყს, თურქეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს, ანუ რეგიონის ლიდერის პოზიცია შეიძლება ჩამოართვას თურქეთს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ირანს არც თუ ისე თბილი ურთიერთობა აქვს თალიბანთან (ეს ორივე ფუნდამენტალისტი ისლამის ორ განსხვავებულ და დაპირისპირებულ ფრთას მიეკუთვნება), დღეს ორივეს აერთიანებს ანტიამერიკანიზმი, მაშინ, როდესაც ყველაფერი სხვანაირად შეიძლება ყოფილიყო.

**ამერიკამ თუ საბოლოოდ შეიგნო, რომ ის მსოფლიო ბატონი ვერ იქნება და თუნდაც შუა აღმოსავლეთში თავის ცხოვრების წესს ვერ დაამკვიდრებს, ამით ბევრს მოიგებს. ამას ეწოდება პრაგმატიზმი და წინააღმდეგობაში მოდის იმასთან, რასაც ცრემლმორეულმა სააკაშვილმა უწოდა ბუშის ადმინისტრაციის „რომანტიზმი დემოკრატიის მიმართ“, რაც სინამდვილეში იყო ამერიკული ცხოვრების წესის ძალით დამკვიდრება. ეს შესაძლოა გამომდგარიყო ახალგაზრდა აფრიკულ ან ლათინოამერიკულ სახელმწიფოებში, თუმცა იქაც სათუოა, მაგრამ, სადაც საუკუნეების განმავლობაში არსებობდა მძლავრი კულტურული ტრადიციები, ასეთი კი მთელი ევროპა და აზიაა, მსგავსი მცდელობა კრახისთვისაა განწირული.** ამის მაგალითებია ორი ზემძლავრი აზიური სახელმწიფო – ჩინეთი და ინდოეთი, რომლებიც დასავლეთმა მხოლოდ წელს აღიარა თავის თანასწორ „მოთამაშედ“. ინდოეთის ხსენებაზე არ შემიძლია არ გავიხსენო, რომ, როდესაც XIX საუკუნეში ინდოეთი ბრიტანეთის კოლონია იყო, ინგლისელები იქ ბანკებსა და რკინიგზებს აშენებდნენ, ინდოელთა ცხოვრების წესსა თუ სარწმუნოებას კი ხელს არ ახლებდნენ, შემდეგ კი უხმაუროდ მიატოვეს. შედეგად, დღეს ინდოეთში თავიანთ ყოფილ კოლონიურ მმართველებს სიმპათიით იგონებენ, ხოლო ინგლისური ენა ამ მრავალეროვან ქვეყანაში კომუნიკაციის ენაა.

აი, ასე გაუგებრად მთავრდება ეს წელი, რომელიც იანვარში დიდი იმედებით დაიწყო.

**რამაზ კლიმიაშვილი**

# ლიტვის სახელმწიფო უშიშროების მეთაური ცსს-ის საიდუმლო ციხესთან დაკავშირებული სკანდალის გამო თანამდებობიდან გადადგა

**ლიტვაში ცსს-ის საიდუმლო ციხესთან დაკავშირებული სკანდალი გრძელდება. ამ დღეებში ექსპრეზიდენტმა როლანდას პაკსასმა აღიარა, რომ 2004 წელს, მას შემდეგ, რაც უარი თქვა ტერორიზმში ეჭვმიტანილთა ქვეყნის ტერიტორიაზე განთავსებაზე, იძულებული გახდა, თანამდებობიდან გადამდგარიყო. ამის შემდეგ იმავე სკანდალთან დაკავშირებით თანამდებობიდან გადადგა სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის დირექტორი პოვილას მალაკაუსკასი.**

**სახელმწიფო მეთაურის პრეს-ატაშე ლინას ბალსისის თქმით, მალაკაუსკასმა გადადგომის შესახებ განცხადება პრეზიდენტს გადასცა. უკვე ცნობილია, რომ პრეზიდენტმა თანხმობით უპასუხა. კანონის მიხედვით, აღნიშნული თანამდებობიდან გადადგომის განცხადებას პრეზიდენტი პარლამენტს გადასცემს და პარლამენტი კენჭისყრით იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას გადადგომის თაობაზე.**

**როდესაც პარლამენტის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ არვიდას ანუშაუსკასმა იკითხა, ხომ არ უკავშირდება გადადგომა ლიტვაში მოქმედ ცსს-ის ციხის ირგვლივ ატეხილ სკანდალს, პრეს-ატაშემ უპასუხა, რომ „ნაწილობრივ უკავშირდება“.**

**ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, ცსს-ის ციხე ვილნიუსის შემოგარენში, ანტივილაის დასახლებაშია და იგი რამდენიმე თვის განმავლობაში ფუნქციონირებდა. ციხე განკუთვნილი იყო 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ დატყვევებული „ალქაიდას“ ბოევიკებისათვის. ამ ციხის თაობაზე პირველად ამერიკული ტელეარხი „ABC“ აგვისტოს ბოლოს იუწყებოდა.**

**ჟურნალისტთა მონაცემებით, შენობაში, რომელიც ლიტვამ ცსს-ს გადასცა, „ალქაიდას“ რვა ბოევიკი ჰყავდათ დატყვევებული. წყაროს ცნობით, დათანხმდა რა ციხის გახსნაზე, ლიტვა აშშ-სთან ურთიერთობების გამყარებას იმედოვნებდა. იმავე წყაროს ცნობით, 2005 წელს ყველა პატიმარი გაიყვანეს ქვეყნის ტერიტორიიდან.**

**ცსს-ის ციხეებიდან გამოსული მრავალი ეჭვმიტანილი ირწმუნება, რომ ციხეში მათ აწამებდნენ. აგვისტოში ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ვილნიუსთან მდებარე ციხის თაობაზე ინფორმაცია უარყო, მაგრამ ამ საკითხს ახლა საპარლამენტო კომისია იძიებს და დასკვნა 22 დეკემბერს გამოქვეყნდება.**

**როგორც როლანდას პაკსასმა ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის დეპარტამენტის საპარლამენტო კომიტეტის მოსმენაზე განაცხადა, 2003 წლის გაზაფხულზე სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის მაშინდელმა მეთაურმა მეჩის ლაურინკუსმა მიმართა კითხვით — შეიძლებოდა თუ არა, რომ ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირები ლიტვაში არაოფიციალურად შემოეყვანათ.**

**პაკსასი ამბობს, რომ მაშინ ამ წინადადებაზე უარი განაცხადა, რამდენიმე თვის შემდეგ კი გაჩაღდა პოლიტიკური სკანდალი, რომლის შედეგადაც პაკსასი გადადგა. ლაურინკუსმა, დაინიშნა რა ელჩად მადრიდში, პაკსასზე კომპრომატები გამოაქვეყნა — რუს მეწარმესთან იური ბორისოვთან კავშირსა და მისთვის ლიტვის მოქალაქეობის უკანონოდ მინიჭებაში დასდო ბრალი.**

**2004 წელს პარლამენტმა პრეზიდენტ პაკსასის იმპიჩმენტს დაუჭირა მხარი. ამ მოვლენების შემდეგ კი ვილნიუსის შემოგარენში ცსს-ის ციხე ამუშავდა. პაკსასი თვლის, რომ მისი უარი და „ანტისაპრეზიდენტო გადატრიალება“ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.**

**შეგახსენებთ, წელს აშშ-მა აღიარა, რომ ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობისას ცსს-მ შექმნა საიდუმლო ციხეების ქსელი აშშ-ის საზღვრებს გარეთ.**

# ნიდერლანდებში «თხის გრიპის» პანიკაა



**ნიდერლანდებში გრიპთან დაკავშირებული ახალი განგაში ატყდა. ამ ქვეყნის მოქალაქეებს ახლა „თხის გრიპის“ ეშინიათ. ეს დაავადება ადამიანზე უშუალოდ ცხოველიდან გადადის. უკვე დაავადა ქვეყნის 2300 მცხოვრები. ავადმყოფის გარდაცვალების უკვე არაერთი შემთხვევა დასრულდა. ჯანმრთელობის დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები ვირუსით ინფიცირებული ათეულობით ათასი თხის განადგურებას მოითხოვენ. გრიპის ეპიდემიამ, ძირითადად, აღმოსავლეთი და სამხრეთ პროვინციები მოიცვა, იქ ფერმებში დაახლოებით 375 ათასამდე თხა ჰყავთ. გრიპის აღნიშნული სახეობა ქვეყანაში არსებული 350 ფერმიდან 55-ს უკვე მოედო. „თხის გრიპის“ სიმპტომებია თავის, ყელისა და კიდურების ტკივილი, მაღალი სიცხე და დაღლილობის შეგრძნება.**

# ფრანგ მინისტრს გვინეის ხუნტის მეთაურზე თავდასხმის ორგანიზებაში ადანაშაულებენ

**გვინეის მთავრობა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბერნარ კუშნერს 2009 წლის 3 დეკემბერს სამხედრო ხუნტის მეთაურზე მუსა დადი კამარაზე განხორციელებული თავდასხმის ორგანიზებაში ადანაშაულებს.**

**ხუნტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სწორედ კუშნერმა „აამოქმედა შეთქმულთა ქსელი“, რომლის მიზანიც გვინეაში „სიტუაციის შეცვლა“ იყო. „BBC News“-ის რესპონდენტმა დააკონკრეტა, რომ ის მომხდარს საფრანგეთის ხელისუფლების ოფიციალური კურსის რეალიზაციად არ მიიჩნევს. პასუხად, საფრანგეთის ხელისუფლებამ აღნიშნულ ბრალდებებს „აბსოლუტურად უსაფუძვლო“ უწოდა. კამარაზე თავდასხმა ქუნდარას სამხედრო ბანაკში მოხდა. ხუნტის მეთაურს ბანაკის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა ესროლა. კამარა თავში დაიჭრა და მკურნალობისთვის მაროკოში გადაიყვანეს. ოპერაციის შემდეგ ექიმებმა განაცხადეს, რომ კამარას სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ტელეკომპანია „ალ-ჯაზირას“ ინფორმაციით, ხუნტის მეთაურზე თავდასხმაში ეჭვმიტანილი 7 დეკემბერს ქვეყნიდან გასვლის მცდელობისას დააკავეს. გარდა ამისა, დაკავებულია კიდევ 100-მდე სამხედრო, რომლებიც თავდასხმის ორგანიზებაში მონაწილეობაში არიან ეჭვმიტანილნი. კაპიტანი მუსა დადი კამარა 2008 წლის დეკემბერში ქვეყნის პრეზიდენტის ლანსან კონტეს გარდაცვალების შემდეგ სამხედრო გადატრიალებით მოვიდა ხელისუფლებაში. მან დაითხოვა მთავრობაცა და პარლამენტიც და მათ ნაცვლად დემოკრატიისა და განვითარების საბჭო შექმნა. 2010 წლის იანვრისთვის ახალი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნა. თავიდან კამარა ამბობდა, რომ არ აპირებს მასში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ შემდეგ მაინც წამოაყენა საკუთარი კანდიდატურა. ამან იმდენად გააღიზიანა ოპოზიცია, რომ 28 სექტემბერს კამარას მასიური აქციების ჩასახშობად ჯარისა და პოლიციის გამოყენება დასჭირდა. მაშინ 150-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, დაჭრილების რაოდენობა ათასს აჭარბებდა.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ევროპის 18 ქვეყანასა და კანადაში პედოფილებს დაერივნენ



**ავსტრიულ სერვერზე განთავსებული საიტის მეშვეობით არასრულწლოვანთა პორნოგრაფიული ფოტოების გაცვლისათვის ევროპის 18 ქვეყანაში 115 ადამიანი დააკავეს.**

ამ ქვეყნებს შორის აღმოჩნდნენ ავსტრია, ბელგია, ბრიტანეთი, დანია, საფრანგეთი, გერმანია, ჰოლანდია, ესპანეთი, შვეიცარია, ლუქსემბურგი, ბულგარეთი, უნგრეთი, ლიტვა, ლატვია, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვენია და სლოვაკეთი. ამ საქმესთან დაკავშირებით დაკავებულნი არიან კანადის მოქალაქეებიც.

პედოფილთა ქსელის წევრთა დადგენისა და დაკავების ოპერაცია 2007 წელს დაიწყო. მაშინ ავსტრიულმა ინტერნეტპროვაიდერმა პოლიციას გადასცა მონაცემები ერთ-ერთი ინტერნეტ-საიტის შესახებ, რომელზეც განთავსებული იყო შიშველი არასრულწლოვანი გოგონების ფოტოები. ძიების პროცესში გაირკვა, რომ საიტს რეგულარულად ათვალიერებენ არა მხოლოდ ავსტრიელები, არამედ სხვა მრავალი ქვეყნის მოქალაქეებიც. ამის დადგენის შემდეგ საქმე საერთაშორისო გამოძიებას გადაეცა. სულ პოლიციამ 221 ადამიანი შეამოწმა, მათგან 23 ავსტრიელია. ამჟამად ავსტრიის ორი მოქალაქე, რომელთაგან ერთი 62 წლისაა, მეორე კი — 59-ის, ინტერნეტში შიშველი გოგონების ფოტოების განთავსებაში არიან ბრალდებულნი. ერთ-ერთ მათგანს ბრალად ედება 12 წლის გოგოსთან სექსუალური ურთიერთობაც, რომელსაც ის უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ახორციელებდა.

იუნისეფისა და გაეროს მონაცემებით, ამჟამად გლობალურ ქსელში მინიმუმ 4 მილიონამდე საიტია, რომელიც ბავშვთა პორნოგრაფიულ ფოტოებს აქვეყნებს. ამ საიტებს რეგულარულად 750 ათასი ადამიანი ხსნის.

# მიშამ ოფისი გაჩუქა, გულს ნუ გაიტეხ, ბაჩუკა!

**ოფისი, თანაც რა ადგილზე, რომ იტყვიან, თბილისის შიგ კაკალ გულში, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ „უყვართ“ ნაცებს რუსთაველის პროსპექტი, თავად ის ფაქტიც, რომ ედპ-ს მთავარი შტაბ-ბინა დღესაც დედაქალაქის დედაპროსპექტზეა, თავისთავად აჩენს კითხვებს, რომლის ორი მიზეზი შეიძლება არსებობდეს — ან ედპ დღესაც წარსული დამსახურებებისთვის ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობს ქართველ საზოგადოებაში, რის გამოც ხელისუფლება ამ პარტიის შეწუხებას ვერ ბედავს, ან დღევანდელი ხელისუფლების წინაშეა „დამსახურებული“, თორემ აქამდეც ვნახავდით მათი ოფისის შენობაში გახსნილს ხუთვარსკვლავიან სასტუმროს თავისი ბორდელ-კაზინოებით.**



არადა, იყო დრო, როდესაც ედპ დამსახურებული პატივით სარგებლობდა საზოგადოებაში, მაგრამ ეს მაშინ დამთავრდა, უფრო სწორად, ედპ-ს კვდომა მაშინ დაიწყო, როდესაც ამ პარტიისა და, ზოგადად, ეროვნული მოძრაობის ლიდერი გიორგი ჭანტურია მოკლეს და მის ადგილას მასთან ერთად ტერაქტის მსხვერპლი, მაგრამ გადარჩენილი, ირინა სარიშვილი აირჩიეს, უფრო სწორად, დანიშნეს, რის შემდეგაც ირინა სარიშვილი-ჭანტურია გახდა, რაც მოკლული ქმრისთვის პატივის მიგების გარდა (რომელიც პარტიის შიგნით ავტორიტარული მართვის სტილით გამოირჩეოდა) იმასაც ნიშნავდა, რომ ედპ ჭანტურიას ქვრივის საკუთრებაში გადადიოდა, როგორც ამბობენ, მართვის იგივე, ერთპიროვნული, სტილით.

ჭანტურიას ქვრივი ენერგიულად შეუდგა ედპ-ს დაკარგული ძლიერების აღდგენისთვის ბრძოლას, მაგრამ ამ ყველაფერს ვაკის მაჟორიტარულ არჩევნებში მიშა სააკაშვილთან სამარცხვინო ფიასკო მოჰყვა. სამარცხვინო, რადგან ერთ დროს მგზნებარე დემოკრატი, შევარდნაძესთან დაუღალავი მებრძოლი, ამჯერად სწორედ შევარდნაძის ფავორიტის სტატუსით იყრიდა კენჭს სააკაშვილის წინააღმდეგ, თუმცა მიშა ჯერ კიდევ ოფიციალურად არ იყო გაოპოზიციონერებული.

სწორედ მაშინ შედგა ჩემი ჟურნალისტური ნათლობა, როდესაც გაზეთ „ვერსიაში“ გამოვაქვეყნე წერილი „ირინეს უბედურება“, რადგანაც საკუთარი მარცხი და მიშას გამარჯვება არჩევნების გაყალბებას დააბრალა და ქუჩების გადაკეტვით დაიმუქრა. „ეტყობა, დაავიწყდათ, რა ძალა აქვს ედპ-ს,“ — ასე ბრძანა მაშინ სიტყვა-სიტყვით ჭანტურიას ქვრივმა და ის აღარ უფიქრია, რომ აბსურდს ამბობდა — ჯერ კიდევ ზეობაში მყოფ შევარდნაძის ფავორიტ ირინას არჩევნებს ვინ და როგორ გაუყალბებდა?

რა თქმა უნდა, ეს მუქარა ლიტონი სიტყვები აღმოჩნდა — გზების გადაკეტვის მცდელობაც კი არ ყოფილა, რადგან ამის რესურსი აღარ ჰქონდა ერთ დროს უპირველეს ედპ-ს, მაგრამ დაიწყო შიდაპარტიული გარჩევები, რის გამოც ჯერ კიდევ პარტიის შიგნით ძლიერმა ირინამ, ჯონდი ბაღათურია პარტიიდან გარიცხა — გახსოვთ, ალბათ, ამის გამო განაწყენებული ჯონდი, როგორ შევარდა იარაღის მარიაჟობით ჭადრაკის სასახლეში.

შემდეგ იყო 2003 წლის 2 ნოემბრის საბედისწერო არჩევნები, სადაც ირინა სარიშვილი, არც მეტი, არც ნაკლები, შევარდნაძის პარტიული სიის პირველ ნომრად „გაიჩითა“, რაც ოფიციალურად ნიშნავდა ედპ-ს, როგორც ოპოზიციური პარტიის კვდომის პროცესის დასრულებას, მაგრამ ვერც ამით იხეირა ჭანტურიას ქვრივმა, რადგანაც დაიქუხა „დიადმა ვარდების რევოლუციამ“.

ამის შემდეგ ედპ-ში შიდა პარტიული გადატრიალება მოხდა, რის შედეგადაც ირინას პარტიის თავმჯდომარის პოსტი დაატოვებინეს და მის ადგილზე ვინმე ბაჩუკი ქარდავა აღმოჩნდა; ბაჩუკი, რომლის სახელიც წინამდებარე წერილის სათაურშია ნახსენები; ბაჩუკი, რომელიც გიორგი ჭანტურიას დროს, ვალოდია ჯინჭარაძესავით რადიატორთან იჯდა. ამაზეა ნათქვამი — „უძაღლო ქვეყანაში, კატებს აყეფებენო“, რადგანაც, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ირინა სარიშვილი იქნება თუ ჯონდი ბაღათურია, მათ ბიოგრაფიებში ავიც იყო და კარგიც, ეს გემოვნების საკითხია, მაგრამ რადიატორთან ნამდვილად არ მსხდარან.

ჰოდა, ბაჩუკიმაც, თავის სეხნიასავით ერთი კინოდან საკუთარ თავს შემოუძახა: „გულს ნუ გაიტეხ, ბაჩუკი!“ და მის თანამებრძოლ ვალოდია ჯინჭარაძეებთან ერთად უკეთესი მომავლის იმედით გაისუსა ედპ-ს პრესტიჟულ ოფისში.

კარგა ხანს კი მოუწიათ ლოდინი, მაგრამ „მოთმინებითა შენითაო...“ და აჰა! შარშან აგვისტოს მოვლენების შემდეგ, უფრო ადრე (7 ნოემბერს) ჩაწიხლულმა და 2008 წლის იანვარ-მაისში გაშიფრულმა, გაფარჩაკებულმა ოპოზიციამ თავი წამოყო. წლეულს, 9 აპრილს, დაწყებულმა აქციებმა საზოგადოებას იმედი გაუჩინა — არიქა, რაც იყო — იყო; იქნებ, ეს ჩვენი ცოდვით სავსე ოპოზიცია გონს მოვიდა, იქნებ, რამე გამოდნეს ქვეყნის სასიკეთოდო, მაგრამ, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ოპოზიციამ თავის თავს არ უღალატა, ისევ ისეთ ფარჩაკად დარჩა. ნაწილმა პარლამენტში დურთა თავი, ნაწილი კი, ვითომ შეურიგებელ პოზას ინარჩუნებს, სინამდვილეში კი ფარულად თუ აშკარად სერობენ ნაცებთან ერთად. ამიტომაც გაზაფხულ-ზაფხულში რუსთაველი არა მხოლოდ მომიტინგეთა ფეკალიებით აყროლდა, არამედ, უპირველესად, ოპოზიციაში მიმობნეული ნაცების მაყუთით!

სწორედ ამ პერიოდში დადგა ედპ-სთვის უკეთესი დროება და გურამ ჩახვაძე მაჟორიტარი დეპუტატი გახდა! ნაცები იმდენად „დიდსულოვანნი“ აღმოჩნდნენ, რომ არათუ საკუთარი კანდიდატი არ დაუყენეს ედპ-ს რადიატორთან მჯდომ გურამ ჩახვაძეს, არამედ მის გადეპუტატებას საკუთარი ადმინისტრაციულ-მატერიალური რესურსიც კი მოახმარეს.

ხუმრობა საქმეა? გურამ ჩახვაძის სახით არა მხოლოდ კიდევ ერთი აგრესიულად მორჩილი ოპოზიციონერი დეპუტატი მიიღეს, არამედ, უფრო მეტიც, კიდევ ერთი ოპოზიციური პარტია მიითვალეს, რითაც ბრაწნი უჩვენეს დასავლეთს — აი, ერთპარტიული პარლამენტი თუ გვყავსო!

ჰოდა, „გადახდა უნდა ვალსაო“ და ედპ-ც იხდის ვალებს ე. წ. საპარლამენტო ოპოზიციის სხვა სუბიექტებისგან განსხვავებით, რომლებმაც ყასიდად მაინც დაუჭირეს მხარი 50%-იან ბარიერს, ბაჩუკი ქარდავა პირდაპირ, ყოველგვარი მოჩვენებითობის გარეშე ჩაეხუტა ნაცებს!

ასე რომ, „გულს ნუ გაიტეხ, ბაჩუკი“ იმაზე, რომ ვიღაცამ დაგამუნათა ხელისუფლებასთან აშკარა ალიანსის გამო. არ ვიცი, იქნება, ირინა სარიშვილი მართლა გიორგაძის ტანკში ზის და სოზარ სუბარი კი იელოვას ცოცხზე, მაგრამ შენ, ვისაზე და რაზე ზიხარ?

თუ იმ ვაზელინის რაოდენობას გავითვალისწინებთ, რითაც უხვად მოგამარაგათ სააკაშვილმა, ვაზელინი სად შეძრომას და რაზე ჯდომასაც გულისხმობს, იქნებ, მაგას ისევ ტანკი და ცოცხი სჯობდეს?

**დავით მხეიძე**

# კალიფორნიის ასამბლეას ლათინოამერიკელი ჰომოსექსუალი უხელმძღვანელებს

**კალიფორნიის ასამბლეის — შტატის საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატის თავმჯდომარე ლათინოამერიკელი აღიარებული ჰომოსექსუალი ჯონ პერესი გახდება. მისმა კანდიდატურამ დემოკრატი კანონმდებლებისაგან ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა და იანვარში მას ოფიციალურად აირჩევენ.**

ლოს-ანჯელესელი პროფკავშირული მოღვაწე და პოლიტიკოსი პერესი 2008 წლიდან კალიფორნიის ასამბლეის წევრია. სპიკერის თანამდებობაზე 40 წლის დემოკრატი თავის შავკანიან კოლეგას — კარენ ბასს ჩაანაცვლებს. კენჭისყრის შედეგებზე საუბრისას პერესმა განაცხადა: „ვთვლი, რომ ეს კალიფორნიაზე უფრო მეტს ამბობს, ვიდრე ჩემზე. ეს ნიშნავს, რომ კალიფორნიაში ყველას აქვს ხმის უფლება, ეს არის შტატი, სადაც ყველას შეაქვს წვლილი საერთო საქმეში“. პერესი სპიკერის თანამდებობაზე პირველი აღიარებული ჰომოსექსუალი იქნება და სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენელნი ცალსახად მიესალმებიან ამ ფაქტს. 2009 წელს კალიფორნია ერთსქესიანი ქორწინების მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების დაპირისპირების ეპიცენტრი იყო. რამდენიმეთვიანი დაკანონების შემდეგ ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების თანახმად, ამგვარი ქორწინებები კვლავ აიკრძალა, რასაც სექს-უმცირესობათა უფლებების დამცველნი არაკონსტიტუციურად მიიჩნევენ.

# ნიუ იორკში ბავშვების გამხრწნელი ციხიდან გამოვიდა

**ნიუ იორკის ციხიდან გამოვიდა ბავშვების გამხრწნელი თეოდორ საიპნირი. ის შტატში პირველი პატიმარია, რომელსაც გისოსებს მიღმა 100 წელი შეუსრულდა.**

საიპნირი უკანასკნელად 2000 წელს გაასამართლეს რამდენიმე ბავშვის გაუპატიურებისათვის. 10-წლიანი განაჩენის გამომტანმა მოსამართლემ აღიარა, რომ მისი გათვლით, დამნაშავე ციხეში უნდა მომკვდარიყო. მანამდე საიპნირი ანალოგიური დანაშაულისათვის 1987 და 1994 წლებში გაასამართლეს. იმ ხანად „სექსუალური მტაცებლების“ მიმართ მკაცრი კონტროლი არ იყო დაწესებული, ამიტომ დამნაშავემ მოახერხა, აღმზრდელად დაეწყო მუშაობა და სწორედ ამის წყალობით ჩაიგდო ხელში მომდევნო მსხვერპლნი. საოცარია, მაგრამ დაზარალებული ბავშვები მას პაპას უწოდებენ, მათ მშობლებს კი საიპნირის დანაშაულებრივ ქმედებებზე ეჭვი არასდროს გასჩენიათ.

ახლა მხცოვანი ბოროტმოქმედი სარეაბილიტაციო ცენტრში გაემგზავრება და მეთვალყურეობის ქვეშ იცხოვრებს. ცენტრის დირექტორის განცხადებით, ის, მიუხედავად თავისი ასაკისა, ჯერ კიდევ საშიშია. „100 წლისაა, 101-ის თუ 105-ის, ეს ის ადამიანია, რომელიც 10, 25, 30 წლის წინ ამ დანაშაულებებს სჩადიოდა და მის გულში მონანიების ნასახიც არ არის, — ამბობს უწმინდესი ტერი კინგი, „სათნოების სახლის“ ხელმძღვანელი, სადაც უკვე ორჯერ იმყოფებოდა საიპნირი, — ეს ისაა, ვისაც ჩვენ, როგორც მშობლები და საზოგადოების წევრები, ნამდვილად უნდა ვუფრთხილდეთ“. 2007 წელს დამნაშავე ციხიდან ვადამდე გაათავისუფლეს, მაგრამ, ვინაიდან არ ცხადდებოდა ფსიქოლოგთან აუცილებელ კონსულტაციებზე, ისევ უკან დააბრუნეს.

ახლა საიპნირისთვის გამოსაცდელი ვადა დაიწყო და ის 2012 წლამდე გაგრძელდება. ამ ხნის განმავლობაში ბავშვების გამხრწნელს ეკრძალება ელექტრონული ფოსტით, ინტერნეტ-ჩატებითა და სოციალური ქსელებით სარგებლობა, საბავშვო მოედნებსა და სკოლებთან მიახლოება, ბარებში შესვლა. შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების პატრონი საიპნერი ამტკიცებს, რომ შეცდომით გაასამართლეს. „ყველას ვუამბობ, რომ ბავშვებისათვის ზიანი არასდროს მიმიყენებია“, — განაცხადა მან ინტერვიუში. დამნაშავის ნათესავები და ოჯახის წევრები მასთან რაიმე სახის ურთიერთობას არ აპირებენ.

# პაკისტანის პრეზიდენტი 1,5 მლრდ დოლარის აქტივებს ფლობს

**პაკისტანის პრეზიდენტი ასიფ ალი ზარდარი მთელი მსოფლიოს მასშტაბით 1,5 მილიარდი დოლარის აქტივებს ფლობს. ანგარიშგების ეროვნული ბიუროს მოხსენებაში ნათქვამია, რომ პრეზიდენტის მიერ დაგროვილი სიმდიდრე „მის სახსრებს აღემატება“.**

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ზარდარის საკუთრება და საბანკო ანგარიშები აქვს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, მათ შორის — ბრიტანეთში, აშშ-სა და ესპანეთში. გამომძიებელთა აზრით, ამ ქონების დიდი ნაწილი პრეზიდენტის მეუღლის — ბენაზირ ბჰუტოს პრემიერმინისტრობის პერიოდში, 1990-იან წლებშია დაგროვილი. ითვლება, რომ თანხები მიღებულია სამთავრობო გარიგებების საკომისიოებისა და წილების სახით. ზარდარის თანაშემწეები ირწმუნებიან, რომ ამ ბრალდებებს პოლიტიკური ქვეტექსტები აქვს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სან-ტა, სან-ტა, ანუ შეტევა ქართულ სულიერებაზე!

**ვინმემ, იქნებ, დამამუნათოს კიდეც — რა გააჭირა ამ კაცმა საქმე?! გაზეთის წინა ნომერში მართლმადიდებლობაზე ხლისტების გადამწყვეტი შეტევით გვაშინებდა, ახლა ქართული სულიერებაა საფრთხეში?**



რა ვქნა, ბატონებო, ასე მგონია და რა ვუყო? ჩემის აზრით, არც წინა ნომერში ვცდებოდი და არც ახლა ვცდები. ნურც იმისთვის გამიბრაზდება მკითხველი, რომ ხლისტებს თუ ბუდარა-ბუდარიხებს ლამის ყოველ წერილში ვახსენებ — ფანტაზიის ნაკლებობას ჯერჯერობით არ ვუჩივი, მაგრამ იმ ხალხის უკეთეს შესატყვისს, ვინც მართლმადიდებლობას, ქართულ ტრადიციებს, ქართულ სულიერებას, ანუ უფრო მოდური და თანამედროვე სიტყვით თუ ვიტყვით, ქართულ მენტალობას ებრძვის, ჯერ ვერ მივაგენი.

„სან-ტა, სან-ტა!“ ცნობილ იტალიურ სიმღერა სანტალუჩიას კი არ მღეროდნენ ამას წინათ რუსთაველზე მიყვანილი ჩვენი შვილები, არამედ მიშა სააკაშვილის კარის მასხარა დუტა სხირტლაძის მიერ „აგდებული“ ბავშვები სკანდირებდნენ, ანუ საახალწლოდ ნორვეგიული წარმოშობისა და შემდეგ გაამერიკელებულ სანტაკლაუსს უხმობდნენ.

თავისთავად სანტაკლაუსში ცუდი არაფერია, მაგრამ

## რატომ, როდის და რისთვის მოხდა ჩვენი მომავალი თაობის ქვეშეცნეულში ქართველი თოვლის ბაბუის ვიკინგი სანტათი ჩანაცვლება?

იმის გარდა, რომ იმ თურაშაულის პატრონებს ვემსგავსებით, ტყეში რომ პანტას ეძებდა, ანუ, სასაცილოს ვინ ჩივის, სატირლად ხომ არ გვაქვს საქმე? ხომ არ არის ყოველივე ზემოთქმული და ისიც, რაც შეიძლება ქვემოთ ვთქვათ, ერთი მთელის შემადგენელი ნაწილები? კითხვები ბევრია და შევეცდები, ვუპასუხო.

ამ ცოტა ხნის წინათ, გემახსოვრებათ, თუ როგორ ჩამოიყვანეს სვანეთის მთებიდან ქართველი თოვლის ბაბუა, რომელიც პარლამენტის წინ ურიგებდა პატარებს საჩუქრებს, ხოლო ბინად, ღამის გასათევად კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სვანურ კოშკში ადიოდა.

მერე იყო და, როდესაც კოდორის ხეობას პროპაგანდისტული მიზნების გამო ზემო აფხაზეთი ვუწოდეთ, თოვლის ბაბუაც ზემო აფხაზეთიდან ჩამოსულად გავასაღეთ, რომელიც ვარდების მოედანზე დააბინავეს.

სად და რატომ გაქრა ან ერთი და ან მეორე? ზემო აფხაზეთში თუ რუსმა ოკუპანტებმა აიყვანეს მძევლად, სვანეთის მთების ბინადარ თოვლის პაპას რაღა მოუვიდა, ზვავმა ჩაიტანა?

არც ერთი და არც მეორე. უბრალოდ, როგორც ასინეთა იტყოდა — „ასეა საჭირო და მიტომ!“ რადგან, დიდი ილიას ნათქვამის მცირე პერიფრაზს თუ გავაკეთებთ, ერის გადაგვარება თუ გინდა, პირველ რიგში იმ ერის პატარა ბავშვების გადაგვარებას უნდა ეცადო, რაც, როგორც ჩანს, კარგად უწყიან ჩვენს ხელისუფლებაში მოკალათებულმა უცხოეთის ემისრებმა თუ ოკეანის გაღმა მყოფმა იდეოლოგებმა.



აქედან, უფრო სწორად, „იქიდან“ მოდის თოვლის ბაბუის სანტაკლაუსით შეცვლის იდეა, ისევე, როგორც დიმიტრი შაშკინის განათლების მინისტრად დანიშვნის დირექტივა, თორემ...

ახლა ვინმე, ალბათ, იფიქრებთ, ციხეების ყოფილ მთავარ „კლუჩნიკ“ შაშკინს რას ვერჩი, არა? — არც არაფერს, მაგრამ საქმე ისაა, რომ, რაც უნდა ძნელი წარმოსადგენი იყოს, სანტაკლაუსისა და შაშკინის თემა ერთმანეთთან ირიბ, მაგრამ მჭიდრო კავშირშია, რადგან **იქ** კარგად ესმით, რომ ახალი წელი, წელიწადში ერთხელ მოდის და, ამდენად, ჩვენი შვილების წელიწადში ერთხელ გამოლენჩების მცდელობა, ნაკლებად ეფექტიანი იქნება; რომ იტყვიან, ამ პრობლემის გადაჭრას კომპლექსური მიდგომა სჭირდება! ჰოდა...

სუხიშვილების ცეკვების გარივერდანსებისა არ იყოს, კიდევ ბევრი რამ არსებობს ისეთი, რისი ხელის ხლებაც არ შეიძლება. მაგალითად, „ჩაკრულო“ ან „მრავალჟამიერი“. სუხიშვილებმა რაც ქართულ ცეკვას დამართეს, ეს იგივეა, რომ ზემოხსენებული ქართული ხალხური კლასიკური სიმღერები ან საგალობლები ზურნა დუდუკის აკომპანიმენტით შეასრულო.

იგივეს თქმა შეიძლება გოგებაშვილი „დედა ენაზე“. დღეს სანთლით არის საძებნი (თუ არსებობს საერთოდ) სკოლები, სადაც გენიალური „აი, ია“ იყოს ჩვენი ბავშვების გზამკვლევი ქართულ წერა-კითხვაში. აღარაფერს ვამბობ საქართველოს ისტორიისა თუ თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის საფუძვლიან სწავლებაზე.

„როგორია ვითარება კაპიტალისტურ ქვეყნებში?“ გახსოვთ, ალბათ, ზურიკელა ვაშალომიძის სკოლის დირექტორის განცხადება, რასაც მცირე პერიფრაზით გთავაზობთ — როგორია ვითარება საზიზღარ რუსეთში? რა თქმა უნდა, პირიქით. იქაურ სახელმწიფო სკოლებში დღესაც პუშკინს, ლერმონტოვს, ტოლსტოისა და ა.შ. კლასიკოსებს ასწავლიან.

რაც შეეხება ტელევიზიებს, ე.წ. ცენტრალურ არხებს, მართალია, რუსული პოლიტიკის პროპაგანდა მიდის, მაგრამ, ამასთან ერთად, ОРТ, РТР თუ სხვაგან ვერ ნახავ იდიოტურ, სულის წამბილწავ ბრაზილიურ სერიალებს, რითაც უნიჭო რუსოფობიულ პროპაგანდასთან ერთად, გავსებულია ჩვენი ე. წ. ნაციონალური არხები.

უფრო მეტიც, ე. წ. საბავშვო გადაცემებში მხოლოდ რუსულ ფოლკლორზე, ხალხურ ზღაპრებზე გაკეთებულ მულტფილმებს უჩვენებენ. რა თქმა უნდა, არც „კრაკადილ გენა“, ვინი პუჰი, მაუგლი თუ კარლსონი ავიწყდებათ შიგა და შიგ და ალაგ-ალაგ. ეს ისე, მცირე ლირიული გადახვევა, განსჯისთვის.

ჩვენთან? — ტერმინატორები და ჰარი პოტერები, ქართული ანიმაციის გაშვებას მხოლოდ საპატრიარქოს ტელევიზია თუ ბედავს. დღეს, ვინც ე. წ. საჯარო სკოლების უფროს კლასებში სწავლობს, მათი ცოდნის დონე შეგზარავს ადამიანს. უფრო მეტიც, რომ დაამუნათო, ვაჟა-ფშაველას „არწივი“ მაინც რატომ არ იციო, ფეხებზე ჰკიდიათ. „რა დროს ქალამნებიანი ვაჟა ფშაველააო“ თუ არ გითხრეს, ფიქრობენ მაინც.

როგორც რუსები იტყვიან — „так держать“, ამისთვის არის დანიშნული დიმიტრი შაშკინი. კაცი, რომელსაც ქართულ მეტყველებაზე ეტყობა, რომ ქართულის გარდა, ყველანაირი განათლება აქვს მიღებული. ჩვენ კი ვიღადაოთ, რომ ნიკა გვარამია გაუნათლებელი ყოფილა და ახლა მიდის სასწავლებლად, რომ ამ ლოგიკით ენერგეტიკის მინისტრი — მანტიორად, გარემოს დაცვის მინისტრი — ეგერად, თავდაცვის მინისტრი ოქრუაშვილი სადაც გაუშვეს სასწავლებლად — იქ, რადგან, იქნებ, ბაჩომაც ისწავლოს და ისიც ოპოზიციაში გადავიდეს და ა.შ.

ეჰ! სასაცილოდ ნამდვილად არ გვაქვს საქმე. თოვლის ბაბუას — სანტა კლაუსით, „ასფურცელას“ — „ჰარი პოტერით“, „დედა ენის“ — რაღაც ჯანდაბით, მართლმადიდებლობის — იელოველობით, საქართველოს ისტორიის — სექსუალური უმცირესობების უფლებებით, ნიკა გვარამიას — დიმიტრი შაშკინით ჩანაცვლება და ა.შ. ყველაფერი ცალკ-ცალკე და ერთად მოგვცემს იმას, რასაც ჩემი კოლეგა დიმიტრი მონიავა წერდა „საქართველო და მსოფლიოს“ №41-ში, საიდანაც ბოლო ციტატას შეგახსენებთ:

„ვერც ერთი მინისტრის პოსტი დღევანდელ საქართველოში სტრატეგიული მნიშვნელობით (აშშ-სთვის. — ავტ.) განათლების მინისტრის პოსტთან ახლოსაც ვერ მივა. სწორედ მას შეუძლია, მოახდინოს გავლენა მომავალზე, იმაზე, თუ როგორი გახდება საქართველო რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, დაეპატრონებიან თუ არა მას ანგლო-ამერიკული სამყაროს ღირებულებებზე ორიენტირებული „ახალი ქართველები“?

მე კი ყოველგვარი კითხვის ნიშნის გარეშე დავძენ —

## თუ ისე გაგრძელდა ყველაფერი, როგორც დღეს მიდის, აუცილებლად დაეპატრონებიან ქვეყანას ოკეანისგაღმელი იდეოლოგების რეცეპტით გამოყვანილი ახალი ჯიშის უჯიშო ქართველები, ანუ მანქურთი ხლისტები!

მანამდე? ერთი რამ დაგვრჩენია — მოთმინებით უნდა ველოდოთ, რა პასუხს გასცემს სანტაკლაუსი მიშას ხელმოწერით გაგზავნილ წერილს; იქნებ, გაუმართლოს ჩვენს შვილებს და ლაპლანდიიდან უარი მიიღოს ჩვენმა პრეზიდენტმა. იქნებ, მაშინ გაახსენდეს ჩვენი ძველი, საყვარელი მოხუცი ქართველი თოვლის ბაბუა, რომლის საახალწლო მოლოდინში ჩვენს მამა-პაპათა მრავალი თაობა არ გაწბილებულა!

დამდეგ ახალ წელს გილოცავთ, დუტა სხირტლაძის გაბრიყვებულო ბავშვებო. იმ დუტასი, რომელიც დღესაც „ინდე, პავაროტში დგა“. სანტა კლაუსი? — არა! „დედმოროზი“? — არა! ქართველ თოვლის ბაბუას გაუმარჯოს, ჩემო შვილებო!

**დავით მხეიძე**

# კვიპროსის პრეზიდენტის გვამი საფლავიდან მოიპარეს



**კვიპროსის ყოფილი პრეზიდენტის ტასოს პაპანდოპულოსის გვამი ცნობილი პოლიტიკოსის გარდაცვალებიდან ერთი წლისთავზე საფლავიდან მოიპარეს. პოლიციისათვის დანაშაულის მოტივები ამ დრომდე უცნობია.**

მემარჯვენე ცენტრისტული პარტია „DIKO“-ს (სწორედ ამ პარტიის წევრი გახლდათ პაპანდოპულოსი) ხელმძღვანელმა არიოს გაროიანმა ამ გატაცებას „საზიზღარი და საშინელი დანაშაული“ უწოდა. მმართველი კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ანდროს კიპრიანუმ ასევე გამოხატა აღშფოთება. პაპანდოპულოსი კვიპროსის პრეზიდენტად 2003 წლის თებერვალში აირჩიეს. მისი პრეზიდენტობის პერიოდში კვიპროსი ევროკავშირის წევრი გახდა. ამას, პაპანდოპულოსი ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა 1974 წლის სამარი კონფლიქტის შედეგად გაყოფილი კუნძულის თურქული და ბერძნული მხარეების გაერთიანებას. 2004 წელს მან თანამემამულეებს მოუწოდა, ხმა მიეცათ გაეროს მაშინდელი გენერალური მდივნის — კოფი ანანის მიერ შემოთავაზებული გაერთიანების საწინააღმდეგოდ.

ტასოს პაპანდოპულოსი ფილტვის კიბოთი 2008 წლის 12 დეკემბერს გარდაიცვალა.

# აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა კონგრესმენები «ახალი ფინანსური შოკებით» შეაშინა

**აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა ტიმოთი გაიტნერმა კონგრესს განუცხადა, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია „TARP“-ის 700-მილიარდიანი პროგრამის მოქმედებას კიდევ ერთი წლით გააგრძელებს. მისი თქმით, აშშ-ს უნდა ჰქონდეს სახსრები „ახალი ფინანსური შოკების“ შემთხვევისათვის.**



გაიტნერის თქმით, პროგრამის გაგრძელება აუცილებელია მცირე ბიზნესისა და უძრავი ქონების მფლობელთათვის, რომლებიც რთულ პერიოდს განიცდიან. პროგრამის შეჩერება კი რისკის წინაშე დააყენებს კრიზისის შემდგომ ქვეყნის ეკონომიკის აღდგენის საქმეს. კონგრესმენებმა, თავის მხრივ, გადაწყვიტეს, „TARP“-ის სახსრებიდან 75-150 მილიარდის გზების მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის სხვა პროექტების განხორციელებისათვის გამოყოფის წინადადება დააყენონ. პროგრამა „TARP“-ი, რომლის რეალიზაციისათვის 700 მილიარდი დოლარი დარეზერვდა, 2008 წლის ოქტომბერში მიიღეს. თავდაპირველად იგეგმებოდა, რომ მთელი თანხა მოხმარებოდა ამერიკული ბანკების ცუდი აქტივების გამოსყიდვას, მაგრამ შემდეგ პროგრამის მიმართულება შეიცვალა. მისი სახსრები მოხმარდა ბანკების რეკაპიტალიზაციას, სახლების მფლობელთა დახმარებასა და ეკონომიკის სტიმულირების მთელ რიგ სხვა საკითხებს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# უუფლებობის ზონა



„ვარდოსანთა“ გამრუდებული სამართლის წყალობით ადამიანის უფლებები რომ ჩვენს ქვეყანაში ყოველ ნაბიჯზე ირღვევა, არახალია. ამაზე ბევრი თქმულა და ბევრიც დაიწერა, მაგრამ უშედეგოდ... „უუფლებობის ზონა“ — ასე ჰქვია წიგნს, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ ახლახან გამოსცა და რომელიც დეტალურად მოგვითხრობს ფართო საზოგადოებისთვის კარგად თუ ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე.




აღსანიშნავია, რომ ეს წიგნი ერთგვარი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტია იმ თვალსაზრისით, რომ მასში მოცემული თითოეული მასალა (იქნება ეს რომელიმე უფლებადამცველი ორგანიზაციისა თუ დამოუკიდებელი ჟურნალისტების მიერ მომზადებული) კონკრეტულ ფაქტებს ეყრდნობა. ამასთან, ადამიანის უფლებათა დარღვევებზე აქ უშუალოდ დაზარალებულები ყვებიან, რაც კიდევ უფრო გვარწმუნებს ამა თუ იმ ფაქტის უტყუარობაში.

წიგნის პრეზენტაცია გასულ კვირას, 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სასტუმრო „თორში“ გაიმართა. ღონისძიებას საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეკრებილთა შორის იყვნენ დამოუკიდებელი ექსპერტებიც, რომელთაც ერთმნიშვნელოვნად აღნიშნეს, რომ ინიციატივა დროული და მისასალმებელია.

ღონისძიებას არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე ტარიელ გაგნიძე უძღვებოდა. შესავალში, რომლითაც მან „უუფლებობის ზონა“ მიწვეულ სტუმრებს წარუდგინა, ამომწურავად ისაუბრა იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომელთა შესახებაც ამ წიგნშია მოთხრობილი.

„დაგროვდა უამრავი ფაქტი, მოხდა უამრავი შემთხვევა, დაიწყო უამრავი პროცესი, რომლებიც ყოველთვის რაღაც კონკრეტულ ფაქტებსა და შემთხვევებში, ინციდენტებში პოულობდა ხოლმე თავის გამოხატულებას. წიგნი, რომელიც საზოგადოების სამსჯავროზე გამოგვაქვს, წარმოადგენს ასეთი ფაქტებისა და შემთხვევების კრებულს. ჩვენ შევეცადეთ, მოგვეცვა ყველა სფერო, რომელიც ასე თუ ისე, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის მდგომარეობასთანაა დაკავშირებული,“ — აღნიშნა ტარიელ გაგნიძემ.

შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „7 ნოემბრის“ წევრები: დაჩი ცაგურია, ჯაბა ჯიშკარიანი, „კონსერვატიული პარტიის“ წევრი ლაშა ჩხარტიშვილი, ექსპერტი რამაზ კლიმიაშვილი და სხვები. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დღევანდელ ვითარებაში მსგავსი წიგნების გამოცემა საჭირო და აუცილებელიცაა, რათა საზოგადოება, უმეტესად რეგიონის მოსახლეობა, უკეთ იყოს ინფორმირებული ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ...

უფრო კონკრეტულად წიგნის შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ ისინი შეხვედრის დასრულების შემდეგ ესაუბრნენ.

**ჯაბა ჯიშკარიანი:** „შეხვედრაზეც ვთქვი, რომ წიგნში მოცემული მასალები მაქსიმალურად ამომწურავია და კონკრეტულ შემთხვევებზე დეტალურ ინფორმაციას იძლევა. მისასალმებელია, რომ ასეთი წიგნი გამოვიდა და მოხარული ვიქნები, თუ მომავალშიც გამოვა მსგავსი კრებულები; დღევანდელ ვითარებაში ეს აუცილებელია. მე და ჩემი მეგობრები ყველანაირად ვეცდებით, მხარში დავუდგეთ ნებისმიერ მსგავს წამოწყებას“.

**ლაშა ჩხარტიშვილი:** „ამ გამოცემას აქვს არა მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა, ვფიქრობ, იგი დღევანდელი რეალობისთვისაც დიდად საყურადღებო წიგნია, ვინაიდან საზოგადოებას აქვს მიდრეკილება, ბევრი რამ დაივიწყოს. ეს ერთგვარი შეხსენებაცაა და მეორე მხრივ, — კონკრეტული საფუძველი სამომავლოდ ხელისუფლების გასამართლებისთვის, რადგან მათ ჩადენილი აქვთ არა მარტო მორალური და პოლიტიკური, არამედ კონკრეტული სამართლებრივი დანაშაულებიც, რაც საკმაოდ საფუძვლიანადაა ასახული ამ გამოცემაში“.

**დაჩი ცაგურია:** „ეს გამოცემა ერთგვარი სარკეა იმ რეალობისა, რაც, სამწუხაროდ, დღეს გვაქვს. წიგნში დეტალურადაა ასახული ბოლოდროინდელი მოვლენები, ის სამწუხარო ფაქტები, რაც ჩვენს თვალწინ მოხდა. ბევრისთვის, მით უფრო რეგიონების მოსახლეობისთვის, დღემდე უცნობია ამ ფაქტების შესახებ და, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ მათაც გაიგონ, რა ხდება ქვეყანაში და რა დღეშია საზოგადოების უდიდესი ნაწილი, ამ წიგნის მნიშვნელობა უდიდესია“.

**რამაზ კლიმიაშვილი:** „ძალიან დიდი ინტერესით დავესწარი პრეზენტაციას, უდაოდ საინტერესო წიგნია და საერთოდ, ძალიან კარგი საქმე გაკეთდა, რომ ასეთი წიგნი გამოიცა. ახლა მთავარია, იგი მივაწოდოთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, გავაგებინოთ ყველას, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში, რადგან, რომ არა ეს ორგანიზაციები, დარწმუნებული ვარ, ეს ხელისუფლება დიდი ხნის წინათ იქნებოდა გასტუმრებული.

განსაკუთრებით აუცილებელია, მივაწოდოთ ეს წიგნი ჟენევაში გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიას, რომლის განხილვის საგანიც კი შეიძლება გახდეს... ასევე უნდა მიეწოდოს ოპოზიციის წარმომადგენლებსაც, ვინაიდან ისინი ხშირად დადიან რეგიონებში და საზოგადოებას გააცნობენ ამ გამოცემას“...

**ჯაბა ჟვანია**















**P.S. სასტუმრო „თორში“ გამართულ პრეზენტაციაზე „ისტორიულმა მემკვიდრეობამ“ წიგნი ორ ენაზე — ქართულად და ინგლისურად წარმოადგინა. ამჟერად მზადდება რუსულენოვანი ვარიანტი, რომელსაც საზოგადოება ახლო მომავალში იხილავს.**

# პრეზიდენტის გაზი — მხოლოდ 12 ოჯახისთვის

**საქართველოს პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის მიერ ცისფერი ალის ანთებამ, ანუ გაზის შემოყვანის დემონსტრირებამ და ბაქი-ბუქმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ზუგდიდში. ოპოზიციურად განწყობილი ძალები ადრეც და ახლაც ამტკიცებენ, რომ ზუგდიდში არავითარი გაზი არ შემოუყვანიათ, პრეზიდენტის მიერ ანთებულ გაზქურას ბალონიდან მიეწოდებოდა გაზიო.**

სინამდვილეში კი ვითარება სულ სხვაგვარია. ზუგდიდში, მართლაც, შემოყვანილია საშუალო წნევის მილსადენი და ამჟამად 12 ოჯახს მიეწოდება გაზი (საკამათო შეიძლება იყოს, ღირდა კი ამდენი აჟიოტაჟის ატეხვა 12 ოჯახის გამო). ,,ჩემთვის გაუგებარი და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ზოგიერთი ზუგდიდელის განცხადება. მოვიდნენ და თავიანთი თვალით ნახონ ყველაფერი. ეს ხომ დიდ სიძნელეებთან არ არის დაკავშირებული და მერე გააკეთონ განცხადებები“, — აცხადებს გაზიფიკაციის სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელთა ხელმძღვანელი თემურ ჯანაშია. მისი თქმით, გაზიფიკაციამ 2-3 წლიწადში მთლიანად უნდა მოიცვას მთელი ქალაქი, სულ 18 ათასი მომხმარებელი. „ჩვენი პროგრამა ითვალისწინებს მილსადენის ეზომდე მიყვანას, ხოლო შიგნით შეყვანა და დამონტაჟება მოსახლის სურვილითა და თანხებით ხდება, რაც აბონენტს 200 ლარამდე უჯდება. თუ აბონენტი მოგვმართავს განცხადებით, ჩვენ დავუმონტაჟებთ გაზს. ამ წესით ამჟამად გაზი 12 ოჯახს მიეწოდება“, — აღნიშნა თემურ ჯანაშიამ.

ზუგდიდის განაპირა მონაკვეთის 4-5 ქუჩა ამჟამად გაზიფიცირებულია და, თუ ამ უბნის მოსახლეობის სურვილიც იქნება, 1000-მდე მომხმარებელი შეძლებს მუდმივი გაზით სარგებლობას. დღეში 4-5 ოჯახშია შესაძლებელი გაზის შეყვანა-დამონტაჟება.

აღსანიშნავია, რომ გაზი ზუგდიდის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს (1500-მდე აბონენტს) ადრეც მიეწოდებოდა ოთხი წლის (1987-1991) განმავლობაში, მაგრამ უმოქმედობით ეს ძველი მილსადენი დაზიანდა. ამიტომ აზერბაიჯანულმა ფირმა ,,სოკარმა“ უსაფრთხოების მიზნით ახალი მაგისტრალის გაყვანა ამჯობინა.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

# ზუგდიდელებს შეშას არ აძლევენ

**ზუგდიდის რაიონის მოსახლეობა ძირითადად შეშით თბება და მათი მთავარი საზრუნავიც შეშის მომარაგებაა.**

შპს „ზუგდიდის სატყეო მეურნეობას“ ეკუთვნის ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდი (8936 ჰა). მოსახლეობა სატყეო მეურნეობის მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე ამზადებდა შეშას, ახლა კი გაკვირვებას ვერ მალავს „ზუგდიდის სატყეო მეურნეობის“ დირექტორი ირვერ ჯალაღონია, რადგან ამის თაობაზე მან სამინისტროს სატყეო დეპარტამენტისგან სიტყვიერი უარი მიიღო, რის გამოც წერილით მიმართა აღნიშნული დეპარტამენტის თავმჯდომარეს — პაპუნა ხაჩიძეს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, თუმცა პრობლემა დღემდე მოუგვარებელია, რამაც მოსახლეობის აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია. ზუგდიდელები სატყეო მეურნეობის დაცვის მუშაკებს დაუპირისპირდნენ; დაიწყო ტყეების უკანონო ჭრა და, თუ ეს საკითხი დროულად არ გადაწყდა, შეიძლება მოვლენები უმართავი გახდეს.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ადამიანის უფლებების იგნორირება ხელისუფლების პოლიტიკის ნაწილია

**თითქმის ორი ათეული წელია, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ახალი სახელმწიფოს მშენებლობა დავიწყეთ. დავიწყეთ ქვეყნის ახალი საგარეოპოლიტიკური კურსის ძიება, ახალი საგარეო მოკავშირეების ძებნა და ახალი საშინაო პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობდით ან ხელისუფლება გვეუბნებოდა ასე. უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში საქართველომ ორი ხელისუფლება გამოიცვალა, ახალა მესამე გვყავს და სამივესთვის სახელისუფლო თეზისები თითქმის უცვლელი იყო.**



სამივე თითქმის უცვლელი სქემით ცდილობდა ქვეყნის მართვას: ყოველივე აქამდე არსებულის უარყოფა და ყველგან და ყველაფერში ახლის ძიება — იქნებოდა ეს პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზებაში თუ სხვა. ახლის ძიება კი შემოიფარგლებოდა და გამოიხატებოდა მხოლოდ ერთ რამეში: დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყანაში სოკოსავით მომრავლდა სხვადასხვა ყაიდის უცხოური მრჩეველ-კონსულტანტები თუ ორგანიზაციები, რომლებიც დაუზარლად გვახვევდნენ თავს თავიანთ რეკომენდაციებს და ხელისუფლებაც უაპელაციოდ იზიარებდა და ნერგავდა მათ ცხოვრებაში.

**ამ რჩევა-რეკომენდაციათა ერთ-ერთი არსებითი ნაწილი იყო დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დასავლური სტანდარტების შემოღება-დამკვიდრება, რისი მოტივაციაც გახლდათ ის, რომ ჩვენ უწინ ვიყავით ტოტალიტარული საბჭოთა კავშირის ნაწილი, სადაც დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა თვით მცნებებიც კი აკრძალული იყო.**

ასე გავიდა ოცი წელი. აშშ და დასავლეთ ევროპის წამყვანი ქვეყნები არ იშურებდნენ ძალისხმევას, ქებას და სხვადასხვა საერთაშორისო ჯილდოებს საქართველოს ხელისუფლებისთვის დემოკრატიის და ადამიანის უფლებათა დამკვიდრების ფლაგმანის სტატუსის შესაქმნელ-შესანარჩუნებლად. ამ პროცესმა აპოგეას მიაღწია აშშ-ში ჯორჯ ბუში-უმცროსის და საქართველოში მ. სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს. ჯორჯ ბუში-უმცროსი და მისი ხელისუფლება არ იღლებოდა სააკაშვილისთვის სხვადასხვა ალმატებითი ეპითეტების გამოგონებით და მისი ქებით, ბოლოს იგი დემოკრატიის შუქურად შერაცხეს და იმ აზრსაც ნერგავდნენ, რომ აშშ-ში დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტი უნდა შეექმნათ, რათა იქ წამყვან სპეციალისტად მ. სააკაშვილი მიეწვიათ პრეზიდენტობის დამთავრების შემდეგ და ამ უკანასკნელს სხვა ახალგაზრდა ქვეყნების ხელმძღვანელთათვის ესწავლებინა, როგორ განევითარებინათ დემოკრატია თავის ქვეყნებში.

საქართველო მართლაც გახდა სამაგალითო ქვეყანა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა მდგომარეობის თვალსაზრისით, მაგრამ არა იმ კუთხით, როგორც ამას დასავლეთის წამყვანი ქვეყნები, პირველ რიგში -აშშ დეკლარირებდნენ. საქართველოში დიდი ხანია მათი კონტროლის ქვეშაა თვით ყველაზე უმნიშვნელო პროცესებიც კი და მათ ყველაზე უკეთ იცოდნენ და უწყიან ჩვენთან გამეფებული ვითარება. თუ ისინი ამას გვირჩევდნენ (ყოველ შემთხვევაში, მათი რჩევები ასე სრულდებოდა და ისინი ამას ხედავდნენ), ამას ესალმებოდნენ და სხვებს სამაგალითოდ უთითებდნენ, გამოდის, მათ ეს სურდათ და ამისკენ მიჰყავდათ ჩვენი ქვეყანა.

თუ-კი მათ კეთილი სურვილები ამოძრავებდათ და მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებაა დამნაშავე, მაშინ მით უარესი - ისინი ყველაფერზე თვალს ხუჭავდნენ, ოღონდკი საქართველოში მათთვის სასურველი პოლიტიკური გამორჩენა მიეღოთ, ჩვენს ხელისუფლებას მათი ნაკარნახევი საგარეო-პოლიტიკური კურსი გაეტარებინა და მას პატიობდნენ ყველაფერს, პატიობდნენ კი არა, მსოფლიო დემოკრატიის შუქურად აცხადებდნენ.

სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ შეიფერა ქება. ჩათვალეს, რომ ინდულგენცია მიიღეს ყველაფრისგან.

ქართველებს გვაქვს ერთი ფრთიანი ნათქვამი: „ჩამდენმა ერთი დააშავა და წამქეზებელმა ათასი"-ო.

მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულის ჩამდენთან ერთად მის წამქეზებელსაც დამნაშავედ აცხადებს და მასაც შემსრულებლის თანაბრად სჯის.

მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, ჩვენთან გამეფებული ვითარებისთვის საქართველოს ყოფილ თუ ახლანდელ ხელისუფლებთან ერთად პასუხისმგებლობა მათ მფარველებსაც და წამქეზებლებსაც ეკისრებათ.

ეხლა კი იმათ გასაგონად და არა მარტო მათთვის, თუ-კი ვინმე გულუბრყვილო კიდევაა დარჩენილი და მაინც ფიქრობს, რომ ადამიანის უფლებათა ფეხქვეშ გათელვის წესად ქცეული პრაქტიკა მხოლოდ ცალკეულ პირთა უგვანობის ბრალია და რომ ეს არ არის მიზანმიმართული პოლიტიკა და სისტემური მიდგომა:

ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში სახელმწიფოში ორი ფუნდამენტური ინსტიტუტი არსებობს:

1. ქვეყნის პრეზიდენტი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, რომელიც წარმოადგენს თავისი ქვეყნის მოქალაქეთა უფლებების უზრუნველყოფის უმაღლეს კონსტიტუციურ გარანტს; და თუ მაინც სახელმწიფო აპარატი ამ უფლებების უზრუნველყოფას თავს ვერართმევს;

2. სასამართლო სისტემა, სადაც კანონიერი საფუძვლებითა და მეთოდებით შეიძლება დაიცვა შენი უფლებები, მათ შორის სახელმწიფოს წინააღმდეგაც.

გაჩვენებთ ორ მაგალითზე, როგორ ფუნქციონირებს ეს ინსტიტუტები საქართველოში.

1995 წლის შემდეგ, როდესაც ჟვანია-სააკაშვილის გუნდი ხელისუფლებაში მოვიდა პარლამენტის დეპუტატების სახით, სხვა ყველაფერთან ერთად მათ ორი რამ გააკეთეს — შეეცადნენ, ხელში აეღოთ ქვეყანაში ფინანსური ნაკადები და სასამართლო სისტემა. ამისათვის შექმნეს ორი უწყება: გადასახადებისა და შემოსავლების სამინისტრო და იუსტიციის საბჭო, რომელიც იყო და დღესაც არის სასამართლოებზე ადმინისტრაციული კონტროლის ორგანო. შემდეგი ეტაპი იყო ამ სტრუქტურების საკუთარი კადრებით დაკომპლექტება, რისთვისაც მოიგონეს საკვალიფიკაციო გამოცდები და ამ ფილტრში მხოლოდ თავისი კანდიდატები გაატარეს.

საფინანსო და სასამართლო სისტემებში პროცესი სხვადასხვა გართულებებით მიმდინარეობდა, მაგრამ განსაკუთრებით უცერემონიოდ ის წარიმართა საგადასახადო ინსპექციის სფეროში. ბუნებრივია, ამას მოჰყვა მრავალრიცხოვანი სასამართლო სარჩელები ახალშექმნილი გადასახადებისა და შემოსავლების სამინისტროს წინააღმდეგ, რომელსაც შექმნის დღიდან სათავეში ედგა ჟვანიას პროტეჟე და დღევანდელი პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი.

ამ პროცესებში განსაკუთრებით საინტერესოა ერთი შემთხვევა, რომელიც კარგად წარმოაჩენს ზოგადად გამეფებულ ატმოსფეროს.

მოქ. ა.ა. რეფორმამდე ათი წელი მუშაობდა საგადასახადო ინსპექციის სისტემაში და საკმაოდ მცოდნე და გამოცდილ კადრად ითვლებოდა. იგი თანამდებობებზე არასოდეს არ ყოფილა და მაჭავარიანის სამინისტროს შექმნისას რიგით საგადასახადო ინსპექტორად მუშაობდა თბილისის ერთ-ერთ რაიონულ ს/ინსპექციაში.

მან წარმატებით ჩააბარა საკვალიფიკაციო გამოცდები, აკმაყოფილებდა ყველა თანამდებობრივ მოთხოვნას და ყველა წესის და კანონის მიხედვით უნდა დანიშნულიყო თავის წინანდელ თანამდებობაზე. ყოველივე ამის მიუხედავად საკვალიფიკაციო კომისიამ მას არ მისცა წარდგინება თანამდებობაზე დასანიშნად და რეკომენდაცია გაუწია სხვას, რომელსაც წინათ არასოდეს საგადასახადო - ფისკალურ სისტემაში არ უმუშავია და სულ სხვა თანამდებობაზე იყო პრეტენდენტი.

მოქ. ა.ა. არ შეეგუა მისდამი ასეთ აგდებულ დამოკიდებულებას და სხვა გზით რომ ვერაფერს გახდა, სარჩელით მიმართა სასამართლოს.

მოცემული შემთხვევა ნათლად წარმოაჩენს პრინციპს, რომელიც იმთავიდანვე გაიხადეს სახელმძღვანელოდ ჟვანია-სააკაშვილმა და რომელსაც დიდი მონდომებით ნერგავდნენ ცხოვრებაში ვარდების რევოლუციის შემდეგ: **„ის, ვინც ჩვენთან არ არის, ან ვინც ჩვენ არ გვინდა, ის ჩვენი მოწინააღმდეგეა; მასთან ჩვენ ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში მართალი ვართ, ფერებას არ დავუწყებთ და გავსრესავთ დემონსტრაციულად და ყველას დასანახად".**

მოქ. ა.ა.-ს ისტორიის გაგრძელება არანაკლებ საინტერესოა. სასამართლოში მისი საქმის განხილვას, უფრო სწორედ, ამ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებას ალბათ ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიო პრაქტიკაში და არა კანონისა და კანონიერების თვალსაზრისით, არამედ სწორედ თავისი ცინიზმითა და ზემოაღნიშნული პრინციპის დემონსტრირებით: სააპელაციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში დაეთანხმა მოსარჩელეს, რომ მისი უფლებები დარღვეულია, დაეთანხმა, რომ მისი უფლებები შელახა მოპასუხემ (ე.ი. გადასახადებისა და შემოსავლების სამინისტრომ მ. მაჭავარიანის მეთაურობით) და დაადასტურა, რომ იგი უნდა დაენიშნათ შესაბამის თანამდებობაზე, მაგრამ (!) ბოლოს სიტყვასიტყვით მიუთითა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო ვერ აიღებს თავის თავზე მოსარჩელის უფლებებში აღდგენას და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უთხრა უარი.

შეგახსენებთ, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სააპელაციო სასამართლომ.

უზენაესმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

იქნებ, ვინმეს არ სჯერა, მაგრამ ეს არის სამწუხარო სინამდვილე.

აღწერილ ამბებამდე სულ ცოტა ხნით ადრე მ. სააკაშვილი რომელიღაც საერთაშორისო ჯილდოთი დაასაჩუქრეს საქართველოში სასამართლო რეფორმის "წარმატებით" ჩატარებისთვის.

ახლა მეორე მაგალითი თვითონ პრეზიდენტის შესახებ.

ე. შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს პრეზიდენტის კანცელარიასთან არსებობდა სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მთავრობასა და ქვეყნის პირველ პირებს ემსახურებოდა. მას რამდენჯერმე შეუცვალეს დასახელება და იურიდიული სტატუსი და ბოლოს ჩამოაყალიბეს შპს-ს ფორმით.

გარკვეული პერიოდის შემდეგ გადაწყდა, რომ ეს სამსახური უნდა გაეუქმებინათ და ე. შევარდნაძემ გამოსცა სათანადო განკარგულება, მაგრამ სამსახურის ლიკვიდაცია დროში გაიწელა სხვადასხვა მიზეზთა გამო, მათ შორის იმიტომაც, რომ უზრუნველყოფის სამსახურის წინააღმდეგ მის ყოფილ თანამშრომელს გ.ც.-ს აღძრული ჰქონდა სარჩელი სახელფასო დავალიანების გადახდევინების მოთხოვნით და მიმდინარეობდა საქმის განხილვა.

ასეთი იყო მდგომარეობა, როდესაც მოხდა ვარდების რევოლუცია და მ. სააკაშვილი გახდა ქვეყნის პრეზიდენტი.

სააკაშვილის პრეზიდენტად გახდომიდან ცოტა ხანში მას და მის გარემოცვას დასჭირდათ სახ. უზრუნველყოფის სამსახურის ლიკვიდაციის სასწრაფოდ დამთავრება და გამოსავალიც მოიძებნა: არ დაელოდა რა სასამართლო განხილვის დამთავრებას, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი კრძალავდა სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის გადაწყვეტას ნებისმიერი სხვა ორგანოს მიერ, მ. სააკაშვილმა გამოსცა განკარგულება სამსახურის ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ. ამ განკარგულების საფუძველზე სასამართლომ გ.ც.-ს უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ მოპასუხე აღარ არსებობდა და გადახდევინებას ვერავის ველარ დააკისრებდა.

ხსენებული განკარგულებით მ. სააკაშვილმა პრეზიდენტის უფლებამოსილების გამოყენებით პირდაპირ დაარღვია სხვა კანონი, თავის თავზე აიღო არბიტრის როლი პრეზიდენტის ორგანოსა და სხვა სუბიექტს შორის მიმდინარე დავაში, გადაჭრა ეს დავა თავის სასარგებლოდ და ამავდროულად როგორც პრეზიდენტმა, თავისი ქვეყნის მოქალაქეს მოუსპო შესაძლებლობა სასამართლოს საშუალებით ეპოვა სამართლიანობა და მიეღო კუთვნილი გასამრჯელო თავისი შრომისათვის.

ამ ბრძანებულებით პრეზიდენტმა პირდაპირ წაართვა თავის მოქალაქეს ორი ფუნდამენტური უფლება — შრომისათვის საზღაურის მიღების უფლება და სასამართლოსადმი მიმართვის უფლება.

**უკვე პრეზიდენტობის დასაწყისშივე ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კონსტიტუციური გარანტიდან სააკაშვილი გადაიქცა ამ უფლებათა უმაღლეს შემლახავად, რასაც ჯერჯერობით დაუსჯელად აგრძელებს.**

სურათის სისრულისთვის უნდა ვთქვათ, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურს გააჩნდა სოლიდური ქონება, მათ შორის უძრავი ქონება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. სახელდობრ, მას ეკუთვნოდა მოსკოვში, ძველ არბატზე მდებარე საქართველოს კულტურის ცენტრი „მზიური"-ს შენობა. მზადდებოდა სარფიანი უძრავი ქონების პრივატიზაცია (უფრო სწორად, „პრიხვატიზაცია") და მოქ. გ.ც თავისი სასამართლო დავით ხელს უშლიდა ამ პროცესს, რისთვისაც დასაჯეს კიდეც სამაგალითოდ. იმ დროისათვის მას-მედიაში იყო შეტყობინებები, რომ „მზიური"-ს პრივატიზაციას ლობირებდა მაშინდელი საქართველოს ელჩი რუსეთში, ჟვანიას პროტეჟე ი. ჩუბინაშვილი. ერთ-ერთი პირდაპირი ტელეეთერის დროს მას შეკითხვაც დაუსვეს ამის თაობაზე.

კიდევ რამდენიმე შტრიხი, რომ იტყვიან, სურათის სისრულისათვის.

2004 წელს სააკაშვილის პრეზიდენტად არჩევისა და გენერალურ პროკურორად ზ. ადეიშვილის დანიშვნის შემდეგ მცირე ხანში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მიზანმიმართულად შეტანილი ცვლილებების შესაბამისად ფაქტიურად დაკანონდა ადამიანის დაპატიმრება პროკურორის შეხედულებისამებრ, ხოლო ამ პროცესზე სასამართლო კონტროლი დავიდა ფორმალური პროცედურების შესრულებამდე: აღკვეთის ღონისძიების შერჩევა დარჩა სასამართლოს კომპეტენციაში, მაგრამ ამ საკითხის განხილვისას მოსამართლეს აკრძალული აქვს შეისწავლოს, წაყენებული ბრალდება დასაბუთებული და დამტკიცებულია თუ არა.

მას ისღა დარჩენია, შეამოწმოს, წაყენებული ბრალდებისთვის გათვალისწინებულია თუ არა სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით და მორჩილად დაეთანხმოს პროკურორის მოთხოვნას.

შექმნილია ისეთი საკანონმდებლო გარემო, როცა პროკურორს კანონი აძლევს უფლებას, პირს წაუყენოს ნებისმიერი ბრალდება და მოითხოვოს მისი დაპატიმრება, მისი ქმედებების კანონიერების და ადექვატურობის კონტროლის მექანიზმი კი არ არსებობს.

ასეთი ვითარებაა წინასწარი გამოძიებისას. უკეთესი მდგომარეობა არც სასამართლოში საქმის განხილვისას არაა.

ყველა პროკურორს და მოსამართლეს აქვს ერთგვარი სამაგიდო წიგნი, სახელმძღვანელო მოქმედებისთვის, რომელიც წარმოადგენს გენერალური პროკურორის და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის „რეკომენდაციებს". მასში სათითაოდაა ჩამოთვლილი სისხლის სამართლის კოდექსის თითქმის ყველა მუხლი და მითითებულია, რომელი მუხლის შემთხვევაში როგორი სასჯელი უნდა მოითხოვოს პროკურორმა და როგორი განაჩენი უნდა გამოიტანოს მოსამართლემ.

და ბოლოს — სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღეს მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

ისღა დაგვრჩენია, დავამატოთ, რომ მაშინ, როცა ორი უმაღლესი უფლებადამცველი სახელმწიფო ინსტიტუტი გადაქცეულია საკუთარ მოქალაქეთა დათრგუნვის, ხოლო კანონები - განუკითხაობის ლეგიტიმაციის მექანიზმად, არ უნდა გაგვიკვირდეს არც ზემოთ მოყვანილი ფაქტები და არც სხვები, უფრო მრავალრიცხოვანი, რომლებსაც ვერცერთი გაზეთი ვერ დაიტევს.

**ტარიელ გაგნიძე**
**არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა"-ს თავმჯდომარე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ცნობებისთვის „ვინ ვინაა“ ყოფილი აგენტი რუსეთს 200 ათასს დოლარს სთხოვს

**ეს ის თანხაა, რომელიც რუსეთისათვის საიდუმლო ინფორმაციის მიყიდვის გამო სახელმწიფოს ღალატში ბრალდებულმა ესპანეთის ეროვნული სადაზვერვო ცენტრის ყოფილმა აგენტმა რობერტო ფლორესმა მოითხოვა. თავის გასამართლებლად მან განაცხადა, რომ თავს „მემარცხენედ“ თვლიდა და „არ უჭერდა მხარს აშშ-ის საგარეო პოლიტიკას“.**

ამის თაობაზე ფლორესმა 2001 წელს მადრიდში რუსეთის საელჩოს რანგით მესამე პირს პეტრე მელნიკოვს მისწერა. სავარაუდოდ, სწორედ მასვე მიჰყიდა ინფორმაცია. მოტივებს შორის მან დაასახელა რუსი ხალხის მიმართ საკუთარი „სიმპათია“ და რუსული სპეცსამსახურების „პროფესიონალიზმით“ აღფრთოვანება. ინფორმაციისათვის „ვინ ვინაა“ ესპანეთის სადაზვერვო ცენტრში, ფლორესი 200 ათას დოლარს ითხოვდა.

პროკურატურა და ესპანეთის სახელმწიფო ადვოკატურა ამ ქმედებას სახელმწიფოს ღალატად აფასებენ და ფლორესისათვის 12 წლით თავისუფლების აღკვეთას მოითხოვენ. შესაძლოა, მას საიდუმლოს გამხელაში დაედოს ბრალი და ამ შემთხვევაში 4 წლით დაპატიმრება ელის.

# იორდანიის დედოფალი «ღირსების მკვლელობისთვის» სასჯელს ამკაცრებს

**იორდანიის დედოფალი რანია ე. წ. ღირსების მკვლელობისათვის სასჯელის გამკაცრების მომხრეა. მსგავსი შემთხვევებისას მსხვერპლს წარმოადგენენ იმ მუსლიმანის ნათესავები, რომელსაც ოჯახის შერცხვენა ედებათ ბრალად.**


დედოფალი რანია

დედოფალი თვლის, რომ ეს დაუნდობელი ანგარიშსწორების დამღუპველი ტრადიციაა, რომელიც ბოლო დროს სულ უფრო ვრცელდება. მსგავსი დანაშაულები ხდება ევროპის ქვეყნებშიც, სადაც ადამიანის უფლებები და სიცოცხლე განსაკუთრებული დაცვის ობიექტია. მხოლოდ იორდანიაში წელიწადში „ღირსების მკვლელობის“ 25 შემთხვევაა დაფიქსირებული. დამნაშავეთა სასჯელი მაქსიმუმ 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ახლა ქვეყნის მთავრობა სასჯელის 5 წლამდე გაზრდას ცდილობს. დანაშაული რომ ნამდვილად შემზარავია, ამას უამრავი ფაქტი ადასტურებს. მაგალითად, 17 წლის ბიჭმა თავისი 13 წლის და მას შემდეგ მოკლა, რაც გოგონას ფურცელზე დაწერილი ტელეფონის ნომერი უპოვეს. ის მაშინვე დაადანაშაულეს უცხო მამაკაცთან კავშირში, რაც მთელი ოჯახისათვის ღირსების შელახვად ითვლება. ძალიან ხშირად ჯერ კიდევ არასრულწლოვან მუსლიმან გოგონებს ძმები ან ბიძაშვილები აუპატიურებენ, რის შემდეგაც კლავენ, ვინაიდან ქორწინების გარეშე ინტიმური კავშირი ცოდვად მხოლოდ ქალს ეთვლება. მოძალადე, რა თქმა უნდა, დაუსჯელი რჩება.

დედოფალი რანია პროგრესული არაბების სიმბოლოდ იქცა, ის სულ უფრო ხშირად ჩნდება ხალხში ხიჯაბის გარეშე, მხარს უჭერს ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს და თავადაც იბრძვის ქალთა უფლებებისათვის.

ეკა ბესელია:

# ირაკლი ოქრუაშვილის საჯარო სამსახურში ყოფნის პერიოდზე პასუხისმგებლობას ვერ ავილებ

**აპრილის საპროტესტო აქციების პარალელურად ხელისუფლებასთან დიალოგზე წასვლის აუცილებლობაზე გამუდმებით საუბრობდა ალასანიას გუნდი და ერთ-ერთ ძირითად მოტივად პოლიტპატიმრების საკითხს ასახელებდა. შედეგი სახეზეა: დაკავებული პოლიტპატიმრებიდან ნაწილმა პირნათლად მოიხადა სასჯელი, ნაწილი დღესაც ციხეშია. მათ რიცხვს მოგვიანებით ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, ეკა ბესელიას ოჯახის წევრებიც შეემატნენ, რომელთა სასამართლო პროცესი დღესაც მიმდინარეობს ბათუმის საქალაქო სასამართლოში. კოკო გამსახურდიამ დახეული საპარლამენტო მანდატი „დააწება“, „ფორუმმა“ სტრატეგია შეცვალა, ალასანია ადგილობრივი არჩევნებისთვის ემზადება, დავითაშვილი-ძიძიგური პრაიმერს ითხოვს, ძმები გაჩეჩილაძეები საეჭვოდ დადუმდნენ, ირაკლი ოქრუაშვილი ისევ არ ჩანს...**
**რას ფიქრობს და რას აპირებს ადვოკატობიდან პოლიტიკაში და პოლიტიკიდან ისევ ადვოკატობაში პარალერულად და იძულებით დაბრუნებული ეკა ბესელია, ამაზე თავად ისაუბრებს.**



**— თქვენი შეფასებით, რა დაკარგა ქართულმა იურისპრუდენციამ და რა შეიძინა ქართულმა პოლიტიკამ ეკა ბესელიას ადვოკატობიდან პოლიტიკაში წასვლით?**

— რა შეიძინა ქართულმა ოპოზიციამ, ეს, ალბათ, ოპოზიციის ლიდერებსა და საზოგადოებას უნდა ჰკითხოთ. დაკარგვით, ალბათ, არც არაფერი. მოვაკლდი პროფესიას, თუმცა პოლიტიკა ჩემთვის სამართლიანობის აღსადგენად ბრძოლის საშუალებაა და ამიტომ პოლიტიკაშიც ვრჩები პროფესიაში დაბრუნების პერსპექტივით.

**— ანუ პოლიტიკაში მოსვლას არ ნანობთ?**

— როგორ შეიძლება ვინანო?! ჩემი პოლიტიკაში მოსვლა დაემთხვა ყველაზე საინტერესო და საპასუხისმგებლო დროს. 2007 წლის სექტემბერი საქართველოში ახალი პოლოტიკური კალენდრის თავფურცელი იყო. ჩემთვის პოლიტიკაში მოსვლა იყო მძიმე გადაწყვეტილება უმძიმესი შედეგებით, მაგრამ მაინც არ ვნანობ. როგორც ქალბატონი ნანა ჩაჩუა იტყოდა, „თავი გავიმეტე“ ამისთვის...

**— თავი გაიმეტე რისთვის?.. იმედგაცრუებისთვის, თანამებრძოლებისაგან განხიბლვისთვის, ადამიანური სისუსტეების აღმოჩენისთვის, 116 დღე აქციებზე ყოფნისა და ხმის დაკარგვამდე მეგაფონთან დგომისათვის?.. რისთვის „გაიმეტე“, რა შედეგისათვის და ღირდა კი ის „გამეტება“ ამად?**

— ჩემთვის ქვეყნის სიყვარული არც სადღეგრძელო ყოფილა და არც საჯარო გამოსვლა. ეს საქმითაც გამოჩნდა.

## დღეს ჩემი შვილი და ძმა მხოლოდ იმიტომ არიან განსასჯელები, რომ ჩემი ოჯახის წევრები არიან და მათაც ასევე უყვართ ქვეყანა...

**— ეს ნიშნისმოგება, რასაკვირველია, პირდაპირ თქვენ არ გეკუთვნით, მაგრამ, როგორც ყოფილი გენერალური პროკურორისა და შს მინისტრის — ირაკლი ოქრუაშვილის თანამებრძოლის მისამართით ბევრი ამბობდა – „ახლა ეკა ბესელიამ გამოცადოს საკუთარ თავზე, როგორია, როცა უდანაშაულო ოჯახის წევრებს გიპატიმრებენო“...**

— თუკი ირაკლის გამო ვინმეს ეს ფაქტი ეამა, ვწუხვარ მათი სიმდაბლის გამო...

**— თავად თქვენ სულ მცირე უხერხულობასა და დისკომფორტს მაინც არ გიქმნით ის გარემოება, რომ ირაკლი ოქრუაშვილის ყოველი დაპირება – მინისტრობის დროს ოსეთში ახალი წლის შეხვედრის დაქადნებით დაწყებული, დღემდე საქართველოში ჩამოსვლის მოლოდინით დამთავრებული – რეალობად არ იქცა?**

— ირაკლი ოქრუაშვილის საჯარო სამსახურში ყოფნის პერიოდზე პასუხისმგებლობას ვერ ავილებ. 2007 წლის 25 სექტემბრიდან დღემდე კი ეს ნამდვილად შემიძლია. რაც არ უნდა მოსწონდეს ვინმეს ირაკლი ოქრუაშვილი, ობიექტურობა ყველასაგან მოითხოვს იმის აღიარებას, რომ სწორედ ირაკლიმ დაძრა პროცესები „გაყინული წერტილიდან“ და ისეთი დარტყმა მიაყენა სააკაშვილს, როგორიც ვერც ერთმა ლიდერმა ვერ შესძლო და ვერ გაიმეორა.

რაც შეეხება ოქრუაშვილის საქართველოში ჩამოსვლას, ეს ის შემთხვევაა, როცა მხოლოდ ერთი ადამიანის ინიციატივა ვერ განსაზღვრავს ზოგად პოლიტიკურ კლიმატს. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ირაკლი ოქრუაშვილს საქართველოში ჩამოსვლის მზაობა ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამისთვის ოპოზიციური სპექტრი არ აღმოჩნდა მზად.

## ვფიქრობ, ქართული ოპოზიცია დღესაც არ არის მზად მსგავსი გადაწყვეტილებისათვის...

**— ალბათ, არც მაშინ იყო ოპოზიცია ამისთვის მზად, როცა დაპირებებს იძლეოდა. სწორედ ამიტომაც ვერ გაამართლა ორ გადამწყვეტ ეტაპზე განსა-** ▶

# სააკაშვილთან «დუელში» ლევან გაჩეჩილაძე დამარცხდა

# «BLACKWATER»-ის მებრძოლები ცსს-ის საიდუმლო დაჭერებში მონაწილეობდნენ

**კერძო დაცვის კომპანია „Blackwater Worldwide“-ის მებრძოლები ცსს-ის ზოგიერთ დელიკატურ ოპერაციაში — ერაყსა და ავღანეთში მეამბოხეობაში ეჭვმიტანილი ადამიანების დაჭერებსა და ტრანსპორტირებაში მონაწილეობდნენ.**




დაჭერები 2004-დან 2006 წლამდე ერაყში მეამბოხეებთან ბრძოლისას ლამის ყოველ ღამე ხორციელდებოდა და „Blackwater Worldwide“-ის მებრძოლები მასში მთავარ როლს ასრულებდნენ. რამდენიმე ყოფილმა მებრძოლმა განაცხადა, რომ ოპერაციებში მათი მონაწილეობა იმდენად ჩვეულებრივ საქმედ იქცა, რომ ცსს-ის სამხედროებსა და „Blackwater Worldwide“-ს შორის საზღვრები ფაქტიურად წაიშალა. იმის ნაცვლად, რომ ცსს-ის თანამშრომელთა უსაფრთხოება უზრუნველეყოთ, დაცვის წევრები ერაყსა და ავღანეთში ბოევიკების დაკავებისა თუ განადგურების ოპერაციებში მონაწილეობდნენ. ამ საიდუმლოების გახსნა ნათელს ხდის სადაზვერვო უწყებისა და კერძო დაცვის ბევრად უფრო მჭიდრო კავშირებს, ვიდრე ამის შესახებ მთავრობის წარმომადგენლები ირწმუნებოდნენ.

„ეს ძმური ურთიერთობა იყო. — განაცხადა ცსს-ის ერთ-ერთმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა, — ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს „Blackwater“-ი სადაზვერვო სამმართველოს გაგრძელებას წარმოადგენდა“.

# რუსეთის საერთაშორისო რეზერვებმა 450 მილიარდ დოლარს გადააჭარბა

**რუსეთის საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 450 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.**

მიმდინარე წლის 27 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე ქვეყნის რეზერვები 1,5 მილიარდი დოლარით გაიზარდა და 451,2 მილიარდი შეადგინა. 440-მილიარდდოლარიან ზღვარს რუსულმა რეზერვებმა 13 ნოემბერს გადააჭარბა. საერთო ჯამში ნოემბრის შუა რიცხვებიდან დეკემბრის დასაწყისამდე მარაგების მოცულობა 9,5 მილიარდით გაიზარდა.

# იაკობაშვილი ინფორმაციას ახალგორის დასაბრუნებლად მზადებაზე უარყოფს

სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი უარყოფს რუსული საინფორმაციო წყაროებით გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს საქართველო ახალგორის დასაბრუნებლად ემზადება. თემურ იაკობაშვილი კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ „საერთაშორისო თანამეგობრობამ კარგად იცის, ვინც არის აგრესორი“.

**◀ კუთრებით გამოკვეთილმა ორმა ლიდერმა – ირაკლი ოქრუაშვილმა და ლევან გაჩეჩილაძემ — ხალხის იმედები. როგორ ფიქრობთ, რა დააკლო თითოეულმა მათგანმა სასურველი შედეგის მიღებას?**

— ირაკლი ოქრუაშვილმა იმ ეტაპზე, ალბათ, მაქსიმუმი გააკეთა. რაც შეეხება ლევან გაჩეჩილაძეს, მას, ალბათ, იმაზე მძიმე ჯვარი ხვდა, ვიდრე ტარება შეეძლო... სამწუხაროდ, ლევან გაჩეჩილაძე სააკაშვილთან „დუელში“ დამარცხდა. სამწუხაროდ, მან ვერ შეძლო გადამწყვეტ მომენტში ლიდერის წილი პასუხისმგებლობის აღება. სააკაშვილისთანა უპირო და მატყუარა ფიგურასთან დიალოგი არ იყო საუკეთესო და შედეგის მომტანი პოლიტიკური სვლა, ამიტომაც დასრულდა ყველაფერი ისე, როგორც დასრულდა. დრო უფრო უკეთ წარმოაჩენს ამ ორი წლის მანძილზე განვითარებული მოვლენების სიღრმესა და სისწორეს; თუმცა მე მაშინაც ასე ვფიქრობდი და დღესაც ასე ვფიქრობ, რომ

## 13 და 18 იანვარს შეცდომა იქნა დაშვებული, უფრო გაბედული ნაბიჯების გადადგმა იყო საჭირო.

**— ოპოზიცია იხტიბარს არც დღეს იტეხს, არადა, ფაქტია: აქციებს საზოგადოების ჯერ ძალების დემონსტრირების, შემდეგ კი ნიჰილიზმში ჩავარდნის გარდა, შედეგი არ მოჰყოლია. რას შეცვლიდით, 2007 წლის 26 სექტემბრის, 2008 წლის 5 იანვრის, 2009 წლის 9 აპრილის სასტარტო მდგომარეობაში დაბრუნება შესაძლებელი რომ იყოს?**

— ნუ დაგვავიწყდება, რომ ოპოზიციამაც შეძლო საკუთარი ძალების დემონსტრირება. რაც შეეხება შეცდომებს, რასაკვირველია, შეცდომებიც იყო, მაგრამ სასურველი შედეგი რომ არ მოჰყვა, ეს წარუმატებლობისა და უიმედობის განცდას არ უნდა იწვევდეს. შეცდომებს გაანალიზება და გამოსწორება სჭირდება.

რაც შეეხება კონკრეტულ თარიღებს, საინტერესო ისტორია აქვს, რაზეც ოდესმე მემუარებში დავწერ. მაგ., 2007 წლის 25 სექტემბერს... 2008 წლის 5 იანვარს მოგებული ხმები უნდა დაგვეცვა და მეორე ტურისთვის უფრო გაბედული ნაბიჯები გადაგვედგა... 2009 წლის 9 აპრილს მოხდა ის, რაც დაგეგმილი იყო, ეს არ იყო ერთდღიანი აქცია...

ამ ორი წლის მანძილზე დასახელებულ თარიღებს შორის იყო ისეთი დღეები, როცა სხვა სტრატეგიით მოქმედება, ჩემი აზრით, უკეთეს შედეგს მოიტანდა; მაგალითად, 2008 წლის 13 და 18 იანვარი და 2009 წლის 26 მაისი...

**— მემუარების დაწერამდე დღეს მორიგი პოლიტიკური გადაწყვეტილება გაქვთ მისაღები. განვლილი ორი წლის შემდეგ ვისთან ერთად გააგრძელებთ ბრძოლას და ვის გვერდით დგომაზე იტყვით უარს? ფაქტია, ის, ვისგანაც თავი ყველაზე შორს გეჭირათ (ანუ ნინო ბურჯანაძისგან), დღეს ყველაზე ახლოს დგას თქვენთან; ხოლო ოდესღაც ყველაზე ახლოს მდგომი პოლიტიკური სუბიექტები (მაგალითად, „ფორუმი“) დღეს ყველაზე შორს დგანან...**

— განვლილმა ორმა წელიწადმა ზუსტი დასკვნების გაკეთების საშუალება მომცა. დღეს უკვე ზუსტად ვიცი, ვინ არის სანდო და ვინ — არა. იმედები ბევრმა გამიცრუა და ცოტამ გამიმართლა. ბრძოლას უდაოდ გავაგრძელებ, სამწუხაროდ, ჩემი მომავალი თანამებრძოლების წრე დიდი ვერ იქნება; მაგრამ ასეთ ბრძოლაში გადამწყვეტი ხარისხია და არა — რაოდენობა.

**— იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ოჯახის წევრებს გაამართლებენ და ოთხთვიანი პატიმრობის შემდეგ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლებენ, ხელისუფლება ამ ნაბიჯით აუცილებლად შეეცდება თქვენს კომპრომიტირებას. ოპოზიციის ისედაც შელახულ რეპუტაციას (ზოგი გაიყიდა, ზოგი გადაიბირეს, ზოგი დაადუმეს), შესაძლოა, დაემატოს მორიგი ეჭვი, რომ ამჯერად ეკა ბესელია „განაიარაღეს“ ოჯახის წევრების გამოშვების სანაცვლოდ...**

— ჩემი განიარაღების საშუალება მიხეილ სააკაშვილსა და ვანო მერებიშვილს, ცალ-ცალკეც და ერთადაც, არ გააჩნიათ! ეს მათ შესაძლებლობებს აღემატება.

## ვიდრე ეს რეჟიმია საქართველოში გამეფებული, ბრძოლას არ შევწყვეტ!

ასე რომ, არც მაინტერესებს და არც მაღელვებს სააკაშვილისეული „შავი პიარტექნოლოგიები“ რა ინტენსივობით ამუშავდება და რას დაბეჭდავს მათი „პირადი უწყება“, ანუ გაზეთი „პრაიმტაიმი“. წერონ და იკითხონ...

ესაუბრა
**ელგა ფოლადიშვილი**

# სამედიცინო დაწესებულებები საგანგებო რეჟიმზე გადავიდნენ

**„ღორის გრიპის“ გახშირებული შემთხვევების გამო სამედიცინო დაწესებულებებში დღეიდან საგანგებო რეჟიმია გამოცხადებული.**




**დაინფიცირებულებს უკვე რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ასევე 31-ე ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე ბავშვთა კლინიკასა და ხილიანის ქუჩაზე გახსნილ ინფექციურ საავადმყოფოში მოემსახურებიან. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ბავშვთა სახლებისა და მოხუცთა თავშესაფრების მედიკოსები დაიბარეს და ახალი რეკომენდაციები გააცნეს: დაავადების დროული დიაგნოსტიკა, ტამიფლუთი მკურნალობა, სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება და დაინფიცირებულთა თეთრეულისა და ჭურჭლის ქლორიან წყალში გარეცხვა.**

# აფხაზურ არჩევნებში ქართული მხარის ჩარევა უარყოფით შედეგს მოიტანდა

**აფხაზეთში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში ლიდერობისთვის ხუთი კანდიდატი იბრძოდა: ბესლან ბუთბა, ზაურ არძინბა, ვიტალი ბგანბა, სერგეი ბაღაფში და რაულ ხაჯინბა. ექსპერტების თქმით, აფხაზი მოსახლეობისთვის მთავარი მოპოვებული სტატუსის შენარჩუნებაა. ისინი პრეზიდენტს სწორედ ამ უპირატესობით ირჩევდნენ, თუმცა ადგილობრივები უპირატესობას მაინც მოქმედ პრეზიდენტს ანიჭებდნენ.**

## ადგილობრივები ახალი ლიდერის მოსვლას მაინც ერიდებოდნენ და უპირატესობას მოქმედ პრეზიდენტს ანიჭებდნენ



აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებში, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც, გაღმა მცხოვრები ქართველობაც მონაწილეობდა. ისინი აქტიურობით არ გამოირჩეოდნენ და უნებართვოდ დაბრუნებულები ლიდერისგან მხოლოდ ხელშეუხებლობასა და უსაფრთხოებას ითხოვდნენ. მათი მთავარი საფიქრალი მშვიდი ცხოვრებაა, რომელსაც უკანონო შეიარაღებული ბანდფორმირებები ხშირად ურღვევენ. ჩვენ დავუკავშირდით ენგურს გაღმა მცხოვრებ ქართველებს, რათა გაგვერკვია, თუ რა ვითარებაა ამჟამად აფხაზეთში და რომელ კანდიდატს მიანიჭეს უპირატესობა.

**ლალი გერგედავა, გალის რაიონის მკვიდრი:** „შევეგუეთ აქ ცხოვრებას, რომელსაც მუდმივი შიში ახლავს. არჩევნების დროს საზღვარზე კონტროლი იყო გამკაცრებული. ამიტომაც გვიჭირს ენგურს გამოღმა გადმოსვლა. ჩვენ, უბრალო მოსახლეობა, პოლიტიკისგან შორს ვდგავართ. მთავარია, სიმშვიდე სუფევდეს. **ადგილობრივმა ქართველობამ წინა საპრეზიდენტო არჩევნებში დიდი აქტიურობა გამოავლინა. დღეს ისეთი მუხტი არ იყო. არც ბაღაფში ცდილობდა, ძველებურად კარდაკარ ევლო.** სიმართლე გითხრათ, არც გვინდოდა ბაღაფში სხვას შეეცვალა. მართალია, ჩვენთვის ბევრი არაფერი გაუკეთებია, მაგრამ მაინც შეჩვეული პრეზიდენტი გვირჩევნია.“

**შალიკო ბაგათელია, გალის რაიონის მკვიდრი**: „საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში ვცხოვრობთ. ბაღაფშის მთავრობა ცდილობდა, მოსახლეობას მშვიდ გარემოში ეცხოვრა, მაგრამ ამის უზრუნველყოფა მაინც უჭირდა. ერთი სული გვქონდა, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულებულიყო. ჩვენ აქ ოჯახებით ვცხოვრობთ — გვყავს შვილები, შვილიშვილები და, ცხადია, ყოველგვარ დაპირისპირებას ვერიდებით. წინა არჩევნებში საშუალება მქონდა, ჩემი პოზიცია დამეფიქსირებინა. მართალია, ბაღაფშმა დანაპირების სრულყოფილი შესრულება ვერ შეძლო, მაგრამ ახლაც ქართველი მოსახლეობა მაინც მას ვანიჭებდით უპირატესობას. ჩვენთან მეგობრობენ აფხაზები. ვიცი მათი შეხედულებაც. ისინი ბაღაფშს ემადლიერებიან. იმედს ვიტოვებთ, რომ ამ არჩევნების შემდგომ დაძაბულობა განიმუხტება და შედარებით მშვიდობიანად ვიცხოვრებთ. პრეზიდენტობის კანდიდატები შეეგუებიან მარცხს და ბაღაფშს ნორმალური მუშაობის საშუალება მიეცემა.“

**ნუნუკა გაბისონია, გალის რაიონის მკვიდრი:** „პოლიტიკურ პროცესებში ნაკლებად ვერევით, მაგრამ ამ არჩევნებში ჩვენი პოზიცია დავაფიქსირეთ. **ადგილობრივები შევეჩვიეთ ბაღაფშს. გვინდოდა, რომ ისევ მას გაემარჯვა**. ვერ გეტყვით იმას, რომ ჩვენდამი ლმობიერია ან განსაკუთრებული მიდგომებით გამოირჩევა, მაგრამ მაინც მასზე გავაკეთეთ არჩევანი. რატომღაც გვეგონა, რომ ახალი ლიდერი ახალ პრობლემებს მოგვიტანდა. **დანარჩენ კანდიდატებს ისედაც ნაკლებად ვიცნობდით და ამიტომაც ვერიდებოდით ახლის მოსვლას. რაც შეეხება პასპორტს, ახალი არ ამიღია, ძველი რუსული პასპორტი მქონდა, რითაც არჩევნებში მონაწილეობის მიღება შესაძლებელი იყო.**“

**ერთი სიტყვით, პრეზიდენტობის ხუთი კანდიდატიდან მეტი პოპულარობით, სერგეი ბაღაფში სარგებლობდა. საინტერესოა, რას მოუტანს ეს არჩევნები საქართველოს და როგორ შეიძლება განვითარდეს არჩევნების შემდგომი მოვლენები? აღნიშნულთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიო“ ექსპერტ პაატა ზაქარეიშვილს დაუკავშირდა.**

— საქართველოს ეს არჩევნები არაფერს მოუტანს, — **აცხადებს ზაქარეიშვილი,** — მაგრამ აფხაზეთში ისეთი განწყობა სუფევს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია არჩევნების მშვიდობიანად, ნორმალურად, დემოკრატიულად ჩატარება, რაც მოხდა კიდეც. მათი მიზანი იყო, მსოფლიოსთვის აფხაზეთში არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინათ. სიმართლე გითხრათ, განსაკუთრებულ ექსცესებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, ახლა არც ველოდი და ჩემი პროგნოზით, სერგეი ბაღაფში უალტერნატივო იყო. **გაყალბების ალბათობა მაღალი იქნებოდა, რადგან ბაღაფშს შესაძლოა 50% პირველივე ტურში ვერ აეღო. მართალია, ის რეიტინგით ყველას უსწრებდა, დაახლოებით 45% ფლობდა, მაგრამ თუ 50%-ს ვერ აიღებდა და მეორე ტური დაინიშნებოდა, შესაძლოა პრობლემები შექმნოდა.** გალის რაიონის ქართველობას აფხაზურ არჩევნებში აქტიურობამ ნაკლებად მოუწია. მოგეხსენებათ, საარჩევნო კოდექსი შეიცვალა და, ვისაც პასპორტები არ ჰქონდა, ის ფორმა №9-ით არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა.

**— პრეზიდენტის სავარძლის მოსაპოვებლად ხუთი პიროვნება იბრძოდა, ვინ გესახებოდათ ბაღაფშის ძლიერ მოწინააღმდეგედ?**

— ლიდერობას მაინც მოქმედი პრეზიდენტი ინარჩუნებდა. ძლიერ კონკურენტად ოპოზიციურ წრეებში რაულ ხაჯინბა მოიაზრებოდა. მის მომხრეთა შორის უმეტესად ოპოზიციურად მოაზროვნე ადამიანები არიან. მეორე, შედარებით ძლიერი კანდიდატი ბესლან ბუთბა გახლდათ, თუმცა არჩევნებში ამ უკანასკნელის წარმატებაზე საუბარი საეჭვო იყო. მართალია, მას ფული ჰქონდა, მაგრამ აფხაზ მოსახლეობაში ის ლიდერის პოზიციას მაინც ვერ ფლობდა. უფრო მეტსაც გეტყვით, მან საპარლამენტო არჩევნებისას საკუთარ სოფელშიც კი ხმათა საკმარისი რაოდენობა ვერ დააგროვა. ბაღაფშს პირველსავე ტურში რომ ვერ გაემარჯვა, მაშინ შესაძლოა, ოპოზიციური ძალები გაერთიანებულიყვნენ და მას მეორე ტურის გადალახვა გაუჭირდებოდა, თუმცა ბაღაფში მაინც იმარჯვებდა.

**— თქვენ ფული ახსენეთ, როგორც ცნობილია, არჩევნებში ფინანსები წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია...**

— დიახ, ფინანსები გადამწყვეტია და კარგადაც ,,მუშაობს“ განვითარებულ ქვეყნებში. იქ კი არჩევნებში გადამწყვეტ როლს სომხები და აფხაზები ასრულებდნენ, რადგან გალის რაიონის მკვიდრ მხოლოდ 3500 კაცს ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება — მხოლოდ ამდენზე გაიცა პასპორტები და, რომც მოენდომებინათ, მეტს ვერც გააყალბებდნენ. თანაც აფხაზეთში ნაციონალიზმის იდეა უფრო მაღალ დონეზეა. მათთვის დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრივი იდეოლოგია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფული. ამიტომაც იქ მთავარი აქცენტი ფინანსებზე ვერ გაკეთდა.

## აფხაზები ადვილად არ იყიდებიან, სომხებს კი შეიძლება ფულიც აეღოთ.

ამიტომაცაა, რომ ბუთბამ თავისივე სოფლის ხმები ვერ იყიდა საპარლამენტო არჩევნების დროს და ახლა რას მოიგებდა? მგონია, რომ იმ ხუთი კანდიდატიდან ბაღაფში გაცილებით ძლიერი პოლიტიკური ფიგურაა. ბაღაფშის გამარჯვებას განაპირობებდა ის გარემოებაც, რომ სწორედ მის დროს მოხდა ე. წ. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, კოდორის ხეობის მიერთება და ე. წ. საერთაშორისო აღიარებების დაწყება რუსეთის, ნიკარაგუისა და ვენესუელის სახით. ზოგადად, ასეთი ნაბიჯები ნებისმიერი ლიდერისთვის წარმატებულ კარიერად ითვლება.

**— მოსალოდნელია თუ არა ექსცესები საზღვრებთან, მოსახლეობაზე ზეწოლა და ა.შ.?**

— თუ წინა არჩევნებს გავიხსენებთ, მსგავსი რამ, რა თქმა უნდა, იყო და ისიც ქართველთა ხელშეწყობით. ჩვენ არჩევნები რომ ჩაგვეშალა, მაშინ ვაღიარებდით იმას, რომ იქ რაღაც არსებობს. ქართველებს მხოლოდ გალის რაიონში შეეძლოთ ჩაეშალათ არჩევნები, მაგრამ გუდაუთასა და სხვა რეგიონებში ამას ვერ იზამდნენ.

**— როგორ ფიქრობთ, რას მოუტანს ეს არჩევნები ქართველებს და, საკუთრივ, აფხაზეთს?**

— ჩვენთვის ამ არჩევნებს, არ მგონია, რაიმე სერიოზული შედეგი მოჰყვეს. არსებითად, ამით საქართველოს მიმართ დამოკიდებულება არ შეიცვლება.

რაც შეეხება აფხაზეთს, მოხდა შიდა ლეგიტიმაცია და აფხაზმა ხალხმა გამოარჩია თავისი ლიდერი. ბაღაფში ხალხის მიერაა არჩეული, თუმცა მისი ლეგიტიმაცია პოლიტიკურად სწორი, მაგრამ სამართლებრივად არასწორია.

**ირმა ჩიტაია**

# «შევეგუეთ ცხოვრებას, რომელსაც მუდმივი შიში ახლავს»

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მოსკოვური მედიაფორუმი და მომავლის საკითხები



**ევროპული და აზიური მედიის მოსკოვურმა ფორუმმა, რომელიც „რია-ნოვოსტის" თაოსნობით რუსეთის დედაქალაქში გაიმართა, განსაკუთრებული ყურადღება არა მხოლოდ ფორუმის წარმომადგენლობით, არამედ განსახილველი თემატიკითაც მიიპყრო. ფორუმზე თავი მოიყარეს ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს ბეჭდური და ელექტრონული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების 150-ზე მეტმა მთავარმა რედაქტორმა და ტოპ-მენეჯერმა.**

ფორუმმა, რომლის მიზანი პოსტსაბჭოთა სივრცეში პოზიტიური საინფორმაციო პარტნიორობის პერსპექტიული მოდელის შემუშავება იყო, პოლიტიკური დატვირთვაც შეიძინა, რადგან მასში მონაწილეობა მიიღეს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა, საგარეო საქმეთა და კავშირგაბმულობისა და მასობრივი კომუნიკაციების მინისტრებმა — სერგეი ლავროვმა და იგორ შჩეგოლევმა, ასევე, დსთ-ს აღმასრულებელი კომიტეტის აღმასრულებელმა მდივანმა სერგეი ლებედევმა. ორდღიანი დატვირთული პროგრამა ფორუმის მონაწილეების შეხვედრებსა და დისკუსიებს ითვალისწინებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ კოლეგებს მიესალმა ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჯიმ ბუმელა, რომელიც მოსკოვს საგანგებოდ ამ ფორუმზე დასასწრებად ეწვია.

**განსაკუთრებით ქართველი მკითხველისთვის უნდა აღვნიშნო რუსეთის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს გადაწყვეტილება, ამ ფორუმზე არ მიეწვიათ რუსეთის სახელმწიფოს მიერ შარშან დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარებული ორი ქართული ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლები. თუმცა ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან, ბუნებრივია, აფხაზური და სამხრეთ ოსური დელეგაციების ფორუმზე დასწრება ქართული დელეგაციის პროტესტს გამოიწვევდა.**

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ჟურნალისტების ფორუმში მონაწილეობამ გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და ამ ვიზიტის მხოლოდ პოლიტიკურმა მხარემ მიიქცია საზოგადოებისა და ხელისუფლების ყურადღება, უნდა ითქვას, რომ ფორუმი, უპირველესად, პროფესიული ნიშნით გამოირჩეოდა. პლენარული სხდომების დღის წესრიგი — **„პოსტსაბჭოთა სივრცის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და საზოგადოებრივი განვითარება. ახალი პროფესიული მიდგომები და ტენდენციები", „მულტიმედიური მასობრივი ინფორმაციის საშუალებები — ინფორმაციის წარმოებისა და გავრცელების ახალი ტექნოლოგიები", „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და კულტურათაშორისი თანამშრომლობის პრობლემები", „მასობრივი ინფორმაციის ბეჭდური საშუალებები: როგორ დავეწიოთ მოვლენებს", „ყველგანშეღწევადი ტელემაუწყებლობა: პროგრამა ხვალისთვის", „ციფრული ტექნოლოგიები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები", „ჟურნალისტის როლი მულტიმედიურ მასობრივ ინფორმაციის საშუალებებში", „ვინ აქცევს პრესას იარაღად? ინფორმაციული დაპირისპირების ბუნება", „გლობალური კრიზისი და მასმედია",** — სწორედ ამ საკითხებს ეძღვნებოდა, ხოლო დასკვნითი სხდომა სახელწოდებით **„ერთობლივი მედიასივრცე: მხარეთა პასუხისმგებლობა"** პირდაპირ მიანიშნებდა საკითხის აქტუალობას.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, შესაბამისად შეწყდა კონტაქტებიც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ჟურნალისტებს შორის, რამაც არა მხოლოდ პირადი, არამედ პროფესიული ურთიერთობებიც დააზარალა. სხვაა, როდესაც გიყვებიან, მაგრამ საკუთარი თვალით ნანახი კიდევ უფრო ამძაფრებს ამ ურთიერთობების აუცილებლობას — დიდი ხნის უნახავი მონატრებული კოლეგები ერთმანეთს გულითადად მოიკითხავდნენ, ხოლო ახალგაზრდა ჟურნალისტების მეგობრობას სწორედ ამ ფორუმზე ჩაეყარა საფუძველი. **როგორც „რია-ნოვოსტის" მთავარმა რედაქტორმა სვეტლანა მირონიუკმა აღნიშნა, ევროპისა და აზიის მედია-ფორუმი მომავალშიც არაერთხელ გაიმართება და ის მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს მოიცავს.** მეგობრობა მეგობრობად, მაგრამ ფორუმის მნიშვნელობას სწორედ პროფესიული ჟურნალისტური ურთიერთობების განმტკიცება-გაღრმავება წარმოადგენს. გამოცდილება, რომელსაც კოლეგები ერთმანეთს ვუზიარებდით, უთუოდ წაადგება თითოეულ ჩვენგანს მომავალ პროფესიულ საქმიანობაში, ხოლო კონტაქტები, რომლებიც ამ ფორუმის ფარგლებში დამყარდა, კიდევ უფრო წარმატებულს გახდის ამ საქმიანობას.

ფორუმის მონაწილეებს საშუალება გვქონდა, არა მხოლოდ პლენარულ სხდომებში მიგვეღო მონაწილეობა, არამედ უშუალოდ გავსაუბრებოდით კოლეგებს და მათგან ამომწურავი ინფორმაცია მიგვეღო მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ისინიც დიდ ინტერესს იჩენდნენ საქართველოს მიმართ და არა მხოლოდ პრესის თავისუფლების თვალსაზრისით...

ჩვენი დელეგაციის წევრები წმინდად შიდა ქართული პრობლემატიკის შესახებ მსჯელობას თავს ვარიდებდით და მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მტკივნეული საკითხებით ვიფარგლებოდით. ეს არის, უპირველესად, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

**მოსკოვურმა ფორუმმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ამგვარი შეხვედრების მიმართ ქართული მასმედია უფრო მეტ ყურადღებას უნდა იჩენდეს, ხოლო ქართველი ჟურნალისტების მონაწილეობა ამგვარ ღონისძიებებში არა მხოლოდ სასურველი, აუცილებელიცაა.** ეს კოლეგებს გამოცდილების ურთიერთგაზიარების საშუალებას მოგვცემს, დაგვეხმარება ქართული პრობლემატიკის მიმართ მათი ინტერესის დაკმაყოფილებაში და მათი პრობლემების სიღრმეების ჩაწვდომაში. ამიტომაც **მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო „რია-ნოვოსტის" და მისი წარმომადგენლობის ხელმძღვანელს თბილისში ბატონ ბესიკ ფიფიას, რადგან უმაღლესი დონის პროფესიულ ფორუმში მონაწილეობის საშუალება მომცა.**

ფორუმის მსვლელობისას წამოჭრილი საკითხების თაობაზე კვლავაც არაერთხელ ვიმსჯელებთ, რადგან ეს საკითხები არა მხოლოდ დღევანდელობის, არამედ მომავლის საკითხებიცაა.

დროს ნუ ჩამოვრჩებით.

**ბონდო მძინარაშვილი**

# 25 თებერვალს სააკაშვილი მორიგ სამხედრო ავანტიურას გეგმავს?

**ჩვენს ქვეყანაში განათლების რეფორმა უფრო და უფრო „მაღალ მწვერვალებს" იპყრობს. ამის ნათელი მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის, წარსულში „აირაის" ხელმძღვანელისა და სოროს-მაკკეინ-ბუშის ძვირფასი შეგირდის — დიმიტრი შაშკინის განათლების მინისტრად დანიშვნის ფაქტი!**

საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაში თუკი ვინმეს წიგნიერებაში პრეტენზია შეიძლება ჰქონოდა, ეს აწ უკვე განთავისუფლებული მინისტრი ნიკოლოზ გვარამიაა, რომელმაც სოხუმის ერთ-ერთი საშუალო სკოლაცა და თბილისის სახ. უნივერსიტეტიც წარჩინებით დაამთავრა და რომელზეც ნამდვილად ვერ იტყოდი, რომ „სამი გოჭი" არ ჰქონდა წაკითხული და გავლენიანი მშობლების იმედით გადიოდა ფონს ამ წლების განმავლობაში!

„რატომ მოხსნეს გვარამია?" — აი კითხვა, რომელიც უმალ დაისვა, როგორც კი ტელევიზიით მისი წასვლის შესახებ გვამცნეს.

როგორც „საქართველო და მსოფლიომ" სამთავრობო კულუარებიდან შეიტყო.

როგორც გვიამბეს, ამის მიზეზი, უპირველესად, არაპროფესიულად შედგენილი სასკოლო პროგრამა ყოფილა, რომელიც ნიკას განათლების მინისტრად დანიშვნისთანავე მიზანში ამოუღია და დახურულ სხდომაზე მთავრობის წევრებისთვის უთქვამს კიდეც: **„სახელმძღვანელოების მაფიას" წერტილი უნდა დაესვას, თორემ ასე რეფორმა კი არა, ვერაფერი გვიშველისო".** შემდეგი შენიშვნა მას შემდეგ გასჩენია, რაც თეა თუთბერიძე სკოლების „დირექტორების დირექტორად" დაუნიშნავთ, რის შემდეგაც გვარამიას უხუმრია: **„საწყალი დირექტორები, თეას შემხედვარეო!"** სულ ბოლოს კი „მეგობრების" წრეში უთქვამს: **„რას ჰგავს მიშა, ასეთი სახით ხალხთან გამოჩენა როგორ შეიძლებაო?"**

„ვინ დამღუპა და საკუთარმა ენამო," — ეს ანდაზა ნიკა გვარამიას შემთხვევაშიც გამართლდა და შედეგმაც არ დააყოვნა... იგი ამჟამად ქართველ უმუშევართა დიდ არმიას შეუერთდა, ოღონდ დიდი უპირატესობის პერსპექტივით — ხელისუფლება მის დასაქმებასა და „განათლებაზე" უეჭველად იზრუნებს, როგორც ეს თავის დროზე ირაკლი ოქრუაშვილის შემთხვევაში მოხდა, როცა იგი თავდაცვის მინისტრობიდან უბრალო აბიტურიენტამდე „ჩამოალაბორანტა" და სწავლის გაგრძელების მოტივით „გზა მშვიდობისა" უსურვა!

როგორც კი დიმიტრი შაშკინი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან განათლების სამინისტროში სირბილ-სირბილით მიიყვანეს და მინისტრად დანიშნეს, იმ დღიდან ქართულ სკოლებში ახალი ტერმინი დამკვიდრდა: სკოლის მოსწავლეები გაკვეთილებს შორის აქამდე „შესვენებად" წოდებულ ინტერვალს ახლა „პრაგულკას" ეძახიან და დირექტორ, მასწავლებელ, დამლაგებელ, მშობლიანად ამ ნოვაციაზე გულიანად იცინიან. **„დავაი პრაგულკაზე", ხელები უკან დაილაგეთ და პირდაპირ „ბალანდის" საჭმელად ბუფეტში, „კამერაში" არ დააგვიანოთ, თორემ „ნადზირატელები" „არას" დაწერენ და წლის ბოლოს „ბოზობაში" გამოცდასაც ჩაგაბარებინებენ!"** — ეს ტექსტი უშუალოდ თქვენმა მონა მორჩილმა მოვისმინე თბილისის 51-ე სკოლაში, სადაც გოგო-ბიჭები უმნიშვნელო მიზეზზე ისე ხანჯლაობენ, თითქოს საზღვარზე მომდგარ მტერთან ჰქონდეთ საქმე. და მაინც, ისეთი რა გარემოების გამო გახდა „იძულებული" ეს ხელისუფლება, რომ „ციხე" მინისტრი განათლების სამინისტროში მოისროლა? „სასჯელაღსრულებაში" ამბობენ: **„დიმა ციხეების „გაკეთილშობილებას" ნამდვილად აპირებდა, მაგრამ არ დააცადესო!"** ოპოზიცია კი ამბობს: „თავისუფლების ინსტიტუტმა კიდევ ერთი საცეცი გაშალა და ახლა განათლების სისტემას საბოლოოდ მოუღებს ბოლოს. სხვათაშორის, შაშკინის დანიშვნამდე რამდენიმე დღით ადრე არც ილია ჭავჭავაძის ძეგლის აღება იყო შემთხვევითი ბათუმშიო!".

ასეა თუ ისე, ერთი რამ ფაქტია: საქართველოში „სწავლა-განათლების" კუთხით ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ერთ „მშვენიერ" დღეს, საკუთარი შვილი მოგიტრიალდეს და გითხრას: **„ამ სიდებილის სწავლას მირჩევნია საერთოდ არ ვისწავლოო"** და მართალიც იქნება, რადგან დღევანდელ სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი სასკოლო პროგრამა ისეა შედგენილი, ადრე უნარშეზღუდული ბავშვებისთვის სპეციალურად რომ იქმნებოდა და რომელსაც ნორმალურად განვითარებული ბავშვების პროგრამასთან საერთო არაფერი ჰქონდა!

სხვათაშორის, ნიკა გვარამიას განათლების სამინისტროდან წასვლას მისი არაკეთილმოსურნე ნაციონალები წარსულში მის მიერ ევროპაში დახარჯულ ათასობით ევროსა და არაკვალიფიციურად წარმართულ სისხლის სამართლის საქმეებშიც ხედავენ, რომელთა დიდი უმრავლესობა დღეს სტრასბურგის სასამართლოშია გასაჩივრებული და, როცა ბატონი ნიკა გენპროკურორის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა, შიგადაშიგ დოკუმენტური ფილმის რეჟისორ-გამხმოვანებლის თანამდებობასაც წარმატებით ითავსებდა და ბედნიერი ცხოვრებით ტკბებოდა. ამბობენ იმასაც, რომ გვარამიას ქრთამი არასოდეს აუღია, მაგრამ დიდი წარმატებით „ტეხავდა" სამილიონო თანხებს და ამის საფუძველზე კარგა გვარიანი „დანაზოგისთვისაც" მოუყრია თავი, რისი მეშვეობითაც სახლიც უყიდია და ვიზუალურად კარგადაც ჩაპუტკუნებულა! **ნაციონალები არც იმას გამორიცხავენ, რომ ბატონმა ნიკამ რამდენიმე „დევნილობაში" მყოფ პარტიაში ჩაუშვას ლუზა, რათა „მეორედ მოსვლის ისტორიულ პროცესებში" თავისი ინტელექტუალური წვლილი შეიტანოს!**

ისე კი, რა გასაკვირია? განა პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ყოფილი პრემიერ-მინისტრი, საპარლამენტო „ვენოკი პარტიები", რომლებიც მიშას ყოველთვის „უპრავებდნენ" დემოკრატიული პარლამენტის ანტურაჟს, ყოფილი მინისტრები, არასამთავრობო სექტორი და, რაც მთავარია, ყოფილი მედია „მაგნატები" ეროსი კიწმარიშვილის თამადობით დღეს ე. წ. ოპოზიციაში არ გადმოლაგდნენ? რა, ნაცნობი სურათია? ასე არ იყო 2003 წლის ნოემბრამდეც?

ახლა მედია იმაზე მკითხაობს, რომელ მინისტრს გადაუგდებს ოპოზიციას ერთ ბარტყად მიხეილ სააკაშვილი? ავი ენები ამბობენ: მორიგი ვაკანსია იუსტიციის მინისტრის პოსტი იქნებაო, რადგან ზურაბ ადეიშვილი მძიმედ ავადაა (ამის შესახებ „საქართველო და მსოფლიო" ზაფხულში წერდა) და მის შემცვლელს სამთავრობო ოპოზიციაში ხედავენ ნიკა ლალიაშვილის სახითო (უშიშროების კადრები ყველა დროში მოთხოვნადი იყო), ხოლო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრად შაშკინის შემდეგ გიორგი ღვინიაშვილის, ლევან ჭაკუასა და დავით ზარანდიას კანდიდატურები განიხილებაო!

ალილო და ხვალეო, ვნახოთ, როგორი ახალი წელი გვექნება და ისიც საარჩევნო, თუ, რა თქმა უნდა, თებერვალმა მშვიდობიანად ჩაიარა! **ამბობენ, თებერვალში საქართველოს უპირველესი ხელისუფალის წყალობით კიდევ ერთი სამხედრო ავანტიურა განხორციელდება (მე შენ გეტყვი, ჯერ არ უქნია და ჭკუა დაუშლის!) და, როგორც ეს გასული საუკუნის ოციან წლებში მოხდა, 25 თებერვალს თბილისის თავზე სხვა დროშა აფრიალდებაო.**

**ირინე გოგოსაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ჩინური ჭაღებით განათებული თბილისი და ღია ცის ქვეშ დარჩენილი რამდენიმე ათასი დევნილი



**საახალწლოდ დედაქალაქის გალამაზება, რამდენიმე კვირაა, რაც დაიწყო. როგორც მერიაში აცხადებენ, თბილისის განათება და მორთვა, მილიონ-ნახევარი ლარი დაჯდება, ჭაღების ფასი კი 13 000 ლარს აღემატება. სამწუხაროდ, რუსული აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა განათებული თბილისის ფონზე უსახლკაროდ დარჩენილი ხვდება ახალ წელს; არადა, რამდენი სახლის ყიდვას შეძლებდა მათთვის ამ ფულით ხელისუფლება?**

თბილსის მორთვა და საკმაოდ სოლიდური თანხის ხარჯვა ნამდვილად ეჭვს ბადებს, რადგან მალე დედაქალაქის მერის არჩევნებია და ხომ უნდა გიგი უგულავას გაპიარება!

იმის გასაგებად, თუ როგორი განწყობა ექნებოდა დედაქალაქის მოსახლეობას, თუკი საახალწლო განათებები არ დამონტაჟდებოდა ქალაქში და ეს თანხა ლტოლვილებს გადაეცემოდა, თბილისის ფორუმზე — forum.ge-ზე თემა გავხსენით (ამ ფორუმზე 100 000ზე მეტი მომხმარებელი შემოდის).

როგორც ველოდით, მოსახლეობის უმეტესობა მხარს უჭერს ამ თანხის ლტოლვილებზე მოხმარების იდეას, მაგრამ არ სჯერათ, რომ ამ ფულს ხელისუფლება არ „შეჭამს". თუმცა არც „მიხუინებს" დაუროვებიათ ეს საკითხი უყურადღებოდ. აი, რას ფიქრობენ ნაცები:

**„ისე, კარგი პიარაქცია იქნებოდა, „სოლიდარობის აქცია" რომ დაერქმიათ და ქალაქის საახალწლო მორთვისთვის გამოყოფილი სოლიდური თანხა ზარზეიმით დაეხარჯათ რამე „სასიკეთო" საქმეზე. მერე ხომ ყველა ბედნიერი იქნებოდა. ცოტა გულდასაწყვეტი იქნებოდა, არაფრით განსხვავებული ქუჩები ახალ წელს, მაგრამ „ვის უნდა 20 000" და „პროფილის" მსგავი საქველმოქმედო და „ჰეფი ენდით" დამთავრებული სცენა ყველას გულს აგვიჩუყებდა",** — წერს ერთ-ერთი user.

### ისე, საინტერესოა, იმ ჩინურ ჭაღებზე, რომელიც დედაქალაქის ქუჩებში წელსაც ანათებს, შარშან ორი მილიონი ლარი დახარჯეს და ახლა რაღაში ხარჯავს დედაქალაქის მერია მილიონ-ნახევარს?! — ალბათ, ჭაღების დაკიდებაში.

რომც გამოეყოთ ეს ფული ლტოლვილებისთვის, მისი 20%-ც კი არ მოხმარდებოდა ამ გაუბედურებულ ხალხს. სამაგიეროდ „კურიერის" სპეცსიუჟეტიდან დიდი პომპეზურობით მომზადებულ ამ ქველმოქმედებაზე ბევრს ილაპარაკებდნენ.

წინასაარჩევნოდ თბილისის მერი, რა თქმა უნდა, იამაყებს, რომ ამ საახალწლო სამუშაოებზე ათეულობით თბილისელი დასაქმდა და მისი დამსახურებაა, რომ ასე ლამაზდება დედაქალაქი. ამ საახალწლოდ გამოყენებული ნათურების ერთეული ფასი 13 ათას ლარს რომ სცდება, ამის გამო, ნამუსიც არ შეაწუხებთ თბილ სახლებში მოკალათებულ ჩინოვნიკებს. თუმცა რატომ შეაწუხებთ? ამას უკვე მიეჩვივნენ, ჯერ კიდევ ზაფხულში ბათუმის ბულვარში განათების დამონტაჟებისას — ერთი ნათურა 13 700 ლარი დაჯდა. როგორც ჩანს, ამ „ბაზარზე" ფასები ზრდადია.

გადავავლოთ თვალი რეგიონებს. ნორმალური სახლების ფასები, თავისი ეზოთი და მიწის ნაკვეთით, საშუალოდ 10-დან 35 ათას ლარამდე მერყეობს.

იმის ილუზია, რომ 35 ათას ლარს დახარჯავს ხელისუფლება ლტოლვილთა სახლების შესაძენად, ნამდვილად არ გვაქვს, ამიტომ დევნილებისთვის შესაძენი ბინების საშუალო ფასი 10-დან 15 ათას ლარამდე ვივარაუდოთ.

### კახეთში, დუშეთში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთსა და კიდევ რამდენიმე რეგიონში შესაძლებელია ამ ფასად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისთვის საკუთარი სახლების შეძენა მიწის ნაკვეთითა და ხეხილის ბაღით.

ამით ხელისუფლება მათ ბინის პრობლემასაც მოუხსნიდა და დამოუკიდებლად თავის რჩენის შანსს მისცემდა. ამ მილიონ-ნახევრით საქართველოს ხელისუფლება, თითო სახლში რომ 10 ან 15 ათასი ლარი გადაეხადა, დაახლოებით 100-150 სახლის ყიდვას მაინც შეძლებდა.

ერთმა მომხმარებელმა ფორუმზე აღნიშნა, რომ მთავარი ჭამა-სმა არ არის, რადგან ერთ წელს საახალწლო სუფრა ჩემი შვილების საჩუქრების შეძენას შეეწირა და ეს ყველაზე ბედნიერი ახალი წელი იყო ჩემი შვილების მეხსიერებაშიო.

საჭმელზე არც ჩვენ ვსაუბრობთ, ბატონებო, იმ ქალბატონის შვილებს საჩუქრები დაამახსოვრდათ, ამ ხალხს რა უნდა დაამახსოვრდეთ? საახალწლოდ სუპის მოსამზადებელი ადგილიც რომ არ ექნებათ, ეგ? პრინციპში, ეს ყველაზე დასამახსოვრებელი ახალი წელი იქნება...

კი, ნამდვილად ლამაზია მორთული ქალაქი, მაგრამ... თბილისელები და თბილისში მცხოვრები ადამიანების უმეტესობა როგორმე აიტანდა უფრო მოკრძალებულ საახალწლო მორთულობებს. საახალწლო განათებისთვის არ ღირდა ამდენი თანხის დახარჯვა.

### ძალიან ბევრ პრობლემას მინუს თბილისის საახალწლო განათება უდრის 100 სახლს.

ამაზე უკეთესი საახალწლო საჩუქარი იქნებოდა?

**მაგდა კლდიაშვილი**

# რით ირჩენენ თავს ცრუპენტელა სასწავლებლები

**ბოლო ხუთი წლის მანძილზე განათლების სფეროში განხორციელებულ რეფორმას საზოგადოების დიდი ნაწილი პროტესტით შეხვდა. ბევრი იმთავითვე ვარაუდობდა, რომ ლომაიას რეფორმისტული იდეები, რაც, უპირველესად, სწავლების „საბჭოური მეთოდების" დასავლურით შეცვლას გულისხმობდა, მთელ სისტემას ახალი პრობლემების წინაშე დააყენებდა, დღეს კი ეს პრობლემები რეალურად არსებობს და დღითიდღე სულ უფრო მასშტაბური ხდება, თუმცა ყველა „ნაცმოელი" დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ დღესდღეობით ჩვენი განათლების სისტემა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში საუკეთესოა.**

ვისაც ამის სჯერა, რწმენა ნუ მოუშალოს ღმერთმა, რეალობა კი სულ სხვა რამეზე მეტყველებს.

ლომაიასეული რეფორმების წყალობით, არა მხოლოდ ყელამდე პრობლემებში აღმოჩნდა განათლების სფერო, არამედ გაჩნდა ახალი „ფენომენი" — ყალბი დიპლომი, რომელიც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებით „პოპულარული" გახდა უმაღლეს სასწავლებლებში.

ყალბი დიპლომი, რა თქმა უნდა, ლომაიას მოგონილი არ არის, ჩაწყობები და „ფარატინა ქაღალდების" გაცემა მანამდეც ხდებოდა, მაგრამ, ადრე ეს კანონსაწინააღმდეგო ქმედებად თუ ითვლებოდა, დღეს უკვე იმდენად ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, რომ ვიდრე აბიტურიენტი სტუდენტი გახდებოდეს, უპირველესად, იმის გარკვევა უწევს, იძლევა თუ არა მისი ფავორიტი სასწავლებელი „ნამდვილ დიპლომს". წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტმა, შეიძლება, ოთხი წელი ისწავლოს და ბოლოს აღმოჩნდეს, რომ არათუ სახელმწიფო, ანუ „ნამდვილ დიპლომს" ვერ მიიღებს, არამედ საერთოდ არ ითვლებოდა სტუდენტად...

როგორ ახერხებენ ამას ცრუპენტელა უმაღლესი სასწავლებლები და რა შუაშია განათლების რეფორმა?

მოგეხსენებათ, აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მხოლოდ ის სტუდენტები ირიცხებიან, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებს ჩააბარებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა აკრედიტებულ სასწავლებელს მისაღები სტუდენტების კვოტას განათლების სამინისტრო უდგენს. თავის მხრივ, ეს პრობლემებს უქმნის კერძო უნივერსიტეტებს, რომლებსაც ფართის სიმცირისა თუ სხვა შესაბამისი მოთხოვნების შესაბამისად, თითოოროლა სტუდენტის მიღების უფლება აქვთ; ამ თითოოროლა სტუდენტის ქირაზე უნივერსიტეტი, ბუნებრივია, ვერ იარსებებს, ამიტომ სასწავლებლის ხელმძღვანელობა იძულებული ხდება, სხვა გამოსავალს მიმართოს.

### ყველაზე მარტივი გზა ყალბი დიპლომის გაცემა, უფრო ზუსტად, გაყიდვაა,

ამისთვის კი სადმე მიყრუებულ შენობაში ორი, მაქსიმუმ სამი ოთახი, ამდენივე ე.წ. პროფესორ-მასწავლებელი და ეროვნულ გამოცდებში ჩაჭრილი სტუდენტების დარწმუნებაა საჭირო, რომ, თუ სწავლის ქირას დროულად გადაიხდიან, თუნდაც სასწავლებელში საერთოდ არ იარონ, ოთხი წლის შემდეგ ბაკალავრის სახელმწიფო დიპლომი გარანტირებული ექნებათ.

სამწუხაროდ, დღესდღეობით მსგავსი სასწავლებლები მრავლადაა. ზოგიერთი მათგანი საკმაოდ პრესტიჟულადაც ითვლება და ეს, ბუნებრივია, ათმაგად უადვილებს მის ადმინისტრაციას თაღლითურ საქმიანობას.

როგორც სანდო წყარომ გვაცნობა, ამ სასწავლებელთა შორისაა: **წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის ინსტიტუტი, თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტი „გორგასალი" და უნივერსიტეტი „მეტეხი".** სამივე სასწავლებელს, ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულთა გარდა, შიდა გამოცდებით მიღებული ჰყავს ორმოცდაათამდე სტუდენტი, რომელთაც განსხვავებული პროგრამით (ანუ არააკრედიტებული პროგრამით) ასწავლიან და ლექციებსაც ცალკე უტარებენ.

ბუნებრივია, ეს სტუდენტები განათლების სამინისტროს ეროვნულ ბაზაში დარეგისტრირებული არ არიან, ვინაიდან ეროვნული გამოცდებით არ ჩარიცხულან, რაც ნიშნავს, რომ ისინი, ფაქტობრივად, სტუდენტებად არც ითვლებიან.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სასწავლებლებს არ აქვთ თავიანთი საბანკო ანგარიშები (რაც ყველა ლიცენზირებულ სასწავლებელს უნდა ჰქონდეს) — სტუდენტები სწავლის ქირას მდივანს ხელზე აძლევენ (ანუ მათ მიერ გადახდილი თანხა არსად ფიქსირდება) და თანაც ყველა სტუდენტი სხვადასხვა ოდენობის გადასახადს იხდის.

ამის თვალსაჩინო მაგალითი ზემოთ ჩამოთვლილ სასწავლებელთაგან თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტი „გორგასალია", რომელსაც, საბანკო ანგარიშზე რომ არაფერი ვთქვათ, არც ტელეფონი აქვს და არც საიტი. სასწავლებლის გზამკვლევზე მითითებულია მხოლოდ მობილურის ნომერი: 893 931221 და მისამართი: პეკინის ქუჩა №34, თუმცა აღნიშნულ ნომერზე არავინ პასუხობს, პეკინის №34-ში კი, როგორც იქაურმა მცხოვრებლებმა თქვეს, არავითარი სასწავლებელი არ არსებობს. მოკლედ,

### თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტი „გორგასალი" ერთ-ერთია იმ ცრუპენტელა სასწავლებელთა შორის, რომლებიც თავს ყალბი დიპლომების გაყიდვით ირჩენენ. მათი საქმიანობა დღითიდღე სულ უფრო მასშტაბური და საგანგაშო ხდება,

თუმცა ხელისუფლება ჯერჯერობით არ ჩქარობს „ფსევდო-უნივერსიტეტების" ალაგმვას. გასაგებია, რატომაც — მათგან ბიუჯეტში ყოველწლიურად სოლიდური თანხა შედის და თანაც ეს სასწავლებლები გაცილებით უფრო კანონმორჩილი „გადამხდელები" არიან, ვიდრე ზოგიერთი აკრედიტებული. ამასთან, მათი არსებობა იმ მხრივაც ხელსაყრელია, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებში ჩაჭრილ აბიტურიენტებს სწავლის საშუალება ეძლევათ, რაც თავისთავად უამრავი პრობლემის მოგვარებას გულისხმობს...

**ჯაბა ჟვანია**

**P.S. რა ზომები უნდა მიიღოს ხელისუფლებამ ყალბი დიპლომების აღსაკვეთად და უნდა ჩაერთოს თუ არა ამ პრობლემის მოგვარებაში განათლების სამინისტრო? — ამის გასარკვევად შესაბამის უწყებას არაერთხელ მივმართეთ, თუმცა იქიდან ასე გვიპასუხეს: ამის შესახებ არანაირ ინფორმაციას არ ვფლობთ და კომენტარს ვერ გავაკეთებთო...**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# საკნიდან გამომძვრალი გიურზა

**სამთვიანი საპროტესტო აქციების უშედეგოდ და ოპოზიციის გაბითურ-გაჭიტლაყებით დასრულების შემდეგ საზოგადოების ერთადერთ ნუგეშად ტელეკომპანია „მაესტროს" საკნის თუ სააკნის „თვითტყვე" გია გაჩეჩილაძე, იგივე უცნობი, ანუ პატარა გრეჩიხა რჩებოდა. „ვარდოსანთა" „შეუპოვრობით" თავზარდაცემულ ქართველობას „იმედის ხატი" სჭირდებოდა და, რადგან სხვა გზა არ იყო, ნებსით თუ უნებლიეთ, არჩევანიც სწორედ ამ უკანასკნელზე შეჩერდა. იჯდა თავისთვის საკანში პატარა გრეჩო და ჩვენთვის „იმედს" აკეთებდა, ჩვენ კი გულმოდგინედ ვთხრიდით გვირაბს იმის რწმენით, რომ მალე დანიშნულების წერტილამდე მივაღწევდით და გრეჩოც ზარის რეკვით გვამცნობდა გამარჯვებას...**



ვაი ჩვენს პატრონს! ჩვენ რომ „გვირაბის" თხრა დავიწყეთ, იმ დროს უკვე ყველა გასასვლელი გზა მოჭრილი იყო „მამაძაღლი სეთურისა და მოსასპობი თაბაგარის" მიერ, თუმცა ჩვენ ამას ვერ ვხვდებოდით და მომავლის იმედით წრეზე ვტრიალებდით...

სამაგიეროდ, ბრძოლის უპერსპექტივობა დროულად განჭვრიტა პატარა გრეჩომ და საკნიდან ისე გამოძვრა, არც მწვადი დაწვა და არც — შამფური, ანუ, ერთი მხრივ, შვიდთავიანი „ეროვნული გმირის" მძიმე ჯვარი მოიცილა; მეორე მხრივ, საზოგადოების თვალში ისევ იმ პატარა გრეჩოდ დარჩა, როგორიც „ზონდერიანობის" ჟამს მოგვევლინა უფლის ნებით.

მოხერხებაც ამას ჰქვია, მაგრამ, როგორ შეძლო ერთმა კაცმა ამდენი? ყველაფერი ძალზე მარტივია — ჩვენს უახლოეს წარსულს თუ გადავხედავთ, გაგვახსენდება, თუ როგორ შეიქმნა **პატარა გრეჩოსგან** ჯერ **დიდი გრეჩო**, შემდეგ კი **გმირი**, რომელიც ლამის რევოლუციის ტრუბადურად იქცა სრულიად ერისთვის.

ჯერ იყო ნიღბიანი **უცნობი** — ფართო საზოგადოებისთვის ყოვლად გაურკვეველი პიროვნება, რიხიანი შეძახილით: „ქვეყანაშია ფერები მუქი" და აურზაურით, რომელიც ამ სიმღერას მოჰყვა; შემდეგ — შოუბიზნესი და საზოგადოების ინტერესი. თუ ვინ იყო ეს ნიღბიანი პიროვნება, თუმცა როგორც კი მისი რეალური სახე გამოჩნდა, ეს ინტერესი უმალვე განელდა. რევოლუციური შეძახილებიც სკაბრეზმა შეცვალა. ადრე თუ „ქვეყანაშია ფერები მუქის" მოსმენა გვიწევდა, ახლა უკვე დღის წესრიგში „მოდი აიწიე კაბა" დადგა; მოგვიანებით კი შოუბიზნესიც ჩაკვდა და არც „აწეული კაბა" გვინახავს, არც — შემოფხრეწილი...

აი, მაშინ კი მძიმე ჟამი დაუდგა პატარა გრეჩოს, მაგრამ განგებამ მაინც არ გაწირა — დაიწყო აქციები და ყველას, ვისაც კი ამის სურვილი ჰქონდა, საშუალება მიეცა, ტრიბუნაზე ამხედრებულიყო. გრეჩო რის გრეჩო იყო, თუ ამ შანსს არ გამოიყენებდა. მართალია, მიტინგის ტრიბუნაზე არც თუ ხშირად ჩანდა, მაგრამ მისი ნიჭისა და ქარიზმის პატრონს სულაც არ გასჭირვებია მომიტინგეთა გულების ელვისებურად დაპყრობა.

სულ მალე გრეჩომ დიდ წარმატებებს მიაღწია — იგი მკაცრი და ხშირად უხეში, მაგრამ საზოგადოებისთვის გულის მოსაფხანი განცხადებებით გამორჩეული პერსონა გახდა. ხალხმა ისევ აიტაცა მისი „ფრთიანი გამონათქვამები" და ფრაზები, რომელთაგან ზოგიერთი მიტინგებზე ლოზუნგების სახითაც გამოჩნდა. ეს უკვე სერიოზული მიღწევა იყო, თუმცა მთავარი ჯერ კიდევ წინ გველოდა — 6 მაისს, გიორგობა ღამეს, პოლიციის სამმართველოსთან ჟურნალისტის ცემისთვის დაპატიმრებული მომიტინგეების დასახსნელად თავმოყრილ პროტესტანტებს გრეჩომ გმირობის მაგალითი უჩვენა, უშიშრად მიეგება მრისხანე ზონდერებს და მკაცრად მოითხოვა დაკავებულთა გათავისუფლება. მაშინ ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა მისგან ასეთი საქციელი და ვერც გაიგო, თუ რისთვის აკეთებდა ამას „სააკნის ლომი", მაგრამ ორი დღის შემდეგ, როცა პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე თავპირდალეწილი ეროვნული გმირის წოდებაზე წარადგინეს, ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ამისთვის ღირდა „ზონდერთა" ურიცხვ ლაშქართა მარტოდმარტო შერკინება. ანდა, რატომაც არა, თუ ჰეროსტრატე ეფესოელმა საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად არტემიდას ტაძარი გადაბუგა, პატარა გრეჩოსგან დიდი გრეჩოსა და, მით უფრო, ეროვნული გმირის გამოსაძერწად ვითომ რა დიდი დანაკარგი იქნებოდა ერთი-ორი კბილის ჩამტვრევა?! ეს გრეჩოსაც კარგად ესმოდა და ნაწილობრივ, ალბათ, ამითაც იყო განპირობებული მისი გასაოცარი გამბედაობა.

შემდგომი ეტაპი გაცილებით უფრო დაძაბული გამოდგა. „ეროვნული გმირობა", ბუნებრივია, საკმარისი არ აღმოჩნდა დასახული მიზნის მისაღწევად. პირიქით, ეს ერთგვარი ხელისშემშლელი ფაქტორიც კი გახდა მიმდინარე პროცესისთვის, რადგან „სააკნის ლომს" ზოგიერთი რამ თავში აუვარდა და, ადრე თუ საზოგადოებაში იშვიათად ჩანდა, ახლა უკვე „აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ" რეჟიმში დაიწყო წინ და უკან სირბილი.

უფრო მეტიც, 26 მაისს „დინამოს" სტადიონზე გამართულ აქციაზე უკვე გალაღებული და თამამი წარმოგვიდგა, „წოდებაც" კარგად ჰქონდა შეფერებული და აშკარად ეტყობოდა, რომ მართლა გმირად წარმოედგინა საკუთარი თავი. ის სიაფანდობა — მუხლებზე დაცემა, დროშის ტანზე შემოხვევა, ხელების მაღლა აშვერა და ტანჯული სახით ომახიანი შეძახილი: „საქართველო"... სწორედ ამის დასტური იყო. ჰოდა, მაშინ ბევრი მიხვდა, რომ გრეჩო-უცნობის მთელი ძალისხმევა მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ როგორმე „გმირის" ტყავში შემძვრალიყო...

ერთი კია, მთელი ამ პროცესების განმავლობაში გრეჩოს მხედველობიდან გამორჩა ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი — გმირი არ არის მარადიული ცნება, იგი შეიძლება შეიქმნას და დაიმსხვრეს ან, უკეთეს შემთხვევაში, დავიწყებას მიეცეს. შექმნა თუ არა ჩვენმა „სააკნის ლომმა" ეს გმირი, ჯერ კიდევ საკითხავია, მაგრამ თუ შექმნა, უდავოა, რომ მისი დამსხვრევა-ჩარეცხვის პროცესი უკვე თავისთავად მიმდინარეობს. ამის აშკარა გამოხატულებაა თუნდაც ის, რომ „ლომმა" უკვე დატოვა „საკანი №5", ოღონდ არა ისე, როგორც ლომს ეკადრება, არამედ ფარისევლურად, ეშმაკურად, ქვეწარმავალივით.

დიახ, ჩვენი უცნობი, თუ აწ უკვე კარგად ნაცნობი, გრეჩო საბოლოოდ გამოძვრა „დილეგიდან", შეწყვიტა გადაცემები, მაგრამ დასასრულს აბსოლუტურად გაუგებარი ფანდი გაითამაშა —

**ბოლო გადაცემა, რომელშიც იგი სინანულით დაგვემშვიდობა და რომელიც ჩვენ პირდაპირი ეთერი გვეგონა, თურმე სულაც არ ყოფილა პირდაპირი. იმ დროს, როცა ჩვენ ტელეკამერებს თვალცრემლიანი ვუყურებდით, გრეჩო თურმე შორეულ ევროპაში თუ ამერიკაში, მოკლედ სადღაც ცხრა მთას იქით, დასეირნობდა და განცხრომას ექლეოდა...**

აბსოლუტურად გაუგებარია, მით უმეტეს, ჩვენთვის — რიგით მოკვდავთათვის, რაში დასჭირდა მას ამგვარი ტყუილი, მაგრამ იმედს ვიტოვებ, ადრე თუ გვიან დაბრუნდება და „გმირის წოდების" „მომდევნო ეტაპზე" გადასასვლელად თვითონვე მისცემს საზოგადოებას ახსნა-განმარტებას. მანამდე კი მისი და მისი მკვდრადშობილი გმირის სახელის მდგომარეობა ერთი ბრძნული გამონათქვამით შეიძლება შეფასდეს: „უძაღლო ქვეყანაში კატას აყეფებდნენო"...

**ჯაბა ჟვანია**

# სანდრა რულოვსის ქუთაისელ მეგობარს 17 ათასი ამერიკული დოლარი «ააფცქვნეს»!

**რიმა გუმბერიძე საქართველოს პირველ ლედისთან 1991 წლიდან მეგობრობს. სანდრა რულოვსის ქუთაისელი მამობილი ფირუზ კინწურაშვილი მისი ქალიშვილის ნათლია გახლავთ, მაგრამ ირინა ჩაგანავა (ვაჟა-ფშაველას №10-ში მდებარე უძრავი ქონების სააგენტოს ხელმძღვანელი) ქვეყნის პრეზიდენტის მეუღლის მეგობრობასაც არად დაგიდევთ, როცა საქმე ფულს ეხება... მან ოსტატურად ისარგებლა ქალბატონი რიმას გულუბრყვილობით და 17000 დოლარი „ააფცქვნა".**

— **ქალბატონო რიმა, რამ მიგიყვანათ უძრავი ქონების სააგენტოში?**

— 2008 წლის 8 აპრილს ქუთაისში გავყიდე 2-ოთახიანი ბინა 17000 დოლარად, რათა სტუდენტი ვაჟიშვილისთვის თბილისში ბინა დამეგირავებინა. გაზეთ „ცენტრში" მოთავსებული განცხადების საფუძველზე მივაკითხე ვაჟა-ფშაველას №10-ში მდებარე უძრავი ქონების სააგენტოს, რომლის ხელმძღვანელიც ირინა ჩაგანავაა. სწორედ მან შემომთავაზა თანხის გაპროცენტება. ასე მითხრა: ფული ძალიან მჭირდება და მასესხე, მამიდაჩემის — ციური ჩაგანავას ბინას დავტვირთავ იპოთეკითო. თვეში 5 პროცენტზე მოვილაპარაკეთ.

— **რატომ გადაიფიქრეთ შვილისთვის ბინის დაგირავება?**

— ირინა ჩაგანავა შემიჩნდა, გაპროცენტება გირჩევნიაო. მეც ვენდე. რას წარმოვიდგენდი, თუ ჩემი გამოუცდელობითა და გულუბრყვილობით ბოროტად ისარგებლებდა.

— **რომელ ნოტარიუსთან გააფორმეთ იპოთეკური სესხი?**

— ქალბატონ რაიანა ჩანქსელიან-ჩიქოვანთან, რომლის ოფისიც თამარ მეფის გამზირზე №14-ში მდებარეობს, თუმცა ვაჟა ფშაველას №10-შიც არის სანოტარო ბიურო.

— **მაშ, რატომ წაგიყვანათ ქალბატონმა ირინამ თამარ მეფის გამზირზე?**

— მაშინ ეჭვი არ შემპარვია, სამწუხაროდ, გვიან მივხვდი, რატომაც წამიყვანა თავის ნაცნობ ნოტარიუსთან... ბინაში, ჩემ გარდა, პირველ იპოთეკარად 4 ადამიანი ჰყოლია გაფორმებული.

— **თუ ასეა, რატომ მოაწერეთ ხელი დოკუმენტს?**

— ირინა ჩაგანავას სხვა იპოთეკარები ჩემთან არც კი უხსენებია, რას წარმოვიდგენდი, თუ მომატყუებდა. ნოტარიუსმა დოკუმენტი რომ გააფორმა, კაბინეტში მერე შემიყვანეს. ქალბატონმა რაიანამ მკითხა, უკვე ხომ მოილაპარაკეთ ყველაფერზეო. კიმეთქი, ვუპასუხე. მაშინ ამ დოკუმენტზე ხელი მოაწერეთო, — მითხრა. მეც მოვაწერე.

— **როდის გაიგეთ, რომ თქვენ გარდა ბინაში სხვა იპოთეკარებიც იყვნენ?**

— დოკუმენტს ხელი რომ მოვაწერე, ნოტარიუსმა მითხრა, ბანკში ჩადით და 50-ლარიანი ქვითარი მომიტანეთო. როცა უკან დავბრუნდი, კაბინეტში აღარავინ დამხვდა, კარი დაკეტილი იყო. სანოტარო ბიუროს თანამშრომელმა საჯარო რეესტრის ამონაწერი მომცა, — ქალბატონო, ეს თქვენ დაგრჩათო. პირველად მაშინ ვნახე, რომ ჩემ გარდა სხვა იპოთეკარებიც იყვნენ... ერთი სიტყვით, რეესტრის ამონაწერი შეგნებულად დამიმალეს. დოკუმენტზე ხელი მომაწერინეს, ფული მიითვალეს, ერთი თვის პროცენტი ნოტარიუსის თანდასწრებით გადმომცეს, მერე ბანკში გამიშვეს და აორთქლდნენ, მოკლედ, ფაქტის წინაშე დამაყენეს.

— **კი მაგრამ, ნოტარიუსმა არ გითხრათ, რომ ბინაში სხვა იპოთეკარებთან ერთად უნდა გაფორმებულიყავით?**

— როგორ გეკადრებათ, ხმა არ ამოუღია. ეგ რომ მცოდნოდა, ირინას ფულს ვასესხებდი?

— **რამდენი თვით დადეთ ხელშეკრულება?**

— სამი თვით. ვადა რომ გაუვიდა, ჩემი ფული მოვითხოვე, მაგრამ ირინამ არ დამიბრუნა, დოკუმენტს სამი წლის ვადა აქვსო, — მითხრა. მოკლედ, მას მერე დავდევ ამ თაღლითს. აღმოჩნდა, რომ დავით გურამიშვილის №74-ში მის მამიდას — ციური ჩაგანავას ნაყიდი აქვს ბინები: №19, №20, №21 და უფორმებენ იპოთეკით ჩემსავით გაბითურებულ ადამიანებს, რათა ფულები გამოსძალონ.

— **სულ რამდენი თვის პროცენტი მოგცათ?**

— 5 თვის გადაიხადა, 13 თვის პროცენტი არ მოუცია. ძალიან უკმაყოფილო ვარ ნოტარიუსის საქციელით. ეტყობოდათ, რა დამოკიდებულებაც ჰქონდათ ქალბატონ რაიანას და ირინას. წინასწარ იყვნენ მოლაპარაკებულები, კანონიერად გამაბეს მახეში. ირინას მამიდა ციური ბანდის მეთაურია, თავის ბინებს ხალხის გადასაგდებად იყენებს. მათ ოფისთან ყოველდღე სულ მცირე 12 ჩემსავით მოტყუებული ადამიანი მიდის და ითხოვს თავის ფულს, დაახლოებით 150000 დოლარი „აგვაფცქვნეს" ჩაგანავებმა.

— **რატომ არ უჩივიან?**

— გვემუქრება, თუ ვინმე იჩივლებს, ფულს საერთოდ ველარ მიიღებსო. საცოდავები ეზოში დგანან საათობით, რიგ-რიგობით ადიან ირინასთან და ეხვეწებიან თაღლითს, კუთვნილი თანხა დაგვიბრუნეო. აფერისტობით, ტყუილი დაპირებებით წლების განმავლობაში აჩერებენ გაბითურებულ ადამიანებს. შეშინებულები ჩივილს ვერ ბედავენ, რადგანაც თაღლითი ირინა ჩაგანავა ყველას გასაგონად გაიძახის, მიხეილ სააკაშვილთან დაახლოებული პირი ვარ, ვერაფერს დამაკლებთო.

— **კი მაგრამ, ქალბატონი სანდრა რულოვსი არ ჩააყენეთ საქმის კურსში?**

— ფირუზ კინწურაშვილს, სანდრას ქუთაისელ მამობილსა და ჩემი ქალიშვილის ნათლიას ვთხოვე დახმარება. ჩვენ, დიდი ხანია, ოჯახებით ვმეგობრობთ. ქალბატონ სანდრას 1991 წლიდან ვიცნობ, სწორედ იმ დროს ჩამოვიდა პირველად ქუთაისში. მას შემდეგ ძალიან ხშირად მოდიოდა ჩვენთან სტუმრად, საირმეშიც ერთად ვისვენებდით, მოკლედ, წლების განმავლობაში ვმეგობრობთ.

— **ამ საქმეში ბატონი ფირუზის ჩარევამ რა შედეგი გამოიღო?**

— ფირუზი მიმყვა ირინა ჩაგანავასთან და უთხრა, თანხა დაუბრუნე, თორემ ამ საქმეს ასე არ დავტოვებთო, მაგრამ არც მისმა სიტყვამ გაჭრა. პირადად სანდრასთვის ჯერ არ მიმიმართავს, თუ გამიჭირდა, ვთხოვ დახმარებას.

— **არბიტრაჟს არ მიაკითხეთ?**

— რა თქმა უნდა, მივმართე. 2009 წლის 5 აგვისტოს შევიდა ჩემი საქმე სააღსრულებო ბიუროში, მაგრამ ბინა დღემდე არ გაუტანიათ აუქციონზე. მოვტყუვდი, პირდაპირ პროკურატურაში უნდა მეჩივლა. თაღლით ჩაგანავებს უამრავი ადამიანი ჰყავთ გადაგდებული, კარგი იქნება, თუ სამართალდამცავები სერიოზულად დაინტერესდებიან ამ ქალბატონებით და მათ „საქმიანობას" შეისწავლიან.

ესაუბრა
**ნინო გოქიაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «ნაპრიმერ» ყველაფერი, წიგნის გარდა

## ვისაც ფული აქვს, ძირითადად, წიგნს არ კითხულობს; ვისაც წიგნი უყვარს, წიგნის საყიდელი ფული არ აქვს...

**„დიდი ქართველები“ – საკმაოდ სქელტანიანი წიგნი ხელში ავიღე და სარჩევს გადავხედე. ფარნავაზიდან იწყებოდა... „ჩავტეულვართ“, გავიფიქრე და თავფურცელი გადავშალე. ჭაბუა ამირეჯიბის ჩემთვის აქამდე უცნობი სიტყვები მომხვდა თვალში – „ჩვენ, ქართველები შარიან მიწაზე ვცხოვრობთ და ობოლი ერი ვართ...“
განწყობისათვის საკმარისი აღმოჩნდა, გამყიდველისკენ შემოვბრუნდი და „ვეფხისტყაოსანი“ მოვიკითხე.
„რომელ ენაზე გნებავთ?“ – მეკითხება წიგნების გამყიდველი გოგონა, თან მოშიშვლებულ მუხლისთავებზე გადაშლილ ბულვარულ ჟურნალს თვალს არ აშორებს. „ბატონო?“ – ვეკითხები დაბნეული და ამჯერად უკვე მარცვალ-მარცვალ ვუმეორებ – „ვეფხ-ის-ტყა-ო-სა-ნი“...
„გასაგებია, ქალბატონო, რომელ ენაზე? გვაქვს ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, რუსულად, ქურთულ ენაზც კი... თქვენ ვისთვის გინდათ ან სად მიბრძანდებით?“**



მე არსად არ მივბრძანდები. საქართველოში ვარ, თბილისში, წიგნების მაღაზიაში და რეპორტაჟის დაწერას ვაპირებ. არანაირი რიტმი, ტემპი და დინამიკა აქ არ იგრძნობა. აბსოლუტური სიმშვიდე იმდენად ძილისმომგვრელ განწყობას ქმნის, რეპორტაჟს კი არა, სენტიმენტალურ ჩანახატსაც ძნელად დაწერ, – ვეუბნები საკუთარ თავს და წამდაუწუმ კარისკენ ვიყურები, რომელსაც, რატომღაც, არავინ აღებს... თაროზე უამრავი ნაცნობი და უცნობი წიგნი დევს... წაუკითხავი წიგნის დოჩანაშვილისეული წაკითხვის ბედნიერების განცდა ნაკლებად მაქვს.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა „ვეფხისტყაოსანს“ მზითევში ატანდნენ... წარსულს ჩაბარდა ის დროც, როცა წიგნი ოჯახური „ინტერიერისთვის“ ისეთივე აუცილებლობას წარმოადგენდა, როგორც სამზარეულოსთვის — ჯამ-ჭურჭელი.

ახლა წიგნს მხოლოდ ის ყიდულობს, ვინც კითხულობს ან ვისთვისაც აუცილებლობას წარმოადგენს. ასეთები კი, როგორც ჩანს, საკმაოდ ცოტანი არიან. არადა, პრეტენზია განსწავლულობასა და წიგნიერებაზე დიდი გვაქვს...

სანთლით საძებარიაო, ნამდვილად ვერ იტყვი, მაგრამ მილიონნახევრიან ქალაქში, თანაც დედაქალაქში, წიგნების მაღაზია თითებზე ჩამოსათვლელი რომ გვაქვს, ეს უკვე „რაღაცაზე“ მეტყველებს, თანაც არც თუ ისე კარგზე... ვერც მცნება „ფუნქციონირება“ ამართლებს მთლად თავის „ფუნქციას“.

თითქმის ნახევარი საათია, აქ ვარ და ერთი ყმაწვილის გარდა არავინ შემოსულა. კონკრეტული იურიდიული სახელმძღვანელო სჭირდებოდა, „არ გვაქვო,“ – უპასუხეს და ისიც კარიდანვე გაბრუნდა.

**„ყველაზე ბევრი მყიდველი რა სახის ლიტერატურას ჰყავს?“** — ვეკითხები გოგონას, რომელიც, როგორც მოგვიანებით მივხვდი, კონსულტანტის ფუნქციას ასრულებდა. **„საბავშვო ლიტერატურას, განსაკუთრებით ენციკლოპედიებს. გვაქვს ჩვიდმეტლარიანი, ოცდახუთლარიანიც. აი, ეს წიგნი „მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია“ ორმოცდათორმეტი ლარი ღირს, ახალი გამოსულია, მაგრამ ძალიან სწრაფად იყიდება“...**

ამის თქმა იყო და დედა-შვილმაც შემოაღო კარი. კონსულტანტის კონსულტაცია არ დასჭირვებიათ, შემოსვლისთანავე იკითხა ქალბატონმა **„საბავშვო ენციკლოპედია“.** მოულოდნელად შუქი რომ ჩაქრება, ზუსტად ისე ჩამიქრო „იმედი“ — ჯერ საბავშვო ენციკლოპედიის გვერდები გადათვალა; მერე, სავარაუდოდ, შუაზე გაყო და პრაქტიკულად, ბავშვს არა, უკვე მოწიფულ ყმაწვილს, ანუ საკუთარ შვილს ყინულის დედოფლის სიმკაცრით უთხრა: **„ამ ნახევარს თუ არ ისწავლი, და თანაც არ ჩამაბარებ, ბაკურიანში ფეხს ვერ გაადგამ!“**

აფერუმ, როგორი სასწავლია ენციკლოპედია, თანაც ჩაბარებით?.. ერთი პირობა კონსულტანტის ფუნქციის შეთავსება და იმის თქმა დავაპირე — ენციკლოპედია უფროსებისთვისაც არსებობს, ოღონდ ნასწავლს თქვენ ვის ჩააბარებთ, არ ვიცი-მეთქი, მაგრამ თავად დამასწრო – **„მოროშკინას წიგნი მინდა კიდევ ჩემთვის“** და საფულე მოიმარჯვა.

ფინალური აკორდი კიდევ უფრო შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. ათი ლარი და ოთხმოცი თეთრი სიამოვნებით გადაიხადა ლალი მოროშკინას საყოველთაოდ ცნობილ „სასიყვარულო რომანში“, საბავშვო ენციკლოპედიაში გადასახდელი ჩვიდმეტი ლარი კი მინიმიტინგის ჩატარების მიზეზი გახდა: **„რა უბედურებაა, ბავშვს წესიერი განათლება ვეღარ მიუღია, შეიძლება წიგნი ასე ძვირი ღირდეს, გამყიდა ამის წიგნების ყიდვამ, გამოდის, რომ ამისთვის ვმუშაობთ მეც და მამამისიც. იცით, რამდენი გადავიხადე ამის სასკოლო წიგნებში წელს? ასორმოცდაშვიდი ლარი. ეს მარტო ამის. გოგოც მყავს კიდევ, მეათეკლასელი. კიდევ ეს დამატებითი ლიტერატურაო... კიდევ კარგი, ცხონებულმა მამაჩემმა დამიტოვა საოჯახო ბიბლიოთეკა, თორემ სახლის გაყიდვა დამჭირდებოდა, ალბათ, ამათი წიგნების გადამკიდეს...“**

სახეზე ეტყობოდა, კიდევ ბევრი ჰქონდა სათქმელი... იმავე სახეზე ისიც ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, სახლამდე როდის მივიდოდა და სერიალსა და სერიალს შორის, სარეკლამო რგოლების დროს მოროშკინას წიგნს „მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი“ რა სიამოვნებითა და დაუოკებელი ცნობისწადილით წაიკითხავდა.

შორს ვდგავარ იმ აზრისგან, რომ გემოვნებაზე არ დაობენ. დაობენ და მერე როგორ... გემოვნებიდან გამომდინარე, ფასზეც შეიძლება იდაო... მაგალითად, დაინტერესდე, რატომ ღირს „ვეფხისტყაოსანი“ შვიდი ლარი, მანველიძის „მგლები“ და მოროშკინას რომანი ათი-თერთმეტი ლარი?..

წიგნის დაბეჭდვა გარკვეული თანხა ჯდება. ამ თვითღირებულებას ემატება ავტორის ჰონორარიც, რომელსაც, ძირითადად, თვითშეფასება განსაზღვრავს. ლოგიკა მარტივია, მორალისა კი რა მოგახსენოთ!

**არანაირი რიტმი, ტემპი და დინამიკა აქ არ იგრძნობა. აბსოლუტური სიმშვიდე იმდენად ძილისმომგვრელ განწყობას ქმნის, რეპორტაჟს კი არა, სენტიმენტალურ ჩანახატსაც ძნელად დაწერ**



გამოდის, რომ რადგან შოთა რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ვაჟაფშაველა ჰონორარს არ „ითხოვენ“, არც „პიარზე“ ხარჯავენ ფულს და არც ისაა ცნობილი, რა თანხით განსაზღვრავდა თითოეული მათგანი საკუთარი შემოქმედების თვითშეფასებას, შესაბამისად, წიგნად გამოცემული მათ მიერ შექმნილი მხატრული ნაწარმოების ღირებულებაც მხოლოდ და მხოლოდ მატერიალურ-ტექნიკურ ხარჯებზეა დამოკიდებული(!).

მოკლედ, ერის ფასდაუდებელი საგანძური — „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი“ — შეგიძლიათ ექვსშვიდ ლარად, ანუ ასევე „ფასდაუდებლად“ იყიდოთ...

მოროშკინამ და მანველიძემ კი (და არა მხოლოდ მათ) დაადეს საკუთარ წიგნებს ასეთი ფასი და, რაც ყველაზე მთავრია, „იყიდებიან“ და მერე როგორ... მაგალითად, მანველიძის „მგლები“ ისეთი ანშლაგით გაყიდულა, მათი „კვალიც“ კი აღარ იყო წიგნების მაღაზიაში. მოროშკინას პირადი ცხოვრება კი მხოლოდ რუსული გამოცემა იდო თაროზე და ისიც სამადსამი ეგზემპლარი.

ალბათ, ინტელექტიდან გემოვნებისკენ, გემოვნებიდან ფასებისკენ, ფასებიდან მორალისკენ და მორალიდან საბაზრო ეკონომიკამდე კიდევ კარგა ხანს მომიწევდა ფიქრით „მოძრაობა“, მაღაზიის კარი მოულოდნელად რამდენიმე ახალგაზრდას ჟივილხივილით რომ არ შემოეღოთ. „ჯინსების თაობა“ უნდოდათ. თავადაც ჯინსები ეცვათ... უნდოდათ ზანგურიც.

**„ვინ უნდათ?“** – მეკითხება თითქმის ჩურჩულით შუახანს გადაცილებული ქალბატონი. როდის შემოვიდა, არც შემიმჩნევია, ჩემ გვერდით მდგარა. **„ზანგური თქვა ხო, ჩემი შვილიშვილი გიჟდება მაგაზე და კიდევ გომელაურზე“.** თავად გალაკტიონის ახალი კრებული აქვს გულზე ახუტებული და სათვალის ქვემოდან შვილიშვილის თანატოლებს იჭვიანად ათვალიერებს. **„ეს რა თაობა მოდის, ლამისაა გავგიჟდე. კულტურა ამათ არ აქვთ, წიგნი ამათ არ აინტერესებთ, ან რა ჩაცმულები, ან რა დახურულები...“** გალაკტიონს თაროზე აბრუნებს და ახლა ანა კალანდაძის კრებულს იღებს.

კონსულტანტი გოგონა დაუზარებლად, სხაპასხუპით მპასუხობს ყველა კითხვაზე – **„ყველაზე დიდი მოთხოვნა თანამედროვე ქართველი კლასიკოსებიდან გურამ დოჩანაშვილზეა, დახლზე დადებას ვერ ვასწრებთ თითქმის. კარგად იყიდება ოთარ ჭილაძეც. ვერ გეტყვით, რომ „ვეფხისტყაოსანზე“ ყოველდღეა მოთხოვნილება, მაგრამ ქართულზე ხშირად უცხოენოვანი თარგმანები იყიდება, ძირითადად, უცხოეთში წამსვლელები ან ჩამოსული სტუმრებისთვის ყიდულობენ საჩუქრად. ილია, აკაკი და ვაჟა ხშირად არა, მაგრამ მაინც იყიდება. იგივე შეიძლება ითქვას ქართული მწერლობის ტომეულებზე და პროზაულ კრებულებზეც. უცხოური ლიტერატურიდან ყველაზე დიდი მოთხოვნილება მარკესზეა“.**

ეს ეტყობა კიდეც თაროს. მარკესის „მარტოობის ასი წელიწადის“ გარდა რამდენიმე ახალი მოთხრობა თითქმის ბროშურების ზომითა და სახით არის გამოცემული. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მარკესს საქართველოს წიგნის ბიზნესში თავისი „წილი“ ჰქონდეს; არადა, სწორედ ეს ბროშურები, არც მეტი, არც ნაკლები, ათი ლარი ღირს. აი, რას ნიშნავს და როგორ აისახება ეს ფასზე, როცა წიგნზე მოთხოვნილებაა...

**„კოელიოს „ალქიმიკოსი“ გაქვთ?“** — ისეთი ხმითა და მიმიკით კითხულობს ახალგაზრდა ქალი, თითქოს წიგნს კი არ ყიდილობს, თვით კოელიოსთანაა პირდაპირ პაემანზე მოსული.

კოელიო აქვთ და, როგორც აღმოჩნდა, ამ ქალაქში მხატვრული ნაწარმოებიც ისე შემოდის და გადადის მოდიდან, როგორც სამოსი.

ვიტრინაზე წარწერაა გამოკრული **„წიგნები 50 თეთრად და 1 ლარად“.** „რომელი წიგნი ღირს 50 თეთრი?“ – ვეკითხები კონსულტანტ გოგონას და ისიც კუთხეში უწესრიგოდ მიყრილ წიგნებზე მითითებს. **„მყიდველი თუ ჰყავს?“** – ვკითხულობ რატომღაც გულაჩუყებული. **„კი, როგორ არა... ერთი მოხუცებული კაცი მოდის, თითქმის ყოველ მეორე დღეს, არჩევს, ყიდულობს და მერე ისევ ჩვენ გვაბარებს. ძალიან საყვარელი და უცნაური მოხუცია“.**

**ყველაზე ძვირი (630 ლარად ღირებული) „თანამედროვე არქიტექტურის“** ინგლისურენოვანი ორტომეული აღმოჩნდა. ყველაზე იაფი კი, როგორც უკვე ვთქვით, ბუკინისტური ბროშურები, მათ შორის უბის წიგნაკად გამოცემული გალაკტიონიც... **ყველაზე „გასავლიანი“ ქართულ-თურქული, ქართულ-იტალიური და ქართულ-ესპანური** სასაუბრო ბროშურებია. პრინციპში, როცა ოთხი მილიონიდან მილიონ-ნახევარი ქართველი ამ ქვეყნებშია საშოვარზე გახიზნული, ეს გასაკვირი არცაა... ბროშურის საფასური — სამი-ოთხი ლარიც არაა მოსატანი იმ თანხასთან, რასაც სამშობლოდან გასაქცევად გამზადებული ქართველები „ვიზების ჩარტყმაში“ არაოფიციალურად იხდიან საქართველოში მოქმედ საელჩოებში.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ბუნებრივია ისიც, რომ სულხან-საბას „სიტყვის კონა“ ამაოდ ელოდება მსურველსა და მყიდველს...

როდესაც წიგნზე, როგორც ცოდნის წყაროზე, გონების საკვებზე და სულის მალამოზე საუბრობ, სულ მცირე, უხერხულია, ფასებზე ამდენად ყურადღების გამახვილება; მაგრამ, როცა ყველა იმ წიგნის ფასი ვიკითხე და შევაჯამე, რომელსაც დიდი სიამოვნებით ვიყიდდი, წავიკითხავდი და საკუთარ ბიბლიოთეკასაც შევმატებდი, აღმოჩნდა, რომ სამნიშნა ციფრს თვალის დახამხამებაში მივაღწიე და გავჩერდი. ცნობილი მოსაზრებაა — ისინი, ვისაც ფული აქვს, ძირითადად, წიგნს არ კითხულობს; ვისაც წიგნი უყვარს, წიგნის საყიდელი ფული არ აქვს...

განწყობის გამოსაკეთებლად საბავშვო ზღაპრები მოვიკითხე. აღარსად იყო „კომბლე“, „წიქარა„ და „ნაცარქექია“... ქართული ხალხური ზღაპრები შავ-თეთრი ილუსტრაციებით, ყავლგასული ნივთივით სადღაც კუთხეში ჩაეჩოჩებინათ. მათი ადგილი კი ფერად-ფერად, ახალ ზღაპრულ გმირებს — „ტოპო-ტიპოს“, უცხოელ „პრინცესებსა“ და „მაგნიტურ ზღაპრებს“ დაეკავებინათ... ამ უკანასკნელთ წიგნი რამდენად ეთქმის, ძნელი სათქმელია; მათში ყველაფერია — სათამაშოები გასართობად, ასაწყობი კონსტრუქციები გონების გასავარჯიშებლად და აქა-იქ თითო ბეჭდური ფრაზის ამოკითხვაც შეიძლება. მოკლედ ყველაფერი „მზა“ არის, თვით ფანტაზიაც კი და ზღაპრის გმირებიც გაცილებით რეალურად გამოიყურებიან, ვიდრე თავად ადამიანები...

**ელგა ფოლადიშვილი**

**P.S. სამარშუტე ტაქსში ასვლისას, მაგნიტურ ქვაზე დამაგრებული ხურდა ფულის გვერდით ყდაშემოცლილ წიგნს მოვკარი თვალი. „დავიჯერო შესვენების დროს მძღოლი კითხულობს?“ — გავიფიქრე და ნახევარსაათიანი ჯაყჯაყის შემდეგ, ბოლო გაჩერებაზე ჩამოსვლისას ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება ვცადე. „ვიღაცას დარჩა „ცელოფანში“ გახვეული, ამოვიღე და „ბარდაჩოკზე“ დავდე, იქნებ, გამოუჩნდეს პატრონი“. „სხვა რამე რომ ყოფილიყო წიგნის მაგივრად იგივეს გააკეთებდით?“ – ვეკითხები ვიდრე ის ჩემთვის დასაბრუნებელ ხურდას ითვლის. „ნაპრიმერ“, რა?“ – უკან მიბრუნებს კითხვას. აღარ დამიკონკრეტებია, ისედაც ცხადი იყო, რომ „ნაპრიმერში“ ყველაფერი იგულისხმებოდა, წიგნის გარდა...**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# პოლიტოლოგი ალექსანდრე რონდელი მომღერლებს რეპერტუარის ხელისუფლებასთან შეთანხმებას თხოვს





**ბოლო ხანს ქართველი კულტურის მოღვაწეების გამოსვლას რუსეთის ქალაქებში არაერთი სკანდალური განცხადება მოჰყვა.**
**მორალის მქადაგებელთა ბუდიდან, კერძოდ, „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ თავისი განცხადებებით ხელისუფლებას ყველაზე მეტად ლევან რამიშვილმა ასიამოვნა, როცა თქვა, „გვერდწითელი და პავლიაშვილი ხალხი არ არის, ეგენი მანქურთები და გადაგვარებულები არიან, ნანი ბრეგვაძეს ფული არ აკლია, მაგრამ ფული ხომ ზედმეტი არასოდეს არის... პრიმაკოვი ჰონორარს მისცემდაო“.**

**ოპოზიცია კი ხელს გამუდმებით ხელისუფლებისკენ იშვერს და აცხადებს, აგენტები თავიანთ რიგებში მოძებნონო.**

**ჩვენ შევეცადეთ, სწორედ ქართველ ხელოვანებთან გაგვერკვია, ნიშნავს თუ არა მოსკოვში სიმღერა ქვეყნის ღალატს და რით ამტკიცებენ ის ხელოვანები პატრიოტობას, ვინც რუსეთში მოღვაწეობაზე უარს ამბობს?**

**მსახიობი და რეჟისორი გოგი ქავთარაძე თვლის, რომ, როდესაც პოლიტიკოსები ერთმანეთს „გაბუტობანას“ ეთამაშებიან, სწორეს მნიშვნელოვანი და სერიოზული ფუნქცია ხელოვანებმა უნდა შეასრულონ.**

**გოგი ქავთარაძე:** „არ მიმაჩნია ეს მოღალატეობრივ საქციელად. ეს არის ჩვეულებრივი პროცესი ორი ქვეყნის ურთიერთობაში. არ არის აუცილებელი, რომ აქო და ადიდო სიტყვაზე რუსეთის ხელისუფლება, მაგრამ ისინი თავიანთ საქმეს აკეთებენ. ის, რომ ხელოვანების დევნა დაიწყეს, ვგულისხმობ ნანი ბრეგვაძესა და პაატა ბურჭულაძეს, ეს არაადამიანური საქციელია, რამაც აღმაშფოთა. ამით ვერაფერს ვერ მოიგებს ხელისუფლება. ნამდვილად მჯერა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დათბობაში ძალიან დიდი როლის შესრულება შეუძლია ხელოვნებას. ხელისუფლებამ კი პირიქით — ხელიც უნდა შეუწყოს ამგვარ პროცესს, ორ ქვეყანას შორის ყინულის დნობა რომ დაიწყოს. ვფიქრობ, ასეთი ხელოვანები უნდა წაახალისონ და არა — აკრიტიკონ“.

ხელისუფლება სიას, რომელიც რუსეთის „აგენტებს“ ითვლის დღითიდღე უმატებს იმ ხელოვანთა სახელებს, ვინც ტრაპზე ფეხს დადგამს რუსეთში გასამგზავრებლად.

„ვინც რუსეთში ქართველი ხელოვანის გამოსვლას ღალატად აფასებს, უტვინოა“, — ასე აფასებს იმ ადამიანებს რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე, რომლებიც იმ ხელოვანებზე იწმენდენ ხელს, რომლებმაც ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში დიდი წვლილი შეიტანეს.

**გიგა ლორთქიფანიძე:** „მოღალატეობა ის არის, რომ ჩვენი უჭკუო საქციელით ვღუპავთ ქვეყანას. პოლიტიკოსები ნუ დაელაპარაკებიან ერთმანეთს, თუ ვერ უგებენ. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ რაღაც საერთო ენა გამოვნახოთ. არ შეიძლება ასე.

## იქნებ, ხელოვნებამ მაინც უშველოს ამ ქვეყანას, პოლიტიკოსები რომ ვერ შველიან, ფაქტია. უფსკრულისკენ მივექანებით“.

ალბათ, ყველას კარგად ახსოვს კობზონის განცხადება ბუბა კიკაბიძესთან დაკავშირებით, დავაპურეთ და ახლა მტრებს გვეძახისო. ჩვენ მიერ დასმულ შეკითხვას ქართველმა მომღერალმა არაეთიკური უწოდა და გვთხოვა, მისთვის მსგავსი შეკითხვა აღარ დაგვესვა.

**ბუბა კიკაბიძე:** „მე მაგ შეკითხვაზე ძალიან ბევრ გაზეთს ვუპასუხე და აღარ მინდა ამაზე საუბარი. აუცილებელია, რომ ვთქვა, გინდა თუ არა რომელიმე ხელოვანი მოღალატეა-მეთქი? ვინც მაგას აკეთებს, იმათ უნდა ჰკითხოთ და არა მე. ეს არ არის ეთიკური შეკითხვა“.

მიუხედავად ხელისუფლების ამგვარი დამოკიდებულებისა, მომღერალი ნინო ქათამაძე რუსეთის დედაქალაქში, მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის სცენაზე დეკემბრის შუა რიცხვებში რამდენიმე კონცერტს გამართავს — ახალ სიმღერებსა და კომპოზიციებს შეასრულებს ჯერ კიდევ გამოუცემელი ალბომიდან „რედ“.

მხატვარი გია ბუღაძე ქათამაძის და მისი გადაწყვეტილების ნაცვლად მის ხელოვნებას აკრიტიკებს.

**გია ბუღაძე:** „ნინო ქათამაძე და მისი დონე არ მაინტერესებს. მე ვლაპარაკობ ისეთ სერიოზულ ხელოვნებაზე, როგორსაც ნანი ბრეგვაძე წარმოადგენს. ქათამაძის დონის ხელოვნებაზე არ ვლაპარაკობ“.

როგორც „თავისუფლების ინსტიტუტის“ ქორს — ლევან რამიშვილს ჰგონია, რომ ხელოვანები მოსკოვში იმისთვის გარბიან, რომ შიათ და მათ ფულს უხდიან, ესეც ქვეყნის ხელისუფლების სირცხვილია. არც ერთი სხვა ქვეყნის ხელისუფლების პრობლემა არ არის ის, რომ საქართველოში კონცერტები არ იმართება. თუკი კულტურის სამინისტრო და დედაქალაქის მერია რივერდანსელების მოცეკვავეებს (მით უმეტეს, რომ რივერდანსი არ ყოფილა) სოლიდურ თანხას უხდის, ჩამოჰყავს უცხო ქვეყნის მოქალაქეები, სირცხვილია, რომ ქართველი მომღერლები ამ კონცერტებს შორიდან ადევნებენ თვალს.

მას შემდეგ, რაც ბუბა კიკაბიძემ რუსებს კულტურულ ურთიერთობაზე უარი უთხრა, მან საქართველოში რამდენიმე სოლო კონცერტი გამართა, მათ შორის ოპერისა და ბალეტის თეატრსა და დიდ საკონცერტო დარბაზში. არაპრივილეგირებული მომღერლებისთვის, მათთვის, ვინც ხელისუფლების ტაშისმკვრელი არ არის, კონცერტის გამართვა ოცნებად იქცა.

არც ერთ ქვეყანაში და მათ შორის რუსეთში სიმღერა მოღალატეობრივ საქციელად არ მიაჩნია თამრიკო ჭოხონელიძეს. მისი თქმით, როდესაც ლაპარაკია პაატა ბურჭულაძესა და ნანი ბრეგვაძეზე, ცოტა მეტის დანახვა უნდა შევძლოთ.

**თამრიკო ჭოხონელიძე:** „როდესაც ამ ადამიანების „ჩაქოლვა“ ხდება, ჩვენ არ გაქვს უფლება გავკიცხოთ ისინი. ეს ხელოვანები ყოველთვის საქართველოს სახელით მღეროდნენ. ასეთი საქციელი პირიქით, ქართველი ხალხის ღალატია ამ უდიდესი ხელოვანების მიმართ“.

პოლიტოლოგი **ალექსანდრე რონდელი** კი ხელოვანების მოსკოვში სიმღერას ხელისუფლებასთან შეთანხმებით ითხოვს. რონდელის აზრით, ნაკლებად მოსალოდნელია, არეული პოლიტიკური ურთიერთობა სიმღერამ დაალაგოს:

„მოღალატეობრივი საქციელი ნამდვილად არ არის, მაგრამ რუსეთთან ხელისუფლებას საომარი მდგომარეობა აქვს. ხელისუფლებასთან კონსულტაციით უნდა ხდებოდეს ყველაფერი. ამის გამო უხერხულ მდგომარეობაში ვარდება ხელისუფლება. ხელისუფლება და საქართველო ერთი და იგივეა ამ შემთხვევაში. აკრძალვა რამდენად გამართლებულია, ვერ გეტყვით, მაგრამ უკეთესი სხვა სახის ურთიერთობა იქნებოდა, უფრო დიპლომატიური. ხელოვნება ამ პრობლემას მაინც ვერ მოაგვარებს, ეს პოლიტიკურ დონეზე გადასაწყვეტი საკითხია.“

რუსეთის აგენტობასა და მოღალატეობასთან დაკავშირებით ოპოზიცია ხელისუფლებისკენ, ხელისუფლება კი ხელოვანებისკენ იშვერს ხელს, თუმცა მხოლოდ ფაქტებს თუ მივყვებით, ენგურჰესი და ათობით კილომეტრი ტერიტორია რუსებისთვის ნანი ბრეგვაძესა და პაატა ბურჭულაძეს არ ჩაუბარებია.

**შორენა გოგოლაძე**

**P.S. ქვეყანას, რომელშიც ხელოვანს თვითრეალიზაციისთვის ხელისუფლების ნებართვა სჭირდება, მომავალი არ აქვს. პოლიტოლოგობაზე პრეტენზიის მქონე (შესაძლოა, სამართლიანადაც) ალექსანდრე რონდელს არაერთხელ გაუხმოვანებია უმაღლეს ხელისუფალთა თვალსაზრისი. ალბათ, ამჯერადაც საქმე სწორედ ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს. თურმე ნანი ბრეგვაძემ ნაციონალური მოძრაობის ნებართვით უნდა იმღეროს, თურმე ზაზა აზმაიფარაშვილმა მთავრობის ნებართვით უნდა იდირიჟოროს, თურმე პაატა ბურჭულაძემ არა მხოლოდ პროფესიული, არამედ საზოგადოებრივი მოღვაწეობაც სააკაშვილსა და მის გარემოცვას უნდა შეუთანხმოს. და კიდევ ბევრი თურმე, რადგან ჩვენ ყველანი თურმე სახელმწიფოში ვცხოვრობთ. ალექსანდრე რონდელს კარგად უნდა ესმოდეს, რას ნიშნავს, როდესაც ხელოვანისგან უსიტყვო მორჩილებასა და პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებას მოითხოვენ. იგი რეჟისორის ოჯახშია გაზრდილი და საკუთარი თუ არა, ოჯახის წევრების განცდილ-გადატანილი მაინც უნდა აიძულებდეს სწორედ ამ ტოტალიტარულ აზროვნებას დაუპირისპირდეს.**

**თავის დროზე ხელოვანები მუდმივად წუწუნებდნენ „მარწუხებზე“. შემდგომ იყო თავისუფლება, რომლის საფასურიც ქართულმა საზოგადოებამ გადაიხადა. ახლა კი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან თითქმის ოცი წლის შემდეგ პოლიტიკური კონიუნქტურა აიძულებთ მოპოვებული თავისუფლება დათმონ, რადგან ტოტალიტარიზმი ვერ გუობს ხელოვანის თვითრეალიზაციას.**

**რუსეთში რატომ იმღერეთო! — უკიჟინებენ ქართველ მომღერალს, რადგან მათთვის არაფერს ნიშნავს არც ადამიანური ურთიერთობები და არც პროფესიული თავმოყვარეობა. ამ ადამიანებს მხოლოდ ერთი რამ ამოძრავებთ — ქედმოდრეკით ემსახურონ რეჟიმს, რომელსაც სურს, იყოს ტოტალიტარული, მაგრამ იმდენად უნიჭოები არიან, რომ ესეც კარიკატურულ სახეს იძენს. ქველმოქმედება, რომელსაც პაატა ბურჭულაძე ეწევა, ათეულობით ოჯახისთვის თავშესაფარს ნიშნავს, ასეულობით ბავშვისთვის — ოჯახის თბილ კერას, მაგრამ ხელისუფლებისა და მასთან დაახლოებული პოლიტოლოგებისთვის ძნელად აღსაქმელია, რატომ ირჯება ასე ცნობილი ბანი. სწორედ ამ მიზნით წავიდა მოსკოვში და სწორედ საქველმოქმედოდ სტუმრობენ ბურჭულაძეს აღიარებული მომღერლები, რომლებიც საგანგებოდ ქართველი ბავშვების დასახმარებლად ჩამოდიან სხვადასხვა ქვეყნებიდან.**

**უკვე ვნახეთ, რას ნიშნავს ტოტალიტარიზმი. აღარ გვინდა ტოტალიტარულ ქვეყანაში ცხოვრება. ხოლო ის, ვინც ამისკენ გვიბიძგებს, სულ მალე დარწმუნდება, რომ ამდენი ტანჯვა-ვაებით მოპოვებულ თავისუფლებას ქართველი ხალხი ასე ადვილად არ დათმობს და ხელისუფლებისა და მისი ფავორიტი პოლიტოლოგების მიზნები მიუღწეველი დარჩება.**

**ხელოვანები, რომლებიც პოლიტიკურ კონიუნქტურას ანგარიშს უწევენ, დავიწყებას მიეცემიან. პოლიტიკოსები და პოლიტოლოგები, რომლებიც ამ კონიუნქტურას ქმნიან და აიძულებენ ადამიანებს, იცხოვრონ მათი სურვილების მიხედვით, ასევე აღარავის ეხსომება. ხელოვნება კი მარადიულია. მას ვერასოდეს შეაჩერებენ საკუთარი უძლურებით, არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი ადამიანები. ის, რაც ერთ დროს ყველასთვის საყვარელმა და პატივსაცემმა ბუბა კიკაბიძემ იკადრა, ხელოვნების სფეროს სცილდება. ადამიანები ასე არ იქცევიან, მხოლოდ იმიტომ, რომ ხელისუფლებამ სასათბურე პირობები შეგიქმნას, არ შეიძლება საკუთარი წარსული ჩაწიხლო, რადგან ეს წარსული მხოლოდ შენ არ გეკუთვნის. ეს საქართველოს წარსულია. ის, რაც ბუბა კიკაბიძეში უყვარდა რუს მაყურებელსა და მსმენელს, ასევე საყვარელი იყო ქართველი მაყურებლისა და მსმენელისთვის. ხოლო მას შემდეგ, რაც დავინახეთ, როგორ სახეს იძენს ხელოვანი პოლიტიკური კონიუნქტურისთვის მონური მორჩილებით, ჩვენთვის საყვარელი მომღერალი ერთ ჩვეულებრივ შანსონიედ გადაიქცა. ხოლო ასევე ყველასთვის საყვარელი მიმინო — გაუმაძღარ სვავად, რომელიც ტოლმის ნაცვლად ხელისუფლების ნასუფრალს მიაძღა.**

**ადვილი არ არის ადამიანისთვის სიმართლის თქმა, მაგრამ — აუცილებელია. ამ ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ ვეღარასოდეს დაიბრუნებენ ხალხის სიყვარულს, რადგან მათ ეს სიყვარული თვითონვე გათელეს.**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ზურაბ გაგნიძე: ეროსი კიწმარიშვილი ისევ ცრუობს...

**პოლიტიკური ამინდი ჭირვეულობს. საჭიროა სიტუაციის ახლებური აღქმა, ყველა ძირეული სისტემის გადახალისება, დროული განთავისუფლება შტამპების რუტინისგან და ხალხისთვის რწმენის დაბრუნება. აქ კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ფსიქოლოგიას, ინდივიდუალიზმს, აქტივობას, მისწრაფებებს, გაბედულებასა და მოთხოვნილებებს. ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე გაგვაცნობს „რუსთავი 2"-ის ყოფილი მფლობელის, შემდგომ რუსეთში საქართველოს ელჩის და ამჟამად ტელეკომპანია „მაესტროს" გენერალური დირექტორის — ეროსი კიწმარიშვილის ფსიქოსტრუქტურის ძირითად მახასიათებლებს.**

**— ბატონო ზურაბ, რა მოუტანა ხალხსა და ქვეყანას „გამარჯვებული ხალხის" ტელევიზიამ და „ვარდების რევოლუციის" მამად მონათლულმა ეროსი კიწმარიშვილმა; მისი ეს როლი რა ფსიქოშტრიხებით იყო განპირობებული?**

— კიწმარიშვილის ფსიქოლოგიური ხაზი ერთი მიმართულებით არ მიდის, ზიგზაგურია და უამრავ განშტოებებს შეიცავს. ეს წინააღმდეგობრივი ხასიათი სრულიად აისახება მის ცხოვრებაზე და ავტორიტეტს ულახავს. ხშირად გვაოცებს უტიფრობით, გონებრივი მიგნებებითა და სიყალბესთან შეუღლებული უტეხობით. ის ამბობს: „ვარდების რევოლუცია" არ იყო დაგეგმილი პროექტი, რომ ვილაც სადლაც დაჯდა და მოამზადა. ყველაფერი იმპულსური და არაპროგნოზირებადი იყო," — ეს ცხადყოფს, რომ პიარტექნოლოგიებში კარგად ჩახედული კიწმარიშვილის სულიერებაში ჩადებულია ცბიერი, მატყუარა, სინდისთან მწყრალად მყოფი ადამიანის კოდი.

## კიწმარიშვილს უჭირს სიცხადის დანახვა და აღიარება. ეს მასში ხდება არა სინდისის ქენჯნით, არამედ იმიტომ, რომ სულიერებაში, კარგა ხანია, ფესვგადგმული სიცრუე აქვს ჩაბუდებული, რომელიც დღესაც ყვავილობს.

არსებული ვითარება კი სიცრუის ტრადიციად ქცევას ან ჩვევად ჩამოყალიბებას ემსახურება. ბატონ ეროსის მორალური უფლება არ ჰქონდა და არც აქვს, თავისი ნიჭი, შემოქმედებითი პოტენციალი სიცრუისა და ბოროტების გამარჯვებისთვის ხარჯოს. მან „ვარდების რევოლუციაში" მოახერხა დაფანტული, დაშლილი, საზოგადოებრივი აზრის გამთლიანება და შეკვრა. ეროსი კიწმარიშვილის ძალისხმევა „ვარდების რევოლუციის" დროსაც და დღესაც თვითდამკვიდრებასა და გავლენის მიღწევას ემსახურება. მას ამოქმედებს არა ჭეშმარიტი ღირებულებები, არამედ სამომავლოდ განსაკუთრებული ადგილის მოპოვების სურვილი. აქედან გამომდინარე, მისი მანკიერი ზრახვები და ვნებები მიღწეულმა შედეგებმა ვერ დააკმაყოფილა, თუმცა იცის, რომ მისი ყოველი ნაბიჯი მოზომილი, თანაბარი და ზუსტი თუ არ იქნება, კატასტროფა გარდაუვალია. მას ავიწყდება სიბრძნე — „რევოლუცია ჭამს თავის შვილებს". გამოცდილებამ ჭკუა ვერ ასწავლა, მას უჭირს აღიარება და არა — ანალიზი. ეს, ერთი მხრივ, მის ძლიერ გონებრივ უნარებზე მიგვითითებს, მეორე მხრივ კი — მის ზნეობრივ დაქვეითებაზე. ამ თეორიას მისივე ნათქვამი გვიდასტურებს — „დემოკრატიულ ქვეყანაში მედია დაცული უნდა იყოს მისი მფლობელის ამბიციისაგან, თავისი მიზნების სარეალიზაციოდ მოახდინოს საზოგადოებრივი აზრის მანიპულაცია. „რუსთავი 2" და ბევრი არხი საქართველოს ცნობიერებას წამლავს". ეს მისი პირადი გამოცდილება და გაანალიზებული თავგადასავალია ქვეცნობიერის გამოფხიზლებისას ნათქვამი. მომდევნო სტრიქონში კი უკვე დანაშაულზე წასწრებული ქურდის კომპლექსით თავს იმართლებს: „რუსთავი 2" არ მანიპულირებდა საზოგადოებრივი აზრით. პოლიტიკური მანიპულაცია რომ ნდომებოდა, 300.000 კაცს, რომელიც გიორგი სანაიას გარდაცვალების დღეს გამოვიდა ქუჩაში, სასაფლაოზე სანაპიროთი არ წაიყვანდა. 2001 წელს, როდესაც უშიშროება თავს დაგვესხა, ერთი პოლიტიკური განცხადება არ გამიკეთებია". ეროსი კიწმარიშვილი ისევ ცრუობს... განცხადება ზურაბ ჟვანიამ გააკეთა, ხოლო ტელევიზიის წინ ხალხს შესაკრებად თვითონ „რუსთავი 2"-ის თანამშრომლებმა მოუწოდეს. ორივე მისი განაცხადი განსჯით აზროვნებასაც და ფაქტებსაც ეწინააღმდეგება. ფსიქიკაში დატყვევებული მისი სულიერება აღიარებისკენ მიისწრაფის, რათა, როგორც ხალხი ამბობს, გულიდან სიმძიმე მოიშოროს, ხოლო გონება სიფრთხილეს კარნახობს. ამდენად, გართულებული ფსიქოწყობა აქვს, აწვალებს სიცხადე, მაგრამ არ შეუძლია, მას თვალი გაუსწოროს. გაორებული ფსიქიკა აქვს, თანაც არ გააჩნია ჯანსაღად ნაწრთობი ნებელობა. მის ფსიქიკაში დომინანტური იმპერატივისთვის გამუდმებით იბრძვის გული და გონება, რაც ადამიანისთვის ფსიქოლოგიური ტრაგიზმია.

წინსვლისთვის აზარტი მის გონებაში ძლიერი ემოციით ვითარდება, კაზინოს მოთამაშის მსგავსი სქემით — იცის რისკის ფაქტორი, მაგრამ ცდუნების ძალა მის სულიერ და გონებრივ უნარებს ჯაბნის. ამგვარი ფსიქოლოგიური ზეგავლენით შთაუნერგა ხალხს ყალბი რწმენა, ცრუ რწმენის კერპიც მშვენივრად გააპიარა. ამ არჩევანით კი დაკარგა მოწოდების გზა, ავტორიტეტი, მისივე დაფუძნებული ტელევიზია და ნდობა ხალხის მხრიდან.



**— ბატონო ზურაბ, რით ახსნით ეროსი კიწმარიშვილის სკანდალურ განცხადებას აგვისტოს ომის შესახებ, საპარლამენტო კომისიაზე დაკითხვისას?**

— პიროვნების ფსიქოლოგია არ შემოისაზღვრება იზოლირებულად გუშინდელი დღით. მასში დაბუდებული ამბიციურობა „ვარდების რევოლუციით" არ დაკმაყოფილებულა. გულწინწილა, უზნეო, პატივმოყვარე სიხარბით გაუმაძღარი კაცი რევანშისთვის დროს ეძებდა. ვარაუდობდნენ, რომ სააკაშვილს ომის წამოწყებისთვის დასავლეთი ზურგს საბოლოოდ შეაქცევდა. პოლიტიკური სპექტრი ამბობდა — „სააკაშვილი წასულია, ცოტა მიწოლაღა უნდაო". ეროსის სკანდალური განცხადება — „საქართველოს ხელისუფლებას ამერიკის ადმინისტრაციიდან ჰქონდა მწვანე შუქი საბრძოლო მოქმედებების დასაწყებად"— მხოლოდ პირად მიზანს ემსახურებოდა და არა — სიმართლის დადგენას. შურისძიებამ აქცია მართლის მთქმელად და გაორებული ფსიქიკის პატრონის ნათქვამს მკვეთრად გამოხატული კონკრეტულობა შესძინა. მის ამ საქციელს წარმართავდა აღიარებისა და ყურადღების ცენტრში მოხვედრის დაუოკებელი ვნება. კრიტიკულ სიტუაციებში დათრგუნული სურვილები ილვიძებენ და ანგრევენ მისი გონებრივი იმპერატივის გალავანს. აი, მაგალითი მისი გამოსვლიდან: „მე დღეს არ ვამთავრებ, ვიწყებ. 5 წელი გაჩუმებული ვიყავი და ხმას არ ვიღებდი ისეთ თემებზეც კი, რაშიც მონაწილეობა არ მიმიღია". საინტერესო პასაჟია. მინდა, ვკითხო: — ბატონო ერასტი, ახლა რა მოხდა? რაშიც მონაწილეობა მიიღეთ, იმით არ გრძნობთ თანაზიარობას მათთან, ვისზეც განაწყენებული ხართ? ფსიქოანალიზით კი სიმართლე ბატონ ეროსის მაშინ აგონდება, როდესაც უჭირს, იგივე სქემატურობით, როგორც მძიმე წუთებში ფარისეველს ღმერთი აგონდება. მის ნათქვამს არასოდეს ახასიათებს დიდსულოვნება, მის მძლავრ გონებრივ უნარებს აკლია კეთილგონიერება. და მაინც, მისი წარმატება ნიჭსა და გონიერებაზე მეტად მის პრაგმატულ ხასიათზე, გერგილიანობასა და ალღოზე მოდის.

ანგარებიან ამბიციას თვითონვე ხდის ფარდას — „სააკაშვილმა თავიდან მომიცილა... მისთვის ყველაზე დიდი პრობლემის მატარებელი „რუსთავი 2" და კიწმარიშვილი იყო... არ უნდა მეთქვა, სახლში წავალ და ჩემს პროექტებს მივხედავ-მეთქი, უნდა მომეთხოვა პოლიტიკური დივიდენდები, მიმეღო ის, რაც მეკუთვნოდა პოლიტიკური გავლენის თვალსაზრისით: პარლამენტში ფრაქცია, მინისტრების პორტფელები, მიმეღო პოლიტიკური თანამდებობები და ჩამოვყალიბებულიყავი პოლიტიკურ მოთამაშედ". დააკვირდით: „არ უნდა მეთქვა" „უნდა მომეთხოვა" — რამხელა სინანულია ამ სიტყვებში და როგორ ცდილობს თავისი სიხარბის შენიღბვას, ერთდროულად იყენებს ნიღაბს, მახვილსა და ფარს. მახვილის მოშველიებით არავის ინდობს, **მე**-ს წარმოსაჩენად ნიღაბს ხმარობს და ფარს იმარჯვებს, მაგრამ... მის მსჯელობებში შინაგანი ექსპრესით დამუხტული გულისტკივილი მოედინება, რომ ხელსაყრელი მომენტი ხელიდან გაუშვა. ეგოისტი, პატივმოყვარე, მიზანდასახული, საკუთარ თავზე ნარცისივით შეყვარებული, უკიდურესად თავდაჯერებული მარცხს თავის თავს ვერ პატიობს და მწარედ განიცდის. ერთგვარი შური იპყრობს იმის გამო, რომ თავისი შესაძლებლობები, პროფესიონალიზმი, გერგილიანობა, შნო და მიზანსწრაფვა „ვარდების რევოლუციის" პროექტში უშურველად ჩადო, სხვებმა კი მოიმკეს. წარუმატებლობამ და მწირმა სულიერებამ ის ეგოისტ რევანშისტად, დემაგოგად, შანტაჟისტად, სკანდალისტად და აგრესორ პროვოკატორად წარმოაჩინა. ამიტომ ქმნის აურზაურს, არ ერიდება მხილებას, რადგან ახლა ამგვარი პოზიციით სურს გამორჩენა, ის ელის მოგებას... იქამდე კი თავს არ იზღუდავს, ინტენსიურად ცხოვრობს აწმყოთი, განდიდების მძებნელად რჩება და გამუდმებით იბრძვის მეთოდების შეცვლით. აი, მისი დღის რეჟიმი: „დილით ცხენით ვიწყებ... საღამოობით ორი საათი ჩოგბურთს ვთამაშობ. წელიწადში ერთხელ ვცდილობ, მთაში წავიდე. ზაფხულობით... წყლის თხილამურებზე ვიდექი, ზამთრობით ვდგავარ ჩვეულებრივ თხილამურებზე". ყურადსაღებია მისი განმარტებები, რომ ცხენი დიდ პოზიტიურ ენერგიას ჩუქნის, ჩოგბურთი — აქტივობას და ასე შემდეგ. რაც მიგვანიშნებს, რომ ყველაფერს სარგებლიანობის თვალსაზრისით უყურებს და არა შინაგანი განცდის სიამოვნებითა და გატაცებით. მეუღლის ბიზნესსაც ამ კუთხით აფასებს: „ყველა „მის საქართველო" ძალიან წარმატებულადაა გათხოვილი. ეს უკვე ნიშნავს, რომ ბრენდი პატივსაცემია". ამ ბანალურ და მერკანტელურ შეფასებაში აქცენტირებული პირადი ცხოვრების მოწყობის მოტივი საოცარია, განა ბრენდის წარმომადგენელი მსოფლიო მასშტაბით წარმატებას თუ მიაღწევდა, ნაკლებ პატივსაცემი იქნებოდა? გამოდის, ეროსის ფსიქოწყობის მთავარი ხერხემალი პირადი გამორჩენაა, პირადი კეთილდღეობა და მატერიალური უზრუნველყოფა.

**— ბატონო ზურაბ, დღეს ბატონი ეროსი ტელეკომპანია „მაესტროს" გენერალური დირექტორია და აცხადებს, რომ მისი მიზანი ქართული მედიის დემოკრატიული განვითარებაა და უამრავი ახალი პროექტების განხორციელებას გვპირდება...**

— ამა წლის მარტში ეროსი პრესის ფურცლებზე აცხადებდა: „ორჯერ გადავრჩი და მესამედ ამ წყალში შესვლა არასოდეს მომინდება." 9 თვეში კი გადაწყვეტილებას იცვლის. გაორებული ფსიქიკის ცვალებადობის მატარებელი შეძლებს დემოკრატიული მედიასივრცის შექმნას?! ამერიკაში მისი ვიზიტის მთავარი სამიზნე ის 20 მილიონი დოლარი იყო, რომელიც დემოკრატიისა და მედიის განვითარებისთვის უნდა წამოვიდეს, საიდანაც 9 მილიონი მედიის განვითარებას უნდა მოხმარდეს. ამ „გემრიელ ლუკმას" ეროსის მსგავსი ხელეჩო კაცი ხელიდან არ გაუშვებს. მას ამის პრეტენზიაც აქვს — „მე ვარ ადამიანი, რომელსაც საქართველოში სატელევიზიო მენეჯმენტში ყველაზე ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. მე შევქმენი ტელევიზია, რომელიც მრავალგზის აღიარებული გახდა მსოფლიო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ... რომლის მაგალითზეც და ანალოგიით ვითარდება დღეს სატელევიზიო სივრცე". მინდა, ეროსის შევახსენო, რომ ნალვაწს შედეგი და ხალხი აფასებს და არა — ავტორი. ცხადია, ხალხი ხვდება, რამხელა შეცდომაში შეიყვანა ქვეყანა 2003 წელს მსოფლიო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულმა ტელევიზიამ, როგორ დაკარგა საზოგადოებამ ნდობა ქართული ტელესივრცის მიმართ და ძალიან სამწუხარო ფაქტად მიიჩნევს, რომ დღეს სატელევიზიო სივრცე „რუსთავი 2"-ის ანალოგიით ვითარდება, რასაც მოწმობს არაერთი შეურაცხმყოფელი წარწერები შენობის ფასადებზე ამ საკითხთან მიმართებაში. მინდა, ვკითხო ბატონ ეროსის — თუ ტელემედია დემოკრატიული განვითარებისთვის ამერიკიდან დაფინანსდება, ნუთუ „მუსიკას არ შეგიკვეთავენ?". იცით, რას კითხულობს ხალხი — კიწმარიშვილი მეორე რევოლუციის მოწყობას ახლა უკვე „მაესტროს" საშუალებით აპირებს? რადგან „მაესტროს" დირექტორად დანიშვნაში ჯერ კიდევ შეუცნობელი პოლიტიკური მუხანათობა ილანდება. ეჭვქვეშ დგას ვერსია: ხელისუფლება ცდილობს, ტელევიზია „მაესტროს" დამოუკიდებლობის იმიჯი შეუქმნას და თავისი ინტერესებისათვის გამოიყენოს. ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ ეროსი „მაესტროს" 3 წლით, ზუსტად 2013 წლამდე უხელმძღვანელებს.

ეროსის ფსიქოტიპაჟი კარგად იხდენს პროფესიონალიზმს, განსაკუთრებულ ნიჭს იჩენს სატელევიზიო პიარტექნოლოგიებში, მოხერხებულად თამაშობს ერის ბედზე გულატკივებულ მამულიშვილობასა და სიმართლის ქომაგობას.

## ბოლო დროს ხელისუფლებაზე ამხედრებული კაცის მუნდირიც მოირგო. განდიდებისთვის, სიმდიდრის მოსახვეჭად და უზრუნველი მომავლისთვის დიდ რისკზე უკვე მესამედ მიდის,

ბრძენს კი უთქვამს „ერთსა და იმავე წყალში სამჯერ კი არა, ორჯერაც ვერ შეხვალო".

მის ფსიქოსტრუქტურაზე დაკვირვებამ მეტად მნიშვნელოვან დასკვნამდე მიმიყვანა — ყველა ქმედებასა და განსჯაში რაციონალურ ლოგიკას ექვემდებარება. მასში ყველა ნიშან-თვისება „რაციოს" ემორჩილება და ეს ელემენტი მის ფსიქეში დომინანტია და ამიტომაც კვლავაც იმედით შესცქერის ეროსი ზამთრის სიახლოვით დათრთვილულ ვარდებს.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ცდუნებანი, რომელთა წინაშეც შეიძლება მორწმუნენი აღმოჩნდნენ

**ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ქრისტიანთა დევნა ოფიციალურად შეწყდა, მისმა მტრებმა ჭეშმარიტი მოძღვრების აღრევითა და ცრუ სწავლებებით ეკლესიის შიგნით განხეთქილების დათესვა დაიწყეს. ეს პროცესი დღემდე გრძელდება. დეკანოზი ამირან ამირანაშვილი, თბილისის სიონის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის მოძღვარი, დღეს სწორედ იმ ცდუნებათა შესახებ გვესაუბრება, რომელთა წინაშეც შეიძლება მორწმუნენი აღმოჩნდნენ.**





— თავად იესო ქრისტე აფრთხილებდა მოსწავლეებს: „შეუგვანებელ არს საცთურისა არა მოსვლაი, ხოლო ვაი, ვისგან მოვიდეს“. ცრუსწავლებანი, ძირითადად, სამების მეორე პირის, იესო ქრისტეს წინააღმდეგ იყო მიმართული. ზოგიერთები, თანამედროვე სექტანტების მსგავსად, მაცხოვრის ღვთაებრიობას უარყოფდნენ, ზოგნიც მისგან ღვთაებრივ ბუნებას გამორიცხავდნენ. ფსევდომოძღვარი ეფესელი კერინთოსი (იოანე ღვთისმეტყველის თანამედროვე) ამტკიცებდა, რომ იესო ჩვეულებრივი ადამიანი იყო, მასზე ნათლისღების დროს სულიწმიდა გადავიდა, მაგრამ დატოვა, როცა ჯვარზე გააკრეს.

**— რომელი სექტები უთხრიდნენ ძირს ჭეშმარიტ მოძღვრებას?**

— ებიონელთა სექტა უარყოფდა ღვთის სიტყვის განკაცებას, ქრისტეს მხოლოდ სულად თვლიდნენ მისი მიმდევრები. ხოლო დოკეტებს მიაჩნდათ, რომ იესომ ადამიანური გარეგნობა მოჩვენებითად შეიმოსა და წამება არ განუცდია.

**— ვინ იყვნენ დოკეტები?**

— „დოკეო“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს — „მეჩვენება“. ისინიც სექტანტები იყვნენ.

**— გნოსტიკოსებზე რას გვეტყვით?**

— გნოსტიციზმი სამყაროს ორ საწყისზე — კეთილსა და ბოროტზე აღმოსავლური სწავლების, იუდაიზმისა და ქრისტიანობის ნარევია. გნოსტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ იესო ღვთაებისაგან გამოსულ ძალთა — ეონთაგან ერთ-ერთი ძალა — ეონი იყო, მას სამყაროს სიბნელისა და ბოროტებისაგან დახსნა შეეძლო. მოციქულები ხვდებოდნენ, რომ დადგებოდა დრო, როცა ადამიანთა დიდი ნაწილი უარყოფდა მაცხოვნებელ მოძღვრებას და გაჰყვებოდა მათ, ვისი სწავლებაც სასიამოვნო მოსასმენი იქნებოდა: „რამეთუ იყოს ჟამი, ოდეს სიცოცხლისა ამას მოძღურობასა არა თავს იდებენ, არამედ გულის თქუმისაებრ თვისისა შეიკრებნენ მოძღუართა ქავილითა ყურთაითა“.

**— სამწუხაროდ, გამართლდა მათი შიში...**

— ერესის გაძლიერებას შედეგად მოჰყვა მთელი მიმდინარეობის — არიოზელობის ჩამოყალიბება, რომლის მამამთავარიც იყო ალექსანდრიელი მღვდელი არიოზი. მის თანამოაზრეებს არიოზელებს უწოდებდნენ. მათ მსოფლიო ეკლესიის მთლიანობას სერიოზული ბზარი გაუჩინეს.

**— რას ისახავდა მიზნად ერესი?**

— მიზანი იყო ერთი — ბრძოლა ყოვლადწმიდა სამების, მისი ჰიპოსტასების — სულიწმიდისა და, განსაკუთრებით, მაცხოვრის, ძე ღმერთის წინააღმდეგ.

**— თანამედროვე ერესების შესახებ რას გვეტყვით?**

— ახლადწარმოშობილი ერესები, იგულისხმება ბაპტიზმი, შტაინერიზმი, იეღოველობა, ორმოცდაათიანელობა და სხვა, ერთმანეთისგან მხოლოდ სახელებით განსხვავდებიან, შინაარსი და მიზანი იგივე აქვთ, რაც ძველი დროის ერესებს. მართალია, იესო ქრისტეს არსებობას ისტორიულად არ უარყოფენ, მაგრამ ებრძვიან, როგორც განკაცებულ ღმერთს.

**— თუ შეიძლება, განმარტეთ ერესის მნიშვნელობა?**

— ერესი, ანუ მწვალებლობა ღვთის წინააღმდეგ ბრძოლაა, ანუ მისი მიმდევრები, ნებსით თუ უნებლიედ, სატანის მხარეზე დგანან, წყვდიადის თავადს ემსახურებიან. წმიდა წერილი გვასწავლის: „ვერვის ხელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუაი იგი შეიყუაროს, ანუ ერთისაი მის თავს-იდვას და ერთი იგი შეურაცხ-ყოს“.

**— რა არის სექტების წარმოშობის მიზეზი?**

— ერესის წარმოშობის ძირითადი მიზეზი იგივეა, რამაც უფლის ანგელოზი სატანად, ხოლო პირველი ადამიანები ცოდვის მონებად აქცია, ანუ ამპარტავნება — ქმნილების სწრაფვა გაუტოლდეს შემოქმედს.

**— რატომ ვუწოდებთ ქართულად ერესს მწვალებლობას?**

— ერესი წარმოდგება ბერძნული ზმნიდან „ჰაირეო“ (მივიტაცებ, მივითვისებ, ავირჩევ). ერეტიკოსია ის, ვინც ღვთის შესაცნობად თვითნებურად არჩეულ გზას ობიექტურ ჭეშმარიტებად მიიჩნევს. ერესის შესატყვისი ქართული ტერმინი „მწვალებლობა“, ბერძნულისგან განსხვავებით, იმ შედეგებსაც გულისხმობს, რაც ამპარტავნულ არჩევანს მოჰყვება. „განწვალება“ ძველ ქართულში გაყოფას, განშორებას, განხეთქილებას ნიშნავდა. როგორც ხედავთ, მწვალებლები არიან ისინი, ვისაც ეკლესიაში განხეთქილება შეაქვს და მას საკუთარი ნებით გამოეყოფიან.

**— თუ არ ვცდები, მღვდელი არიოზი და მისი მიმდევრები პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ ამხილა...**

— დიახ, პირველივე მსოფლიო საეკლესიო კრება არიოზელების მხილებას მიეძღვნა. მათ ამპარტავნულად ეჭირათ თავი, საკუთარი ცოდნით ამაყობდნენ და მას რწმენას უპირისპირებდნენ, უფრო მეტიც, ცოდნას რწმენაზე მაღლა აყენებდნენ. მართლმადიდებლებს პრიმიტიულებსა და უცოდველებს უწოდებდნენ.

**— რატომ არ აღიარებდნენ ერეტიკოსები ეკლესიის მამების სწავლებას?**

— თავიანთ ყოვლისმცოდნეობაში დარწმუნებულები თვლიდნენ, რომ რწმენის სფეროში ძველი შეხედულებების შეუმოწმებლად მიღება არ შეიძლებოდა, ამიტომაც მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ ეკლესიის მამების სწავლებასა და საეკლესიო გადმოცემებს. საკუთარ თავს „რწმენის გამომკვლევებსა და გამომძიებლებს“ უწოდებდნენ.

**— რა არის მწვალებელთა ძირითადი შეცდომა?**

— სამწუხაროდ, ისინი ღმერთის შესახებ მეცნიერულ ცოდნას იჩემებენ და სახარების ჭეშმარიტების რწმენა სურთ არა გულით, არამედ გონებით. გრიგოლ ღვთისმეტყველი წერს: „მათ დატოვეს ყველა სხვა გზა და ერთ გზას — გონებისა და გონებით ჭვრეტის გზას დაადგნენ“. წმიდა ბასილი დიდი, რომელიც ეკლესიას არიოზელების შემოტევისგან იცავდა, წერს: „ჩვენ გადაგვარჩენს არა გამოკვლევა იმისა, რა არის ღმერთი, არამედ აღიარება იმისა, რომ იგი არის“. ბასილი დიდის სწავლებით, ყოველივე გონებით რომ გავზომოთ და ვიფიქროთ, გონებისთვის არაფერია მიუწვდომელიო, რწმენისა და სასოების ჯილდო წარწყდება. საერთოდ, ყველა ერესი მაცხოვარს „ჭეშმარიტი ქრისტიანობის“ სახელით ებრძოდა და ებრძვის. მაგალითად, იეღოველები თავს ქრისტიანებად აცხადებენ მაშინ, როცა იესოს მკვდრეთით აღდგომას და, აქედან გამომდინარე, მის ღვთაებრიობას უარყოფენ. შეგახსენებთ, რომ მწვალებლურ მიმდინარეობათა მამამთავრები — ერესიარხები უმეტესწილად საეკლესიო პირები იყვნენ. არიოზი მღვდელი გახლდათ, ნესტორი — ეპისკოპოსი, ევტიქი — ბერი და ა.შ.

**— თავიანთ ავტორიტეტს ხალხის შესაცდენად იყენებდნენ...**

— ერეტიკოსები შენიღბული მტრები არიან... ქრისტიანული მოძღვრების სიწმინდისთვის თავგამოდებული ბრძოლით საზოგადოებაში მოპოვებულ ავტორიტეტს მრევლის საცდუნებლად იყენებენ.

**— ძნელია, დაიჯერო იმ ადამიანის მტრობა, ვინც ეკლესიის ინტერესების აქტიური დამცველის სახელითაა ცნობილი...**

— მართალი ბრძანდებით, თავიანთ ავტორიტეტს ფარული მიზნების განსახორციელებლად იყენებენ. საზოგადოების მხარდაჭერის მოსაპოვებლად საკუთარი თავის დევნილად წარმოდგენაც ეხერხებათ.

**— ვის გადაბირებას ახერხებენ ერეტიკოსები?**

— უვიცი ადამიანების იმედი აქვთ და არცთუ უსაფუძვლოდ. ცდუნდებიან ისინი, ვინც ქრისტიანულ მოძღვრებას ცუდად ან საერთოდ არ იცნობს. ერეტიკოსები წმიდა წერილსაც არ ერიდებიან და როგორც აწყობთ, ისე განმარტავენ. მოურიდებლად ექცევიან წმიდა მამათა თხზულებებს ანდა საერთოდ, უარყოფენ. ჭეშმარიტი ქრისტიანობისგან განსხვავებით, მწვალებლებისთვის უცხოა შემწყნარებლობა. ჩვენ ვლოცულობთ სექტანტებისთვის, ცდუნებული ძმებისთვის და ღმერთის ჭეშმარიტებისკენ მიმავალ გზაზე მათ დაბრუნებას ვევედრებით, ერეტიკოსები კი ეკლესიისა და სასულიერო პირებისადმი განსაკუთრებულ სიძულვილს ავლენენ, ამცირებენ და მათი კომპრომეტირებისთვის ყველანაირ ხერხს იყენებენ. შეგახსენებთ, რომ მონოფიზიტური ერესის მიმდევარმა ბერებმა სირია-პალესტინასა და ეგვიპტეში (V-VI საუკუნეებში) მართლმადიდებლების წინააღმდეგ იარაღი აიღეს და აჯანყება მოაწყეს, თუმცა VII საუკუნეში, არაბების შემოსევის შემდეგ, თითქმის უბრძოლველად დათმეს რწმენაც, სამშობლოც და გამუსულმანდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, წარმართმა სპარსელებმა თავიანთი სარწმუნოებისადმი უფრო მეტი ერთგულება გამოიჩინეს, ვიდრე მონოფიზიტმა „ქრისტიანებმა“.

**— თანამედროვე ერეტიკოსებიც ხომ ეკლესიასთან ერთად სამშობლოსაც უარყოფენ...**

— სამწუხაროდ, ასეა!.. ისინი ქადაგებენ, რომ შემოსეულ უცხო მტერთან ბრძოლა არაქრისტიანულია. არადა, ჭეშმარიტი ქრისტიანობა პატრიოტიზმსაც გულისხმობს.

**— სექტანტები არა მარტო სულიერ, არამედ ჩვენს ეროვნულ გადაგვარებასაც ცდილობენ...**

— დღეს მრავალი უცხო რელიგია და ე. წ. ქრისტიანული სექტები თავგამოდებით იბრძვიან საქართველოში რელიგიური ექსპანსიის განსახორციელებლად. მათ ჩვენი სულიერი უძლურებისა და სისუსტის იმედი აქვთ. გარდა ამისა, ადამიანთა გადაბირებას, ყიდვას მატერიალური დახმარების საფასურად ცდილობენ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვინც ჭეშმარიტ ღმერთს გადაუდგება და საკუთარ სულს წარწყმედს, ის სამშობლოსაც ადვილად ულალატებს და ოჯახსაც.

**— როგორ არ ეშინიათ სექტანტებს, ღმერთი ხომ ყველას მოგვკითხავს ცოდვებს?**

— თავისი საქციელისთვის თითოეული ადამიანი პასუხს აგებს ღვთის წინაშე. მერწმუნეთ, განსაკუთრებულად მძიმე ცოდვას სჩადიან სექტანტები, როცა ჩვენი ხალხის გაუთვითცნობიერებლობას რელიგიურ საკითხებში საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ და ცრუ მოძღვრებათა გავრცელებით, მათი ქადაგებით ადამიანებს მარადიული, ანუ სულიერი სიკვდილისთვის იმეტებენ. გაიხსენეთ უფლის სიტყვები: „ვაი მას, ვინც საცდურს შემოიტანს და სასუფევლისკენ მიმავალ გზას არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ სხვებსაც დაუხშობს“.

თავის დროზე წმიდა მამების მიერ მხილებულმა და მსოფლიო საეკლესიო კრებებზე დაგმობილმა ერესებმა დღეს გამოცოცხლება დაიწყეს და ახალი სახელებით მოგვევლინენ. ჩვენ მათ იოანე ღვთისმეტყველის სიტყვებით უნდა ვუპასუხოთ: „იესო ქრისტე — სიტყვა, მხოლოდ შობილი ძე ღვთისა და ერთარსი მისი, „პირველითგან“, ანუ ყოველთვის მამასთან იყო“.

# როდის გავაკეთოთ მეტანიები

**დიდი სჯულის კანონის თანახმად, მართლმადიდებელი ქრისტიანი კვირა დღეებში მეტანიებს არ აკეთებს, აღდგომიდან სულთმოფენობამდე და თორმეტ საუფლო დღესასწაულზე.**



წმიდა ბასილი დიდი ამბობს, რომ ამ დღეებში ლოცვის ჟამს ფეხზე დგომა ადამიანის ქრისტესთან თანადგომას მოასწავებს, ხოლო კვირა დღე მომავალი საუკუნის სახეა. ერგასის დღეებში ჩვენი აღდგომის შეხსენებაა, რომელსაც მომავალსა საუკუნესა მოველით: „ყოველი მუხლთა-დრეკით და ფეხზე აღდგომით ჩვენ საქმით ვუჩვენებთ, რომ ცოდვით დავეცით ქვეყანასა ზედა, ხოლო შემოქმედისა ჩვენისა კაცთმოყვარებითა კვლავ წოდებულ ვართ ზეცად“. ეს უძველესი კანონი დღემდე უცვლელად დარჩა და სავალდებულოა, მაგრამ ლიტურღიის უმნიშვნელოვანეს ადგილას, როცა მღვდელი ამბობს: „შენი, შენთაგან, შენდა შემწირველი“, მუხლმოდრეკა, ანუ მეტანია, ხსენებულ კანონს არ ექვემდებარება, რადგანაც კანონში ჩვეულებრივ ლოცვაზეა საუბარი.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სული სიკვდილის შემდეგ

**მკითხველისათვის უდაოდ საინტერესო იქნება მართლმადიდებელი მორწმუნის მიერ აღწერილი კლინიკური სიკვდილის შემთხვევა, მაგრამ ავტორის გვარსა და სახელს, მისივე თხოვნით, არ ვასახელებთ. მასალა მოგვაწოდა წმიდა პეტრე-პავლეს ტაძრის მოძღვარმა, მამა თეოდორე გიგნაძემ.**



ღვთის მადლითა და წყალობით, ხუთი წლის წინათ, ოპერაციის დროს მქონდა ხილვა. საოპერაციო მაგიდაზე ნარკოზის მიღებამდე გულმხურვალედ ვლოცულობდი და შეწევნას ვითხოვდი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისაგან. ვიგრძენი, რომ ჩემთვის უჩვეულო მდგომარეობაში აღმოვჩნდი. მიკვირდა და ვერ გამერკვია, რატომ გავხდი ასეთი მსუბუქი და ჰაეროვანი. ფიზიკური ფორმა შენარჩუნებული მქონდა, მაგრამ აბსოლუტურად სხვაგვარად შევიგრძნობდი თავს — სწრაფი, ბრუნვითი მოძრაობით მივიწევდი მაღლა. მოულოდნელად აღმოვჩნდი სრულიად ერთფეროვან, მკვდარ, ყვითელ, უფრო ზუსტად, ჩალისფერ გარემოში, სადაც არ არსებობდა ჩემთვის მანამდე ჩვეული დროის შეგრძნება. იქ არ არსებობდა წარსული, აწმყო და მომავალი. შევიგრძნობდი მარადიულობას (ასე აღმოვჩნდი სრულიად სხვა განზომილებაში).

მარადიულობა ერთ დროში აერთიანებდა წარსულსაც, აწმყოსაც და მომავალსაც. გონება ძალიან სწრაფად და სხარტად აზროვნებდა, მახსენდებოდა ჩემი ცხოვრების ყველა დეტალი. მეტყველება შემეძლო არა ბაგეების მეშვეობით, არამედ გონებით. ინფორმაციის გაცვლა ხდებოდა, ასე ვთქვათ, გონებიდან გამომავალი ტალღებით. ამაში უჩვეულო არაფერი იყო, ამგვარი მეტყველება გაცილებით სწრაფი და მოხერხებულია.

უცაბედად, შევიგრძენი, რომ ვიმყოფები ფიზიკურად უმწეო და უსუსურ მდგომარეობაში, ვითარცა ჩვილი. გონება კი ისეთი ნათელი და სწრაფად მოაზროვნე მქონდა, როგორც სინათლის სხივი.

მოულოდნელად გარს შემომეხვივნენ საზარელი, უჩვეულო ხმისა და ფორმის მქონე არსებები, სხვადასხვა ზომისანი და არაბუნებრივად მახინჯი სახეებით. მათ ყიჟინითა და სიხარულით იწყეს ჩემი ტანჯვა-წამება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ვიტანჯებოდი როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად. შედარება არაზუსტია, მაგრამ მიწიერი გრძნობებიდან იგი შეიძლება გავაიგივოთ მატყლის წეწვასთან, წყლის ჩეხვასთან. მჭრიდნენ, მაგრამ სხეული წყალივით მყისიერად იბრუნებდა ფორმას.

მიხსენებდნენ ყოველ ცოდვას, ბავშვობიდან დაწყებული. მაგალითად, კურდღლის წვალებასაც კი. დროის ფლანგვას, ამაოდმეტყველებას, მწარედ მომეკითხა სხვათა განკითხვა და იმის შეგრძნება, რომ განკითხულზე უკეთესი ხარ, სხვისი დაბრკოლება, ქმრის დაუმორჩილებლობა ყოველ წვრილმანშიც კი და, რაც მთავარია, განხეთქილებაში ყოფნა (როგორც პირად საუბარში განაცხადა, ავტორი ოპერაციამდე ვასილ მკალავიშვილის მიმდევარი იყო).

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო,



რომ არ არსებობდა ძალა, რომელიც მე აზრს შემიცვლიდა ჩემი რწმენის შესახებ, მაგრამ როგორც წერილ არს: შეუძლებელი კაცთათვის, შესაძლებელ არს ღმერთისთვის.

როცა ცოდვებს მაყვედრებდნენ, მთელი გულით და გონებით შევიგრძნობდი, რომ ცოდვილი ვიყავი უფლის წინაშე, თანაც სრულიად უმწეო, თითის განძრევაც კი არ შემეძლო საკუთარი თავის დასახმარებლად. ეს იყო მდგომარეობა, რომლის შედარებაც ამქვეყნიურ ტკივილებთან თითქმის შეუძლებელია. იმ სატანჯველში არ მახსოვდა არაფერი მიწიერი, არც ოჯახი, არც შვილები.

დამეუფლა ერთადერთი გრძნობა — ცოდვის ტკივილის შეგრძნება და სინანული.

უცაბედად, ჩემდა გასაკვირად, ამ არსებებმა საშინელი ღრიალით დაიწყეს უკან დახევა. აშკარა იყო, ისინი ამას თავისი ნებით არ აკეთებდნენ. მათი სიხარული სადღაც გამქრალიყო და მალე ისინი თავადაც გაქრნენ. მე გავიგონე ქალის ხმა, რომელმაც გაბრაზებით მითხრა, რომ მე უფალმა შემიწყალა და დედამიწაზე უნდა დავბრუნდე, რათა აღსარების თქმა მოვასწრო. უზომოდ ბედნიერი და გახარებული მყისიერად აღმოვჩნდი ჩემი სახლის წინ, სკვერში. ვხედავდი, როგორ მოძრაობდა ტრანსპორტი და მიდიმოდიოდა ქუჩაში ხალხი.

ამ დროს დამიბრუნდა მეხსიერება, რომელიც დაკავშირებული იყო ჩემს მიწიერ ყოფასთან. გამახსენდა, რომ მე იმ სახლში ვცხოვრობდი, მყავდა შვილები და ამ ფიქრებით აღმოვჩნდი საავადმყოფოში, სადაც ჩემი სხეული ესვენა.

მახსოვს, რა არასასიამოვნო შეგრძნებით შევდიოდი სხეულში, თითქოს მუთაქაში მტენიდნენ. ეს იყო ფიზიკურად მძიმე პროცესი, მაგრამ სულიერად სიხარულს განვიცდიდი. მიხაროდა, როცა შანსი მეძლეოდა, აღსარებით განვწმენდილიყავი ცოდვებისაგან, რათა არ მოვხვედრილიყავი სატანჯველში.

დავბრუნდი სულ სხვა აზრებითა და განცდებით. პირველად შევიგრძენი, თურმე რამხელა ბედნიერებაა ყოველი დღის გათენება, რომელსაც თან მოაქვს დიდი წყალობა ღვთისა, შეინანო, რათა შეძლო გამოასწორო შეცდომები, შეიგრძნო, როგორ ყვარებიხარ უფალს, მადლობა შესწირო ყველაფრისათვის.

ჩემს ცხოვრებაში პირველად შევიგრძენი, რომ სინანულის საიდუმლო არ აღსრულდება, თუ ცრემლით არ ჩამოირეცხა ადამიანმა ცოდვები, რომ ცრემლით და არა სიტყვით ხდება განწმენდა. რომ არ არსებობს მიწაზე არაფერი ისეთი მნიშვნელოვანი, რისი გულისთვისაც შეიძლება ადამიანი კომპრომისზე წავიდეს და სცოდოს.

ღვთის მადლით, მრცხვენია ყველა ჩემი ცოდვის გამო, უპირველესად, უფლის წინაშე, ყოველი ადამიანის წინაშე, ნაცნობისა თუ უცნობის, ჩემი თოთო შვილების წინაშეც კი.

ღვთის წყალობით, მიყვარდა თითოეული ადამიანი, მზად ვიყავი, მიმეტევებინა ყველასათვის ყველაფერი.

ღვთის წყალობით, მაშინ პირველად შევიგრძენი ლოცვის ძალა და სიტკბოება. ყოველი ლოცვა, რომელსაც ვკითხულობდი, ჩემი სულის ამოძახილი იყო. მე კიდეც მიკვირდა, როგორ ზუსტად შეძლეს წმიდა მამებმა ჩემი სათქმელის გადმოცემა. ლოცვის ყოველი სიტყვა ჩემი გულის გავლით წარმოითქმებოდა. განსაკუთრებით გავითავისე იოანე დამასკელის ლოცვები.

მადლობა უფალს ყველაფრისათვის, მაგრამ, ამავე დროს, დიდი სინანულით ვითხოვ შენდობას იმის გამო, რომ ვერ შევინარჩუნე ის მადლი, რომელიც დაუმსახურებლად მომეცა და ასე დაუდევრად გავფანტე, გული გავიუხეშე.



## სულისთვის სასარგებლო რჩევები



● ამპარტავნება ღვთის უარყოფაა, ეშმაკთან მეგობრობა, კაცთა შეურაცხყოფა, განკითხვის დედა.

● ნუ აღიმაღლებ თავს, თიხაო და მიწაო, რადგან მრავალი უხორცო და უნივთო გარდამოცვივა ზეცით.

● მუცლის ამოყორვაზე თავშეკავება ვნებებს ამცირებს, ხოლო ნაყროვანება გემოთმოყვარე ვნებებს ამრავლებს.

● არაფერი ისე არ აახლოებს ადამიანებს ერთმანეთთან, როგორც სიყვარული და წმიდა ცხოვრება. უფალი მოგვიწოდებს: „იყუარებდით ურთიერთს, ვითარცა ძე შეგიყუარეთ თქვენ“.

● ნაყოფიერების დასაწყისი ყვავილია, ღვაწლმოსილი ცხოვრების დასაწყისი კი — თავშეკავება.

● ღვთისა და ადამიანის ნება ერთმანეთს უნდა დაუახლოვდეს, მხოლოდ ამ შემთხვევაშია კაცი ბედნიერი.

● ნამდვილი, გულითადი ლოცვა, მადლის წყალობაა, რომელიც აღსარებისა და ზიარების საიდუმლოს მეშვეობით გვეძლევა.

● სარწმუნოება მკვდარია კეთილი საქმეებისა და ცოცხალი რწმენის გარეშე.

## კითხვა-პასუხი

**მართებულია თუ არა ცხოველის ან ფრინველის დაკვლა და შეწირვა ეკლესიისთვის ქრისტიანული თვალსაზრისით?**

— ეკლესია მატერიალური შეწირულობებით არსებობს. მრევლი ტაძარში სულიერ მადლს იღებს, ხოლო თავად მატერიალურს გასცემს. ნივთიერი შესაწირავი მრავალგვარია, ეს შეიძლება იყოს გარკვეული თანხა, ღვთისმსახურებისთვის საჭირო ნივთები (ხატი, შანდალი, საკმეველი, სანთელი) და პროდუქტები (ფქვილი, ზეთი, ღვინო), საკუთარი ფიზიკური შრომა და საკვები. ცხოველი და ფრინველი სწორედ ამ უკანასკნელის სახით უნდა შევწიროთ ტაძარს, რათა საჭიროებისამებრ გამოიყენონ. არ უნდა დავკლათ, რადგანაც ფრინველისა და ცხოველის შეწირვას სხვა რამ მისტიკური დატვირთვა არ გააჩნია.

**როგორ გამოსახავენ მთავარანგელოზ მიქაელს ხატმწერები?**

— მთავარანგელოზი მიქაელი ხატებზე ჯავშნითაა გამოსახული, რაც ღვთაებრივი მადლის სიმბოლოა. მარცხენა ხელში მას უჭირავს ზეთისხილის რტო ან სამკუთხა ფარი, მარჯვენაში — თეთრალმიანი შუბი (ზოგჯერ — ცეცხლოვანი ხმალი) მეწამული ჯვრით. ზოგჯერ ხატზე ზეციურ ძალთა მხედართმთავარი მახვილით გმირავს დედამიწის ირგვლივ შემოხვეულ გველს. მთავარანგელოზ მიქაელს უნდა ვევედროთ დემონური ცდების დროს.

**შეიძლება თუ არა, ტრანსპორტში მჯდომმა მორწმუნემ ეკლესიის დანახვისას პირჯვარი გადაიწეროს?**

— პირჯვრის გამოსახვა შინაგანი ლოცვის გარეგნული გამოვლინებაა, ლოცვა კი ყველგან, ყოველთვის და ნებისმიერ მდგომარეობაში შეიძლება. წმინდა ტაძრის წინ გავლის დროს ადამიანმა უფალს უნდა შესთხოვოს ცოდვათა მიტევება, შეწევნა, ხოლო იმ წმინდანს, ვის სახელზეც აიგო ტაძარი — მეოხება ღვთის წინაშე. პირჯვრის გადაწერა ჩვენს ლოცვას აძლიერებს და ბოროტისგან გვიცავს, რამეთუ ჯვარი ძალაა ღვთისა, ასე რომ, სად და რამდენჯერ გადავიწერთ პირჯვარს, პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს.

**როგორ შევიცნოთ ღმერთი, როგორ მივიდეთ მისი არსებობის რწმენამდე?**

— წმიდა პავლე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში წერს: ყოველი ხილული უხილავის შესახებ მოწმობს, ყოველი უხილავი კი ქმნილებათა ხილვით შეიცნობა. ღვთის შემეცნების საუკეთესო გზაა ბუნებაზე დაკვირვება. თუ გონებით ჩაუკვირდებით სამყაროში არსებულ წესრიგს, საოცარ კანონზომიერებას დაინახავთ, რაც თავისთავად უზენაესის არსებობაზე მეტყველებს. ადამიანს უფლისაგან მიეცა გონება და ვალდებულია, ინდივიდუალურად მივიდეს რწმენამდე.

რუბრიკას უძღვება **ნინო გოძიაშვილი**

# სამარხვო კერძები

## სუნელებში შემწვარი ხამსა



ხამსას მოაჭერით თავი და გამოშიგნეთ, მერე კარგად გარეცხეთ, საწურზე მოათავსეთ, რათა წყლისგან დაიწრიტოს. დანაყეთ ნიგოზი, ნიორი, ქინძი, შეურიეთ ხმელი ქინძი, ძმარი, წიწაკა, მარილი, დაასხით ცოტა წყალი და კარგად აურიეთ (ნიგვზის მასა არაჟანივით სქელი უნდა იყოს), მერე გამზადებულ ხამსას ისე წაუსვით, რომ ნიგვზიანი მასა თანაბრად განაწილდეს და ცხელ კეცზე მოათავსეთ შესაწვავად.

შეგიძლიათ ასევე, თუნუქის ფირფიტას დაასხათ ცოტაოდენი ზეთი, მასზე მოათავსოთ სუნელებიანი ხამსა და შესაწვავად ღუმელში შედგათ.

**მასალა:** ხამსა — 2 კილოგრამი, ნიგოზი — 200 გრამი, ნიორი — 3-4 კბილი, ქინძი — 1 საშუალო კონა, ხმელი ქინძი — 0,5 ჩაის კოვზი, წიწაკა, ძმარი, მარილი — გემოვნებით.

## ვაშლის ღვეზელი



200 გრამ დარბილებულ მარგარინს დააყარეთ 2 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, დაასხით 2 ჩაის ჭიქა ნელ-თბილი წყალი, შეურიეთ 2 ჩაის კოვზი (ძმარში გახსნილი) სოდა, 0.5 ჩაის კოვზი მარილი, ვანილი გემოვნებით, დააყარეთ 3-3,5 ჭიქა ფქვილი და კარგად აურიეთ ერთმანეთში. გამზადებული ცომი ორ ნაწილად გაყავით. ცხიმწამსმულ თუნუქის ფირფიტას მოაყარეთ ფქვილი და ზედ დადეთ ცომის ერთი ნაწილი (კოვზით თანაბრად გაასწორეთ), წაუსვით ვაშლის ხილფაფა და ზემოდან ცომის მეორე ნაწილი დააფარეთ. შედგით ღუმელში საშუალო ტემპერატურაზე. როცა გამოცხვება, შაქრის პუდრა მოაყარეთ და ოთხკუთხედ ნაჭრებად დაჭერით.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ხელისუფლების არაძალადობრივი დამხობის 198 ხერხი

## გიგა ბოკერიას საწვრთნელი სახელმძღვანელო




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №38-41



### დემოკრატიული ხელისუფლების ცენტრები

დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი უამრავი არასამთავრობო ჯგუფებისა და ინსტიტუტების არსებობაა, რომლებიც სახელმწიფოს არ ექვემდებარება. მაგალითად, ოჯახები, რელიგიური ორგანიზაციები, კულტურული ასოციაციები, სპორტული კლუბები, ეკონომიკური ინსტიტუტები, პროფკავშირები, სტუდენტური ასოციაციები, პოლიტიკური პარტიები, ასოციაციები საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, სოფლები, მებაღეთა წრეები, სამართალდამცავი ორგანიზაციები, მუსიკალური ჯგუფები, ლიტერატურული საზოგადოებები და სხვა. ეს ორგანიზაციები მნიშვნელოვანია იმით, რომ განუხრელად მიისწრაფიან დასახული მიზნისაკენ და უნარი შესწევთ, ხალხს დახმარება აღმოუჩინონ სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში.

ამასთანავე, მათ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს — უზრუნველყოფს ჯგუფურ და ინსტიტუციურ საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ადამიანებს შეეძლებათ, გავლენა მოახდინონ საზოგადოების მართვაზე ან წინააღმდეგობა გაუწიონ სხვა ჯგუფებს ან მთავრობას, როცა ისინი უსამართლოდ შელახავენ მათს ინტერესებს, ხელს შეუშლიან საქმიანობასა და მიზნის მიღწევაში. ცალკეული პირები, რომლებიც ამგვარი ჯგუფების წევრები არ არიან, ჩვეულებრივ, საგრძნობ გავლენას ვერ ახდენენ საზოგადოების დანარჩენ ნაწილზე, არაფერი რომ არ ვთქვათ, მთავრობასა და, რა თქმა უნდა, დიქტატურაზე.

შესაბამისად, თუ დიქტატურა ასეთ ორგანოებს ავტონომიურობასა და თავისუფლებას წაართმევს, მოსახლეობა შედარებით უმწეო გახდება. ამასთან ერთად, თუ ასეთი ინსტიტუტები ცენტრალური რეჟიმის დიქტატურის კონტროლს დამორჩილებული აღმოჩნდება ან ჩაენაცვლება ახალი, კონტროლირებადი ორგანიზაციები, შესაძლებელი იქნება მათი გამოყენება როგორც ცალკეულ პირებზე, ასევე, საზოგადოების ფენებზე ბატონობის განსახორციელებლად.

მაგრამ, თუ ასეთ დამოუკიდებელ სამოქალაქო ინსტიტუტებს შეუნარჩუნდება დამოუკიდებლობა ან დაუბრუნდება ავტონომია, ისინი ფრიად მნიშვნელოვანი გახდება პოლიტიკური დაუმორჩილებლობის განხორციელების საქმისთვის.

დიქტატურის დამხობის ან დასუსტების დასახელებული მაგალითების საერთო ნიშანი არის მოსახლეობისა და მისი ინსტიტუტების მიერ პოლიტიკური დაუმორჩილებლობის გაბედული მასობრივი გამოყენება.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, **ძალის აღნიშნული ცენტრები უზრუნველყოფს ინსტიტუციურ საფუძველს, რომლის დახმარებითაც მოსახლეობას შეუძლია, იმოქმედოს ან წინააღმდეგობა გაუწიოს დიქტატორულ მმართველობას. მომავალში ისინი გახდება თავისუფალი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. ამრიგად, მათი დამოუკიდებლობის შენარჩუნება და განვითარება გამათავისუფლებელი ბრძოლის წარმატების აუცილებელ პირობად წარმოგვიდგება.**

მაგრამ, თუ დიქტატურამ წარმატებით მოსპო ან თავის კონტროლს დაუქვემდებარა საზოგადოების დამოუკიდებელი ორგანოები, მნიშვნელოვანი იქნება, რომ მებრძოლებმა შექმნან ახალი დამოუკიდებელი სოციალური ჯგუფები და ინსტიტუტები ან დემოკრატიული მმართველობა დაუბრუნონ დარჩენილ ან ნაწილობრივ კონტროლირებად ორგანოებს.

1956-1957 წლების უნგრეთის რევოლუციის დროს აღმოცენდა ჭეშმარიტად დემოკრატიული საბჭოები, რომლებიც გაერთიანდნენ კიდეც და რამდენიმე კვირით შექმნეს ინსტიტუტებისა და თვითმმართველობის ორგანოების გამაერთიანებელი სისტემა.

1980 წლის ბოლოს პოლონეთში მუშებმა შექმნეს იატაკქვეშა პროფკავშირები „სოლიდარნოსტი" და ზოგიერთ შემთხვევაში თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს ოფიციალური პროფკავშირები, რომლებიც კომუნისტური მმართველობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

ასეთ ინსტიტუციურ ცვლილებებს, შეიძლება, მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგი მოჰყვეს.

**ბუნებრივია, რომ დიქტატურის დასუსტება და დამხობა იოლად გადასაწყვეტი ამოცანა არ არის და არც ყველა მცდელობა დამთავრდება წარმატებით. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ბრძოლა უმსხვერპლო იქნება, რადგან დიქტატურის მსახურნი შეეცდებიან, აიძულონ მოსახლეობა, კვლავაც ითანამშრომლოს დიქტატურასთან და დაემორჩილოს მას.**

ზემოთ მოყვანილი ძალაუფლების ანალიზის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **დიქტატურის წინასწარგანზრახვით დამხობა შესაძლებელია**.

დიქტატურა ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, რომლებიც მას ფრიად მგრძნობიარეს ხდის გონივრულად გამოყენებული პოლიტიკური დაუმორჩილებლობისადმი.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ეს თავისებურებანი.

## თავი 4

### დიქტატურის სისუსტენი

დიქტატურას ხშირად ისეთ სიდიდედ მიიჩნევენ, რომელსაც სუსტი წერტილი არ გააჩნია, უვნებია. დაზვერვის სამსახურს, პოლიციას, შეიარაღებულ ძალებს, საპყრობილეებს, საკონცენტრაციო ბანაკებსა და სადამსჯელო რაზმებს ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელი აკონტროლებს. ქვეყნის ფინანსებს, მის ბუნებრივ რესურსებსა და საწარმოო სიმძლავრეებს ხშირად აჩანაგებენ დიქტატორები საკუთარი დიქტატორული ნების განსახორციელებლად.

დემოკრატიულ ოპოზიციურ ძალებს კი პირიქით, უაღრესად სუსტად, უძალოდ და არაეფექტიანად წარმოიდგენენ. უვნებლობისა და უსუსურობის ამგვარი აღქმა ეფექტიან ბრძოლას ნაკლებად შესაძლებელს ხდის.

### აქილევსის ქუსლის პოვნა

კლასიკური ბერძნული მითი კარგად წარმოგვიდგენს თითქოსდა უვნებლის სისუსტეს. აქილევსის დაჭრა შეუძლებელი იყო, რადგან მახვილი მის სხეულს ვერაფერს აკლებდა. გადმოცემით, პატარა აქილევსი დედამ ჯადოსნურ მდინარე სტიქსის წყალში განბანა, რამაც ნებისმიერი საშიშროებისგან უვნებელი გახადა იგი. მაგრამ დარჩა ერთი პრობლემა. ბავშვი ქუსლით ეჭირა დედას, წყლის მდინარებას რომ არ გაეტაცა იგი, და სწორედ ამიტომ დარჩა მისი სხეულის ეს ნაწილი დაუცველი. აქილევსი რომ წამოიზარდა, ყველა მტრის იარაღისგან დაცულად მიიჩნევდა მას. მაგრამ ტროას ბრძოლის დროს, მტრის ჯარისკაცმა, იმათი ინსტრუქციით, ვინაც აქილევსის ეს ნაკლი იცოდა, აქილევსს ქუსლში დაუმიზნა და მოარტყა ისარი. ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. დღეს გამოთქმა „აქილევსის ქუსლი" ნიშნავს ადამიანის სუსტ ადგილს, რომელიც მტრისგან დაუცველია.

**იგივე პრინციპი ვრცელდება დაუნდობელ დიქტატორებზე. მათი დამხობა შეიძლება სწრაფად და მინიმალური დანაკარგებით, თუ გარკვეული იქნება მათი სისუსტეები და შეტევა სწორედ მათზე იქნება კონცენტრირებული.**

### დიქტატურების სისუსტენი

**დიქტატურების სისუსტეებია:**

**1. მრავალი ადამიანის, ჯგუფისა და ინსტიტუტის თანამშრომლობა, რაც აუცილებელია სისტემის სამართავად, შეიძლება შეიზღუდოს ან შეწყდეს;**

**2. რეჟიმის წარსული პოლიტიკის მოთხოვნები და შედეგები ერთგვარად ზღუდავს მის უნარს, გამოიმუშაოს და განახორციელოს კონფლიქტური პოლიტიკა მიმდინარე მომენტში;**

**3. სისტემის მოქმედება შეიძლება გახდეს ინერტული, ახალ სიტუაციასთან შეგუების ნაკლებად შემძლე;**

**4. ადამიანები და რესურსები, რომლებიც უკვე გამოყენებულია არსებული ამოცანების გადასაწყვეტად, იოლად ვერ გადანაწილდება ახალ მოთხოვნათა შესასრულებლად;**

**5. ხელქვეითებმა, ხელმძღვანელობის უკმაყოფილების შიშით, შეიძლება მოაწოდონ მას უზუსტო ან არასრული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია დიქტატორებისთვის გადაწყვეტილების მისაღებად;**

**6. იდეოლოგია შეიძლება გაფერმკრთალდეს, ხოლო სისტემის მითები და სიმბოლოები გაცუდდეს;**

**7. თუ არსებობს ძლიერი იდეოლოგია, რომელიც რეალობის აღქმაზე მოქმედებს, მისმა ზუსტმა დაცვამ შეიძლება გამოიწვიოს უყურადღებობა არსებული პირობებისა და მოთხოვნების მიმართ;**

**8. ბიუროკრატიული აპარატის საქმიანობის ეფექტიანობისა და კომპეტენტურობის შემცირებამ ან გადაჭარბებულმა კონტროლმა და რეგულირებამ შეიძლება უეფექტო გახადოს სისტემის პოლიტიკა და ფუნქციონირება;**

**9. შიდა ინსტიტუციურმა კონფლიქტებმა, პირადმა მტრობამ და მეტოქეობამ შეიძლება ავნოს და მოშალოს კიდეც დიქტატურის ფუნქციონირება;**

**10. ინტელიგენციამ და სტუდენტობამ შეიძლება გამოთქვას უკმაყოფილება შექმნილ სიტუაციაზე, შეზღუდვებზე, მბრძანებლობასა და რეპრესიებზე;**

**11. დროთა განმავლობაში საზოგადოება შეიძლება გახდეს აპათიური, სკეპტიკური და რეჟიმისადმი მტრულად განწყობილიც კი;**

**12. შეიძლება გამწვავდეს რეგიონული, კლასობრივი, კულტურული ან ეროვნული კონფლიქტები;**

**13. დიქტატურის ძალაუფლებრივი იერარქია ყოველთვის გარკვეულწილად არასტაბილურია. ცალკეული პირები არა მარტო ინარჩუნებენ თავიანთ მდგომარეობას სისტემაში, არამედ თანამდებობრივად წინ მიიწევენ — ან გადაჰყავთ სხვა პოზიციებზე, ან გადააყენებენ და შეიცვლებიან სხვა პირებით;**

**14. პოლიციის ან შეიარაღებული ძალების ცალკეულმა წრეებმა შეიძლება იმოქმედონ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ავტორიტეტული დიქტატორის ნების წინააღმდეგ გადატრიალების ჩათვლითაც კი;**

**15. ახალ დიქტატურას თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად სჭირდება დრო;**

**16. რადგან დიქტატურის ჩარჩოებში გადაწყვეტილებებს ადამიანების ფრიად შეზღუდული წრე იღებს, მათ მსჯელობაში, პოლიტიკასა და ქმედებაში შეცდომები სავსებით შესაძლებელია;**

**17. თუ ამგვარი შეცდომების თავიდან ასაცილებლად რეჟიმი კონტროლისა და გადაწყვეტილებათა დეცენტრალიზაციას მიმართავს, ხელისუფლების ცენტრალურ დონეზე მისი კონტროლი შეიძლება უფრო მეტად შესუსტდეს.**

### შეტევა დიქტატურის სისუსტეთა წინააღმდეგ

თუ დემოკრატიულმა ოპოზიციამ იცის, როგორი ბუნებრივი სისუსტეები აქვს დიქტატურას, მას შეეძლება კიდევ უფრო გააღრმაოს და გაამწვავოს „აქილევსის ქუსლი" სისტემის ძირეულად შეცვლის ან დარღვევის მიზნით.

ამ შემთხვევაში დასკვნა ნათელია: **მოჩვენებითი ძლიერების მიუხედავად, ყველა დიქტატურას აქვს სუსტი მხარეები, შინაგანი უეფექტობა, პირადი მტრობა, ინსტიტუციური უეფექტობა, კონფლიქტები ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის.** ასეთი სისუსტეები დროთა განმავლობაში აკნინებს რეჟიმის ეფექტიანობას და პირობების ცვალებადობისა და მტკიცე წინააღმდეგობის წინაშე სუსტსა და უძლურს ხდის. ყველაფერი, რასაც რეჟიმი გეგმავს, ვერ განხორციელდება. იყო შემთხვევები, როცა უშუალოდ ჰიტლერის ბრძანებებიც კი არ სრულდებოდა, რადგან იერარქიაში მისი ქვეშევრდომნი უარს ამბობდნენ მათ შესრულებაზე. დიქტატორული რეჟიმი, როგორც ზევით იყო აღნიშნული, შეიძლება სწრაფად დაიშალოს.

**ეს არ ნიშნავს, რომ დიქტატურები შეიძლება მოისპოს რისკისა და მსხვერპლის გარეშე. თავისუფლებისათვის ბრძოლის ნებისმიერი კურსი ითვალისწინებს რისკსა** და **პოტენციურ ტანჯვას** და სჭირდება დრო განხორციელებისთვის. ამას გარდა, ბუნებრივია, არავითარი ქმედება არ შეიძლება იყოს სწრაფი წარმატების გარანტია ნებისმიერ სიტუაციაში. მაგრამ **ბრძოლას, რომელიც მიმართულია დიქტატურის გარკვეულ სისუსტეთა წინააღმდეგ, წარმატების მეტი შანსი აქვს, ვიდრე იმას, რომელიც დიქტატურის ყველაზე ძლიერ მხარეთა წინააღმდეგ იქნება მიმართული.** საქმე ისაა, როგორ წარიმართება ასეთი ბრძოლა.



გაგრძელება შემდეგ ნომერში

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## რამინ კიზირია:

# ბიჭების მანქანას არც ერთი ნატყვიარი არ აქვს, ისინი მანქანიდან გადმოიყვანეს და დახვრიტეს

**2006 წლის 23 თებერვალს სამართალდამცველებმა სპეცოპერაციის ჩატარებისას ქუთაისის ყოფილი ვიცე-მერის, რამინ კიზირიას ვაჟი, ბუთხუზ კიზირია და მისი მეგობრები — ვალერი ბენდელიანი და ზვიად ბაბუხადია ჩაცხრილეს. როგორც გაირკვა, სპეცოპერაციის ავტორებს სამიზნე შეეშალათ და ყაჩაღური დაჯგუფების ნაცვლად, უდანაშაულო ახალგაზრდებს მოუსწრაფეს სიცოცხლე. იმ დღიდან მოყოლებული გაუბედურებული ოჯახები სამართალს ეძებენ, შვილების უდანაშაულობა დღემდე ვერ დაამტკიცეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ უნიჭოდ დადგმულ სპეცოპერაციას სიცოცხლით სავსე ბიჭები ემსხვერპლნენ. რატომ, რისთვის? — დღემდე კითხულობენ შვილმკვდარი ოჯახები, თუმცა, უშედეგოდ. ქართულ სასამართლოში მათ სამართალი ვერ იპოვეს, თუმცა ფარ-ხმალი მაინც არ დაყარეს. რამინ კიზირიამ სიმართლის დასადგენად და ბიჭების უდანაშაულობის დასამტკიცებლად სტრასბურგის სასამართლოს მიმართა.**

## ბუთხუზ კიზირიას 52, ვალერი ბენდელიანს 20, ზვიად ბაბუხადიას კი 19 ტყვია აქვს მოხვედრილი


ვალერი ბენდელიანი


ბუთხუზ კიზირია


ზვიად ბაბუხადია

საინტერესოა, საქმის შესწავლის შემდეგ რა დასკვნა დაიდება. ოფიციალური ვერსიით, ისინი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებითა და გადაჭრილი თოფით (ე.წ. აბრეზით) შეიარაღებულები დაქირავებული ტაქსით ვარციხეში დღემდე დაუდგენელი ოჯახის დასაყაჩაღებლად მიდიოდნენ, რის შესახებაც პოლიციაში ოპერატიული ინფორმაცია შევიდა. კიზირიამ, ბაბუხადიამ და ბენდელიანმა სამართალდამცავებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს და ორმხრივი სროლის შედეგად სამივე ეჭვმიტანილი მოკლეს.

**ბუთხუზ კიზირიას 53 ტყვია აქვს მოხვედრილი, ვალერი ბენდელიანს — 28, ზვიად ბაბუხადიას — 19. სამივე მათგანის ცხედარს საკონტროლო ტყვიების კვალი აღენიშნებოდა.** კიზირიას მამის, რამინ კიზირიას კატეგორიული მოთხოვნით, მისი შვილის ცხედარს ექსპერტიზა დაკრძალვამდე ჩაუტარდა. ზვიად ბაბუხადიას გვამის ექსგუმაცია 5 თვის შემდეგ (2006 წლის 17 ივლისს) ჩაუტარდა. ვალერი ბენდელიანის სიკვდილის მიზეზი კი დღემდე „დაუდგენელია“.

„საქართველო და მსოფლიო“ დაღუპულთა ოჯახებს დაუკავშირდა. ჩვენს მიერ მოყვანილი ოფიციალური ვერსია მათთვის კატეგორიულად მიუღებელია. მომხდარის ირგვლივ ოჯახის წევრებს საკუთარი ვერსიები და ინფორმაციები აქვთ.

**ნანა ბენდელიანი (ვალერი ბენდელიანის და):**

— გაურკვევლობაში ვართ. ვალერი 30 წლის იყო. ამ საქმესთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსიებია. ამბობენ, რომ იმ ღამით სპეცოპერაცია უნდა ჩატარებულიყო. სხვა კრიმინალურ დაჯგუფებებს ელოდნენ, რომლებიც დასაყაჩაღებლად მიდიოდნენ. სწორედ იმ დროს გამოჩდნენ ესენიც.

### არც კი გაარკვიეს, ვინ იყვნენ და ადგილზევე ჩაცხრილეს.

23 თებერვალი იყო და ბიჭები საქეიფოდ მიდიოდნენ. გამოდის, რომ სამართალდამცველებს ისინი საეჭვოდ მოეჩვენათ, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, ეჭვი საკმარისია ადამიანის სიცოცხლის მოსასპობად? როდესაც მიხვდნენ, რომ შეეშალათ, საქმე სათავისოდ „შეკერეს“. პოლიცია ამტკიცებდა, რომ პირველად ბუთხუზ კიზირიამ გაისროლა. წარმოიდგინეთ, ეს ისეთი აბსურდია, რომელიც რეალობასთან არანაირ კავშირშია. ჯერ ერთი, ბუთხუზი ცაცია იყო და მეორეც, მარჯვენა ხელი სტკიოდა და იარაღს როგორ გაისროდა? ასეთი ცილისმწამებლური და არაფრისმთქმელი ბრალდებებით უნდათ, რომ ჩირქი ჩამოირეცხონ.

### სანამ ესენი არიან ხელისუფლებაში, არაფერი შეგვიძლია.

როგორ უნდა ვისაუბრო სასამართლოს ჭეშმარიტებაზე, როდესაც სამართალდამცავებმა, ვინ ჰყავდათ მოკლული, ისიც კი არ იცოდნენ. დილამდე გზა გადაკეტეს. ბოლოს მომცეს ცნობა, სადაც ეწერა, რომ სიკვდილის მიზეზი დაუდგენელიაო. ბიჭებს 52, 19, 20 და მეტი ტყვია ჰქონდათ მოხვედრილი და ნუთუ დაუდგენელია, რით გარდაიცვალნენ?

სიცოცხლით სავსე სამი ადამიანი უმისამართოდ, არაფრისთვის დაღუპეს და დამნაშავეებმა პასუხი არ უნდა აგონ? გაგვიუბედურეს ოჯახები, დედა ამ ამბის მერე დაუძლურდა, განადგურდა და დაავადმყოფდა. მუდმივად მეკითხება, რამე ხომ არ გაიგეთო. ყოველთვის იმის მოლოდინშია, რომ შვილის საქმე საბოლოოდ გაიხსნება და ყველა დამნაშავე საკადრისად დაისჯება.

თამამად შემიძლია გითხრათ, რომ სამივე ძალიან კარგი ახალგაზრდა იყო.

**ზვიადს ფეხმძიმე ცოლი დარჩა. საზარელი მკვლელობა ჩაიდინეს. საქმე დაიხურაო, გვითხრეს. მართალია, მომხდარიდან ცოცხალი არავინ დარჩენილა, მაგრამ უკვალოდ არაფერი ქრება და მოვა დრო, სიმართლეც გამჟღავნდება.**

კიზირიას მშობლებმა საქმე სტრასბურგში გადაგზავნეს. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერს ფარდა აეხდება.

**ბაბუხადია, კიზირია და ბენდელიანი ვარციხესთან ტაქსით, „გაზ 21“-ის მარკის ავტომობილით, მივიდნენ. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ჩვენება ტაქსის მძღოლმა გია ჩიტაიშვილმაც მისცა. თავდაპირველად ის ამბობდა, რომ ბიჭებს, ცეცხლსასროლი იარაღი არ ჰქონდათ, მაგრამ მოგვიანებით ჩვენება შეცვალა და ჩატარებული სპეცოპერაციიდან სულ ცოტა ხანში ჩიტაიშვილმა საქართველო ოჯახთან ერთად დატოვა. ეს გარემოება საეჭვოდ მიაჩნიათ დაზარალებულებს. ისინი ამბობენ, რომ ტაქსის მძღოლი საქმეს განგებ ჩამოაშორეს.**

**არკადი ბაბუხადია (ზვიად ბაბუხადიას მამა):**

— ეს უბედურება საღამოს 11 საათზე მოხდა. დაახლოებით 10 საათზე ჩემს ბიჭს ვესაუბრე და მითხრა, რომ საქეიფოდ მიდიოდნენ. დაახლოებით 2 დღით ადრე ვარციხეში ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. ამიტომაც, ჩამოყვანილი ჰყავდათ სპეცნაზი. მათ ვიზიტს უკვალოდ რომ არ ჩაევლო, ამისათვის უდანაშაულო ახალგაზრდები დაღუპეს. ბიჭები, როგორც კი ჩამოსვა ტაქსმა შემთხვევის ადგილზე, მაშინვე დაცხრილეს. მანქანა უკან რომ მობრუნდა, უკვე ჩაცხრილულები იყვნენ. ტაქსის მძღოლი გია ჩიტაიშვილი ჩვენს მეზობელ ბინაში ცხოვრობდა. როგორც თვითმხილველი, ის საქმეს მალევე ჩამოაშორეს. საქართველოდან წასვლა შესთავაზეს. საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა, ოჯახს ტაქსაობით ნაშოვნი კაპიკებით არჩენდა და საზღვარგარეთ როგორ წავიდოდა? თუმცა ეს პრობლემა მალევე მოუგვარეს. სასწრაფოდ დაუმზადეს პასპორტები, მისცეს ფული და მეორე დილით საბერძნეთში გაუშვეს. ესაა ჩვენი პოლიციის ნამუშევარი. კვალის დასაფარად ყველაფერი იღონეს. საქმე სტრასბურგში გადავაგზავნეთ. ევროსასამართლოს იმედი გვაქვს, მაგრამ იქაც ხომ დრო უნდა. საქმის ძიებისას უკანონობას ჰქონდა ადგილი. მერაბიშვილის ბრძანება მოვიდა, რომ გამოძიება შეეწყვიტათ და საქმე დაეხურათ. შემდგომ ორი ფარატინა ქაღალდი მომიგდეს და მითხრეს, სანამ ეს ხელისუფლება იარსებებს, ვერაფერს გახდებიო. ტყუილად ნუ იძიებთ, არაფერი გამოგივათო.

**ჩემს ბიჭს სამი თვის ორსული ცოლი დარჩა. შვილიშვილი უკვე სამი წლისაა. ძალიან გვიჭირს. მე უკვე ასაკში ვარ, რძალი არ მუშაობს, 50-ლარიან შემწეობას იღებს და ამით ცხოვრობენ. ესაა სამართალი? შვილები უდანაშაულოდ დაგვიხოცეს და შემდეგ უნიჭოდ დადგმული სპექტაკლით გვარწმუნებენ, რომ ყაჩაღები იყვნენო.** რატომ გაუშვეს მეორე დღესვე ტაქსისტი გია ჩიტაიშვილი ოჯახიანად საბერძნეთში საცხოვრებლად? შეეშინდათ სიმართლე რომ არ ეთქვა და წინასწარ თავი დაიზღვიეს. სად გაგონილა, დაქირავებული ტაქსით საყაჩაღოდ წასვლა? კაცს რომ ათეულობით ტყვია მოხვდება, იმას როგორ შეეძლება ავტომატის ხელში დაჭერა?

**რამინ კიზირია (ბუთხუზ კიზირიას მამა):**

— ბუთხუზი 25 წლის იყო. ხერხემლის დისკოზი აწუხებდა, 15 მარტს ოპერაცია უნდა გაეკეთებინა, 23 თებერვალს ბუთხუზთან მეგობრები — ვალერი ბენდელიანი და ზვიად ბაბუხადია მოვიდნენ და ვარციხეში საქეიფოდ წასვლა შესთავაზეს. ბენდელიანის და გათხოვდა და მისი მეუღლის ოჯახში მიიწვიეს. მე და ჩემი მეუღლე იმ დღეს თბილისში ვიყავით. მათ ვარციხის ხიდთან 50-მდე პოლიციელი და სპეცრაზმელი დახვდათ და სამივე ჩაცხრილეს. როცა გაიგეს, ერთ-ერთი მოკლული ჩემი, ყოფილი ვიცე-მერის, შვილი იყო, თურმე იძახდნენ, რა გვეშველებაო. იმხანად ბაღდათში რამდენიმე ყაჩაღობა მოხდა.

**საქმე გაუხსნელი იყო, პოლიცია ყაჩაღურ დაჯგუფებას ეძებდა, მაგრამ კვალს ვერ მიაგნო. ამ უდანაშაულო ბიჭებს გადაეყარნენ და იფიქრეს, ესენი იქნებიანო.**

თავდაპირველად აღიარეს, შეგვეშალაო, მაგრამ შემდეგ გადათქვეს. შეიძლება ადამიანების ასე უმოწყალოდ ჩაცხრილვა შეცდომით?

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ახალგაზრდები ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულნი. უნდა გითხრათ, რომ ეს სცენარი თვითონ შეთითხნეს. ბიჭებს იარაღი არ ჰქონიათ, მერე ჩაუდეს მანქანაში ორი ავტომატი, ჩემს შვილს კი — „აბრეზი“. ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ არც ერთი მოკლულის ტანსაცმელსა და სხეულზე მეტალისა და დენთის კვალი არ აღმოჩნდა. ისინი ამბობდნენ, ცეცხლი გაგვიხსნესო, მაგრამ პოლიციელთა მანქანას ისევ შიგნიდან, სახურავზე ნასროლის კვალი ემჩნეოდა. ბიჭების მანქანას არც ერთი ტყვია არ აქვს მოხვედრილი. ისინი გარეთ გამოიყვანეს და დაცხრილეს. პოლიციას სურს, ამ ოპერაციის პროვოცირებაში ბიჭები დაადანაშაულოს. ბუთხუზს 52 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. ერთი ტყვია იღლიიდან ამოუღეს. გაქცეულ ადამიანს ტყვია იღლიაში არ ხვდება. მანამდე არ ვასაფლავებდი ჩემს შვილს, ვიდრე ექსპერტიზის დასკვნა არ მექნებოდა, მაგრამ გამომძიებელი კაკუშაძე და ექსპერტიზის ბიუროს უფროსი დაიმალნენ, ამიტომ გამოვიძახე სასწრაფო და მიცვალებული ექსპერტიზის ბიუროში მივიყვანე. ყველაფერი დროულად რომ გაკეთებულიყო, დამნაშავეები დაპატიმრებულები იქნებოდნენ. მკვლელობიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, შემთხვევის ადგილზე მთელი ღამის განმავლობაში ისროდნენ, ბიჭებისათვის ჩაწყობილი იარაღიდან ორმხრივი სროლის კვალი რომ დაეტოვებინათ.

### ასეთი დადგმული სცენარებით სამართალდამცავებმა არაერთი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირეს. მათ შეცდომებს უდანაშაულოთა მსხვერპლი ნაკადად მოჰყვა. რამინ კიზირია თვლის, რომ ამ სადამსჯელო ბრიგადებს ერთი „მამა“ ჰყავს.

**რამინ კიზირია:**

— ჩვენი საქმიდან მხოლოდ ტაქსის მძღოლი გადარჩა. მას წინასწარ დაწერილ ჩვენებაზე მოაწერინეს ხელი. ის ადასტურებს, რომ სროლა ორმხრივი იყო. ვინ არ გამომეხმაურა თბილისიდან, მათ შორის პარლამენტის წევრებიც. იმის გამოაშკარავებასა და დასჯას ვითხოვდი, ვინც ბიჭების ჩაცხრილვის ბრძანება გასცა. ზოგი მათგანი დღეს ისევ თანამდებობაზეა, ზოგი საქართველოდან წავიდა. ოპერაციას იმერეთის რეგიონის პოლიციის სამმართველოს უფროსი კახიანი ხელმძღვანელობდა. როგორც გაირკვა, მისი „ჯიპი“ ამ ოპერაციის ჩატარებისას ხიდზე მოძრაობდა. სხვა ვინ გასცემდა ასეთ ბრძანებას, როცა უფროსი იქ იყო?! სამივე მოკლულს საკონტროლო ტყვია ერთსა და იმავე მხარეს აქვს დახლილი. ავიყვანეთ ადვოკატი, რომელსაც არ მისცეს საქმის მასალების გაცნობის უფლება. ამის შემდეგ გამომძიებელი კაკუშაძე მიგზავნის წერილს, სამწუხაროდ, დაზარალებულად ვერ გცნობთო. შვილი მომიკლეს და თურმე დაზარალებული არ ვარ. მეტიც, ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული იყო, სიკვდილის მიზეზი დაუდგენელიაო.

როდესაც ნინო ბურჯანაძე ქუთაისში ჩამოვიდა, ისიც ჩავაყენე საქმის კურსში და შემპირდა, ამ საქმეს პირად კონტროლზე ავიყვანო.

**ელენე თევდორაძემ პარლამენტში ჩემი დაცხრილული შვილის ფოტოები აჩვენა და აღნიშნა, ამის გამკეთებელი თანამდებობაზე არ უნდა დარჩესო.**

ამის შემდეგ ეს საქმე სამხარეო პროკურატურას გადაეცა და დაზარალებულადაც გვცნეს. შემდგომ, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და უფლებამოსილების გადამეტების მუხლით საქმე 52 პოლიციელისა და სპეცრაზმელის მიმართ აღიძრა, თუმცა მალე შეწყდა. გამოძიებამ გაითვალისწინა მძღოლ გია ჩიტაიშვილის ჩვენება, რომელიც მას იძულებით გამოსძალეს და ის უტყუარ მტკიცებულებად არის მიჩნეული. მანამდე თუ ეს ადამიანი ჩვენს გვერდით იდგა და სიმართლის თქმას გვპირდებოდა, მერე გაქრა. მძღოლი პოლიციამ საბერძნეთში გააპარა.

**შვილი მომიკლეს, მერე იარაღი ჩაუდეს და ამის შემდეგ კიდევ თანამდებობებზე სხედან ეს გარეწრები.**

ქუთაისში ჩამოსულ ვანო მერაბიშვილთანაც ვცადე დალაპარაკება. მანქანისკენ მიმავალს სამჯერ ვთხოვე, ჩემთვის ორი წუთი დაეთმო, მაგრამ თავჩაღუნული გამეცალა, მანქანაში ჩახტა და გაიქცა. არა უშავს, სიმართლეს მაინც დავადგენ. ჩემი შვილის საქმე დღეს სტრასბურგის სასამართლოშია. უბრალოდ, დრო სჭირდება, თორემ ყველაფერი გამოაშკარავდება.

**ირმა ჩიტაია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რონინ შავაძის ცხედარს გულმკერდის არეში 28 ტყვია დაუთვალეს

**2008 წლის აგვისტოს, ცხინვალის ომში გადარჩენილი, ბათუმელი რონინ შავაძის ცხედარი 16 აგვისტოს ქაქუთთან ახლოს იპოვეს. ოფიციალური ვერსიით, იგი ნარკოტიკული საშუალების შენახვა-რეალიზაციისთვის დააკავეს. ხოლო მისი ლიკვიდაცია გაქცევის მცდელობის გამო მოხდა. გამოძიების მასალების მიხედვით, შავაძეს პირადი ჩხრეკისას ერთი ფირფიტა სუბოტექსი აღმოაჩნდა.**

## ციცინო შავაძე:

## მშობლებისა და და-ძმის ლიკვიდაციით მემუქრებიან, ეკლესიაში სიარულსაც კი მიშლიან

მკითხველს შევახსენებთ, რომ რონინ შავაძე ცხინვალის კონფლიქტში 23-ე ბატალიონის შემადგენლობაში იბრძოდა. ის სპეცრაზმმა ბათუმში, ზვიად გამსახურდიას ქუჩაზე, 16 აგვისტოს დააკავა.

**მანამდე შავაძეზე ხმა გავრცელდა, რომ ის ჯაშუში და სამშობლოს მოღალატეა, თუმცა საქმის გამოძიება და ბრალდებათა დამტკიცება შესაბამის ორგანოებს არ უცდიათ.** სპეცრაზმის მიერ აყვანილი სამხედრო პირი რამდენიმე საათში სასტიკი წამებით მოკლეს. შავაძის მეუღლე მომხდართან დაკავშირებით დღემდე ითხოვს ახსნა-განმარტებას და საქმის გამოძიებას, მაგრამ უშედეგოდ. ქალბატონი ციცინო თვლის, რომ მისი მეუღლე სამხედრო საქმიანობას შეეწირა. ის აგვისტოს მოვლენების დროს, როგორც მზვერავი, საიდუმლო ინფორმაციას ფლობდა, რაც მკვლელობისთვის საკმარისი მიზეზი იყო. ამიტომ მომხდართან დაკავშირებით, გარდაცვლილის მეუღლე საქმის გამოძიებას მოითხოვს. მან დახმარებისათვის თავის დროზე ხელისუფლების მაღალჩინოსნებსაც და სახალხო დამცველის აპარატსაც მიმართა, თუმცა ვერაფერს გახდა.

შავაძე სასტიკი წამებით მოკლეს. ოჯახს დღემდე აწუხებს კითხვა — რისთვის, **რატომ?**

**ციცინო შავაძე, რონინ შავაძის ქვრივი:**

— არ ვიცი რისთვის და რატომ გაიმეტეს ასე მწარედ, — სამხედრო პირი იყო, სენაკში 23-ე ბატალიონში მსახურობდა. ხელვაჩაურის მეხუთე ბატალიონში გადმოიყვანეს, მაგრამ აგვისტოს ომი დაიწყო და ხომ არ ეტყოდა, ჯერ ბათუმში გამაგზავნეთ და მერე ცხინვალში წავლო. ომიდან ახალ დაბრუნებულს ეს ტრაგედია შეემთხვა. როინი სულით მებრძოლი პიროვნება გახლდათ. **მან ერაყი, აფხაზეთი, ავღანეთი გამოიარა, ბოლოს — ოსეთი და ამ ცხელი წერტილებიდან დაბრუნებული ბათუმში, მშობლიურ მიწაზე მოკლეს. უბრალოდ, არც კი ვიცი, რა ვიფიქრო.** როინის ცხედარს ეტყობოდა, რომ სასტიკად იყო ნაწამები. გულმკერდის არეში 28 ტყვია დავითვალეთ.

ეს 16 აგისტოს მოხდა. სამაჩაბლოს ომიდან 2 დღის დაბრუნებული იყო. ომს გადაურჩა და ის გულგრილად და წარბშეუხრელად აბსურდული ბრალდების ნიადაგზე მოკლეს. მკვლელობის წინა ღამით მას კუდის თანამშრომელმა გიორგი ჩიქოვანმა, მეტსახელად „მაიმუნამ“, დაურეკა და უშიშროებაში დაიბარა. სახლიდან გავიდა და დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა. საერთოდ, სამსახურის საქმეებზე ოჯახში არ საუბრობდა, მაგრამ იმდენად აღელვებული ჩანდა, ვკითხე, რა მოხდა-მეთქი. მიპასუხა, — არ ვიცი, ჩემთგან რა უნდათ, რას ითხოვენო... მეც ხომ იმ ბიჭებივით არ მომკლავენო. დღემდე არ ვიცი, იმ ბიჭებში, ვის გულისხმობდა.

**თავის დროზე მომხდარს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძეც გამოეხმაურა. მან განაცხადა, რომ შავაძეზე ინფორმაცია ჯერ კიდევ აგვისტოს ომამდე ჰქონდა ხელისუფლებას, თუმცა გენერალური შტაბის იმჟამინდელი უფროსი ზაზა გოგავა ამტკიცებდა, რომ რონინ შავაძეს თავდაცვის სამინისტროში პრობლემები არ ჰქონია. ცნობილია, რომ თავდაცვის სამინისტროს ბევრჯერ ჰყავდა გაგზავნილი რონინ შავაძე საიდუმლო დავალებაზე. მას ხშირად უწევდა წასვლა როგორც ცხინვალში, ასევე — აფხაზეთში. სწორედ ეს ფაქტები ბადებს ეჭვს, რომ მზვერავი რაღაც საიდუმლო ინფორმაციას ფლობდა და ამიტომაც მოიშორეს. შავაძის ქვრივის განცხადებით, ასეთ სისასტიკეს თავის დროზე ფაშისტებიც კი არ ჩადიოდნენ.**

**ციცინო შავაძე:**

— ექსპერტიზა თავის დასკვნაში მსუბუქად ამბობს, რომ როინი წამებითაა მოკლული. თავში სისხლჩაქცევა აღენიშნებოდა, კისერი, ხელი და ფეხი მოტეხილი ჰქონდა და ამბობენ, რომ გაქცევის გამო მოკლეს. ეჭვიც არ მეპარება, რომ როინი აგვისტოს მოვლენების გამო მოიშორეს. სამუშაოზე ვიყავი, როცა ეს მოხდა. მეუღლის აყვანიდან ათ წუთში სამსახურში მომაკითხა ახლობელმა და მითხრა, რაც მოხდა. მაშინვე გავვარდი და დავიწყეთ ძებნა. სად არ ვიყავით, რომელ ორგანოს არ მივაკითხე, მაგრამ არავინ არ მპასუხობდა, თუ რა მოხდა. ბოლოს გონებაარეულმა ქუჩაში პატრულის თანამშრომლები გამოვიძახე. ავუხსენი საქმის ვითარება და ვთხოვე დახმარება. მუხლებზე დაჩოქილი ვეხვეწებოდი, აეხსნათ, რა მოხდა. განაბულები მისმენდნენ, მანქანიდან არ გადმოსულან. მათი ასეთი გულგრილობა გამიკვირდა, ვიფიქრე, იქნებ ქართულად არ ვსაუბრობ და ჩემი არ ესმით-მეთქი. სამსაათიანი ძებნის შემდეგ მითხრეს, თბილისშია წაყვანილი, სახლში წადით და ყველაფერს გაგაგებინებთო. 5 წუთის მოსულები არ ვიყავით, რომ დამირეკეს, რეანიმაციაშია და ნახეთო. სინამდვილეში მიცვალებული უკვე პროზექტურაში ჰყოლიათ. ექსპერტი რომ გამოვიდა, აღნიშნა, სამი საათი ვიმუშავე ამ ცხედარზეო. გამოდის, რომ ჩვენი ძებნის პროცესში როინი მოკლული იყო.

**შავაძის აყვანის მოტივად გამოძიების მიერ მოყვანილია შემდეგი ფაქტი, რომ მას ჯიბეში ერთი აბი სუბოტექსი აღმოაჩნდა. ნარკოტიკების მოხმარებისა და რეალიზაციის გამო ადამიანს გაუგონარი წამებით სული ამოხადო, ცოტათი გაუგებარიცაა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ შავაძის მკვლელობაზე სამართალდამცავებმა რეალობასთან ახლოს მყოფი მტკიცებულების დადებაც კი ვერ შეძლეს. ციცინოს თქმით, საქმეს „არაჩვეულებრივი“ ახსნა მოუძებნეს — როინს ნარკოტიკები აღმოაჩნდა ჯიბეშიო. ადამიანი, რომელიც ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობდა და სიგარეტსაც კი არ ეწეოდა, ნარკოტიკების მომხმარებელი როგორ იქნებოდა? ეს დაცინვაა, სამარცხვინოა, სრული აბსურდია. ჯიბეში ჰქონდა სუბოტექსი, გაქცევა სცადა და ვესროლეთო.**

**ციცინო შავაძე:**

— საქართველოში ნარკოტიკების მოხმარებასა და რეალიზაციისათვის ხშირად იჭერენ ადამიანებს, მაგრამ ამ მიზეზით არავინ მოუკლავთ. როინი ჯანმრთელი ცხოვრების წესით ცხოვრობდა, ვარჯიშობდა, სიგარეტის მოწევასაც ერიდებოდა. ჩვენ შვილი არ გვყავდა, ვმკურნალობდით და გარდაცვალებამდე თხუთმეტი დღით ადრე მან ანალიზები ჩააბარა. ნარკოტიკის მომხმარებელი რომ ყოფილიყო, აუცილებლად გამოჩნდებოდა“.

**შავაძეების ოჯახი დღემდე უშედეგოდ ცდილობს, გაარკვიოს რა მოხდა სინამდვილეში. პასუხად კი ყველგან დუმილი ხვდება. ამ უბედურებიდან მცირე ხანში დაღუპულის ოჯახსა და ნათესავებზე ზეწოლა დაიწყო. მათ დუმილის სანაცვლოდ საკმაოდ სოლიდურ თანხასაც დაპირდნენ, მაგრამ რომ ვერაფერს გახდნენ, დაშანტაჟებაზე გადავიდნენ, მაგრამ შავაძის ქვრივი მზადაა, სიცოცხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოს და მეუღლის ბურუსით მოცულ მკვლელობას ფარდა ახადოს.**

**ციცინო შავაძე:**

— სასამართლოს ყველა ინსტანციას მივმართე, მაგრამ ისე იქცევიან, თითქოს არც არაფერი მომხდარა. ზეწოლა მუდმივადაა. თუ მომკლავენ, ალბათ, უფრო ბედნიერი ვიქნები. ვინც ამ საქმეს ხელი მოჰკიდა, ყველა ზეწოლას წააწყდა. სახლშიც არაერთხელ დამირეკეს, მაშინებდნენ და მაფრთხილებდნენ, რომ აღნიშნულზე კრინტი არ დამეძრა, ქუჩაშიც ვერ დავდიოდი; უცხო ადამიანები მხვდებოდნენ და დუმილის სანაცვლოდ ფულს მთავაზობდნენ. იყო ზარებიც. მაშინებდნენ, თუ არ გავჩერდებოდი, როინივით მომკლავდნენ. მომხდარის შემდეგ ჩემი სიცოცხლის ფასი ისედაც კაპიკია; ვერაფერი შემაჩერებს. დით, ძმით, დედ-მამით მემუქრებიან. ყველა ხერხებით მბლოკავენ. ჩემი არც ერთი ნათესავი არ მუშაობს. წარმოიდგინეთ, ეკლესიაში სიარულსაც კი მიშლიან. სასაფლაოზე თუ გავედი, იქაც დიდი ხნით არ უნდა გავჩერდე. ასეთი არაფერი გამიგონია. ტელეფონი რომ რეკავს, გული მისკდება. მუდმივად ცუდის მოლოდინში ვარ. როგორ გავჩერდე, როცა როინს კისერი, წელი, ხელი, ფეხი, ცხვირი, ნიკაპი მოტეხილი ჰქონდა. მის ცხედარზე 28 ტყვია დაითვალეს, ზურგი საერთოდ არ უჩანდა და როგორ დავიჯერო, ასეთ მდგომარეობაში მყოფი გარბოდა. ფეხმოტეხილი კაცი შეიძლება გაიქცეს? აბსურდულ არგუმენტებს მეუბნებიან — კუდის თანამშრომელს იარაღი წაართვაო. არადა, მიცვალებულს თითები დამტვრეული ჰქონდა. იმასაც კი ვერ მიხვდნენ, რომ თითებდამტვრეული იარაღს როგორ დაიჭერდა?

საქართველოში განა არის სამართალი? გეკითხებით, ადამიანი რომელმაც ოთხი ომი გამოიარა, სამხედრო ფორმა არ გაუხდია, ყველგან პირველი იყო, ნარკოტიკებს ებრძოდა, ამ აბსურდული მიზეზის საფუძველზე მოკლეს? ხალხს კილოობით ნარკოტიკებს პოულობენ და იმათ არ კლავენ ან რად უნდოდა ჩემი მეუღლის აყვანას ოცი კაცი? ჩოლოქზე გაიყვანეს, იქ მოკლეს და შემდეგ დააგდეს“.

ესაუბრა
**ირმა ჩიტაია**



**P.S. შარშან ციცინო შავაძემ დახმარებისთვის ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარ თომას ჰამარბერგს მიმართა. ჰამარბერგი გაოგნებული დარჩა, როცა საქმეს გაეცნო და როინის ფოტოები ნახა. მან შავაძის მეუღლეს დახმარება აღუთქვა და როინის საქმე თან წაიღო. დაჰპირდა, 25 წელიც რომ გავიდეს, სიმართლის დადგენაში მაინც დაეხმარება.**

# 12 წლის წინათ მომხდარი გაუპატიურებისთვის ეჭვმიტანილს დაუსწრებლად ასამართლებენ

**12 წლის წინათ გლდანის ერთ-ერთ სკვერში არასრულწლოვანი გოგონა გააუპატიურეს. დამნაშავე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაზარალებულის ოჯახმა რაიონულ პოლიციას მიმართა და სს საქმეც გაუპატიურების მუხლით მაშინვე აღიძრა. მიუხედავად იმისა, რომ ეჭვმიტანილის ვინაობა სამართალდამცავებისთვის ცნობილი იყო, მისი დაკავება ვერ მოხერხდა.**
**მეტიც, დაზარალებულის ოჯახი იმასაც ამბობდა, რომ მათ ეჭვმიტანილის მამა უკავშირდებოდა და პოლიციიდან განცხადების გამოტანის სანაცვლოდ გარკვეულ თანხას სთავაზობდა.**

ეჭვმიტანილი გ. ს.-ძე დღესაც მიმალვაშია. მისი ოჯახი ამბობს, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია. მიუხედავად ამისა, საქმე სასამართლოს გაეგზავნა განსახილველად.

სასამართლო პროცესი განსასჯელის დაუსწრებლად მიმდინარეობს, თუმცა ბოლო ორი კვირის მანძილზე საქმის განხილვა დაზარალებულის დედის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო. დაზარალებულ ნ. ა.-ძის დედის დაკითხვა სწორედ პროკურატურამ მოითხოვა, რადგან დაზარალებულის დედა ამბობდა, რომ ეჭვმიტანილის ოჯახი მას უკავშირდებოდა და გარკვეული თანხის სანაცვლოდ განცხადების გამოტანას სთხოვდა.

შემთხვევა 1997 წელს გლდანში მოხდა. დაზარალებული მაშინ არასრულწოვანი იყო, ხოლო ეჭვმიტანილი — 18 წლის. როგორც თავის ჩვენებაში ნ. ა.-ძე ამბობს, იგი ერთ-ერთ სკვერში იჯდა, როდესაც მასთან გ. ს.-ძე მივიდა და რომელიღაც სკოლის უკან ძალით გაიყვანა, სადაც გააუპატიურა. შემდეგ კი გოგონა გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანა, სადაც თავის ნაცნობ ბიჭებს შეხვდა, რომლებმაც იმავე დღეს ასევე რიგ-რიგობით გააუპატიურეს ნ. ა.-ძე. მომხდარის შემდეგ დაზარალებულმა პოლიციას მიმართა. გოგონასთვის დანარჩენი მოძალადეების ვინაობა უცნობი იყო, ამიტომ გამოძიებამ საქმე მხოლოდ ს.-ძის მიმართ აღძრა.

მაშინ მოქმედი კანონმდებლობით, თუ ეჭვმიტანილი არ გამოჩნდებოდა, საქმის ძიება ჩერდებოდა. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. გაუპატიურების შემდეგ ის მიიმალა და, ფაქტობრივად, საქმის ძიება შეწყდა. სისხლის სამართლის საქმე მაშინ მოქმედი კანონმდებლობით აღიძრა გაუპატიურების მუხლით და იგი 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. სასამართლოში საქმის განხილვაც სწორედ სს კოდექ- ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დედის მკვლელობისთვის შვილს 11 წელი მიუსაჯეს

**დედის მკვლელობისთვის დაკავებულ შვილს სასამართლომ განაჩენი ისე გამოუტანა, რომ ამ უკანასკნელმა დანაშაული არ აღიარა. მისი თქმით, ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მხოლოდ ის ახსოვს, ჰაერში გასროლას რომ ლამობდა. სამართალდამცავებმა დედის მკვლელი საკუთარ სახლში დააკავეს. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობისთვის და იარაღის უკანონოდ ტარებისთვის აღძრეს.**



სამართალდამცავებმა 42 წლის გ.მ, 70 წლის დედის, მ. კ.-ს მკვლელობისთვის საკუთარ სახლში დააკავეს. მან დედის მკვლელობა უარყო და განაცხადა, რომ მსგავსი რამ განზრახული არ ჰქონდა.

როგორც გამოძიებამ დაადგინა, გასროლის მომენტში იგი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ოჯახის წევრთა განცხადებით, დაკავებული უმუშევარი იყო და მათ კმაყოფაზე ცხოვრობდა. ბოლოს განსასჯელი საგანგებო სიტუაციების სამმართველოში (მაშველთა რაზმში) მუშაობდა. ახლობლებისა და მეზობლების თქმით, იგი ხშირად სვამდა.

მკვლელობის დღესაც შვილი მეზობელთან დასალევად იყო გადასული. როცა შვილს შინ მოსვლა შეაგვიანდა, მოხუცმა დედამ სტუმრად მყოფს მიაკითხა და სახლში წამოსვლა სთხოვა. გასროლაც იქვე მოხდა.

**„სმა უყვარდა. სმას თუ დაიწყებდა, მერე ორ კვირას გადააბამდა და სულ მთვრალი იყო. იმ დღესაც ჩემთან მოვიდა, ხელში „ნაბეღლავის“ ბოთლი ეჭირა, რომელშიც არაყი ჰქონდა. მითხრა, თქვენ ისეთი კარგი ხალხი ხართ, ძალიან მიყვარხართ და დავლიოთო“,** — ამბობს ეჭვმიტანილის მეზობელი, რომლის სახლშიც მკვლელობა მოხდა.

საქმის მასალების მიხედვით, მკვლელობის დღეს დაკავებულმა სახლიდან „ერმას“ მარკის ცეცხლსასროლი იარაღი აიღო, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა. შემდეგ მეზობლად მცხოვრებ ოჯახთან მივიდა, თან ერთი ლიტრი არაყი მიიტანა. მასპინძელმა და მისმა მეუღლემ იგი შინ შეიპატიჟეს, სადაც სუფრა გაიშალა.

**„არყის დალევა დაიწყეს. დაახლოებით 21 საათზე მათთან შვილის წამოსაყვანად გარდაცვლილი მივიდა. ის შვილის გვერდით დაჯდა. ვინაიდან შვილი ნასვამი იყო, სთხოვა, სახლში გაჰყოლოდა.**

**შვილმა დედას უთხრა, რომ წასულიყო და მოგვიანებით თვითონაც მივიდოდა. დედა კვლავ განაგრძობდა სახლში გაყოლის მოთხოვნას. ამით განაწყენებულმა შვილმა თან ნაქონი პისტოლეტი ამოიღო, დედას დაუმიზნა და უთხრა, რომ, თუ არ გაჩერდებოდა, ესროდა.**

**დედამ შვილს სთხოვა, იარაღი შეენახა და სახლში წასულიყო. საბოლოოდ, განაწყენებულმა შვილმა, განზრახ მოკვლის მიზნით, „ერმას“ მარკის ცეცხლსასროლი იარაღიდან დედას თავის არეში ესროლა,“** — განაცხადა საქმის პროკურორმა ია დარჯანიამ.

მოხუცი მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

როგორც ტრაგიკული სუფრის მასპინძელი იხსენებს, რამდენიმე ჭიქის დალევის შემდეგ მათთან მოხუცი შემოვიდა. „შვილის გვერდით დაჯდა. უთხრა, სახლში წავიდეთო. შენ წადი და მეც მოგვიანებით მოვალო. ვლაპარაკობდით. ამ დროს ტკაცუნის ხმა გაისმა და ქალიც გადაგორდა. უცებ, ვერ გავიაზრე, რა მოხდა. ვიფიქრე, სკამს ფეხი მოსტყდა-მეთქი.

ქალის მისაშველებლად რომ გავიწიე, დავინახე, რომ თავიდან სისხლი სდიოდა. შვილს ხელში იარაღი ეკავა. დავუყვირე, ეს რა ქენი-მეთქი,“ — ამბობს მასპინძელი, რომელმაც პროცესზე პირველი ჩვენება შეცვალა. თქვა, რომ დაკავებულის ხელში იარაღი არ დაუნახავს.

**„გამომძიებელმა როცა დამკითხა, მთვრალი ვიყავი. ხელი მოვაწერე ისე, როგორც იყო. „გ.-მ იარაღი ამოიღო და დედამისს აშინებდა. მოულოდნელად გაისროლა. მე გარეთ გავვარდი და მის ბიძაშვილს დავუძახე,“** — განაცხადა მოწმე მღებრიშვილმა.

რაც შეეხება მის მეუღლეს, მან გამოძიებას ასეთი ჩვენება მისცა:

**„შეშის მოსატანად გარეთ გავედი. სწორედ ამ დროს დაკავებულის დედა მოვიდა. სახლში რომ შევედი, ჩემმა ქმარმა მითხრა, ქალი ძირს გდია, მგონი, ცუდად არისო. ქალს თავიდან სისხლი სდიოდა. მის შვილს კი ხელში იარაღი ეჭირა.“**

რაც შეეხება თავად დაკავებულს, მან განაცხადა, რომ დედის მოკვლა

განზრახული არ ჰქონდა და არ ახსოვს, რა მოხდა.

**„იმ დღეს ჩემი პისტოლეტი ავიღე, რომელსაც ბალიშის ქვეშ ვინახავდი. მისი გაწმენდა მინდოდა.**

**როგორც მახსოვს, პისტოლეტში 4 ტყვია იყო. დედაჩემმა მითხრა, რომ ჩვენი ნათესავი მანქანით აღმართზე ვერ ამოდიოდა და მივხმარებოდი. იარაღი ინსტიქტურად შარვლის ჯიბეში ჩავიდე. ნათესავმა მანქანა გააჩერა გვერდით, რის შემდეგაც მე მეზობელმა შემიპატიჟა. მისი გვარი არ ვიცი. მასთან არაყი დავლიეთ...**

**სახლიდან გასვლისას თან მქონდა ლიტრიანი პლასტმასის ბოთლით სახლის არაყი. მეზობელთან საკმაოდ გვიან მოვრჩით ქეიფს. მისგან წამოსვლის შემდეგ ჩემი მეორე მეზობელი შემხვდა, რომელმაც სახლში შემიპატიჟა. იქაც დალევა დავიწყეთ.**

**რამდენიმე ხანში დედაჩემი შემოვიდა. ზუსტად არ მახოვს, რადგან ნასვამი ვიყავი. ბუნდოვნად მახსოვს, რომ ნასვამს იარაღის ჰაერში გასროლა მინდოდა. ამის მერე რა მოხდა, არ მახოვს. როცა გონზე მოვედი, უკვე სახლში ვიყავი და თავზე პოლიცია მადგა...**

**მე არანაირი განზრახვა და აზრი, რომ დედისთვის მესროლა, არ მქონია. ეს აბსურდია. დედა ჩემთვის ყველაზე საყვარელი ადამიანი იყო“,** — განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლომ მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა და დედის მკვლელობისთვის 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.



◀ სის ძველი რედაქციით მიმდინარეობს.

ბრალდებულის ადვოკატი სულხან კომახიძე აცხადებს, რომ ოფიციალურად მისი დასაცავი ძებნაშია თუ არა, უცნობია; რადგან 2003 წელს იგი პოლიციამ პირადობის მოწმობის შეცვლისთვის დააკავა, თუმცა მოგვიანებით გაუშვა.

ადვოკატის თქმით, ამ პიროვნებაძე ძებნა რომ ყოფილიყო გამოცხადებული, მას მაშინვე დააკავებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა.

გარდა ამისა, ადვოკატი იმასაც ამბობს, რომ საქმეს ხანდაზმულობის ვადა გასდის, ამიტომ არ გამორიცხავს, რომ ეჭვმიტანილის მიმართ საქმე შეიძლება საერთოდ შეწყდეს. აღსანიშნავია, რომ პროცესებზე განსასჯელის ოჯახი არ დადის, ისინი აცხადებენ, რომ ს.-ძე უდანაშაულოა.

**„ოჯახი ამბობს, რომ ჩემი დასაცავი უდანაშაულოა და მას არავინ გაუპატიურებია. მათი თქმით, იმ პერიოდში გლდანში იყო ერთი პოლიციის თანამშრომელი, მეტსახელად „კუკარაჩა“, რომელიც გოგონებს განცხადებებს აწერინებდა, თითქოს ისინი გააუპატიურეს, შემდეგ საქმეს აღძრავდა და ამით ფულს აკეთებდა. ამ პოლიციელის ვინაობა არ ვიცი. ოჯახი იმასაც ამბობს, რომ მათ დაზარალებულის ოჯახისთვის თანხა არ შეუთავაზებიათ,“** — აცხადებს ადვოკატი.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად განსასჯელის დას დავუკავშირდით, თუმცა მან ჩვენთან საუბარი არ ისურვა. **„რა უნდა დაწეროთ? წინა საუკუნეში მომხდარი საქმე, რომელიც მთავრობამ შეთითხნა ჩემი ძმის წინააღმდეგ?“** — განგვიცხადა მან.

საქალაქო სასამართლოში გუშინ პროცესი კვლავ გადაიდო. ამ პროცესზე დაზარალებულის დედა უნდა დაკითხულიყო, თუმცა იგი ამჯერადაც არ მოვიდა. მორიგი პროცესი საქალაქო სასამართლოში ამ დღეებში გაიმართება, სადაც დაზარალებულის დედის გარდა სხვა მოწმეებიც უნდა დაიკითხოს.

# ბორდელში მომხდარი მკვლელობისთვის დამნაშავეს 11 წელი მიუსაჯეს

**ბორდელში მომხდარი მკვლელობისთვის სასამართლომ ახალგაზრდა მამაკაცის მკვლელობაში ბრადლებულს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ალბათ, დიდი მიხვედრა არ სჭირდება, რომ შელაპარაკება იქ მომუშავე ქალისთვის მოხდა. კამათი ჩხუბში გადაიზარდა და საბოლოოდ, 26 წლის ახალგაზრდის მკვლელობით დასრულდა. პროცესზე მოწმის სახით აღნიშნული დაწესებულების „თანამშრომლებიც“ დაიკითხნენ, რომლებმაც თავიანთი საქმიანობის შესახებ დაუფარავად ისაუბრეს.**

მკვლელობა დილომში მოხდა, ერთ-ერთი სასტუმროს ბარში (ამჟამად ის ბარი აღარ ფუნქციონირებს). გამოძიების ვერსიით, ამ დაწესებულებაში მომუშავე ერთ-ერთი მეძავის გამო „კლიენტებს“ — 26 წლის გ. ც.-ს და 28 წლის მ. ბ.-ს შელაპარაკება მოუვიდათ.

საქმის მასალების მიხედვით, გ. ც.-მდე მ. ბ.-ძეს „თანამშრომელ“ გოგონასთან შელაპარაკება მოუვიდა. მას იქვე მყოფი სხვა კლიენტები გამოესარჩლენ. მათ შორის იყო გ. ც.-ც, რაც მას ძვირად დაუჯდა — ჩხუბი მისი მკვლელობით დასრულდა.

„მას მოვემსახურე, მაგრამ ფული არ გადამიხადა. როცა მეორედ მოვიდა, უარი ვუთხარი. ამის გამო ძალით ამიყვანა ზევით, დანა ამოიღო და დამემუქრა. ჩვენი დაცვის უფროსი რომ არ მოსულიყო, ალბათ, იქვე გამომჭრიდა ყელს,“ — განაცხადა სასამართლო პროცესზე ერთ-ერთმა მეძავმა — ევამ.

საქმის მასალების მიხედვით, ღამის ბარში შესულ გ. ც.-სა და მის მეგობართან შელაპარაკება მოუვიდა იქვე მყოფ მ. ბ.-ძეს. საქმის გასარჩევად მოკამათეები გარეთ გავიდნენ, სადაც მათ შორის ჩხუბი მოხდა. გულ-მკერდის არეში დანით დაჭრილი გ. ც. საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

**„ეტყობა, მან იგრძნო, რომ დაჭრილი იყო, რადგან მანქანაში ჩაჯდა და საავადმყოფოსკენ წავიდა. გზაზე გონი დაკარგა, საჭე ვერ დაიმორჩილა და ბორდიურს შეასკდა. საავადმყოფოში მიყვანიდან ძალიან მალე გარდაიცვალა. დანა მარცხენა მხრიდან არის დარტყმული, რამაც ორივე ფილტვი დაუზიანა, ხოლო მთავარი არტერია გადაჭრილი ჰქონდა,“** — იხსენებს მოკლულის მამა.

პროცესზე დაკითხული მოწმეების ჩვენებების მიხედვით, ჩხუბი ბარში მომუშავე გოგოს — ევას გამო დაიწყო.

**„მან ცეკვა შემომთავაზა. როცა მეორედ გამიწვია საცეკვაოდ, უარი ვუთხარი, რის გამოც ხელის მოტეხვით დამემუქრა“,** — ამბობს მოწმე.

მისივე თქმით, ბარში გ.ც. და მისი მეგობარი იმ დროს შემოვიდნენ, როცა ბულაძესთან ცეკვა დამთავრებული ჰქონდა.

**„მე მათ მაგიდასთან ვიჯექი, გოგო უნდოდათ და მომსახურების თანხა აინტერესებდათ. ამ დროს მ.-მა მეორედ მთხოვა ცეკვა, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან ცეკვისას უხეშად მექცეოდა, ხელი მატკინა. მაშინ იმ ბიჭებს უთხრა: „ძმაო, რამე პრობლემა არისო?“ მათ არაო, — უპასუხეს. ამის მერე რა მოხდა, არ ვიცი. მე გავიქეცი და მეორე სართულზე ავედი. როცა პატრული მოვიდა, მაშინ გავიგე, რომ ბიჭი მოუკლავთ“,** — ამბობს ევა.

მ. ბ.-ძის მხრიდან უხეშობის ფაქტს ადასტურებს ბარის ადმინისტრატორი ხათუნაც: **„ცეკვისას ის ბიჭი ევას ეუხეშებოდა. ევამ მითხრა, აგრესიულია, ხელები მატკინაო. მეც დავინახე, მის ხელებს როგორ აწვალებდა და ევას ვუთხარი: მოცილდი, ზემოთ ადი-მეთქი. მაგიდასთან ოთხი ბიჭი იჯდა (ხათუნა კ. ერთადერთია, რომელიც, დანარჩენი მოწმეებისგან განსხვავებით, აცხადებს, რომ მაგიდასთან არა ორი, არამედ ოთხი ახალგაზრდა ისჯდა). მათგან რაღაც რეპლიკები იყო, მგონი, ევას გამოექომაგნენ, მერე ყველანი გარეთ გავიდნენ, ბარში მხოლოდ მომსახურე პერსონალი და გოგონები დარჩნენ.“**

ჩხუბის უშუალო მოწმეა ამავე ბარის ყოფილი დაცვის თანამშრომელი, რომელიც ეჭვმიტანილს მკვლელობამდე იცნობდა.

**„ჩხუბი წამებში მოხდა. მ. ბ.-ძემ ჯერ ერთ ბიჭს დაარტყა მუშტი და წააქცია, მერე — მეორეს, ისიც დაეცა. ამ დროს მანქანიდან სტაფილოსფერ მაისურიანი ბიჭი გადმოვიდა, რომელიც მოჩხუბრების გაშველებას ცდილობდა. მ. ბ.-ძემ მარცხენა ხელი თავზე მოიკიდა — აგური ჩამარტყესო, მეორე ხელში წვრილი დანა დავუნახე. ეს ბიჭები როგორც კი წამოდგნენ, მაშინვე მანქანისკენ გაიქცნენ, მალხაზი კი მათ ქვების სროლით და გინებით გაეკიდა.**

**„მათ მანქანა დაქოქეს და ადგილიდან დაიძრნენ. ამ დროს მანქანა მარჯვენა მხრიდან ბორდიურს შეასკდა. ერთი გადმოვიდა და შველას ითხოვდა, მ. ბ.-ძე მათ მისახმარებლად მივიდა და მანქანაში ჩასხდომაში დაეხმარა“,** — ამბობს მოწმე და განმარტავს, რომ დანის დარტყმის მომენტი არ უნახავს.

თავად ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ ცნო. მისი დამცველის თქმით, მეძავების ჩვენების საფუძველზე რეალური სურათის წარმოდგენა ძნელია, რადგან ისინი იმაზე არიან განაწყენებულები, რომ მათ მომსახურეობის თანხა არ გადაუხადეს.

სასამართლომ მალხაზ ბულაძეს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

გვერდები მოამზადეს
სალომე გოგოხიამ და მაკა ქობალიამ

16 — 22 დეკემბერი, 2009 წელი. №42
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# თამარის ხატება

## — სკვირეთის და ასურეთის ხეობები



ბეთანია



ვარძია



ყინწვისი



ბერთუბანი

**ისევ ბეთანიის მონასტერში ვტრიალებთ და ღვთისმშობლის ტაძრის ფრესკებს ვათვალიერებთ. სამხრეთ კედელზე მოთავსებული მონასტრის აღმშენებლის ქტიტორული ფრესკისა და წარწერის შესწავლამ მთლიანად უარყო დიდი ტაძრის აგების ადრე დამკვიდრებული მოსაზრება, რომ იგი XII-XIII საუკუნეთა მიჯნის ძეგლია.**

წინა წერილში აღვნიშნეთ და ახლაც გავიმეორებთ, რომ ფრესკაზე გამოსახული პიროვნება დემეტრე I-ის დროინდელი ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი სუმბატ I („სვიმონქმნილი“) ორბელია და არა მისი შვილიშვილი სუმბატ II, რომელიც, დემნას აჯანყებაში აქტიური მონაწილეობისათვის, 1177 წელს სიკვდილით დასაჯეს მამამისთან — გიორგი III-ის ამირსპასალარ და მანდატურთუხუცეს ივანე ორბელთან ერთად. დანამდვილებით არის ცნობილი, რომ სუმბატ II არასდროს ყოფილა ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი, და ასეც რომ ყოფილიყო, მას, როგორც მოღალატეს, ტაძარში არავინ მოხატავდა. რაც შეეხება სუმბატ I-ს, იგი არათუ არ მონაწილეობდა დემნას შეთქმულებაში, არამედ ბერად აღკვეცამდე, სწორედ გიორგი III-ის და მამამისის, დემეტრე I-ის ინტერესების დაცვის გამო ჩამოაშორა თანამდებობას დავით V-მ — 1155 წლის სამეფო კარის გადატრიალების მოთავემ. დავით V-მ ერთი წელიც კი ვერ იმეფა, რადგან დემეტრე I-მა ტახტი დაიბრუნა და იგი თავის უმცროს ძეს — გიორგი III-ს გადასცა. ამის მერე ბერად აღკვეცილი სუმბატ I — „სვიმონქმნილი“ გიორგი III-ის მრჩეველი გახდა.

ამდენად, ფრესკაზე ეკლესიით ხელში გამოსახულ ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცეს სუმბატ I-ს ბეთანიის ტაძარი 1155 წლამდე აუშენებია და მისი სახეც მაშინ მოუხატავთ, ხოლო საერო ტანსაცმელი 1155 წლის შემდეგ, მისი ბერად აღკვეცის გამო, გადაუხატავთ. მაშასადამე, ბეთანიის ფრესკების ერთი ნაწილიც XII საუკუნის 50-იანი წლების შემოქმედებაა (ტაძარში მხოლოდ ერთ ფრესკას ხომ არ განათავსებდნენ!).



კაბენის განადგურებული ეკლესია



კაბენის „წმიდა გიორგი“

ბეთანიის ფრესკების მეორე ნაწილი, უწინარესად კი სამი მეფის: გიორგი III-ის, თამარის და ლაშა-გიორგის ჯგუფური სურათი უდავოდ 1207 წელსაა დახატული. ეს სამი პიროვნება ერთად ყინწვისშიც არის გამოსახული, მაგრამ იქ ლაშა-გიორგის არც სამეფო გვირგვინი ხურავს და არც ხმალი არტყია. ლაშა-გიორგი თამარმა მხოლოდ 1207 წელს დაისვა თანამეფედ, რადგან ლაშქარს უმაღლესი მთავარსარდალი ჭირდებოდა დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ. ბეთანიის სურათზე ლაშა 15 წლის ჭაბუკია. რაც შეეხება თამარს, ეს XII-XIII საუკუნეების შემორჩენილი მისი ოთხი პორტრეტიდან ყველაზე გვიანდელია.

ერთი საოცარი დამთხვევაც არსებობს: ჩვენში ლამის მეოთხე ჰიპოსტასად მიჩნეული თამარისაგან მხოლოდ ოთხი პორტრეტი შემოგვრჩა!

ვდგავარ ამ პორტრეტის წინ და გრიგოლ ორბელიანის წუხილი ჩამესმის:

**„შენს წმინდა სახეს,**
**შვენებით სავსეს,**
**სახიერებით განსხივებულსა**
**ვუმზერ კრძალვითა,**
**თაყვანცემითა,**
**ცრემლმორეული**
**ვემთხვევი ფერხთა.**
**მიხარის — გიმზერ,**
**ვწუხვარ და გიმზერ**
**და ესრეთ მზერა მსურს**
**სიკვდილამდე,**
**არ გამოვფხიზლდე,**
**რომ აღარ ვგრძნობდე**
**ჩემი სამშობლოს**
**სულით დაცემას“.**

ვემშვიდობებით ბეთანიას და თამარის ნატერფალთა საძიებლად სამხრეთით მივეშურებით. სამხრეთით კოჯრის, ანუ იგივე აზეულასა და აგარანის ციხეა, კიდევ უფრო სამხრეთით (ვახუშტის სიტყვებით) — **„სასახლე მეფისა კოჟორი, აღაშენა პთ მეფემან როსტომ (89-ე მეფე, როსტომი — 1632-1658 წწ.), უმეტესად ჟა მეფემან გიორგი (91-ე მეფე, გიორგი XI — 1676-1688 წწ) და ჟდ მეფემან ვახტანგ (94-ე მეფე, ვახტანგ-VI — 1703-1724 წწ.), დგებოდნენ ზაფხულს მეფენი“.** ვახუშტის ნათქვამი არა აქვს ძველი ნაგებობის საფუძველზე ააგეს თუ არა XVIII საუკუნის ახალი სასახლე, მაგრამ სავარაუდოა, რომ ასე არ მომხდარა. წინააღმდეგ შემთხვევაში თამარ მეფის საზაფხულო ნასახლევის აღნიშვნა დიდ გეოგრაფს თხრობაში არ გამორჩებოდა. ვახუშტი თამარის სახელთან სხვა ადგილს აკავშირებს. იგი აგარან-აზეულა-კოჯრის ციხესთან ახლოს, მისგან სამხრეთ-დასავლეთით, ასურეთის ხევის სათავეშია: **„კიკეთს ქვეით, ხევსა შინა არს მონასტერი კაბენისა, ყოფილ არს დედათა, გუნბათიანი, შვენიერი, აწ არს ხუცის სამარ, აღაშენა მეფემან თამარ“.**

ამ ადგილზე მოხვედრა ბილიკებით კიკეთიდანაც შეიძლება და კოჯრიდანაც, ძლიერი ავტომანქანით კი სამხრეთიდან, ლოუბნის ხევიდან. ამ მხრიდან ოცი წლის წინათაც ვარ ასული კაბენში, მაგრამ მზიან ამინდში და ცხენით. ამდენად, გზა აღარ მახსოვს და თანაც ახლა, ნოემბრის ქარ-წვიმაში, ჩვენი მცირე ჯგუფის ეტიკობას თავს ვერ ვიდებ. სოფელ ერტისში გვეუბნებიან, რომ ასეთ ამინდში გზა გაუვალი და სახიფათო იქნება — თიხნარი ნიადაგი მოგაცურებთ და შეიძლება ხევში გადავარდეთო. ჩვენ ჩვენსას არ ვიშლით — არა, უნდა ავიდეთ! ბოლოს ორი კაცი — კაკო მანაშვილი და გელა კორღალიძე ბედავს წამოსვლას.

ლოუბანს გავცდით თუ არა, გზა, მართლაც სახიფათო შეიქნა — ხევის პირზე, მოსახვევებში თიხნარი ნიადაგი ისეა გადაგლესილი, რომ მცირე მოცურება და გადაჩეხვა ერთი იქნება. უფალი გვშველის — მშვიდობით გავაღწიეთ უხიფათო მონაკვეთზე. მარჯვნივ ტაგნაგეთის ნაციხარი მოჩანს. ეს რვასართულიანი კოშკი სიმაღლეში 17 მეტრს აღწევს, მაგრამ ბოლო სართულების ცალი მხარე ჩამოშლილი აქვს. კიდევ უფრო ზევით, გზიდან ხელმარცხნივ, ტყიან ფერდაზე, განვითარებული შუასაუკუნეების ახალაღდგენილი დარბაზული პატარა ეკლესია დგას. იგი ბაცი ვარდისფერი კვადრებით არის ნაგები და ქვათა წყობის თარაზულობა შეძლებისდაგვარადაა დაცული. აღმოსავლეთ ფასადზე, ფრონტონში, ღვინისფერ ქვაში გამოკვეთილი გოლგოთის ჯვარია. ამავე ხასიათის, ოღონდ უფრო მცირე, ჯვარი ჩასმულია სამხრეთ კედელშიც, კარის თავზე. ინტერიერი და მასთან ერთად ძველი, სამთაღიანი ქვის კანკელი შელესილი და მოსახატად გამზადებულია. საკურთხეველში სულ წმინდა გიორგის ახალი ხატებია, მაგრამ, როგორც მერე აგვიხსნა ერტისელმა დავით გოგაშვილმა, ამ ეკლესიას აქ „ქრისტეჯვარს“ უწოდებენ და 20 მაისს დღესასწაულობენ. მისივე თქმით, ძველი ლოუბანიც აქ ყოფილა.

გზას ვაგრძელებთ და ლოუბნის ხევის სათავეში მოზრდილ გუმბათიან ეკლესიასთან ვჩერდებით. ეს 40 მოწამის სახელზე ნაშენი აგურის ეკლესიაა, რომელიც ახლახანს აღუდგენიათ. ჯერ კიდევ შარშან აქ მონასტრის საძმო ცხოვრობდა, ახლა კი არავინაა. კელიები და ეკლესია გამოკეტილია. ღიაა მხოლოდ ეკლესიაზე ჩრდილო-დასავლეთიდან მიდგმული მძლავრი ოთხსართულიანი კოშკი. კომპლექსი გვიანი შუასაუკუნეებისაა. იგი ძალიან სახიერია.

ისევ ჩრდილო-დასავლეთით ვაგრძელებთ გზას. მცირე ქედის გადალახვით ლოუბნის ხევიდან ასურეთის ხევის სათავეში გადავდივართ.

შემოდგომის ფოთლები — ხეებზე, შემოდგომის ფოთლები — ტყეში გაჭრილ გზაზე. სიარული ძნელი აღარაა. უფალმა სირთულეები დაგვაძლევინა და ახლა ფიანდაზი დაგვიგო კაბენამდე. ასურეთისწყლის ჩანჩქერს მივადექით. მარჯვნივ, თავს ზევით, კოჯრის ციხეა, ქვევით — კაბენის ნამონასტრალი.

კომპლექსის ზედა ტერასაზე დაუნგრევლად გადარჩენილია მხოლოდ გვიან ხანებში ფლეთილი ქვით ნაგები მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესია, რომელიც სოლოღაშვილთა საძვალე ყოფილა. მთლიანადაა დაქცეული სვიმონ მესვეტის სახელზე აგებული დარბაზული საყდარი. XII-XII საუკუნის იმ საეტაპო ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრიდან, რომელსაც ვახუშტი ახსენებს, ქვაც აღარაა გადარჩენილი. როგორც რ. შმერლინგი, ვ. დოლიძე და თ. ბარნაველი წერენ („Окрестности Тбилиси“, 1960 г. стр. 72.) ტაძრის შემორჩენილი ნაშთები მთლიანად მოუშლიათ XX საუკუნის დასაწყისში აქ დაბინავებულ რუს ბერებს. პარადოქსია: განათლებულმა რუსებმა ბეთანიის ტაძარი აღადგინეს, უვიცებმა კი კაბენის ნაშთები მიწასთან გაასწორეს. ერთადერთ ნუგეშად მხოლოდ ამ დიდებული ეკლესიის აღმოსავლეთ მკლავის ფოტო შემოგვრჩა.

ამავე ტერასაზე რამდენიმე საცხოვრებელი და სხვა დანიშნულების ნაგებობის ნაშთებია. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კომპლექსის აღმოსავლეთ ნაწილში, გალავანში ჩადგმული, ორსართულიანი შენობის შემორჩენილი ფრაგმენტები, რომლის გრძივი ღერძი ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენაა მიმართული. ეს სასახლე უნდა იყოს. მისი კედლები უზადოდაა აყვანილი ძალიან ფაქიზად დამუშავებული თეთრი ქვიშაქვის თანაბარი კვადრებით. ასეთი მშვენიერი კედლები იშვიათად შემხვედრია. ვეჭვობ, რომ სწორედ ეს არის აგარანის ის საზაფხულო მეფის სადგომი, სადაც თამარი აღესრულა მემატიანეთა ცნობით; ვეჭვობ და განსაკუთრებული მოწიწებით შევცქერი ამ ნანგრევს, რომლის კედელზეც ვიღაც მადლიანს უზარმაზარი ხის ჯვარი მიუდგამს.

კომპლექსის გალავნის გარეთ, ქვედა ტერასაზე დგას ერთადერთი გადარჩენილი ძველი ეკლესია. იგი, შეძლებისდაგვარად, აღუდგენიათ და გადაუხურავთ. ეს არის მოზრდილი დარბაზული საყდარი „წმიდა გიორგი“, რომლის ჩრდილოეთი კედელი კონტრფორსს უჭირავს. ტაძარი XII-XIII საუკუნეთა მიჯნისათვის დამახასიათებელი სტილითაა ნაგები და შემკობილი. აქა-იქ გამოქარული ქვები მას მეტ დამაჯერებლობასა და პეწს მატებს. აღმოსავლეთ ფასადის ერთი მიმქრალი წარწერიდან ვიგებთ, რომ **ტაძრის აგება გაუსრულებიათ გიორგის ძეებს: კვირიკეს (თუ კონსტანტინეს), ნიკოლოზს, ბასილს, ოქროპირსა და გრიგოლს.** თამარ მეფის სახელი, ალბათ, დანგრეული გუმბათიანი ტაძრის დაკარგულმა ქვებმა გაიტაცეს...

ვაჰ, დრონი, დრონი...

დრომ წარიტაცა ჩვენი ძველი დიდებაც, დრომ მოიტანა ჩვენი დაარხეინებაც, რაც ესოდენ თვალში საცემი XIX საუკუნიდან გახდა. ამის ერთი დასტურია კაბენიდან მოშორებით, სოფელ ვაშლოვანში წარბშეუხრელად მდგარი უზარმაზარი, ცილინდრული, ოთხსართულიანი კოშკი. იგი 1811 წელს აუგია გენერალ თავად თამაზ ორბელიანს. ფორმით საბრძოლო ბასტიონისათვის ორბელიანს საგვარეულო გერბი და ასეთი წარწერა გაუკეთებია: „კოშკი ნაგები სალხინოდ“.

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**



ლოუბანი



ვაშლოვანი

# აფხაზების აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ

## 1877 წლის აპრილი-აგვისტო

**აფხაზთა უკმაყოფილება ერთბაშად არ დაწყებულა. ჯერ კიდევ 1866 წელს მათ საპროტესტო გამოსვლებს მოჰყვა ბევრი აფხაზის თურქეთში გადასახლება (მუჰაჯირობა). მუჰაჯირები დიდხანს ინარჩუნებდნენ ურთიერთობას აფხაზეთის ტერიტორიაზე დარჩენილ თანამემამულეებთან. მათ ზურგს უმაგრებდა თურქეთის ხელისუფლება, რომელიც ვერაფრით ურიგდებოდა კავკასიაში რუსეთის შემოსვლას და ყოველი ღონით ცდილობდა, პრობლემები შეექმნა რუსეთისთვის.**
**1877 წლის 5 მაისს აფხაზები კვლავ აჯანყდნენ. ვითარების გამწვავება გამოიწვია თურქული ესკადრის გამოჩენამ, რომელიც ჰასან-ფაშას მეთაურობით მიადგა სოხუმის სანაპიროს. თურქები აშკარად ჩაებნენ ამ კონფლიქტში, რამაც საქმე შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მიიყვანა. ბრძოლები სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. საბოლოოდ, 1877 წლის 20 აგვისტოს თურქულმა ესკადრამ სრული მარცხი იწვნია და შინისკენ გაბრუნდა.**
**ამის გამო აფხაზებმა რუსეთის ნდობა დაკარგეს და დიდი ხნის მანძილზე მათ სამხედრო სამსახურშიც არ იწვევდნენ. მოგვიანებით ეს კონფლიქტი ჩაცხრა და აფხაზეთში, სხვა ქართულ მხარეებთან ერთად, მშვიდობამ დაისადგურა.**




სოხუმის რაზმს, რომელიც საბოლოოდ 1876 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა, ევალებოდა აფხაზ მოსახლეობაში წესრიგის დაცვა და მოწინააღმდეგის მცირე დესანტების მოგერიება, რომელთა მიზანი სანაპირო პუნქტების ძარცვა ან ჩვენდამი ნაკლებად ერთგულ აფხაზთა გაღიზიანება იყო...

წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, ჯარს უნდა დაეხია ნებელდის ქვაბულისკენ... და მცირე ნაწილებით დაეწყო მოქმედება იმ მცხოვრებთა წინააღმდეგ, ვინც აქ გადმომსხდარ მოწინაღმდეგეს მიემხრობოდა...

თურქეთთან აფხაზეთს მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა. იქ 1866 წლის აჯანყების შემდეგ ჩვენგან წასული ბევრი წარმოშობით აფხაზი ცხოვრობდა: იქ აგზავნიდნენ თავიანთ ღარიბულ პროდუქტებს და თავიანთი ბაზრებისთვის თურქული საქონელი შემოჰქონდათ; იქიდან ხაპავდნენ პოლიტიკურ ცნობებს და სესხულობდნენ პოლიტიკურ მოსაზრებებს... იმის გამო, რომ აფხაზები თურქეთისკენ მიილტვოდნენ, რომ ცვალებადი ხასიათი ჰქონდათ, იყვნენ განუვითარებლები, გულუბრყვილოები, აგრეთვე, ამ მხარეში რუსული მმართველობის სიახლის გამო, ცხადია, არ იყო მოსალოდნელი, რომ მას ჩვენთვის მნიშვნელოვანი მსხვერპლის მოტანა შეეძლო, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ასევე შეიძლებოდა იმის ვარაუდიც, რომ ჩვენი მთავრობისაგან მის მოსაწყევტად მნიშვნელოვანი ზეწოლა გახდებოდა საჭირო. უკიდურეს შემთხვევაში დასაშვები იყო ცალკეული პიროვნებებისა და ზოგიერთი თემის ღალატი...

აფხაზეთის ერთადერთი პატარა ქალაქი სოხუმი დაახლოებით 4 ათას მცხოვრებს ითვლიდა და მხოლოდ და მხოლოდ გასაქურდად იყო მიმზიდველი, რადგანაც ომის წინ, როცა აქაურობას გაეცალნენ, მცხოვრებლებმა მხოლოდ ის დატოვეს, რისი წაღებაც ვერ შეძლეს ან ვერ მოასწრეს...

ომის გამოცხადებას და აფხაზი მოსახლეობის არაკეთილსაიმედოობის აღმოჩენას მოჰყვა სამხედრო-ადმინისტრაციული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო მხოლოდ აფხაზების განუწყვეტელი და მანამდე შეუმჩნეველი გადაადგილების აღსაკვეთად აულიდან აულში და აულებიდან სოხუმში ჩვენი ჯარებისთვის თვალყურის დევნების მიზნით...

ომის გამოცხადებასთან ერთად მტრის გემები ჩვენს ნაპირებთან გამოჩნდნენ...

ამ დღეს (1877 წლის 29 აპრილს. — შემდგ.) თურქეთის ესკადრამ 30 წარმოშობით აფხაზი (მუჰაჯირები) გადმოსხა გაქცეული ყაჩაღის უზბეკ მარშანის (ოზბეკ მარშანია — შემდგ.) ხელმძღვანელობით ბიჭვინთის პოსტთან, რომელიც ჩვენს აფხაზ მილიციელებს ეკავათ და სასწრაფოდ გვიღალატეს. ეს ერთი მუჭა ადამიანები ერთი გავლენიანი აფხაზის ხერიპს მარშანის სახლში შეიკრიბნენ, მცხოვრებლებთან საუბარი, აჯანყებაზე მათი დაყოლიება და მათთვის იარაღის დარიგება დაიწყეს...

ამავე დროს ესკადრა (თურქეთის — შემდგ.) მთელი სისწრაფით დაიძრა გუდაუთისკენ, გუდაუთის რეიდზე საბრძოლო წყობით ჩამწკრივდა და ექვსივე ხომალდიდან ბომბები დაუშინა იმ ადგილს... ამასობაში მტერმა, რომელსაც ნაპირზე მცხოვრებთა ბრბო დახვდა, თავისი ხალხი გუდაუთაში გადმოსხა და მაშინვე ცეცხლს მისცა ეს სოფელი. გაევსკიმ შეუძლებლად მიიჩნია გადმოსხმულ დესანტთან და აღშფოთებულ მოსახლეობასთან ბრძოლა, არ დაელოდა მაშველი ძალის მოსვლას და ფსირცხისკენ დაიხია, სადაც აფხაზებისაგან უკვე საფრთხეშექმნილი ჩვენი კაზაკების რაზმი იმყოფებოდა.

ის-ის იყო, ამ პუნქტს მიუახლოვდა, რომ მეტწილად შეიარაღებული მცხოვრებლების ბრბოებმა ჩვენდამი აშკარად მტრული განზრახვით მონასტრის მახლობლად მდებარე სიმაღლეები დაიკავეს. ამავე დროს მას შეატყობინეს, რომ გუდაუთაში გადმოსხმული დესანტი 2 ათას ადამიანს აღწევს და რომ მათი წინამძღოლი უზბეკ მარშანი, რომელსაც აჯანყებულმა აფხაზებმა 300-მდე ცხენი გადასცეს, მას კვალდაკვალ მოჰყვება. ამ ვითარებაში გაევსკიმ გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ დაეხია სოხუმისკენ სანაპირო გზით... ჩვენების ფსირცხიდან წამოსვლის შემდეგ აფხაზები... ახალი ათონის მონასტერს შეესივნენ და მის ძარცვას შეუდგნენ...

მაიორ გაევსკის მიერ სოხუმში გადაცემულმა ცნობამ გუდაუთის მონაკვეთის ღალატისა და აჯანყების თაობაზე გენერალ კრავჩენკოს უბიძგა, მდინარე გუმისთის ხაზი დაეკავებინა, რათა შეეჩერებინა ჯანყის გავრცელება გუმისთის მონაკვეთზე (მდინარეებს გუმისთასა და კოდერს შორის) და სოხუმი ამბოხებული აფხაზების თავდასხმისაგან დაეცვა. ამ ცნობების (პოლკოვნიკის, თავადი გ. შერვაშიძის) მიხედვით გენერალმა კრავჩენკომ დაასკვნა, რომ მთელი გუდაუთის მონაკვეთი ჩვენ წინააღმდეგაა და ნებართვა ითხოვა მთავარსარდლისგან, რომ პოლკში, რომელიც ახლა ყალიბდებოდა, ექვსას კაცამდე აეყვანა, ხოლო გენერალ-ადიუტანტის, თავად სვიატოპოლკ-მირსკოისგან — რომ სამურზაყანოს მილიციის კიდევ ორი ასეული შეეკრიბა...

2 მაისს დღის 5 საათზე მტრის ესკადრა, წინა დღის არ იყოს, 6 სამხედრო გემის შემადგენლობით, ჰასან-ფაშას მეთაურობით გამოჩნდა სოხუმის პირდაპირ, რეიდზე მოეწყო და ქალაქის დაბომბვას შეუდგა...

...ამაო დანაკარგებისთვის თავის არიდების მიზნით გენერალმა კრავჩენკომ... ახალციხის პოლკის მესამე ბატალიონს და მთაში განლაგებულ ქვემეხებს უბრძანა, შეუმჩნევლად დაეხიათ ბანაკისკენ. ამის შემდეგ კავალერიას, რომელიც გუმისთაზე იყო განლაგებული, უბრძანა, ეს ხაზი მოეხსნათ და რაზმს შეერთებოდნენ...

სოხუმი დაწვა. ღამის დადგომასთან ერთად აფხაზები, რომლებსაც გუმისთაზე აღარავინ აკავებდათ, ჯგროდ შეესივნენ სოხუმს, სხვადასხვა მხრიდან ცეცხლს მისცეს ის და ძარცვას შეუდგნენ...

3 მაისს, დილის 7 საათზე ორი ჯავშნოსანი და ერთი ფრეგატი (თურქული — შემდგ.) მდინარე მაჯარის შესართავისკენ გაემართნენ. იმავდროულად ათასობით აფხაზმა ყიჟინით დაიწყო ქალაქში შეკრება და ბანაკის ირგვლივ სიმაღლეებზე გამოჩენა, ხოლო სოხუმის რეიდზე დარჩენილმა გემებმა ცეცხლი გაუხსნეს აბჟაქვინის სიმაღლეების ძირში განლაგებულ ჩვენს კავალერისტთა ბანაკს. მიიღეს რა ცნობა, რომ გუმისთის მონაკვეთის მოსახლეობა აჯანყებულებს მიემხრო, რომ მტრის გემებს, რომლებმაც მაჯარისკენ დაიხიეს, განზრახული აქვთ, ამ მდინარის შესართავის მახლობლად გადმოსხან დესანტი, ხოლო აფხაზთა ბრბოები უკვე იქით გაეშურნენ, გენერალმა კრავჩენკომ ივარაუდა, რომ საქმე ეხება უკვე არა მტრის დესანტისგან მხარის დაცვას, არამედ, სახალხო აჯანყების პირობებში, წებელდის ქრისტიანული მოსახლეობის, სოხუმის სამხედრო ჰოსპიტლის და სოფელ ოლგინსკიში ჩვენი საწყობების გადარჩენას, და რაზმს უბრძანა, სოფელ ალექსანდროვსკოეს გავლით მაჯარის ხეობისკენ დაეხია, რომელიც წებელდაზე გადიოდა...

რაზმი უკვე მდინარე კელასურს გასცდა, როდესაც მაჯარის პოსტს, რომელსაც ქვეითთა და კაზაკთა ასეულები იცავდა, აფხაზები დაესხნენ თავს, რომლებსაც, როგორც ჩანს, იქ განლაგებული სურსათის საწყობების ხელში ჩაგდება ჰქონდათ განზრახული...

წებელდაში ჩაკეტილები, კოდორზე უმნიშვნელო ძალებით, ჩვენ ყველანაირ ძალაუფლებას ვკარგავდით ბიჭვინთის ოლქზე მისი 32-ათასიანი მოსახლეობით, და აფხაზეთის ნაპირებთან თავისუფალ გასასვლელს ვხსნიდით გაგრასა და კოდორს შუა მთელ სივრცეზე...

ამ დღეს (1877 წლის 5 მაისს — შემდგ.) მიღებული იქნა ცნობა ჯგერდაში მღელვარების შესახებ — თემში, რომელიც კოდორის მარცხენა მხარეს იყო განლაგებული... იმავე 5 რიცხვში მან დეპეშით შეატყობინა ფოთის კომენდანტს, რომ აფხაზეთში კელასურამდე აჯანყებაა და კოდორამდე — მღელვარება, ხოლო ზუგდიდის მაზრის უფროსს სთხოვა, რითაც შეძლებდა, დაეკავებინა სამურზაყანო და მირონოვს დაკავშირებოდა...

აჯანყებას, რომელმაც ბიჭვინთის ოლქი მოიცვა და სწრაფად ვრცელდებოდა კოდორისკენ, შეუძლებელი იყო, გავლენა არ მოეხდინა სხვა ოლქის — ოჩამჩირის აფხაზ მოსახლეობაზე... გენერალმა კრავჩენკომ პოდპოლკოვნიკ მირონოვს უბრძანა, შეძლებისდაგვარად სწრაფად შეედგინა 4 ან 5 ახალი ასეული ოჩამჩირის ოლქში და მათი ნაწილი სოხუმში მთავარი ძალებისკენ გაეგზავნა. მირონოვის გამოძახებას სამურზაყანოელები ხალისით გამოეხმაურნენ, მაგრამ კოდორის მონაკვეთის აფხაზი მოსახლეობა, როგორც ჩანს, ჩვენს რიგებში გაერთიანებას თავს არიდებდა...

**დასასრული შემდეგ ნომერში**




**გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეორე ნომერი**

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის" ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა" საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს. ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.





არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა" — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ჰომეოპათიური მეთოდით მკურნალობა

**არსებობს აზრი, რომ ჰომეოპათიური წამლები ნელა მოქმედებენ, რაც სრულიად არ შეესაბამება სიმართლეს. პირიქით, როგორც კი მოხვდება ის ლორწოვანზე, მაშინვე იწყება მათი მოქმედება. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მწვავე მდგომარეობის დროს; რაც შეეხება ქრონიკულ დაავადებებს, აქ წამალი კი არ მუშაობს ნელა, არამედ განკურნების პროცესი მიმდინარეობს შენელებულად. ჩვენ ხომ განკურნებაზე ვიღებთ ორიენტაციას და არა სიმპტომის გაქრობაზე, რადგან სიმპტომი ორგანიზმის მხრიდან მხოლოდ გაფრთხილებაა, მინიშნება, რომ რაღაც უჭირს.**



### ჰომეოპათია ამარცხებს გრიპს

გრიპის ერთ-ერთი გამოვლინება მაღალი ტემპერატურაა. როგორც წესი ადამიანი მას ებრძვის და სიცხის დამწევ საშუალებებს იყენებს, რაც არასწორია. სიცხე იმის მაჩვენებელია, რომ იმუნური სისტემა ებრძვის ვირუსს, როცა სიცხეს ხელოვნურად, სწრაფად ვაგდებთ ნორმამდე, ამით იმუნურ სისტემას ვთრგუნავთ და, ფაქტობრივად, ამით დაავადებას კი არ ვერევით, არამედ ორგანიზმს ვუშლით ხელს მასთან ბრძოლაში.

ყველამ კარგად იცის, რომ ძლიერი ორგანიზმი ან საერთოდ არ ავადდება გრიპით, ან ძლიერად რეაგირებს ვირუსის შეჭრაზე, ანუ მაღალი ტემპერატურით სწრაფად „წვავს“ მას.

გაცილებით ცუდია, როცა გრიპი უსიცხოდ მიმდინარეობს, რადგანაც ის გაცილებით დიდხანს გრძელდება, ასუსტებს პაციენტს და გართულებასაც უტოვებს. ეს სუსტი იმუნიტეტის მაჩვენებელია. ასეთ დროს კვალიფიციური ექიმი ისეთ წამალს უნიშნავს პაციენტს, რომელიც სიცხეს კი არ ებრძვის, არამედ ეხმარება ორგანიზმს დაავადებასთან ბრძოლაში.

თავისი არსებობის 200 წლის მანძილზე ჰომეოპათიამ არაერთხელ აჩვენა გასაოცარი შედეგები ისეთი ეპიდემიების დროს, როგორიცაა ქოლერა, შავი ჭირი და სხვ.

ჰომეოპათიურ მეთოდს დიდი გამოცდილება აქვს გრიპთან ბრძოლისა და მისი დამარცხების საქმეში. გრიპი ყველაზე მძიმე ეპიდემიაა, რომელმაც 20 მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა 1918-20 წლებში და ისტორიაში „ისპანკის“ სახელით შევიდა. იმ დროს ბევრ ქვეყანაში აღმოუჩინეს დახმარება მოსახლეობას ჰომეოპათებმა.

როდესაც ჰომეოპათიური წამლით ვებრძვით გრიპს, პირველ ეტაპზე იმუნიტეტის გაძლიერება ხდება უჯრედულ დონეზე, ასევე მიმდინარეობს ორგანიზმის ზოგადი გაძლიერება, ბრონქებისა და ფილტვების გაწმენდა, რაც სასუნთქი გზებიდან ვირუსის შეჭრის შესაძლებლობას ამცირებს.

მეორე ეტაპზე, ასევე, ჰომეოპათიური წამლის ზემოქმედებით ხდება ვირუსის რეპლიკაციის დაბლოკვა, წყდება მისი გამრავლება როგორც ვირუსის დნმ-ის გარკვეულ ჯაჭვში ჰომეოპათიურად მომზადებული ნივთიერებების ჩანერგვის გზით, ისე ვირუსის გადაპროგრამებით. ისინი ამცირებენ ვირუსის ვირუტენტულობას და აქვთ დრენაჟული და დეზინტოქსიკაციური ფუნქციები, რაც ამსუბუქებს დაავადების მიმდინარეობას, ხელს უწყობს ორგანიზმის სწრაფ აღდგენას და ახდენს გართულებათა პრევენციას.

ხშირად კითხულობენ, რამდენად მისაღებია ჰომეოპათიური წამლები ბავშვებისათვის, ამიტომ უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი განსაკუთრებით კარგია ჯირკვლებიანი ბავშვებისთვის.

გრიპის არც ერთი ვაქცინა არ არის ზუსტი და იმ ვირუსის შესაბამისი, რომელიც მოცემულ მომენტში აქტიურია, ამიტომ უპრიანია ბავშვის ორგანიზმის ჰომეოპათიური წამლით გაძლიერება, რათა შემდეგ თავი დავიცვათ გრიპისაგან.

არსებული სისტემატიზირებული მონაცემებიდან ყველაზე შთამბეჭდავია ამერიკელი ჰომეოპათების მონაცემები, რომლებმაც სიკვდილიანობა 30-დან 1,05 პროცენტამდე დაიყვანეს! ეს მონაცემი მიღებულია სხვადასხვა შტატის ჰომეოპათებისაგან და 100.000-მდე პაციენტის მკურნალობის შედეგებს მოიცავს.

მთავარია, აღინიშნოს, რომ ჰომეოპათიურ წამლებს, რომლებიც გრიპის დროს გამოიყენება, არანაირი გვერდითი მოვლენები არ აქვს, რადგან მათი შემადგენლობა ბუნებრივი ნარევისაგან შედგება, მათ შორის დინდგელის, ფუტკრის რძის, მტვერისა და სხვ. ისიც უნდა ითქვას, რომ ის, ვინც ინსულინზეა დამოკიდებული, მათთვის ჰომეოპათიური წამლის მიღებას აზრი არ აქვს.

დღეისათვის ჰომეოპათიის შესაძლებლობები განუსაზღვრელია, ფაქტობრივად, ბოლომდე არ არის გახსნილი. ყველაფერი დამოკიდებულია ექიმის სრულყოფილებასა და პაციენტის ორგანიზმის მდგომარეობაზე. მეთოდის ნამდვილი აღიარება 30 წლის წინათ დაიწყო, როდესაც თანამედროვეობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელმა ამ დარგში ჯორჯ ვიტულკასმა კლასიკური მიმართულების ექიმებს დაანახა ამ მეთოდის უნიკალური შესაძლებლობები და უპირატესობები, რის გამოც მას ნობელის პრემია მიანიჭეს.

დღეს უკვე მსოფლიოში მოსახლეობის უფრო და უფრო დიდი ნაწილი მიმართავს ჰომეოპათიურ მკურნალობას დღევანდელი გავრცელებული გრიპის დროს, დღეს ის განსაკუთრებით პოპულარულია ევროპაში. მათი რიცხვი საფრანგეთში 65 პროცენტს, მონაკოში კი 90 პროცენტს აღწევს.

რაც უფრო მაღალია მოსახლეობის ინტელექტუალური დონე, მით უფრო დიდია მოთხოვნა ჰომეოპათიაზე. ასეთი პოპულარობა კი განპირობებულია ჰომეოპათიის მაღალი ეფექტურობით, უვნებლობით, და იმით, რომ მას გვერდითი მოვლენები არ გააჩნია.

გარდა ამისა, ხდება პლანეტის მოსახლეობის სენსიბილიზაცია, იმატა ალერგიული რეაქციების რაოდენობამ, ასევე, გეომეტრიული პროგრესიით იზრდება წამლისმიერი დაავადებების ჩამონათვალი, ამიტომ პაციენტების დიდი ნაწილი იძულებულია, უარი თქვას კლასიკურ თერაპიაზე და მკურნალობის ალტერნატიული მეთოდები ეძებოს.

ჰომეოპათიის უპირატესობა ისაა, რომ ის მკურნალობის კომპლექსური მეთოდია და ერთი დაავადების მკურნალობისას სინამდვილეში რამდენიმეს მკურნალობს ერთად, ანუ ფარულად მიმდინარე პროცესებსაც, რომლებიც ჯერ ღიად არ გამოვლენილა. ასევე, უნდა ითქვას, რომ იზოლირებულად ერთი ორგანოს დაავადება არ არსებობს, რადგან ერთის დაზიანება, იწვევს მთელი სისტემის მოშლას და ხდება ჯაჭვური რეაქცია.

ჰომეოპათიურ მკურნალობას ყველაზე ცუდად ექვემდებარება წნევა და გულსისხლძარღვთა დაავადებები.



## ხელსაწყო ეპილეფსიით დაავადებულთათვის

**ამერიკელმა მეცნიერებმა შექმნეს ულტრათანამედროვე ხელსაწყო ეპილეფსიით დაავადებულთა მკურნალობის დასახმარებლად. ის, ფაქტობრივად, შეცვლის წამალს.**

**ამ ხელსაწყომ წინაკლინიკური და კლინიკური ცდები წარმატებით გაიარა, ასე რომ ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდება ისეთი პაციენტებისათვის, რომელთაც წამალი უკვე ველარ შველის.**

## ექსპერტებს აეჭვებთ ტამიფლუს შესაძლებლობები




ექსპერტთა საერთაშორისო ჯგუფმა გამოთქვა ეჭვი, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული წამლების **ტამიფლუსა** და **რელენზას** მიმართ. ისინი ფიქრობენ, რომ ეს წამლები იწვევს ინფექციის გააქტიურებას და ფილტვების ანთების გაჩენის რისკს. მეცნიერებს ეს აზრი გაუჩნდათ მას შემდეგ, რაც ჩაატარეს მეტაანალიზური ცდები ამ პრეპარატების მიმართ.

## შეიქმნა ახალი ხელის პროთეზი



**ბრიტანულმა კომპანია „ტუშ ბიონიშმა“ შექმნა ახალი ხელის პროთეზი, რომელიც მალე სერიულად გამოვა და ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება.**

**ახალი პროთეზის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ თითებს შეუძლია იმოძრაოს ზუსტად და შეცვალოს ჯანმრთელი ხელი.**

## ყავა პროსტატის კიბოს რისკს ამცირებს

**ამერიკელმა მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ყავის მიღება ამცირებს მამაკაცებში პროსტატის კიბოს რისკს. ცდები ჩაატარეს 50000 მოხალისეზე 20 წლის განმავლობაში.**





კვლევებმა აჩენა, რომ იმ მამაკაცებს, რომლებიც სისტემატურად მიირთმევდნენ ყავას (იგულისხმება ნამდვილი ყავა და არა — სუროგატი) 50 პროცენტით შეუმცირდათ პროსტატის კიბოს აგრესიული ფორმა და გამოჯანმრთელების გზაზე დადგნენ.




უნივერსალური წყალი „ისიდა“

მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

**სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს და შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს დღიური ნორმის ოდენობით:**

**J იოდი** — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

**F ფტორი** — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

**Ma მანგანუმი** — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

**Ca კალციუმი** — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

**K კალიუმი** — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

**Mg მაგნიუმი** — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

**Na ნატრიუმი** — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

**Zn თუთია** — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და რაც წყაროსი) არ შეიცავს ყველა ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიურ და ხანგრძლივი გამოყენება იწვევს ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს, რომელსაც ეწოდება მიკროელემენტოზი. ამიტომ „ისიდაში“ გადახდილი ყოველი თეთრი დაგიზოგავთ ამ დაავადების სამკურნალოდ გადასახდელ მრავალ ათას ლარს.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება 20-ლიტრიან ბალონებში.

მსურველებმა დარეკონ თბილისში: 899-16-30-21, 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.

# როდის უნდა მოვკრიფოთ სამკურნალო მცენარეები



ფიტოთერაპია თანამედროვე მედიცინის იმდენად მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა, რომ ბევრ ადამიანს უჩნდება სურვილი, ბალახეული სამკურნალო ნედლეული თავად მოიპოვოს, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე, რაც დაუშვებელია!
სამკურნალო მცენარეების მოპოვება თუ შეგროვება სერიოზულ გამოცდილებას საჭიროებს, პირველ რიგში კი, იმას, რომ ის უნდა მოიკრეფოს თქვენი საცხოვრებელი ადგილიდან 800 კმ რადიუსში, ტრასიდან 6 კმ-ის მოშორებით, ეკოლოგიურად სუფთა ადგილზე. ასე რომ, ამ ფენომენის სიღრმეში წვდომა სერიოზულ საქმეს წარმოადგენს.
დაუშვებელია, სამკურნალო ბალახების მოპოვება იმ ქალბატონების მიერ, რომელთაც კრიტიკული დღეები აქვთ; ასევე, სტრესების, დეპრესიების, ემოციური გადაღლის ან ავადმყოფობის დროს. საუკეთესო მომპოვებლად ითვლებიან მამაკაცები, გოგონები 13 წლის ასაკამდე ან ქალბატონები — 55 წლის ზემოთ, რომელთაც არ ეხება ზემოჩამოთვლილი აკრძალვები, ანუ არიან ჯანმრთელები.
ისევე, როგორც სხვა რომელიმე მეთოდით მკურნალობა, ფიტოთერაპიაც გულისხმობს კონკრეტული შემთხვევის სწორ შეფასებას, ანუ პაციენტის ზუსტ დიაგნოსტირებას, რადგანაც ადამიანის ორგანიზმი შეიძლება რომელიმე ბალახეული ნედლეულის მისაღებად მზად არ იყოს ან ნაღვლის ბუშტში ჰქონდეს კენჭები, დაიძრას და გაიჭედოს. ეს საკმაოდ საშიშია, რასაც სპეციალისტის კონტროლი სჭირდება.
საკითხთან დაკავშირებით დახმარება ვთხოვეთ ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ფიტოთერაპევტს — **ოთარ წიწილაშვილს.** იგი გვესაუბრება სამკურნალო მცენარეული ნედლეულის სწორად და ზუსტ დროზე შეგროვების შესახებ.



ოთარ წიწილაშვილი

**— ბატონო ოთარ, ხშირად ფიქრობენ, რომ სამკურნალო მცენარე უნდა მოიკრიფოს მხოლოდ ზაფხულში და მხოლოდ ყვავილობის დროს, რამდენად სწორია?**

— ეს შეკითხვა მართებულია, რადგანაც ხშირად ამაზე სპეციალისტებიც კი არ ფიქრობენ. სამწუხაროდ, კვლევებით დადასტურდა, რომ ყველა მცენარეს მოკრეფის თავისი დრო აქვს. ასევე, ჩვენ ფიტოთერაპიაში ვიყენებთ ზოგჯერ მცენარის ყვავილს, ზოგჯერ ფოთოლს, ზოგჯერ ბოლქვს.

**— ახლა ზამთარია და ამ სეზონით დავიწყოთ, ყველამ იცის, რომ გირჩს ბევრი სამკურნალო თვისება აქვს. როდის იკრიფება ის და რომელი უნდა შევარჩიოთ?**

— საკურნალოდ უნდა შეირჩეს მურყნის (თხმელის) რუხი ფერის გირჩი. უნდა მოიკრიფოს იანვრისა და თებერვლის შუა რიცხვები.

სამკურნალო თვისებები აქვს, ასევე, **არყის** და **ფიჭვის** კვირტებს და ბევრ წამალშიც ერთ-ერთი კომპონენტია. მიუხედავად იმისა, რომ ფიჭვი მარადმწვანე ხეა, მისი სამკურნალოდ გამოყენება შეიძლება, თუ ისინი მოკრეფილია მარტისა და აპრილის შუა რიცხვებში და არა სხვა დროს.

**— საქართველოში ხშირად გამოიყენება მუხის ქერქი. რას გვეტყვით მის სამკურნალო თვისებებზე?**

— სამკურნალო თვისებები მას ყოველთვის არ აქვს. **მუხის, ძახველის, ხეჭრელის** ქერქის სამკურნალოდ გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ის მოპოვებულია აპრილის შუა რიცხვებში ან მაისის ბოლოს. შემოდგომაზე მისი მოპოვება არ შეიძლება.

**— ეს რაც შეეხება ქერქს ან კვირტს, მაგრამ სამკურნალო მცენარეთა ფოთლების მოკრეფა როდისაა მიზანშეწონილი?**

— სამკურნალოდ, ძირითადად, გამოიყენება: **წითელი მოცვის, დათვის კენკრას, ტყის მარწყვის, შროშანის, ვირისტერფას, მრავალძარღვას, სამყურას, ჭინჭრისა** და **მოცვის** ფოთლები. **წითელი მოცვისა** და **დათვის კენკრას** ფოთლები უნდა მოვკრიფოთ აპრილის შუა რიცხვებში და მაისის ბოლოს; **ტყის მარწყვისა** და **შროშანისა** — მაისის შუა რიცხვებში; **ვირისტერფა, მრავალძარღვა** და **სამყურა** იკრიფება ივნისის შუა რიცხვებიდან



15 ივლისამდე. **ჭინჭარი** — ივნისში, ივლისსა და აგვისტოში; ხოლო **მოცვი** — მაისსა და ივნისში. სხვა დროს მოპოვებული ფოთოლი სამკურნალოდ ნაკლებეფექტურია.

**— სამკურნალო ბალახებზე რას იტყვით?**

— სამკურნალოდ ჩვენში გამოიყენება **წყლის იელი, თავშავა, კრაზანა, ორკბილა, შავბალახა, აბზინდა, ფარსმანდუკი, წიწმატურა, ია, შვიტა, ქრისტესისხლა, ბეგქონდარა, მატიტელა.** აქედან: **წიწმატურა, ქრისტესისხლა** და **ბეგქონდარას** მოპოვება უმჯობესია მაისის, ივნისისა და ივლისის მხოლოდ შუა რიცხვებში, ხოლო დანარჩენი ბალახებისა კი — ივნისსა და ივლისში; აგვისტოში მხოლოდ **თავშავას, კრაზანას, ფარსმანდუკის, იის, შვიტას, მატიტელას** მოპოვება შეიძლება, დანარჩენის — არა.

**— ყვავილებზე რას გვეტყვით, რომელი უნდა მოვკრიფოთ და როდის?**

— ყვავილებიდან გამოიყენება: **ნეგოს, რეჰანის, გვირილას, ვირისტერფას, ცაცხვის, ასფურცელასა** და **კუნელის ყვავილები. ნეგო, რეჰანი** და **გვირილა** იკრიფება ივნისსა და ივლისში, **ვირისტერფა** — აპრილ-მაისში, **ცაცხვი** — ივნის-ივლისში, **ასფურცელა** — ივლისსა და აგვისტოში, ხოლო **კუნელის ყვავილი** — მაისსა და ივნისში. ეს თვეები მათი მოკრეფის საუკეთესო დროა.

**— მცენარეულ ნაყოფზე რას გვეტყვით, ჩვენ ბევრ ხილსა თუ ბოსტნეულს მივირთმევთ ნაყოფის სახით, ბევრი სასარგებლოა მათ შორის, მაგრამ სამკურნალო დანიშნულების ყველა ხომ არ იქნება?**

— რასაკვირველია. ამ მხრივ გამოირჩევა: **წითელი კუნელი, ხეშავას ნაყოფი, ჟოლო, ცირცელი, მოცვი, ღვია, ასკილი, შტოში.** სამკურნალო დანიშნულებით შტოშის ნაყოფის მოკრეფა უპრიანია სექტემბერსა და აგვისტოში, მოცვისა და ჟოლოსი — ივლისში; წითელი კუნელის, ხეშავასა და ასკილის — ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში; ცირცელისა და ღვიის — სექტემბერ-ოქტომბერში.

**— ვიცით, რომ სამკურნალოდ მცენარეთა ფესვები ფესვურები და ბოლქვებიც გამოიყენება, რომელი მცენარეები განეკუთვნება ამ კატეგორიას?**

— ამ კატეგორიას განეკუთვნება **ტუხტი, კატაბალახა, კულმუხო, თავსისხლა, ყვითელი დუმფარა, მარწყვბალახა, ბურბუშელა, ჩადუნა.** ჩადუნას ბოლქვების მოპოვება საჭიროა აპრილ-მაისში და სექტემბერ-ოქტომბერში; ტუხტისა — სექტემბერ-ოქტომბერში; ყვითელი დუმფარასა და მარწყვბალახასი — ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში; თავსისხლასი — აგვისტო-სექტემბერში; კულმუხოსი — სექტემბერ-ოქტომბერში; ხოლო ბურბუშელასი — აგვისტო-სექტემბერში.

**— დაბოლოს, მინდა ერთი მნიშვნელოვანი რამ გკითხოთ. ახლა ზამთარია, ამ პერიოდში ყველაზე მეტად ვლინდება ადამიანებში ვიტამინების ნაკლებობა, ანუ ჰიპოვიტამინოზი. რამდენად სასარგებლოა ასეთ დროს პრეპარატის სახით ვიტამინების მიღება?**

— ეს საქმეს არ შველის, რადგანაც ფერმენტები ხშირად ორგანიზმში არ შეითვისება, რადგან ვიტამინები ხელს უშლის მიკროელემენტების შეთვისებას და ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ასეთ დროს დიეტოლოგები ხშირად გვირჩევენ: ოხრახუშს, ქინძს, სალათის ფურცლებს, ხახვისა და ნიორის საკმაოზე მეტი რაოდენობით მიღებას.

მე კი გვეტყვით შემდეგს: ოხრახუშის ფოთლები მდიდარია ვიტამინებით, განსაკუთრებით C ვიტამინით, ამ მხრივ ის ლიმონს სჯობს (100 გრ. ოხრახუში 4 დღის ნორმაა). მასში, ასევე, დიდი რაოდენობითაა კაროტინი, რომლის ნაკლებობას ყველაზე მეტად ზამთარში განიცდის ორგანიზმი, ამიტომ ის ამ სეზონზე აუცილებელი პროდუქტია.

ქინძი სასარგებლოა როგორც ფოთლების სახით, ასევე, თესლის სახით. იგი დიდი რაოდენობით სელენს შეიცავს. ეს მიკროელემენტი ეწინააღმდეგება სიმსივნის წარმოშობას, ათეროსკლეროზსა და სიბერის განვითარებას. განსაკუთრებით აუცილებელია ის მამაკაცებისათვის, რათა თავი დაიცვან პროსტატისაგან. მწვანე ქინძში ბევრია რუტინი, რაც აუცილებელი ნივთიერებაა სისხლძარღვებისთვის, თუმცა ამ ფოთლების დიდი რაოდენობით მიღება არ შეიძლება.

სალათის ფურცლებში დიდი რაოდენობით არის ტირეოქსინიანები, იგი დადებითად მოქმედებს ფარისებრ ჯირკვალზე, ამცირებს სისხლში შაქრის შემცველობას.

რაც შეეხება ხახვსა და ნიორს, ზამთარში ისინი ხშირად უნდა გამოვიყენოთ ნედლი სახით, რათა ვიტამინები არ დაიკარგოს.

ესაუბრა
**ეთერ კასრელიშვილი**



კალენდულა



აბზინდა



ცაცხვი



ქრისტესისხლა



ვირისტერფა



კრაზანა

## აღმოჩენილია ბავშვებში წონის მომატების მიზეზი

ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის მეცნიერ მკვლევართა ჯგუფმა დაადგინა ბავშვთა წონაში მომატების ნამდვილი მიზეზი, რომელიც დღეს ასე გავრცელდა ამ ქვეყნებში.



მათი აზრით, ამ დაავადების მთავარი მიზეზია, მათში მე-16 ქრომოსომის ნაწილის დაკარგვა, რომელსაც SH2B1-გენი იწვევს. მეცნიერთა აზრით, ეს გენი პასუხისმგებელია ორგანიზმში წონისა და სისხლში შაქრის ოდენობის განსაზღვრაზე.

## ფიზიკური ვარჯიში ადამიანს აახალგაზრდავებს



„ფიზიკური ვარჯიში სიბერის პროცესს ანელებს“, — ამბობენ გერმანელი მეცნიერები. მათი აზრით, ვარჯიშის დროს სიბერე ჩერდება მოლეკულურ დონეზე. კერძოდ, ცდები ჩატარებულ იქნა სპორტსმენებზე, რომელთა ორგანიზმის უჯრედულ დონეზე შესწავლამ მისცა მეცნიერებს ამ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა.

## სამი წლის ასაკის გოგონებს სიმსუქნე აშინებთ

ამერიკელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ სიმსუქნე ყველაზე მეტად აშინებთ 3-დან 6 წლამდე ასაკის გოგონებს.



მათ ეს აზრი უყალიბდებათ მულტსერიალების ყურების დროს, რაც შემდგომში მძიმედ „ჯდება“ მათ ფსიქიკაში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მულტსერიალის მთავარი გმირები ხშირად მათ ბუნებრივ ზომასა და წონაზე მეტად დიდები არიან, რაც შემდგომში ბავშვებს ამახსოვრდებათ და აშინებთ.

გვერდები მოამზადა **ეთერ კასრელიშვილმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ვის აუფეთქდა საღეჭი რეზინი?

**კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი უცნაური უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა. იგი საკუთარ სახლში აფეთქების შედეგად გარდაიცვალა.**



უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს საოლქო სამმართველოს ინფორმაციით, აფეთქება, წინასწარი ვარაუდით, 25 წლის სტუდენტის ქიმიურმა ექსპერიმენტებმა გამოიწვია. მან ჩვეულებრივი საღეჭი რეზინი ჯერ რაღაც ხსნარში ჩადო, შემდეგ კი მისი დაღეჭვა სცადა. ბიჭს საღეჭი რეზინი პირში აუფეთქდა, რის შედეგადაც საბრალო ექსპერიმენტატორი გარდაიცვალა. ხსნარის შემცველობა, რომელშიც სტუდენტმა საღეჭი რეზინი დაალბო და რომელმაც აფეთქება გამოიწვია, ამ ეტაპზე დადგენილი არაა.

# ვინ ესროლა ფოსტალიონს?

**გერმანიაში, პატარა ქალაქ გიუტერსლოში მცხოვრებმა 70 წელს მიტანებულმა პენსიონერმა ნადირობა მოინდომა, თანაც მაინცდამაინც კურდღელს დაედევნა და ტყვია კურდღლის ნაცვლად უნებლიეთ ფოსტალიონს აჯახა.**

მონადირემ ნამდვილად კურდღელს დაუმიზნა და მასვე ესროლა, მაგრამ ტყვია რიკოშეტით იქვე მდგომ მანქანას მოხვდა და მანქანაში მჯდომი 28 წლის ფოსტალიონი ლამის სიცოცხლეს გამოასალმა. ფოსტალიონი სახის არეში დაიჭრა და, ცხადია, სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს.



# რად უნდა მანქანას საქარე მინა?

**ჩინეთის საგზაო პოლიციამ ხენანის პროვინციაში დააკავა მამაკაცი, რომელმაც თავის სატვირთო მანქანას საქარე მინის ადგილას სქელი მუყაო მიაკრა და რამდენიმე ასეული კილომეტრი ასე გაიარა.**



როგორც გაირკვა, მძღოლი ავარიაში მოყვა და საქარე მინა მთლიანად დაემსხვრა, მაგრამ მძღოლმა მსგავსი შემთხვევებიდან სტანდარტულ გამოსავალს გვერდი აუარა და ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო. პოლიციამ „მუყაოსშუშიან" მანქანას მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მიაქცია ყურადღება. მანამდე მძღოლი მშვენივრად გადიოდა იოლად მინის გარეშეც, დროდადრო გვერდითა ფანჯრიდან თავს გადაყოფდა, გზის ახლომდებარე მონაკვეთს დაათვალიერებდა და შემდეგ ინტუიციით აგრძელებდა გზას. მუდმივად ფანჯარაში თავგაყოფილი მგზავრობა არ გამოუვიდა თუნდაც იმიტომ, რომ გარეთ საკმაოდ დაბალი ტემპერატურა იყო და ცივი ქარი სახეში სცემდა. დამატებითი სათვალთვალოს სახით მუყაოს საქარეს ერთი-ორი ნახვრეტი გაუკეთა და ხანდახან იქიდანაც იჭყიტებოდა.

# მშვიდობისმყოფელი ობამას ომის გაკვეთილები

**10 დეკემბერს აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ოსლოში მშვიდობის დარგში ნობელის პრემია გადასცეს. ნორვეგიის დედაქალაქში გამართულ დაჯილდოების ცერემონიაზე ნობელის დიპლომი და მედალი წლევანდელმა ლაურეატმა ნობელის კომიტეტის წარმომადგენლის — ტურბიერი იაგლანდისგან მიიღო.**



უცხოური პრესის ყურადღების ცენტრში მოექცა ლაურეატის ტრადიციული გამოსვლა. აშშ-ის მშვიდობისმყოფელი პრეზიდენტის მოხსენება ომის საოცარ გამართლებებს ეყრდნობოდა. ევროპელი კომენტატორები აღშფოთებას ვერ მალავდნენ, სამაგიეროდ, ამერიკელები იყვნენ კმაყოფილნი იმის გამო, რომ ობამამ ამხილა „ყალბი მორალური უპირატესობა", რომლის გამოც ევროპელები მსოფლიოსთვის მშვიდობის უზრუნველყოფის შავ საქმეს ყოველთვის ამერიკელებს უტოვებენ.

როგორც „The Times" წერს, აშშ-ის პრეზიდენტმა მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონია პროფესიონალურ გამოსვლად აქცია და მთელ მსოფლიოს განუმარტა, რატომ იყენებს ძალას ამერიკა.

პრეზიდენტმა თავადვე აღიარა, რომ ორი ომის მწარმოებელი ჯარის მთავარსარდლისთვის ამ პრემიის მინიჭება გარკვეულ შეუსაბამობებს შეიცავს. „ჩვენ გვესმის, რომ ომი გარდაუვალია და მაინც მშვიდობისკენ მივისწრაფით", — განაცხადა ობამამ და ამით პასუხი გასცა კრიტიკოსებს, რომლებიც ავღანეთში ამერიკული სამხედრო კონტინგენტის გაზრდის არქიტექტორისთვის მშვიდობის პრემიის მინიჭებას სევდიან ირონიად მიიჩნევენ.

მართალია, ნობელის პრემია დინამიტის გამომგონებლის მიერაა შექმნილი, მაგრამ ამ დრომდე მისი ლაურეატები სიკვდილზე მსჯელობას თავს არიდებდნენ. ობამამ კი ამერიკელ სამხედროებზე საუბრისას ეს ტაბუც დაარღვია და განაცხადა: „ზოგიერთი მოკლავს, ზოგიერთს მოკლავენ". ობამა შეეცადა, ამ გამოსვლით ესარგებლა, რათა განეხილა შეიარაღებული კონფლიქტის საფასური, გამოეკვლია „ომსა და მშვიდობას შორის დამოკიდებულება და პირველის მეორით ჩანაცვლების მცდელობები".

„Le Temps"-ის მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ობამასეული გამოსვლის თემატიკამ თვით ნობელის კომიტეტის წევრებიც შეაძრწუნა. რაოდენ ბრწყინვალეც არ უნდა ყოფილიყო დემოკრატი პრეზიდენტის სიტყვა, მან ვერ შეძლო დაჯილდოების ცერემონიაზე გამეფებული უხერხულობის განეიტრალება. მან თავად აღიარა, რომ ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილება სადაო იყო, ვინაიდან პრემია მიენიჭა პრეზიდენტს, რომელსაც ჯერჯერობით განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია.

გამოიყენა რა „სამართლიანი ომის" მცნება, ობამა ამერიკულ ინტერვენციულ ტრადიციებში ჩაეწერა, რათა გაემართლებინა ის როლი, რომელსაც აშშ უკანასკნელი 60 წლის მანძილზე ასრულებს თავის საზღვრებს მიღმა მსოფლიოში. სტატიის ავტორი თვლის, რომ ეს გზავნილი რესპუბლიკელი ოპოზიციის ნეიტრალიზებისა და დემოკრატების შესაძლო პროტესტის თავიდან აცილების მიზნით, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ში შიდა გამოყენებისთვის იყო გათვლილი.

თავად ამერიკელები აღფრთოვანებულნი არიან და თვლიან, რომ ამ გამოსვლამ მათ ქვეყანას სიამაყე დაუბრუნა, ამას კი ვერც ჯანდაცვის რეფორმასთან დაკავშირებული პოლიტიკური დებატები და ვერც კლიმატის ცვლილების თაობაზე სიტყვით გამოსვლები განაპირობებდა.

„Die Welt"-ის შეფასებით, ოსლოში ობამამ თავის პრეზიდენტობის მანძილზე პირველი მნიშვნელოვანი სიტყვა წარმოთქვა. მან დაწვრილებით ახსნა, თუ რატომ შედის მშვიდობისა და ჰუმანურობის ინტერესებში „სამართლიანი ომების" წარმოება.

მშვიდობის პრემიის ლაურეატის თქმით, არსებობს ძალის გამოყენებისა და ომების თავიდან აცილების საშუალებები, მაგრამ ამავე დროს არსებობს სხვა შესაძლებლობაც — აწარმოო ომი წესების დაცვით, მიზნად კი მშვიდობა დარჩეს. ობამამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ მიზნის შესახებ კაცობრიობამ არ უნდა დაივიწყოს.

დაჯილდოების ცერემონიაზე ობამა მეუღლესთან ერთად ჩავიდა. ცერემონიას ესწრებოდნენ ნორვეგიის მეფე ჰარალდ V, დედოფალი სოფია, კრონპრინცი ჰოკონი და მისი მეუღლე კრონპრინცესა მეტემარიტი. აშშ-ის პრეზიდენტის ჩასვლასთან დაკავშირებით ნორვეგიამ ქვეყნის ისტორიაში უპრეცენდენტო უსაფრთხოების ზომები მიიღო. ოსლოს თავზე მფრინავი ვერტმფრენები განუწყვეტლივ აკონტროლებდნენ ვითარებას, ქუჩებში ორი ათასი პოლიციელი პატრულირებდა.

# ევროპაში შარიათის დრო დგება

**ღალატში დადანაშაულებული მაროკოელი ემიგრანტი ქალი გაიტაცეს და შარიათის სასამართლოს გადასცეს. როგორც გაირკვა, ევროპაში შარიათის კანონები მოქმედებს: მუსლიმან ქალებს ქმრის ღალატისთვის ასამართლებენ და სიკვდილით სჯიან. მოქმედებს „რელიგიური პოლიცია" ჰიზბაც. ეს ესპანეთია, ქვეყანა, სადაც მთავრობას სოციალისტი საპატერო უდგას სათავეში, 800 მეჩეთი მოქმედებს, აშენებულია 14 მინარეთი, 2005 წლიდან ოთხ ოლქში ყურანს ასწავლიან და იმამებისთვის სპეციალური ინტერნეტ-კურსებია შექმნილი.**



მაროკოელი 30 წლის ბოშრა ესპანეთში არალეგალურად ჩავიდა, შემდეგ კი დაორსულდა და ამისათვის სიკვდილიც მიესაჯა. დის ქმართან კავშირში დადანაშაულებული ბოშრუ 14 მარტს გაიტაცეს. როგორც მან სასწაულებრივად გადარჩენის შემდეგ თქვა, ქმარი ბავშვის გაჩენას უკრძალავდა და ემუქრებოდა, რის გამოც სასამართლოში უჩივლა. სწორედ ამის შემდეგ გაიტაცეს ერთ-ერთი სუპერმარკეტიდან. ქალი რომელიღაც სოფელში მიიყვანეს და სასამართლოც იქ შედგა. რამდენიმესაათიანი განხილვის შემდეგ მასაც და მის მომავალ ბავშვსაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

მეორე დღეს ბოშრა ცოლქმარს გადააბარეს. ქმარი თავის ცოლს ეუბნებოდა, რომ სწორედ მას დაევალა სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანა, ცოლი კი პასუხად დაემუქრა, რომ ამის გამო მიატოვებდა. ცოლ-ქმარი ჩხუბში გაერთო და ტყვემაც ამ მომენტით ისარგებლა — გაქცევა მოახერხა. რამდენიმეთვიანი გამოძიების შემდეგ გამტაცებელთა ჯგუფის წევრი ოცივე თალიბის ვინაობა დადგინდა, მაგრამ ადამიანის გატაცებისათვის მხოლოდ შვიდი დააკავეს. ბოშრას ოქტომბერში ვაჟი შეეძინა, მაგრამ არავინ იცის, სადაა და ამჟამად მას ეძებს პოლიცია, რათა თავისივე გამტაცებლები ამოიცნოს.

სამწუხაროდ, ეს შემთხვევა გამონაკლისი არაა. როგორც სპეციალისტები ირწმუნებიან, ექსტრემისტები ძალას აქამდეც იყენებდნენ თავიანთი რელიგიური იდეების გასავრცელებლად და ხანდახან სცემდნენ გოგონებს ხიჯაბის გარეშე სიარულისთვის, მაგრამ ახლა თალიბებმა წესები გაამკაცრეს, მოთხოვნათა ზღვარი გადასწიეს და ევროპაში შარიათის კანონების საფუძვლიან ამოქმედებას შეუდგნენ.

გერმანიის მოსახლეობის სამი მეოთხედი შეშფოთებულია ქვეყანაში ისლამის გავრცელების გამო. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მათ შორის 36% უკიდურესად განიცდის აღნიშნულ საკითხს. გერმანელთა მხოლოდ 22% მიიჩნევს, რომ ისლამი რაიმე საფრთხეს არ წარმოადგენს. ბერლინში ჩატარებული კიდევ ერთი კვლევის შედეგების მიხედვით, ქალაქის მოსახლეობის 53% მეჩეთებისა და მინარეთების მშენებლობის სრული აკრძალვის მომხრეა. აკრძალვის მოწინააღმდეგეთაგან მნიშვნელოვან ნაწილს თავად ბერლინელი მუსლიმანები შეადგენენ. დედაქალაქის ხელისუფლება შეშფოთებულია ისლამური ექსტრემიზმის მატებით. ბერლინის ნოიკელნის რაიონის ბურგომისტრის, სოციალ-დემოკრატი ჰაინც ბუშკოვსკის განცხადებით, გამორიცხული არაა მის რაიონში მოქმედი 20 მეჩეთიდან ზოგიერთში ისლამელ ტერორისტებს ზრდიდნენ. „ვიცით, რომ ზოგიერთ მეჩეთში ბავშვებს ტვინს უბურღავენ, მაგრამ ვერ ვიგებთ, ამით რწმენას უმტკიცებენ თუ ისლამელ ბოევიკებად ზრდიან", — განაცხადა მან.

შეგახსენებთ, რომ წელს, ოქტომბერში, ბერლინის პოლიციამ ექსტრემისტული ისლამური დაჯგუფების სამი წევრი დააკავა. ბერლინის კონსტიტუციის დაცვის უწყების (სპეცსამსახური, რომელიც სხვადასხვა ექსტრემისტული დაჯგუფების წევრებს უთვალთვალებს) მონაცემებით, ამჟამად ბერლინში ძალადობრივი ქმედებებისთვის მზადმყოფი 430 ისლამისტი ცხოვრობს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# კრიზისი ევროზონას ავიწროებს

**„დაუშვებელი“ ეკონომიკური სიტუაციის გამო საბერძნეთი და ირლანდია 2010 წელს შესაძლოა ევროს ზონის მიღმა აღმოჩნდნენ. ამგვარი პროგნოზი გაავრცელა უმსხვილესმა სამხრეთაფრიკულმა ბანკმა „Standard Bank“, რომლის კაპიტალიზაცია 9 მილიარდ დოლარს აჭარბებს, აქტივების მოცულობა კი — 150 მილიარდს. მსოფლიოს 38 ქვეყანაში ბანკს ათასზე მეტი განყოფილება აქვს.**



ბანკის სავალუტო სტრატეგიის დირექტორმა სტივ ბაროუმ თავის წერილში მიუთითა, რომ „Standard“ ეჭვქვეშ აყენებს ამ ორი ქვეყნის შესაძლებლობას, თავი დააღწიონ მიმდინარე ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს. „სავსებით შესაძლებელია, მათ ევროკავშირმა დახმარება აღმოუჩინოს საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი შემცირებითა და ფისკალური მხარდაჭერის ყველა ლიმიტის გადაჭარბებით. შესაძლოა, მათ 2010 წლის დასრულებამდე ევროპის სავალუტო შეთანხმებიდან გასვლა მოუხდეთ“, — ხაზი გაუსვა ბაროუმ.

8 დეკემბერს სააგენტო „Fitch“-მა მიიღო გადაწყვეტილება, საბერძნეთის გრძელვადიანი რეიტინგი ერთი საფეხურით დაბლა დაეწია და „A-“-დან „BBB+“-ზე დაეყვანა, თანაც „ნეგატიური პროგნოზებით“. თავის მხრივ, „Standard & Poor's“-მა საბერძნეთის „A-“ რეიტინგი „ნეგატიური“ პროგნოზებით განსახილველად გადადო და ქვეყანას მდგომარეობის გამოსასწორებლად 60-დღიანი ვადა მისცა.

რეიტინგების ვარდნის მიზეზი სახელმწიფოს საგარეო ვალის მნიშვნელოვანი ზრდა გახდა. ამასთანავე, შვედეთის ფინანსთა მინისტრმა, რომელიც ამჟამად ევროკავშირს თავმჯდომარეობს, ევროკავშირის მხრიდან ბერძნებისათვის დახმარების პერსპექტივას „ნაკლებსავარაუდო“ უწოდა.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ქვეყნის პრემიერ გეორგე პაპანდრეუს განცხადებით, საბერძნეთი საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რომელმაც კრიზისის პირობებში უკვე გამოუყო კრედიტი ევროპის მთელ რიგ ქვეყნებს — ისლანდიას, უკრაინას, ლატვიას, ბელორუსსა და უნგრეთს, კრედიტს არ სთხოვს და თავისი ურიცხვი ვალის მიუხედავად, არც დეფოლტს გამოაცხადებს. საბერძნეთის საგარეო ვალი ამჟამად 300 მილიარდ ევროს აჭარბებს, მთლიანი დავალიანება კი საერთო შიდა პროდუქტის 113%-ს უტოლდება. წლევანდელი ბიუჯეტის დეფიციტმა საერთო შიდა პროდუქტის 12,7% შეადგინა.

ექსპერტების ნაწილი თვლის, რომ საბერძნეთს მხოლოდ სასწაული თუ იხსნის. მას 1948 წელს გერმანიის მიერ გამოცხადებული დეფოლტის შემდეგ ევროკავშირის მსხვილი სახელმწიფოებიდან პირველს აქვს გაკოტრების რეალური პერსპექტივა. მეორე მხრივ, ექსპერტები გამოსავალს საგადასახადო-საბიუჯეტო სფეროში რადიკალურ ცვლილებებში ხედავენ. ამ ცვლილებებში გადასახადების გაზრდა და დანახარჯების ხანგრძლივი დროით შემცირება იგულისხმება. ამ ეტაპზე საბერძნეთი საინვესტიციო დონეზე რჩება, მაგრამ ევროზონაში ყველაზე დაბალი საკრედიტო რეიტინგი აქვს. მიუხედავად ამისა, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა განაცხადა, რომ ევროზონის ქვეყნების დეფოლტს არ დაუშვებს. საერთაშორისო ექსპერტებს ამ დაპირების ან საერთოდ არ სჯერათ, ან თვლიან, რომ დაპირებული დახმარება საბერძნეთს ძალზე ძვირად დაუჯდება.

უმძიმეს პერიოდს განიცდის ირლანდიაც და ცხადია, მისი ამჟამინდელი მდგომარეობაც მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგია. 2009 წელს მისი საერთო შიდა პროდუქტი 7,5%-ით უნდა შემცირდეს და ეს ევროზონის ქვეყნებს შორის ყველაზე ცუდი მაჩვენებელი იქნება. ირლანდიური ბანკები კრახისაგან მხოლოდ ნაციონალიზაციამ იხსნა.

რაც შეეხება თავად ევროკავშირს, მან საერთაშორისო სავალუტო ფონდს სთხოვა, შეისწავლოს საერთაშორისო ფინანსურ ტრანზაქციებზე მთელ მსოფლიოში გადასახადის დაწესების შესაძლებლობა. ევროკავშირის ქვეყნები აცხადებენ, რომ ფინანსურმა ინსტიტუტებმა საზოგადოებასთან „სოციალური კონტრაქტები“ უნდა გააფორმოს და რისკებისაგან მისი დაცვა უზრუნველყოს. საუბარია დამატებით სადაზღვევო გადასახადებსა და სარეზერვო ფონდებზეც.

სექტემბერში ანალოგიურ წინადადებას გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი აყენებდა, მაგრამ მაშინ მას მხარდამჭერები არ გამოუჩნდნენ. იდეა მოიწონეს ბრიტანეთის პრემიერმა გორდონ ბრაუნმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ.

ზემოხსენებულ გადასახადს ნობელის პრემიის ლაურეატის — ჯეიმს ტობინის საპატივცემულოდ „ტობინის გადასახადს“ უწოდებენ. მან თავის დროზე ეს მოსაკრებელი განვითარებადი ქვეყნების დახმარების მიზნით შესთავაზა მსოფლიოს. მართალია, გადასახადის დაწესებას ევროპის ქვეყნები ემხრობიან, მაგრამ თავად საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და აშშ-ს ამ საკითხთან დაკავშირებით ენთუზიაზმი არ გამოუხატავთ.

# როგორ გავაჩეროთ მანქანა?



**ბრიტანელები შეშფოთებულნი არიან — ხშირად მძღოლები ავტოსადგომზე მანქანას იმის გამო ვერ აჩერებენ, რომ უჭირთ, თვალით განსაზღვრონ, ჩაეტევა თუ არა მათი მანქანა უკვე გაჩერებულებს შორის დარჩენილ ადგილას.**

ამის შემდეგ ასეთ „საეჭვო“ ადგილებს ბრიტანელი მძღოლები ცივად აღარ აუვლიან გვერდს. საკმარისია, მძღოლი გადმოვიდეს მანქანიდან, გაზომოს მანძილი თავისი მანქანის უკანა ბორბლის ცენტრიდან წინა ბორბლის ცენტრამდე, შემდეგ გაზომოს მანძილი წინა ბორბლის ცენტრიდან უკიდურეს წინა წერტილამდე, შემდეგ — გვერდით გაჩერებული მანქანების სიგანეები და იმ ტერიტორიის რადიუსი, რომელიც მის მანქანას მობრუნებისთვის სჭირდება. როგორც კი ამ მარტივ აზომვებს ჩაატარებენ, აიღებენ მათემატიკოს საიმონ ბლეკბერნის მიერ შედგენილ ფორმულას, ჩაწერენ მასში აზომვების შედეგად მიღებულ ციფრებს და უმარტივესი გამოთვლის შემდეგ ეცოდინებათ ზუსტი პასუხი, ჩაეტევა თუ არა მათი მანქანა, ავტოსადგომზე დარჩენილ თავისუფალ ადგილას.

# ვინ მოუშლის ნერვებს მეზობლებს?

**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციურმა სასამართლომ კანონიერად მიიჩნია მუსიკოსთა უფლება, ივარჯიშონ სახლში, როცა უნდათ და რამდენიც უნდათ, კვირისა და დასვენების დღეების ჩათვლით. მეზობლებს უფლება არ აქვთ, ეს სიჩუმის დაცვის კანონისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის პრეცენდენტად ჩათვალონ.**



აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებისათვის მიზეზად იქცა 16 წლის გოგონა, რომელიც 2008 წლის თებერვლის ერთ მშვენიერ კვირა დღეს ინსტრუმენტს მიუჯდა და კონკურსისათვის მზადება დაიწყო. ამან უზომოდ აღაშფოთა მისი მეზობელი, რომელიც მზად იყო, კვირის დანარჩენ ექვს დღეს მრავალსულიანი მუსიკალური ოჯახის მეცადინეობები ეთმინა. რაიონულმა ხელისუფლებამ გოგონას 75 ევრო დააკისრა ჯარიმის სახით, შემდეგ კი ეს თანხა 50 ევრომდე შეუმცირა.

# ავღანეთს უმძიმესი თვეები უწინასწარმეტყველეს

**ბოევიკთა ორი თავდასხმის შედეგად ავღანეთში სულ მცირე 16 პოლიციელია მკვდარი. რვა ბაგლანის პროვინციაში საგუშაგოზე თავდასხმას ემსხვერპლა, ამდენივეც გილმენდის სამხრეთ პროვინციაში დაიღუპა.**



ბაგლანის ინციდენტი ორშაბათს დილაადრიან მოხდა. ბოევიკებმა პოლიციელებს ქაბულისკენ მიმავალ ერთ-ერთ მთავარ გზატკეცილზე შეუტიეს. შეტაკებას ორი ბოევიკი ემსხვერპლა. ისინი ავღანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის — გულბედინ ხეკმატიარის ისლამისტური პარტია „ხეზბ ისლამის“ წევრები იყვნენ. პარალელურად განხორციელდა თავდასხმა გილმენდის დედაქალაქ ლაშკარ-გას პოლიციის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე. ავღანეთში პოლიციელები განსაკუთრებით ხშირად არიან ბოევიკთა თავდასხმის ობიექტები და საერთაშორისო კოალიციის ჯარებზე მეტი მსხვერპლიც მათ შორისაა. მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ქვეყანაში ათასი პოლიციელი მაინც მოკლეს. პარალელურად ავღანეთის პრეზიდენტ ჰამიდ კარზაისთან შესახვედრად ქაბულში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალების მეთაურთა კომიტეტის ხელმძღვანელი მაიკლ მალენი ჩავიდა. მანამდე ავღანეთს სტუმრობდა აშშ-ის თავდაცვის მინისტრი რობერტ გეიტსი, რომელიც კოალიციის სარდლებსა და ავღანეთის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებს შეხვდა.

ვიზიტები წინ უძღვის ბარაკ ობამას ახალი სტრატეგიის თანახმად ქვეყანაში გასაგზავნი დამატებითი 30 ათასი ჯარისკაცის 16-ათასიანი პირველი ნაკადის ჩასვლას. უახლოეს დღეებში ავღანეთში 1,5 ათასი საზღვაო ქვეითი ჩავა.

გარდა ზემოხსენებული ვიზიტებისა, ორიოდე დღის წინათ ავღანეთს ეწვია ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი გორდონ ბრაუნიც. ვიზიტის მიზანი შობის წინ ბრიტანელი სამხედროებისათვის თანადგომისა და მხარდაჭერის დადასტურება იყო. ბრაუნმა ბრიტანული კონტიგენტის შეიარაღება დაათვალიერა და მოლაპარაკებები გამართა პრეზიდენტ კარზაისთან, რომელსაც განუცხადა, რომ უახლოესი რამდენიმე თვე კრიტიკული იქნება და „თალიბანის“ წინააღმდეგ ხელისუფლების ძალისხმევის გაძლიერებისაკენ მოუწოდა. მანამდე, 11 დეკემბერს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი კარლ-თეოდორ ცუ გუტენბერგი მოულოდნელად ავღანეთის სამხედრო ბაზაზე ჩავიდა. მინისტრს თან ახლდნენ გერმანიის წამყვანი პოლიტიკური პარტიების სამხედრო ექსპერტები. ცუ გუტენბერგმა გადაწყვიტა, ადგილზე გაცნობოდა საქმის ვითარებას, გასაუბრებოდა ოფიცრებსა და ჯარისკაცებს და აეხსნა მათთვის, თუ რატომ მიიჩნევს თალიბების მიერ გატაცებულ ორ ბენზინმზიდზე ავიადარტყმებს სამხედრო შეცდომად.

გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე მინისტრმა განაცხადა, რომ „სამხედრო მეთოდებით ავღანეთის სტაბილიზაციის განხორციელება შეუძლებელია“ და დასავლეთმა ავღანეთში სამოქალაქო ინსტიტუტების განვითარებაზე უნდა მოახდინოს კონცენტრირება. ამასთანავე, მან ხაზი გაუსვა, რომ სამოქალაქო ინსტიტუტების დაცვისა და თავად ავღანური უშიშროების ძალების სწავლება-მომზადებისთვის აუცილებელია ქვეყანაში ნატოს სამხედრო მოსამსახურეთა ყოფნაც. მინისტრის აზრით, ნაადრევი გადაწყვეტილებების დრო არ არის და კოალიციური ჯარები ქვეყნიდან „გონივრულად“ უნდა გავიდნენ.

მეორეს მხრივ, გუტენბერგმა გარკვევით არ გასცა პასუხი კითხვას, გაგზავნის თუ არა გერმანია ავღანეთში დამატებით 4000 სამხედროს. ამას დაჟინებით ითხოვს აშშ, რომელიც, თავის მხრივ, ახალი ავღანური სტრატეგიის ფარგლებში საკუთარ კონტიგენტს 30 000 ადამიანით ზრდის. თავდაცვის მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქვეყნის მთავრობა ბენზინმზიდებზე დარტყმის შედეგად დაღუპული სამოქალაქო პირების ოჯახებს კომპენსაციას გადაუხდის. შეგახსენებთ, საუბარია თალიბების მიერ გატაცებული ორი ბენზინმზიდისათვის ცეცხლის გახსნაზე, რისთვისაც ბრძანება გერმანელმა პოლკოვნიკმა გეორგ კლიაინმა გასცა. დარტყმის მომენტში მანქანების ირგვლივ ბოევიკების გარდა იმყოფებოდა მრავალი სამოქალაქო პირი, რომელთაგან რამდენიმე ათეული ადამიანი დაიღუპა. როგორც ადრე გახდა ცნობილი, კომპენსაციამ შესაძლოა 3 მილიონი ევრო შეადგინოს.

# ვინ დაუნიშნა დიეტა ზღარბს?

**ბრიტანეთის ბუკინგემშირის საგრაფოს გარეული ცხოველების ვეტერინარულ კლინიკაში სამკურნალოდ მიიყვანეს დაცხიმოვნებით დაავადებული ალბინოსი ზღარბი ფიფქია, რომლის სხეულის მასა ნორმას 3-ჯერ აღემატება და 1,5 კილოგრამს შეადგენს.**

ზედმეტი წონა ზღარბის ჯანმრთელობისათვის დასაშვებ ზღვარს გადასცდა და მას ველურ ბუნებაში ცხოვრებისათვის სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა. ახლა მას კატებისათვის განკუთვნილი დაბალკალორიული საკვებით მკურნალობენ, გარდა ამისა, აიძულებენ, ირბინოს და იცუროს, რათა ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდეს არა მხოლოდ მისი წონა, არამედ გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობაც. ზღარბის გასუქება გამოიწვია ძაღლის საკვებმა, რომელსაც მას ადგილობრივი მცხოვრებნი აჭმევდნენ. ზღარბებს კი ჭამის დროს შეჩერება არ შეუძლიათ და იმდენს ჭამენ, რამდენსაც შეძლებენ. ორთვიანი დიეტის შედეგად ფიფქიამ მხოლოდ 38 გრამი დაიკლო, ამიტომ ზაფხულამდე კლინიკაში მოუწევს დარჩენა. ბრიტანეთში ალბინოსი ზღარბები 10 ათასი შემთხვევიდან ერთხელ იბადებიან.



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ქრონოგრაფი

## რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 16-დან 22 დეკემბრამდე?

### 16 დეკემბერი

**დღის ციტატა:**
**ცხოვრება ადამიანს ძალიან ბევრ დროს ართმევს.**
**სტანისლავ ეჟი ლეცი**

**1585 წელს** დაიბადა ინგლისის მეფის ჰენრი VIII პირველი ცოლი ეკატერინე არაგონელი.
**1635 წელს** ინგლისის რესპუბლიკის კონსტიტუცია მიიღეს. ოლივერ კრომველი ლორდი-პროტექტორი გახდა.
**1776 წელს** დაიბადა გერმანელი მეცნიერი, ულტრაიისფერი სხივების აღმომჩენი იოჰან რიტერი.
**1809 წელს** ნაპოლეონი ჟოზეფინას გაეყარა.
**1845 წელს** ნიუ იორკში უძლიერესი ხანძარი მოხდა.
**1920 წელს** მიწისძვრის შედეგად ცენტრალურ ჩინეთში 180 ათასამდე კაცი დაიღუპა.
**1937 წელს** დახვრიტეს ქართველი პოეტი ტიციან ტაბიძე.
**1971 წელს** გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ინდოეთის ოკეანე მშვიდობის ზონად გამოაცხადა.
**1985 წელს** ნიუ იორკის რესტორანში ამერიკული მაფიის ბოსი პოლ კასტელანო მოკლეს.

### 17 დეკემბერი

**დღის ციტატა:**
**ჩვენ გვეუბნებიან, რომ ომი მკვლელობაა. არა, ეს თვითმკვლელობაა!**
**რამსეი მაკდონალდი**

**1777 წელს** საფრანგეთმა პირველმა აღიარა აშშ დამოუკიდებლობა.
**1778 წელს** დაიბადა ინგლისელი ქიმიკოსი, საშახტე ლამფების გამომგონებელი ჰამფრი დევი.
**1790 წელს** მექსიკაში აცტეკების კალენდარი იპოვეს.
**1862 წელს** ამერიკელმა გენერალმა უ. გრანდმა ტენესის შტატიდან ებრაელთა განდევნის ბრძანება გასცა.
**1897 წელს** ხარკოვში პირველი ორთქმავალი აიგო.
**1944 წელს** იუტას შტატში შეიქმნა საიდუმლო ამერიკული საავიაციო რაზმი, რომელმაც იაპონიაში ატომური ბომბების ჩამოსაგდებად მზადება დაიწყო.
**1995 წელს** ჩეჩნეთის პრეზიდენტად დოკუ ზავგაევი აირჩიეს.
**1996 წელს** ლიმაში (პერუ) ტერორისტებმა ხელში ჩაიგდეს იაპონიის საელჩოს შენობა და მძევლად აიყვანეს 500-ზე მეტი კაცი (მსოფლიო ისტორიაში მძევალთა ყველაზე მასობრივი აყვანის ფაქტი).

### 18 დეკემბერი

**დღის ციტატა:**
**დღის ციტატა: უფრო იოლია, ერთი პატარა სანთელი აანთო, ვიდრე წყვდიადს წყევლიდე!**
**კონფუცი**

**1689 წელს** დაიბადა ფრანგი განმანათლებელი, სამართალმცოდნე, ფილოსოფოსი შარლ მონტესკიე.
**1813 წელს** ინგლისურმა ჯარებმა ამერიკის ფორტი ნიაგარა დაიკავეს.
**1839 წელს** დაიბადა ფრანგი ფსიქოლოგი, პირველი ფრანგული ფსიქოლოგიური ლაბორატორიის დირექტორი თეოდულ რიბო.
**1863 წელს** დაიბადა ავსტრიის ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი, რომლის მკვლელობის გამოც პირველი მსოფლიო ომი დაიწყო.
**1890 წელს** ლონდონში პირველი ელექტრიფიცირებული მეტროს ხაზი გაიხსნა.
**1917 წელს** გაზეთში „დელო ნაროდა“ გამოქვეყნდა რუსეთის გაქცეული დროებითი მთავრობის ხელმძღვანელის — ა. კერენსკის მოწოდება, დაუყოვნებლივ დაემხოთ ბოლშევიკების ხელისუფლება.
**1940 წელს** ჰიტლერმა „ბარბაროსას“ გეგმა დაამტკიცა.
**1953 წელს** დაიწყო სსრკ-ს უზენაესი სასამართლოს სპეციალური სხდომა ენ-კა-ვე-დეს ყოფილი ხელმძღვანელების, მათ შორის, ლ. ბერიას საქმესთან დაკავშირებით.

### 19 დეკემბერი

**დღის ციტატა:**
**შეცდომა მხოლოდ ისაა, რისი გამოსწორებაც არ შეიძლება.**
**კონფუცი**

**1562 წელს** საფრანგეთში კათოლიკებსა და ჰუგენოტებს შორის რელიგიური ომი დაიწყო.
**1788 წელს** დაიბადა რუსი გენერალი, დეკაბრისტი, თავადი სერგეი ვოლკონსკი.
**1852 წელს** დაიბადა ამერიკელი ფიზიკოსი, სინათლის სიჩქარის გამომთვლელი, პირველი ამერიკელი ნობელის პრემიის ლაურეატი ალბერტ მაიკელსონი.
**1863 წელს** ინგლისელმა ფრედერიკ უოლტონმა ლინოლეუმი დააპატენტა.
**1890 წელს** პეტერბურგში გაიმართა პრემიერა პ. ჩაიკოვსკის ოპერისა — „პიკის ქალი.“
**1915 წელს** დაიბადა ფრანგი მომღერალი და მსახიობი ედიტ პიაფი.
**1941 წელს** ჰიტლერი ვერმახტის მთავარსარდალი გახდა.

# სამყაროს ახალი მოდელი

**მეცნიერებმა სამყაროს მოწყობის შესახებ ახალი თეორია წამოაყენეს, რომლის თანახმადაც კვანტური მომავალი აწმყოს მეშვეობით წარსულს „აკრისტალებს.“**



ახალი თეორია ვარაუდობს, რომ სამყარო სივრცისა და დროის ოთხგანზომილებიანი მოდელია, რომელსაც გარკვეული საზღვრები გააჩნია. მართალია, სამყაროს მოწყობის ახალი ვერსია ფარდობითობის ზოგად თეორიაში აღწერილს ეფუძნება, მაგრამ სხვა თავისებურებანი აქვს. მაგალითად, ვარაუდობს კანონიკური სივრცული კვეთის არსებობას, რომელიც მიმდინარე ინტერვალს აღნიშნავს. ეს ნიშნავს, რომ მოდელში დროის გამოყოფილი მომენტი არ არსებობს.

დრო აღინიშნება სამყაროს განსაზღვრული მონაკვეთით, რომელზეც მისი კანონები მოქმედებს. ეს მონაკვეთი კვანტური ბუნების იქნება იმ შემთხვევაში, თუ ის მომავალს უკავშირდება. მეცნიერები იუწყებიან, რომ მომავალთან დაკავშირებულ სამყაროს მონაკვეთებს კვანტური თავისებურებები ახასიათებს. მაგალითად, მომავლის მოვლენებს შესაძლოა ერთდროულად რამდენიმე დასასრული ჰქონდეს, თუმცა თითოეული მათგანის ალბათობა სხვებისგან განსხვავდება.

აი, წარსული კი საყოველთაოდ აღიარებულ ფიზიკურ კანონებს ემორჩილება, რომლებშიც მკაფიოდაა განსაზღვრული ყველა ფიზიკური სიდიდე. აქედან გამომდინარე, ახალი იდეის ავტორები დროს განიხილავენ როგორც დროისა და სივრცის ოთხგანზომილებიან მონკვეთზე გარკვეული კანონების ევოლუციის პროცესს. აწმყო განისაზღვრება როგორც მომენტი, რომელშიც კვანტური კანონები კლასიკურით იცვლება.

პრაქტიკაში ეს იდეა ჯერჯერობით არ გამოიყენება, მეცნიერები კვლავაც კვლევა-ძიების პროცესში არიან.

# გენიოსი მოზარდები

**ვუნდერკინდები საზოგადოებისთვის ერთობ ფასეულნი არიან, რადგან ისინი, მოწიფული ადამიანების უმრავლესობისგან განსხვავებით, არასტანდარტულად აზროვნებენ და შეუძლიათ, შექმნან და ჩამოაყალიბონ რაღაც, რაც ჩვეულებრივი გონებისთვის მიუწვდომელია.**

ასეთი ვუნდერკინდია 10 წლის ანდრეი ხლოპინი, რომელმაც ღამით მანათობელი ე. წ. „ვერცხლისფერი ღრუბლების“ წარმოშობის საიდუმლო ამოხსნა. არადა, ეს ფენომენი მეცნიერთათვის ამოცანას წარმოადგენდა 150 წლის განმავლობაში, ბიჭუნა კი მიხვდა, რომ დიდ სიმაღლეზე ტენი ყინულოვან კრისტალებად გარდაიქმნება და სინათლესაც აირეკლავს.



ამ სამეცნიერო ჰიპოთეზის წამოყენებისთვის ბიჭი გინესის რეკორდების წიგნში შეიყვანეს. ისტორიაში შევიდა 16 წლის ანდრეი ხოდურსკიც. მოზარდმა შეიმუშავა საავტომობილო გზების განათების უნიკალური სისტემა, რომლითაც ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია დაინტერესდა. ხოდურსკიმ გააკეთა ის, რაზეც ამერიკელები თავს იმტვრევდნენ 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

მის მიერ შექმნილი დამატებითი ფარები ღამეული გზის განათებას აძლიერებს, არ აბრმავებს შემხვედრი ტრანსპორტის მძღოლს, მონტაჟდება ნებისმიერ მანქანაზე და იაფიცაა.



ლევ ლანდაუ და ნილს ბორი



მოცარტი

ისტორია ბევრ გენიოს ბავშვსა და მოზარდს იცნობს: მოცარტი უკვე სამი წლის ასაკში გამოდიოდა კონცერტებზე; პაბლო პიკასომ ამეტყველებამდე დაიწყო ხატვა, თუმცა 10 წლისა ვერ ასრულებდა მარტივ მათემატიკურ მოქმედებებსაც კი, ხოლო კითხვასა და მართლწერაში გვარიანად მოიკოჭლებდა. თუმცა, 1897 წელს, როცა მისი პირველი გამოფენა გაიმართა, პიკასო სულ 16 წლის იყო; ლევ ლანდაუმ სკოლა 13 წლისამ დაამთავრა, 19 წლისას კი უკვე 4 სამეცნიერო ნაშრომი ჰქონდა გამოქვეყნებული, ხოლო 26 წლისა ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი იყო...

# ყველაზე გავრცელებული მითები

**ამერიკულმა ჟურნალმა „ცოცხალი მეცნიერება“ გამოაქვეყნა მეცნიერთა თვალსაზრისი ყველაზე გავრცელებული მითების შესახებ.**

**მითი №1**
**კოსმოსში გრავიტაცია არ არის**

ძალიან უცნაური მითია, რომელიც მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანებს შეიძლებოდა გაევრცელებინათ. თუ კოსმოსში გრავიტაცია არ არის, რატომ არ მიფრინავს დედამიწა მზისგან, ხოლო მთვარე — დედამიწისგან? ცნობილი ფორმულის მიხედვით, მიზიდულობის ძალა ნამდვილად მცირდება მანძილზე, მაგრამ არასდროს ქრება.



**მითი №2**
**ჩვენი ტვინის მხოლოდ 5 პროცენტი მუშაობს**

ოდესღაც ვიღაცამ მოიფიქრა და დაწერა, რომ ადამიანები ტვინის 5 თუ 10 პროცენტს იყენებენ. ჯერ ერთი, გაუგებარია, რა იგულისხმება ამ 5-10 პროცენტში — მასა? მოცულობა? ამ შეხედულების არამართებულობას ისიც მოწმობს, რომ გასული საუკუნეების მანძილზე ექიმების მიერ აღწერილია ტვინის კატასტროფული დაზიანების შემთხვევები, როცა ჩვენი „სააზროვნო ორგანო“ მაინც სავსებით ნორმალურად ფუნქციონირებდა. მეორეც, ეს მითი უგულებელყვეს ექსპერიმენტულადაც მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის მეთოდით. სურათები მოწმობს, რომ ამოცანის ამოხსნისას ტვინის თითქმის ყველა ნაწილი მუშაობს.

**მითი №3**
**სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ**

სიკვდილის შემდეგ ფრჩხილებისა და თმის ზრდის შესახებ გავრცელებული მოსაზრება მცდარია. ყველაფერი ძალზე მარტივად აიხსნება: ნემსი იფიტება და პატარავდება, რის გამოც ფრჩხილები და თმა უფრო გრძელი ჩანს.



მენდელეევი

**მითი №4**
**მენდელეევს ტაბულა დაესიზმრა**

ნიუტონის ვაშლისა და არქიმედეს აბაზანის სიკეთისა არ იყოს, ესეც მითია. არსებობს ელემენტთა ტაბულის რამდენიმე ხელნაწერი ვარიანტი, რომელსაც სხვადასხვა წელს დიდი ქიმიკოსი აკეთებდა. დიმიტრი მენდელეევმა თავისი ტაბულა ერთ ღამეში კი არა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შექმნა, ისე, რომ ხშირად უკვე მზა ვარიანტებსაც უგულებელყოფდა. თანაც დიდი ქიმიკოსი სიზმრებს ვერ იმახსოვრებდა...

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რას უმზადებს კაცობრიობას ადრონთა დიდი კოლაიდერი

**ბოლო ერთი თვის განმავლობაში 5 უკრაინელი მეცნიერი, უცხოელ კოლეგებთან ერთად, ადრონთა დიდი კოლაიდერის ხელახლა ამუშავებისთვის ირჯებოდა. მაინც რას წარმოადგენს ეს ყბადაღებული ამაჩქარებელი, რისთვის შეიქმნა და რას მოუტანს კაცობრიობას?**



ადრონთა დიდი კოლაიდერი დამუხტული ნაწილაკების ამაჩქარებელია და გათვალისწინებულია პროტონებისა და მძიმე იონების განბნევისა და მათი შეჯახების პროდუქტების შესასწავლად. კოლაიდერი შვეიცარიისა და საფრანგეთის საზღვარზე, ჟენევის მახლობლად, ბირთვული გამოკვლევების ევროპული საბჭოს სამეცნიერო-კვლევით ცენტრში (ცერნი) შეიქმნა. ის მსოფლიოში უდიდესი ექსპერიმენტული მოწყობილობაა — ამაჩქარებლის ძირითადი ფერსო 26.659 მ-ს შეადგენს.

„ადრონთა“ მას იმიტომ ჰქვია, რომ ადრონების ანუ $e/3$-ის ჯერადი ელექტრული მუხტის მქონე ფუნდამენტური ნაწილაკების (კვარკების) ამაჩქარებელია; ხოლო კოლაიდერი (ინგლ. შეჯახება) — იმიტომ, რომ ნაწილაკთა კონები საწინააღმდეგო მიმართულებებით მოძრაობისას აჩქარდება და გარკვეულ წერტილებში შეეჯახება.

100 მ-ის სიღრმეში მდებარე 27 კმ-ის დიამეტრის ფერსოში დამუხტული ნაწილაკები თითქმის სინათლის სიჩქარის სისწრაფით იმოძრავებენ. მეცნიერები კოლაიდერის მეშვეობით იმ დიდი აფეთქების მოდელის აღდგენას იმედოვნებენ, რომლის წყალობითაც ჩვენი სამყარო შეიქმნა (ეს მხოლოდ თეორიაა). პროტონები ერთმანეთს აქამდე არნახული ენერგიით — 14 ტერაელექტრონვოლტით შეეჯახებიან, რაც მილიონჯერ მეტია, ვიდრე ერთჯერადი თერმობირთვული სინთეზისას. შეჯახებისას ისინი მილიონობით ნამსხვრევს წარმოქმნიან, რასაც მეცნიერები გამოიკვლევენ. მათი მეშვეობით მეცნიერები იმის დადგენას შეეცდებიან, თუ საიდან წარმოიქმნა მატერია და დრო. ადრონთა დიდ კოლაიდერში ფიზიკოსები ჰიგსის ბოზონის, ანუ „ღმერთის ნაწილაკის“ აღმოჩენასაც შეეცდებიან, რომლის არსებობის თეორიულ დასაბუთებაზეა დამყარებული სამყაროს წარმოშობის თანამედროვე თეორიები. თუ „ღმერთის ნაწილაკს“ ვერ მიაგნებენ, ფიზიკოსთა მიერ რუდუნებით გამოყვანილი კანონები მარტოდენ მცდარი ჰიპოთეზები აღმოჩნდება.

თუმცა ზოგიერთი მეცნიერი, მათ შორის, უოლტერ ვაგნერი და ლუის სანჩო, შიშობენ, რომ ასეთი ენერგიით ნაწილაკების შეჯახებისას ამაჩქარებელში შესაძლოა წარმოიქმნას დროთაშორისი ტურბულენტობა (უწესრიგობა, არეულობა), ანუ შავი ხვრელი (რომლის მასა დაიწყებს ზრდას), რომელიც ჯერ კოლაიდერსა და შვეიცარიას, შემდეგ კი მთელ ჩვენს პლანეტას შთანთქავს. შესაბამისად, დადგება სამყაროს დასასრულიც...

თუმცა პროექტში მონაწილე რუსი მეცნიერების თქმით, ამგვარი ხვრელების წარმოქმნა თითქმის დაუჯერებელია, ნებისმიერ შემთხვევაში, ისინი ასტრონომიულ შავ ხვრელებში არ უნდა აგვერიოს. თავისი უმცირესი მასით ხელოვნური ხვრელები ერთ წამს თუ იარსებებს...

კოლაიდერის შექმნაზე 14 წლის განმავლობაში 40 ქვეყნის (მათ შორის, საქართველოდანაც) მეცნიერი მუშაობდა. პროექტის მონაწილეებს შემეცნებისკენ სწრაფვა უკვე 8 მლრდ დოლარი დაუჯდათ. გამოკვლევების გაქანება იმდენად დიდია, რომ შედეგების პროგნოზირება პრაქტიკულად შეუძლებელია. ფიზიკოსები მარტოდენ იმაში არიან დარწმუნებული, რომ ახალი არაფერი გამოუგონიათ, ანუ ყველაფერი, რაც ამაჩქარებელში წარმოიშვება, უკვე მილიარდობით წლებია, არსებობს...

**ცნობისათვის:** ფიზიკოს-თეორეტიკოსთა ერთი ჯგუფის აზრით, ჰიგსის ბოზონის (სხეულის მასის არსებობაზე პასუხისმგებელი ნაწილაკი) აღმოჩენა შესაძლებელია კოსმოსური გამა-გამოსხივების გამოკვლევებითაც, რაც გაცილებით ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვდა, ვიდრე ადრონული კოლაიდერის აგება.

„ჰიგსის ბოზონს“ შეუძლია წარმოიშვას შავი მატერიის ნაწილაკების ანიჰილაციისას და გამოვლინდეს სპექტრული ხაზების სახით გამა-გამოსხივების სპექტრში იმ ენერგიებზე, რომლებიც შავი მატერიის ნაწილაკების მასასა და თავად ჰიგსის ბოზონზეა დამოკიდებული“, — წერენ ცერნის თანამშრომელი მარკო ტაოსო და მისი კოლეგები არგონის ნაციონალური ლაბორატორიიდან.

მასის წარმოქმნის პრობლემა გადაუჭრელია ამჟამინდელი ფუძემდებლური თეორიის — „სტანდარტული მოდელის“ ფარგლებში. პასუხი კითხვაზე, რატომაა ზოგიერთი ნაწილაკი ძალიან მძიმე, ხოლო ზოგს საერთოდ არ გააჩნია მასა, შესაძლოა ე.წ. ჰიგსის მექანიზმმა გასცეს. ამ თეორიის თანახმად, სივრცე ჰიგსის ველითაა შევსებული, რომელთან ურთიერთქმედებისასაც ნაწილაკები მასას იძენენ. ნაწილაკები, რომლებიც მასთან მძლავრად ურთიერთმოქმედებენ, მძიმეა, სუსტად ურთიერთმოქმედი კი — მსუბუქი. ჰიგსის ველს მასთან დაკავშირებული, მინიმუმ, ერთი ნაწილაკი — ჰიგსის ბოზონი გააჩნია და სწორედ ამ ნაწილაკის აღმოჩენა წარმოადგენს დიდი ადრონული კოლაიდერის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას.

მეცნიერები კოლაიდერს სხვადასხვა თეორიის — სუპერსიმეტრიისა და ფარული განზომილებების არსებობის შესამოწმებლადაც გამოიყენებენ.

# ჩვენი გალაქტიკის ბინადრები

**„სავსებით შესაძლებელია, რომ ჩვენი გალაქტიკის რომელიმე „მიყრუებულ“ კუთხეში პრიმიტიული ფორმით სიცოცხლე არსებობდეს, — განაცხადა მსოფლიოში სახელგანთქმულმა ასტროფიზიკოსმა სთივენ ჰოუკინგმა, — თუ მხედველობაში მივიღებთ სამყაროს ზომებს, ნაკლებ სავარაუდოა, რომ დედამიწა ერთადერთი პლანეტა იყოს, სადაც ამა თუ იმ ფორმით აღმოცენდა სიცოცხლე“.**



ჰოუკინგის აზრით, კაცობრიობამ აქტიურად უნდა იწყოს კოსმოსის ათვისება თუნდაც იმისათვის, რომ შორეულ პერსპექტივაში თვითგადარჩენა უზრუნველყოს.

მისივე თქმით, პრიმიტიული სიცოცხლის ფორმა არ გულისხმობს მოაზროვნე არსებების ბინადრობას, მით უფრო, რომ არამიწიერი გონის აღმოჩენის პროექტის წარუმატებლობა (როცა უცხო ცივილიზაციათა სიგნალები ვერ აღმოაჩინეს) იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ გონიერი არსებები დედამიწიდან 100 სინათლის წელიწადის რადიუსში მდებარე პლანეტებზე არ არსებობენ.

„შესაძლებლობა იმისა, რომ შესაფერის პლანეტაზე პრიმიტიული სიცოცხლე აღმოცენდეს, ძალიან მცირეცაა და საკმაოდ დიდიც, მაგრამ თუ უცხოპლანეტელები საკმარისად გონიერი იქნებიან სიგნალის გამოსაგზავნად, მაშინ, სავარაუდოდ, ისეთი იარაღიც ექნებათ, ცივილიზაციას რომ პირისაგან მიწისა აღგავის“, — შენიშნა ჰოუკინგმა, რომლის აზრითაც, სწორედაც უპრიანია, კაცობრიობამ კოსმოსი აითვისოს, რადგან ეს სავსებით შეცვლის ადამიანთა რასის მომავალს. „თუ კაცობრიობას სურს, კიდევ ერთი მილიონი წელი იარსებოს, მაშინ გაბედულად უნდა ისწრაფვოდეს იქითკენ, სადაც ჯერ ფეხი არავის დაუდგამს...“

## ქრონოგრაფი

## რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 16-დან 22 დეკემბრამდე?

### 20 დეკემბერი

**დღის ციტატა:**
**ომი მარტოდენ მშვიდობიანი დროის პრობლემებისგან ლაჩრული გაქცევაა.**
**თომას მანი**

**1699 წელს** რუსეთში, პეტრე I განკარგულებით, ახალი წლის დღესასწაული 1 სექტემბრიდან 1 იანვარს გადაიტანეს.
**1828 წელს** კანადამ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა.
**1841 წელს** დაიბადა ფრანგი პაციფისტი, ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგის შემქმნელი, ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში, ფერდინანდ ბიუისონი.
**1880 წელს** ნიუ იორკში, ბროდვეიზე პირველი ელექტრული ფარნები აინთო.
**1892 წელს** აშშ-ში პირველი პნევმატური საავტომობილო საბურავები დააპატენტეს.
**1951 წელს** აშშ-ში პირველი ატომური ელექტროსადგური შეიქმნა.
**1973 წელს** ბასკელმა ტერორისტებმა ესპანეთის პრემიერ-მინისტრი ლ. ბლანკო მოკლეს.
**1989 წელს** ამერიკის ჯარებმა დაამხეს პანამის დიქტატორი, გენერალი ნორიეგა.
**1990 წელს** სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. შევარდნაძე გადადგა და ქვეყანაში ტოტალიტარული რეჟიმის დამყარების საფრთხის შესახებ განაცხადა.
**2000 წელს** ჰოლანდიაში ერთსქესიანი ქორწინებები დაკანონდა.

### 21 დეკემბერი

**დღის ციტატა:**
**შეუძლებელს მხოლოდ ის მიაღწევს, ვინც აბსურდულ მცდელობებს მიმართავს.**
**ალბერტ აინშტაინი**

**1266 წელს** ინგლისის სამეფო ჯარებმა 6-თვიანი ალყის შემდეგ ქენილვორთის ციხესიმაგრე აიღეს და ისტორიაში პირველი პარლამენტი დაარბიეს.
**1599 წელს** ინკვიზიციის სასამართლოზე ჯორდანო ბრუნომ უარი განაცხადა თავისი შეხედულებების უგულებელყოფაზე.
**1773 წელს** დაიბადა ინგლისელი ბოტანიკოსი, ბროუნის მოძრაობის აღმომჩენი რობერტ ბროუნი.
**1804 წელს** დაიბადა ინგლისის პრემიერ-მინისტრი ბენჯამენ დიზრაელი.
**1846 წელს** რობერტ ლისტონმა ევროპაში პირველი ქირურგიული ოპერაცია ჩაატარა ანესთეზიით.
**1879 წელს** დაიბადა იოსებ სტალინი.
**1898 წელს** პიერ და მარია კიურებმა რადიუმი აღმოაჩინეს.
**1898 წელს** აშშ-მა ფილიპინებზე სამხედრო მმართველობა დაამყარა.
**1935 წელს** გერმანიაში ებრაელ ექიმებს კერძო პრაქტიკა აეკრძალათ.
**1940 წელს** შვეიცარიამ სსრკ-სთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა.
**1958 წელს** შარლ დე გოლი საფრანგეთის პრეზიდენტი გახდა.
**1989 წელს** რუმინეთის დიქტატორმა ჩაუშესკუმ თავისი ბოლო სიტყვა წარმოთქვა.
**1991 წელს** სამხრეთ ოსეთის პარლამენტმა საქართველოსგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

### 22 დეკემბერი

**დღის ციტატა:**
**გულწრფელობა წმინდანებისა და იდიოტების პრივილეგიაა.**
**სერგეი ტიმჩენკო**

**69 წელს** რომის სენატმა ვესპასიანეს იმპერატორის უფლებამოსილება მიანიჭა და ამით სამოქალაქო ომს წერტილი დაუსვა.
**1216 წელს** რომის პაპმა ჰონორიუს III დომინიკანელთა ორდენის წესდება დაამტკიცა.
**1639 წელს** დაიბადა ფრანგი დრამატურგი ჟან რასინი.
**1807 წელს** აშშ კონგრესმა ევროპასთან ვაჭრობაზე ემბარგო დააწესა.
**1810 წელს** ჰოლანდიის სანაპიროებთან ჩაიძირა ინგლისური ფრეგატა „მინოტავრი“, რის შედეგადაც დაიღუპა 480 კაცი.
**1895 წელს** გერმანელმა ფიზიკოსმა ვ. რენტგენმა პირველი რენტგენის სურათი გადაიღო (თავისი მეუღლის ხელები).
**1917 წელს** აშშ-ის კონგრესმა ქვეყანაში მშრალი კანონი შემოიღო.
**1920 წელს** გერმანიაში პირველი რადიო ამუშავდა.
**1925 წელს** თავი მოიკლა პირველმა გერმანელმა პილოტმა ქალმა ნოლი ბისმა.
**1933 წელს** გერმანელ პროვოკატორს მ. ვან დერ ლიუბეს, რომელმაც რაიხსტაგს ცეცხლი წაუკიდა, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.
**1942 წელს** გერმანიის ჯარებმა კავკასიიდან უკან დახევა დაიწყეს.

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

საქართველო

# «ზაფხულია, ცხელა, ცხელა, გული ასდის ქალაქს»

**სანამ ჩვენი მეშჩანურ-ობივატელური ბომონდი სისხლხორცეულად ინტერესდება იმით, თუ რომელიღაც „ცნობადი სახე“ მეორე „ცნობადს“ უკანალზე როგორ ჩქმეტს, ხოლო პრესაში დიდი კამათია ატეხილი, კერძოდ, რომელ — აღმოსავლეთ თუ დასავლეთ ნახევარსფეროების სიმრგვალეთა წინააღმდეგ არის მიმართული ორსულობის პერსპექტივის შემცველი, მრავალგზის გამეორებული ეს აქტი, დაგვექცა დედამიწა თავზე და ეგაა. გლობალური დათბობის გამო შეშფოთებულია მთელი მსოფლიო და ეძებს გამოსავალს. იპოვის? ყოველ შემთხვევაში, ცდას არ აკლებს.**



წლის ბოლოა და ევრაზიის კონტინენტის ცენტრში ევროკავშირისა და გაეროს კონფერენციები და სამიტები თბილ ქვეყნებში ფრთოსანთა დაგვიანებულ მიგრაციასავით წაეწყო. მათ შორის, **უპირველესი მნიშვნელობის მქონედ ექსპერტები 7 დეკემბერს კოპენჰაგენში დაწყებულ საერთაშორისო კონფერენციას მიიჩნევენ**, რომელიც ჩვენი პლანეტის კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს. კერძოდ, კიოტოს შეთანხმების ვადის ამოწურვის შემდეგ თამაშის ახალი წესების დადგენას 2012 წლის შემდეგ გლობალური დათბობის წინააღმდეგ კაცობრიობის ერთობლივი მოქმედებისათვის — ატმოსფეროში სათბურის გაზების გამოტყორცნის შეზღუდვის კვოტებს დააწესებს..

უსერიოზულესი პრობლემაა, არქიმნიშვნელოვანი, მაგრამ... **არსებობს კი ეს პრობლემა?** კოპენჰაგენის სამიტი სკანდალით დაიწყო.

## „ზღაპარია თუ ნამდვილი, ვინ მოიგონა, ვინ იცის?“

პრესაში გაჟონილი ინფორმაცია იმდენად შოკისმომგვრელი აღმოჩნდა, რომ სამიტის ჩატარება სათუთი გახდა.

თავად განსაჯეთ, ღირს კი დროისა და სახსრების დახარჯვა, სახელმწიფოთა მეთაურების შეკრება და ერთობლივი დოკუმენტების მიღება პრობლემაზე, რომელიც არ არსებობს? ან თუ არსებობს, ხელოვნურად გამწვავებულია და ეკოლოგიური პრობლემების მიღმა უნდა ვეძებოთ მისი წარმოქმნის მიზეზები?

ცოტა ხნის წინათ ჰაკერებმა ინტერნეტში კლიმატოლოგების საიდუმლო მიმოწერის გასაღები გატეხეს და სააშკარაოდ გამოიტანეს კლიმატის ცვლილებების პრობლემაზე მომუშავე სამთავრობოთაშორისი ჯგუფის ექსპერტების მიმოწერის ათასზე მეტი ელექტრონული წერილი, სხვა დოკუმენტები, რომელთა დედააზრი და მიზანი ერთი იყო — **შეთანხმებულიყვნენ იმის თაობაზე, თუ როგორ არ შეეტანათ თავიანთ ანგარიშებში ისეთი მონაცემები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა გლობალური დათბობის იდეას** (!). (იხ. საიტი www.anelegantchaos.org).

აღნიშნული მიმოწერის სანდოობასა და ექსპერტ-კლიმატოლოგთა პროფესიონალიზმში დაეჭვება შეუძლებელია, რადგან სწორედ **მათ ანგარიშებზე დაყრდნობით მიიღეს მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ლიდერებმა კიოტოს დოკუმენტი.**

ესე იგი, **გლობალური დათბობა ბლეფია?**

**არა, არ არის ბლეფი.** ყოველ შემთხვევაში, როგორც ამ პრობლემებზე მომუშავე მეცნიერები ასკვნიან, **ხსენებული „სკანდალური“ დოკუმენტებით ეს არ მტკიცდება.** ახალი ამ წერილებში არაფერია. აქ ლაპარაკია იმ მეთოდიკებზე, რომლებიც საშუალო გლობალურ ტემპერატურას განსხვავებულად ითვლიან. ეს ამოცანა, — გვეუბნებიან ისინი, — მარტივი არ არის და **შეფასებები,** რომლებსაც სხვადასხვა კვლევითი ცენტრები გვაწვდიან, **შეიძლება რამდენადმე განსხვავებული იყოს.**

აზრთა სხვაობა კი ემოციების გამძაფრებას იწვევს. საქვეყნოდ გაცხადებული სიმძაფრე სკანდალს შობს. სკანდალი პრესის „არსობის პურია“, რომლითაც სიამოვნებით იკვებება საზოგადოებრიობა, მათ შორის, ჩვენიც — ქართული.

ამ „ფილოსოფიური“ წიაღსვლიდან ფაქტებს დავუბრუნდეთ.

ფაქტი კი ისაა, რომ **მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია არ მალავს მეცნიერთა დასკვნებისა და შეფასებების ნაირგვარობას.** მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ამინდის ოფისში მიიჩნევენ, რომ 2008 წელი 1891 წლიდან მოყოლებული ყველაზე ცხელ წელიწადებს შორის მხოლოდ **მეათე** იყო. აშშ კლიმატური მონაცემების ცენტრი კი შარშანდელ წელიწადს **მერვე** ადგილზე აყენებს.

განსხვავება, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ იგივე მეცნიერები ამტკიცებენ, რომ არც 2008, არც 2009 წლები ისტორიაში ყველაზე ცხელი წლები არ ყოფილა.

**(გინდა-არგინდა, ხელი გაგექცევა და დაწერ: მიმართონ ჩვენს ხელისუფლებას და მიიღებენ კონკრეტულ პასუხს: — ყველაზე ცხელი წელიწადი ისტორიაში იყო... რა თქმა უნდა, 2003 წელი, „ვარდების რევოლუციის“ ისტორიული მიჯნა).**

მაშ, არის თუ არა მითი გლობალური დათბობა?

მოდით, ერთად გადავხედოთ ბოლო პერიოდის ანომალიებს, რომელთა შესახებ ცნობები პრესაში გამოქვეყნდა.

## აპრილში ათოვდა ირანის ბაღებს

**რუსეთში** ერთ წელიწადში სადღეღამისო ტემპერატურის უამრავი რეკორდი დაფიქსირდა. სამხრეთ სახალინში მაისში +34 გრადუსი იყო. მოსკოვში ამჟამად სითბო 8-9 გრადუსით ნორმაზე მეტია.

**ყირიმში** გასულ იანვარს 18,7 გრადუსამდე დათბა, კიევში კი ოქტომბერში წაბლის ხეები მეორედ აყვავდა.

**გერმანიაში, ჩეხეთში, ავსტრიასა** და **ევროპის სხვა ქვეყნებში** აპრილში +22-27 გრადუსი იყო, მაისში კი +35 გრადუსი.

**ინდოეთში** წლეულს ყოველი თვე რეკორდული იყო, ზაფხულში + 50 გრადუსზე მეტად აიწია სინდიყის სვეტმა.

ოქტომბერში **შავ ზღვასა** და **ხმელთაშუა ზღვაში** წყალი +24 გრადუსზე დაბლა არ დაწეულა. გოლფსტრიმში კი მთელი წელიწადის განმავლობაში ჩვეულებრივზე 2 გრადუსით მაღალი იყო. ეს ერთი უკიდურესობა. ახლა ცოტა სიცივითაც ავკანკალდეთ.

**ციმბირში** 2009 წლის თებერვალი უკანასკნელი 30 წელიწადის განმავლობაში ყველაზე უფრო ყინვიანი იყო. აპრილშიც არ დამთბარა. აგვისტოც გრილი იყო.

**პოლონეთსა** და **გერმანიაში** გასული ზამთარი განსაკუთრებით ყინვიანი იყო — 29 გრადუსი.

**ემირატებშიც** კი —3 გრადუსამდე დაეცა ტემპერატურა. სპარსეთის ყურისთვის ეს ანომალური მოვლენაა, ისევე, როგორც თოვლი, რომლის 20-სანტიმეტრიანმა საფარმა გადაათეთრა უდაბნო!

მოთოვა **კანარის კუნძულებზე**, **სიცილიასა** და **ანტალიაში.** უიშვიათესი შემთხვევაა. ქარბუქი ტრიალებდა **საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში. საფრანგეთსა** და **ინგლისში** ისე გათოვდა, ბოლო 20 წელიწადში არავის რომ არ ახსოვს, **მილანის** ზოოპარკში ცხოველების საკვები გაიყინა და იმ საწყლებს კრუასანებით კვებავდნენ.

აპრილში ათოვდა **ირანის** ბაღებს. ოქტომბერში **ამერიკის შეერთებული შტატების** ისტორიაში ნაადრევად მოვიდა თოვლი.

**ჰოლანდიაში**, როტერდამის ნავსადგურში, 13 წლის განმავლობაში პირველად გამოიყენეს ყინულმჭრელები გემებისთვის გზის გასაკვლევად.

და ასე შემდეგ, რაშიც იგულისხმება არნახული წყალდიდობები, უხანგრძლივესი გვალვები ხან — იქ, ხან — აქ.

კარგი არაფერია, მაგრამ ჯერჯერობით ვარსებობთ და, უარესი რომ არ დაგვემართოს, გამოსავალს ეძებს კაცობრიობა.

მივდივართ დასკვნისკენ და სრული უფლება გვაქვს, ვიკითხოთ: **რა ჭირს ჩვენს დედამიწას, მის კლიმატს, რომელიც შიშის თუ არა, შეშფოთების საფუძველს ნამდვილად იძლევა და კაცობრიობას მხართეძოზე წამოგორების უფლებას არ აძლევს.**

მკვლევართა აზრითაც, კლიმატური სისტემის „ნევროზულობა“ სახეზეა, **ექსტრემალური მოვლენები ტემპერატურის ზრდის ფონზე მიმდინარეობს და ამიტომ მიიჩნევენ, რომ გლობალური დათბობა მითი კი არა, სინამდვილეა.**

დედამიწა, რომელსაც ციებცხელებიანივით აძაგძაგებს, აშკარად ავადაა. ზუსტი დიაგნოზი ჯერჯერობით ვერ დაუდგენიათ, თუმცა ცდას არ აკლებენ. კოპენჰაგენის სამიტზე შეეცდებიან, მიაღწიონ საერთო შეთანხმებას, დოზირებას იმ ნეგატივიზმისა, რომელიც დედამიწის კლიმატის კალაპოტიდან ამოვარდნის მიზეზთა მიზეზია.

## პრობლემა – ერთი, სკანდალი – ორი

ორი სკანდალი ნამეტანი ხომ არ არის?

პირველზე ვილაპარაკეთ.

მეორე სკანდალი კი მაშინ აგორდა, როცა დიდი ბრიტანეთის გაზეთ **„გარდიანის“** ჟურნალისტებს ხელში ჩაუვარდათ დასკვნითი შეთანხმების პროექტის შავი ვარიანტი (ე.წ. დანიის ვარიანტი), რომლის მიხედვით, **აშშ, დიდი ბრიტანეთი და დანია უფლებას იტოვებენ, დააბინძურონ ატმოსფერო სხვა სახელმწიფოებზე 2-ჯერ უფრო მეტად.**

ასეთმა გამორჩეულობამ უკიდურესად აღაშფოთა ის ქვეყნები, რომლებსაც აღნიშნული პროექტი დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს. განვითარებული ქვეყნების პრივილეგირებულობა ციფრებში ასე გამოისახება: **2050 წლამდე ღარიბ ქვეყნებს უფლება მიეცემა, ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 1,5 ტონა სათბურის გაზები აწარმოონ, ხოლო მდიდარ ქვეყნებს — 2,5 ტონაზე მეტი.**

დოკუმენტიდან ისიც ჩანს, რომ ავტორები ცდილობენ, მინიმუმამდე შეამცირონ გაეროს როლი მოლაპარაკების პროცესში, რადგან აპირებენ, კლიმატის ცვლილებათა აღმოსაფხვრელად წარმართულ ფინანსებზე კონტროლის უფლება მთლიანად მსოფლიო ბანკს გადასცენ. ამჟამად ამ კონტროლს გაერო განახორციელებს.

**„გარდიანი“** წერს, რომ განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც კონფერენციაში მონაწილეობენ, გააცოფა შეთანხმების ასეთმა პროექტმა. გაზეთის ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ **ის, რაც კოპენჰაგენში ხდება, კიდევ ერთხელ ამტკიცებს ჭეშმარიტებას: როცა ძლიერი ქვეყნები იკრიბებიან, ისინი, როგორც წესი, ღარიბი ქვეყნების ინტერესებს უგულებელყოფენ.**

დანიის ტექსტი, მიიჩნევენ ექსპერტები, სპეციალურად ბარაკ ობამასთვის იმ ვარაუდითაა დაწერილი, რომ კოპენჰაგენში ჩამოსული აშშ პრეზიდენტი უყოყმანოდ მოიწონებს ამ დოკუმენტს.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. კლიმატოლოგები გვიმტკიცებენ, რომ მომავალი წელიწადი შეიძლება ისტორიაში უცხელესი აღმოჩნდეს. „მიზეზი ადამიანის ფაქტორია,“ — ირწმუნება The Times.**

**მკვლევარების აზრით, ტემპერატურა გაისად 0,6 გრადუსით მოიმატებს, ვიდრე 1961-1990 წლების პერიოდში.**

**სანამ საქართველოს მეშჩანურ-ობივატელური ბომონდი მომხიბლავ სიმრგვალეთა ჩქმეტა-ჩქმეტაზე ჭორაობს, დედამიწა, ეტყობა, დაორსულდა — უაზროდ ჭირვეულობს.**

**არაფერი შველის.**

**ან როგორ უნდა ეშველოს, როცა გლობალისტების 30-ათასიანი საპროტესტო მსვლელობას კოპენჰაგენში იგივე შედეგი მოსდევს, რაც თბილისელი ჭორიკანების ენის ქავილს, თანაც, დანიაში მიხეილიც გაემგზავრა, სააკაშვილი.**

**ა.ს.**




**მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი —**

**ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი**



**გთავაზობთ სამედიცინო დახმარებას**

- უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევას და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
- ჰორმონული, გენეტიკური, იმუნოლოგიური, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური გამოკვლევები;
- სასქესო ინფექციების დადგენა, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
- სპერმის კომპიუტერული ანალიზი;
- ხელოვნური ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვა;
- ქალებში და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენა და მკურნალობა, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
- ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
- სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკა, ქირურგიული კორექცია;
- კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობა და პროფილაქტიკა;
- ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენა; შობადობის რეგულაცია — მედიკამენტური კონტრაცეფცია;
- ულტრასონოგრაფიული, ბიოქიმიური, ჰორმონული, ციტოგენეტიკური გამოკვლევები.

**მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45, 99-61-97, 99-54-77**



საქართველო **ესტუმრეთ ჩვენს საიტს**

**http://www.geworld.net**



მთავარი რედაქტორი **ირაკლი თოდუა**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
**არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი**
ტექნიკური რედაქტორი **ლევან ზანგურაშვილი**
ვებრედაქტორი **გოჩა ხავთასი**
რეალიზაციის მენეჯერი **დავით ბუაძე**, ოფისმენეჯერი **თათია ვაშაკიძე**,
რეკლამის მენეჯერი **ეთერ კასრელიშვილი** (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.



მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net